

649 /  
1970/3

763




科學月刊

7-8

⑤

7

1970



# სსსრ

158

გამომცემის მეთოთხმეტი წელი

7

ივლისი

1970

თბილისი

11598



საქ. კვ. ცაკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი



# შინაქრსი

## პ რ ო ზ ა

- 3. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ორთაბაღალელი მითვისებები. მოთხრობა
- 58. ნოდარ დუმბაძე. ნუ გეშინია, დედა. რომანი. დასასრული
- 94. ზაალ ტაბაღუა. ჯუშა. მოთხრობა

## კ ო ე ზ ი ა

- 34. მურმან ლეიანიძე. ანისის აღება. ისტორიული პოემა

## ახალი თარგმანები

- 97. რადიარდ კიპლინგი. ათასი მწუხარების შიშპარი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ
- 100. ტანესი უილიამსი. მინის სამხეცე. პიესა. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

## ნარკვევი

- 123. ვლადიმერ სპროვოვატოვი. მარად იცოცხლებს მათი სახელი

## წერილები

- 130. ნუგზარ წამეთელი. მიგობრობა გზად და ხილად
- 140. აპაკი გაწამელია. რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ჯოგითი საკითხი

## წიგნების სამუშაოში

- 151. ოთარ ჩხეიძე. „ჩრდილოეთის ციალი-
- 154. გიორგი კახიანი. ახალგაზრდა კომეტის ახალი წიგნი
- 156. ირაკლი კენჭოშვილი. ლეგენდა, აფეთქ, კომეტი
- 159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

ხარედაქციო კოლეგია:  
 გუგაზ ასათიანი,  
 აპაკი გაწამელი,  
 გივი გეგეჭორი,  
 გურამ გვირგვინი,  
 მარია ელიზბეგოვი,  
 კარლო კალაძე,  
 კონსტანტინე  
 ლორთქიფანიძე,  
 ოტია პაპორია  
 (კახუნიშვილი მდივანი),  
 ნუგზარ ფოფხაძე,  
 ნოდარ წულუკიძე,  
 ტარიელ ზანტუაძე,  
 სერგი ჯიჯია,  
 თამაზ შილაძე,  
 ლევა ჯანაშია.



ნაწილი პირველი

— წვიმს?

— წვიმს, ბატონო.

გოჩამ ამოიოხრა, ვერცხლის კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, თავი მოუსრისა... მერე უცბად გუშინდელი ფიცი გაახსენდა, უზმოდ თამბაქოს ადარ მოეწვეო. პაპიროსი ისევ კოლოფს დაუბრუნა და კედლის ღუმელთან მუხლებჩაკეცილ გოგოს მიაჩერდა.

წვიმიანი დილა თენდებოდა. ოთახში ჭვრ კიდევ ღამის ბინდი იდგა, მაგრამ გაიხანებ მაშინვე ივარძნო: საწოლში

გასულელი გოჩა თვალს არ აშორებდა მას.

გოგო აირია. ღუმელის კარი ძლივს გამოაღო, რომ შიგ ქვანახშირი ჩაეყარა. მისი ყოველი მოძრაობა ახლა ისეთი მოუქნელი და შეკრული იყო, თითქოს ერთბაშად ხელ-ფეხი დაუბუქდაო. ბოლო ღროს ასე ემართებოდა გაიანეს, როდესაც ბატონი გოჩა უყურებდა. კაცმა იცოდა ეს ამბავი და ამით თითქოს ერთობოდა. გულში ეცინებოდა, როდესაც თავგზადაბნეული გოგო კარე-

ბში ვერ გაეტეოდა. ან კიდევ, — ჰიქას მაგიდაზე ისე დადგამდა, თითქოს ხელიდან გაუვარდაო.

— სტუმრები დიდხანს დარჩნენ?

— გენერალი და თქვენი თანამემწე აგერ ახლა წავიდნენ.

— მე კი რა მალე მომეკიდა ღვინო! დეიდა ოლღას უთხარი, ყავა ამიღულოს.

— ახლავე, ბატონო.

გაიანემ ნაცარტუტით სავსე ტაშტს ხელი დაავლო და ოთახიდან ერთ ლანდზე გაუჩინარდა. კაცი ვერ მიხვდებოდა, გოჩას თვალებს გაურბოდა, თუ მისი დავალების შესრულება ეჩქარებოდა.

„გამომასულელა ამ გოგომ! პირდაპირ მრცხენია, ხანდახან ისეთ რამეს გავიფიქრებ!“ — მოულოდნელად გამოუტყდა თავის თავს გოჩა.

წამოჯდა, ფოსტლებში ფეხი გაუყარა და ფანჯარასთან მივიდა. გაორთქლილ მინას ხელი გადაუსვა. ტალახიან ქუჩაზე მობუზული, ღაზში გახვეული ქალები გადადიოდნენ. ამ ღარიბულად ჩაცმულმა ქალებმა სამინისტროს ცივი და ჩაბნელებული დერეფანი ჰოაგონა გოჩა კალმახელიძეს. მოაგონა და გული აუშლვრია. მოსაცდელი ოთახიდან ყველა სკამი გაიტანეს, მთხოვნელი და მომჩივანი მაინც არ მოაკლდა მინისტრის ამხანაგს. თათრის ქალები დილიდანვე იატაკზე დაეყრებიან, აღნავლებულ ბავშვებს დამკნარ ძუძუს პირში ჩაუდებენ და, სანამ სამუშაო დღე არ დამთავრდება, ადგილიდან ფეხს არ მოიცილიან, კაცები კი დაღვრემილი დააბოტებენ დერეფანში, დრო და დრო კედელს მიეყუდებიან და ლოდინში დაოსებულ თვალებს შავი ტყავით გადაკრულ კარებს მიაბჯენენ. ეს რომ გაახსენდება, მერე გოჩა კალმახელიძეს სამსახურში წასვლა აღარ უნდა. არადა, საშველი არ დაადგამ უპირო ზამთარს. ერთი მაინც გამოიძაროს, რომ ეს საწყალი ხალხი გათბეს და მომარაგების მინისტრის ამხანაგის კაბინეტს მოსცილდეს. მარტმა

კული მოიქნია, გაუთავებელმა თოვლქყამმა სული ამოხადა თბილისელ ქალაქში ერთი დანთება შეშა აღარ იშოვება. კოლხეთის ტყეებში თხმელას და წიფელას რა გამოლევა, მაგრამ რკინიგზის მესვეურებმა ყველა დაუზიანებელი ვაგონ-ბაქანი სადღაც შამქორში გადაჰკარგეს... ვერც შეშა ჩამოიტანეს, ვერც ტყიბულის ქვანახშირი. გაყინულ დაწესებულებაში დილიდან საღამომდე ცხვირის ცემინების მეტი აღარაფერი ისმოდა.

ერთი ბოთლი ნავთი ნახევარი მილიონი მანეთი ღირდა. აქამდე ფურნეში ზეთში მოშუშული ჭადი მაინც იყიდებოდა. ახლა ისიც გამოილია. ჯერ კიდევ ზამთარი სად იყო, რომ საქართველოს ბელგები პირწმინდად დაცარიელდნენ. მომარაგების სამინისტრომ დიდძალი სიმინდი შეისყიდა რუმინეთში. მარცვალი ბათუმში რომ ჩამოიტანეს, მხოლოდ აქ გაიგეს, სიმინდი პეკლიანი ყოფილაო. მისი ფქვილი გამოსაცხობად აღარ ვარგოდა. ამბობდნენ, ამ საქმეში ვილაც-ვილაცებმა ხელი გვარიანად მოითბესო... ასე იყო თუ ისე, იმ წელიწადს ცეცხლის ფასი დაეღო პანტას, ჯიჯილაყა-ფხალს, ჭინჭარს, დანდურს და კიდევ რაღაც ძირხვენებს, პატარა გოგო-ბიჭები ტყეებსა და ქალებში რომ პოულობდნენ. მომარაგების სამინისტრო აიკლო მუშათა დელეგაციებმა. მოდიოდნენ წარმომადგენლები რკინიგზის სახელსნოდან, თამბაქოს ქარხნებიდან, ოროაკალის დაბახანებიდან, სტამბებიდან... მომარაგების მინისტრის ამხანაგს გოჩა კალმახელიძეს ძაღლის ყბა უნდა გამოევა, რომ ეს გაჭირვებული ხალხი როგორც დაეშვიდებიან.

გოჩა კალმახელიძე ქუთაისელი სეტყის მრეწველის შვილი იყო. ბავშვობიდანვე ფუფუნებაში იზრდებოდა და ახლაც ძალიან უყვარდა, როცა მის გარშემო მადლარი ხალხი ტრიალებდა. თავაზიანი სიტყვა-პასუხი, გახანებული საყულო, მოკრიალებულ პარკეტზე შეკროს ჩექმების ჭრატუნე — ეს იყო,

მისი ცხოვრების კიდე-ნაპირი. ამიტომ გოჩა კალმახელიძეს არაფერი ისე არ ეხარებოდა, როგორც ამ დღეგაცემებთან საუბარი. მეტადრე ასეთ წვიმიან დღეს...

ასეთ ამინდში ეს ბეჩავი ხალხი უფრო საცოდავად გამოიყურებოდა. გოჩას კაბინეტში მათ შემოჰქონდათ წვიმისა და ჭუჭყიანი ტანსაცმლის სუნი, და რაწაძს შემოვიღოდნენ, მაშინვე საღვაც ვაჭკრებოდა ის საამო მყუდროება, მინისტრის ამხანაგის კაბინეტში რომ სუფევდა.

ფანჯარას მოშორდა. ერთი-ორი წუთი შუა ოთახში ჩაფიქრებული იდგა და შუბლს ისრესდა, თითქოს რაღაც ფიქრს აღვიძებდა. სასადილო დარბაზიდან ჭურჭლისა და დანა-ჩანგლის ჩხრიალი ისმოდა. წუხელ დიდა წვეულება ჰქონდა გოჩა კალმახელიძეს. „დიდი პატივი დამდეს... ყველა მოვიდა, ვინც კი დავპატიე: დამფუძნებელი კრების წევრები — ბიძინა ჩხეიძე და რაყდენ გომართელი, საგანგებო რაზმის უფროსი მეჭი კედია, „ერთობის“ რედაქტორი სილია ლაშვი, მეტეხის ციხის უფროსი დუდე კვანტალიანი, მომარაგების მინისტრი ლევან ბერიძე, „ჩემი მინისტრი“, როგორც სიყვარულით იტყოდა ხოლმე გოჩა კალმახელიძე. დიდად საპატიო ხალხმა მოიყარა თავი წუხელ ვარდისფერ დარბაზში.

ღუმელთან მივიდა ჯერ კიდევ ცივ კაფელს ხელი რომ მიადო, არ ესიამოვნა. ისევე ლოგინში ჩაწვა და წუხანდელ სუფრას დაუბრუნდა. „ძალიან დაგვატკბო დები წერეთლების სიმღერამ. ის ორთაჰალელი მეთევზეებიც რა დიდებულ დროს შემოვიდნენ. სუფრას ცოცხალი თევზები სწორედ მაშინ გადააყარეს, თამადა ჩემი მინისტრის სადღეგრძელოს რომ ამბობდა. ერთი თევზი კალთაში ჩაუვარდა აფხაზავას ქალს... რამდენი ვიხუმრეთ ამის გამო!“

გაიანემ ყავა შემოიტანა. რა ჩუმი. მიმპარავი სიარული იცის ამ გოგომ. სანამ ფინჯანი სასთუმალთან არ

დაუდგა, გოჩამ მისი შემოსვლა ვერ გაიგო.

ცხელმა ყავამ კაცი გამოაცოცხლა. — შენ კი ვიხარე, ჩემო გაიანე! — სოქვა მან.

გაიანემ ღუმელში ჩაბუტულ ქვანახშირს მაშა შეუჩუჩხუნა და ოთახიდან გასვლა რომ დააპირა, გოჩას ხმა დაეწია:

— მოიცა, გოგო, პაპიროსი გაპითავდა, ჰილზები დამიტენე.

— გუშინ ერთი კოლოფი იქ შევიწინახე, ბატონო გოჩა, — გაიანემ წიგნას კარადისაკენ მიიხედა, საღაც გოჩას „აკრძალული ხილის“ საპალავი ჰქონდა მოწყობილი.

— ნიხვიშტ! ამდენ სტუმარს რა გადაურჩებოდა! — იცრუა გოჩამ, გაიანეს საქმე გამოუნახა, რომ ის ოთახში ცოტა ხანს კიდევ დაეტოვებინა.

გოჩას სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა ეს ლამაზი, ჩათქვირებული გოგო მის ახლო ტრიალებდა. იგი უცოდველად შეჰხაროდა გაიანეს ყმაწვილქალობას. ეს კი იყო, ხანდახან კაბინეტში რომ შემოვიდოდა, გაიანეს თან შემოჰყვებოდა ახლადგახეხილი ქვაბების სუნი. სარეცხი სოდისაგან ხელებიც თითქოს მუდამ მოხარშული და შემუშუბული ჰქონდა, მაგრამ...

ეს „მაგრამ“ საზღვარი იყო. ამის შემდეგ გოჩა ფიქრს აღარ გააგრძელებდა. ხანში შესულ კაცს, ორი გასათხოვარი ქალის მამას, ასეთი ფიქრი არ შეევენოდა...

ბოლო დროს გოჩა კალმახელიძე გულს ემღეროდა. „სანამ მესამე სართულზე ამოვალ, სამჯერ უნდა შევესვენოო!“ — იტყოდა ხანდახან. ამიტომ ქალბატონმა ოლინკამ თამბაქოსა და მაგარი სასმელის ულუფა შეუმცირა მინისტრის ამხანაგს. დღეში ხუთი ცალი პაპიროსი და ერთი ჭიქა კონიაკი დაუწესა. ეს კი, რა თქმა უნდა, გოჩას ეცოტავა, გაიანეს გაენდო და წიგნების კა-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთაჰალელი მიმოვიწყები



რადღაში „აკრძალული ხილის“ მარაგი გაიჩინა. ჩუმჩუმად კონიაკსაც სვამდა და თამბაქოსაც ხარბად ეწეოდა.

რა გინდ პატარა არ უნდა იყოს საი-ღუმლო ამბავი, იგი მალე აახლოვებს ადამიანებს. გაიანეს ემაყებოდა, რომ გოჩამ ასეთი ნდობა გამოუტახდა, — ფარული საწყობის დიასახლისობა დააკისრა, თუმცა კაცის მალული მზე-რა და გადაკრული ლაპარაკი ჭერ ისევ აფრთხობდა ყმაწვილ ქალს.

ქალბატონ ოლინკას არ გამოეპარა ეს ამბავი. ერთი-ორხელ თვალი შეასწრო, რომ გოჩა სხვანაირად უყურებდა კაბინეტში მოფუსფუსე გაიანეს. „ძალიან კი გიბრწყინავს თვალეზი, ვაებატონო!“ გაიფიქრა ქალბატონმა ოლინკამ. მართლაც, გოჩას გაბრწყინებული თვალეზი თუ არა, ქალბატონ ოლინკას შეიძლება ჭერაც ვერ შეემჩნია, რომ ეს გაწრიბული გოგო ამ ერთ წელიწადში უკვე დაქალბუღიყო და ხორცი თ ისე აესებუღიყო, თეძოსთავებზე კაბა გადასკდომოდა.

„როგორ გაკეთებულა ეს სასიკვდი-ლუ!“ — გულში შეიცხადა ქალბატონმა ოლინკამ და იმ დღიდან თვითონაც გაიძწარა სიცოცხლე და არც გაიანეს დააყენა კარგი დღე. ხმამაღლა სიტყვა არ დასცდენია, მხოლოდ ის ეჭვი გუ-ლიდან ვერ ამოიღო. გოჩა კალმახე-ლიძე დიდი კაცი რომ გახდა, ოლინკა-საც ათასი საზრუნავი გამოუჩნდა. მი-ნისტრის ამხანაგის მეუღლეს ხშირად იწვევდნენ საქველმოქმედო წარმოდ-გენისა და ალევრა-სეირნობის დიასახ-ლისად. ხან კიდევ დილიდან საღამომ-დე ქალაქში დაჰქროდა და ნაცნობ-მეგობრებში ლატარიის ბილეთებს ასა-ღებდა. ოლინკას ძალიან უყვარდა ასე-თი ამბები.

მომარაგების სამინისტროს ეტლი ბოლო დროს მთლიანად დაისაკუთრა ქალბატონმა ოლინკამ. საზოგადოებაში გამოსული ქალი ყველა კრებას უნდა დაესწროს, ყველაფერში უნდა ჩაე-რიოს, რომ შექმნას ისეთი შთაბეჭდი-

ლება, თქვენ უჩემოდ არაფრის გე-თებელი არა ხართ.

აი, ქალბატონ ოლინკას სამახსოვრო წიგნაკის ერთი ფურცელი:

14 აპრილი. ორშაბათს, თორმეტ საა-თზე — თათბირი ომში დაღუპულთა ქვრივ-ობლების დამხმარე კომიტეტში.

სალამოს — ფაბრიკანტი ადელხანო-ვი. ვახოვო, შემოგვწიროს რაიმე ნივთი აუქციონისათვის.

სამშაბათს — სამხედრო ჰოსპიტალ-ში ომის ინვალიდებს საჩუქრები უნდა დაეურიგო.

სალამოს — წვეულება გერმანიის სა-ელჩოში.

ოთხშაბათს — ქართულ კლუბში ქა-ლთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის კრება, თავმჯდომარის არ-ჩევა.

ნასადილეც — ლტოლვილთა ბარა-კების დათვალიერება მდათოვის კუნ-ძულზე.

ხუთშაბათს — დილით — დრამატუ-ლი წრე.

სალამოს — ქრისტინეს გასამართ-ლება.

პარასკევს — ყულაბების დამტარე-ბელი ქალ-ვაჟების შერჩევა (ქეთინომ ფეხი არ გადადგას სახლიდან).

შაბათ-კვირას კი ოლინკას ოჯახში თავს იყრიდნენ ახლო მეგობრები, საზოგადო მოღვაწეები, მომარაგების სამინისტროს თანამშრომლები... ამ წვეულებებს მუდამ ერთი ლარი და ხაზი ჰქონდა: პრეფერანსი, ვახში და ერთი გაუთავებელი ბჭობა და კამათი „დამოუკიდებელი“ საქართველოს სა-გარეო პოლიტიკაზე, გეგმეკორას უკა-ნასკენლ მემორანდუმზე ერთა ლიგაში, სამოქალაქო ომზე რუსეთში, ოსმალე-თის თავებდ გენერლებზე, საქართვე-ლის საზღვრებს უსირცხვილოდ რომ სჭრიდნენ და ჰკერავდნენ.

— მოვიდა ჩვენი მფარველი ანგე-ლოზი! — ამბობენ ომის ინვალიდები, როდესაც ლამაზი, ტანადრ, ოდნავ თმა-შევერცხლილი, კოხტად ჩაცმული ქა-ლი ჰოსპიტლის აყროლებულ პალატე-



ბში გამოჩნდება. ფარჩის შრიალით ჩაუჭროლებს ქალბატონი ოლინკა საწოლებზე ჩამომსხდარ ინვალიდებს — უჩინოდ, უხედველად დაარიგებს მკვლე პაკეტებს და სწრაფად გაუჩინარდება.

ო, როგორ ეპრიანება ქალბატონ ოლინკას შემოწირული საჩუქრების დარიგება! ხშირად თვითონაც არ იცის, რა დევს ამ პაკეტებში. ერთხელ ფაცაფუცში შეეშალა და ინვალიდებს ქალის ნახმარი კოფთები და წინდები მიუტანა, მაგრამ ეს რა ბედენა იყო — ქალბატონ ოლინკას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა: საჩუქრების დარიგებას რაც შეიძლება მეტი ხალხი დასწრებოდა, რომ ქალაქში ხმა გასულიყო, ეს რა თავდადებული საზოგადო მოღვაწე ქალი გვყავსო!

ქალბატონმა ოლინკამ ცოტა-ცოტა ყველაფერი იცოდა. მღეროდა, როიალზე უკრავდა, ფრანგულად ლაპარაკობდა, ქსოვდა, ჩიგინით ქარგავდა, მსოფლიო ომის დროს, გოჩა მეტეხის ციხეში რომ იჯდა, მოანგარიშის კურსები დაამთავრა და სააქციზო უწყებაში მსახურობდა, მაგრამ ნამდვილი ნიჭი ქალბატონმა ოლინკამ ქართულ კლუბში გამოიჩინა, როდესაც პირველად ალევრა - აუქციონის დიასახლისობა სთხოვეს. იმ საღამოს მან ისე ძვირად გაყიდა ერთი უბრალო ვაზა, რომ კომისიის წევრებმა სულ ხელები დაუკოცნეს კალმახელიძის მეუღლეს და მეორე დღესვე კლუბის გამგეობის წევრად აირჩიეს. ძვირი ბილეთების გასაღება იყო საჭირო თუ შემოწირულების შეგროვება, ასეთ რამეში ქალბატონ ოლინკას ხუთიანი ეწერა. ერთხელ თავი გადასდო და დილიდან საღამომდე ქარვასლაში დატრიალდა. საღამოს კი ქართული კლუბის საწყობს სავსე ეტლი მიაყენა.

— დმერთო ჩემო, როგორ დავილაღე! ჩემი ეტლი თავმჯდომარეს ვათხოვე, მე კი ფეხით მოვიარე მთელი სოლოლაკი! — შესჩივლა ერთხელ გოჩას და სავარძელში რომ ჩაიკეცა, მკლავები აქეთ-იქით გადაყარა.

— ხვალამდე მოგეცადა, შე ქალბატონო! რას მოიკალი თავი!

— ხვალამდე? — შეიცხადა ქალბატონმა ოლინკამ: — მერე ჩემი ქვრივობლები? ჩემი ავადმყოფები?

„ჩემი ქვრივობლები, ჩემი ავადმყოფები!“ — გაიძახოდა ქალბატონი ოლინკა, თუმცა არასდროს არ იცოდა, ამ ავადმყოფებში რომელი უკვე განიკურნა და რომელი უკვე მიიბარა უფალმა.

კრებაზე ხშირად იტყოდა: რევოლუცია იმიტომ მოვახდინეთ, ქალი სამზარეულოს ოთხი კედლიდან გამოვიდეს და ქვეყანაზე გაიხედ-გამოიხედოსო. თვითონ კი გამოვიდა სამზარეულოდან და გაშალა ფრთები, სამაგიეროდ, ახლა მის ოჯახში ორი მოახლე ქალი ტრიალებდა.

ვინ დასთვლის რამდენი სხვადასხვა საზოგადოებისა და კომიტეტის წევრად ითვლებოდა კალმახელიძის მეუღლე. წლებზე ფეხს იდგამდა, რომ საზოგადო მოღვაწის სახელი მოეხევეს. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. ოლინკამ რაღაც ავადმყოფობა მოიგონა და როცა გოჩა შინ იყო, სახლიდან ჯოხით ვერ გააგდებდი. ასე ეგონა, მისი ქმარი და გაიანე მარტო რომ დარჩებიან. საშინელ ამბავს დაატრიალებნო. ეკვიანი ქალის ფანტაზიას საზღვარი აღარ ჰქონდა. ხანდახან ისე ცხადად წარმოიდგენდა, თუ როგორ ეხვეოდა გოჩა მოახლე გოგოს, რომ ოლინკას გულის წვეთები უნდა დაეღია ესმოდა, სულ ესმოდა, რანაირ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა ყურში; ხედავდა, სულ ხედავდა, როგორ ინაზებოდა ის კახა გოგო კაცის ალერსიან სიტყვებზე...

ალიონზე საწოლიდან ახლადამდგარ, გადაბრიალებულ გაიანეს რომ დაინახავდა, ქალბატონ ოლინკას სიკვდილი უნდოდა იმ დღეს.

— რას გადმოგიყრია, შე ძროხა, ეს დასამიწებელი ძუძუები! ხომ ხედავ, ვერ ეტევი მაგ კაბაში! გამოიცივლე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთაბაღული მემთავაბეი



ახლავე! — მივარდა ერთხელ გოგოს და თავისი გამონაცვალი ხალათი მიუგლო.

სააღდგომოდ ოლინკას უმცროსმა ქალიშვილმა ძველი კაბა აჩუქა მოახლეს. კაბა ცოტა სრული მოუვიდა გაიანეს და მისი გადაკეთება მოინდომა; ოლინკამ დაუშალა, თუ გინდა ასე ჩაიცივი, არა და თავი გაანებო.

აშარი დედაკაცი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გაიანეს ლამაზი სხეული ამ ნახსებისარ, მოფლამულ კაბებში დაემარხა.

თბილისის ქვებში ზაფხულის პაპანება რომ ჩაგუბდება, გაიანე გრძელ სახელოებიან კოფთას ვერ გაიხდის, გულისპირს ვერ შეიხსნის, რომ მისი ბამბასავით თეთრი მკლავები და ყელკისერი გოჩას თვალში არ მოხვდეს. „გაგადებ სახლიდან და მორჩა“ — ფიქრობს ქალბატონი ოლინკა, ფიქრობს და ვერ აკეთებს. შარშანწინ, სანამ გაიანეს იპოვნოდა, ხუთი მოახლე ზედიზედ გამოიცვალა კალმახელიძის ოჯახმა. ერთმა კერძის კეთება არ იცოდა, მეორემ იცოდა, მაგრამ ისეთი პელენწუქა ქალი იყო, იმის გაკეთებულ საქმელზე გული არ მიგივარდებოდა. მესამე ისე დაძლავუნობდა ოთახებში, ოლინკა შიშისაგან აღარ იყო: აგერ ამას წამოედება და დამიმტვრევსო... მეოთხე გოგო კი წუწუკი გამოდგა. „შეაქრსა და ნიგოზს რომ თავი დავანებო, ტყლაპი ტყემალი არ შემარჩინა ოჯახში!“

ჩუმი, უენო და გამგონი გაიანე პირდაპირ ციდან ჩამოვარდნილი წყალობა იყო. რა არ იცოდა ჩვიდმეტი წლის გოგომ! რაც ის კალმახელიძის ოჯახში შემოვიდა, ქალბატონმა ოლინკამ შვეებით ამოისუნთქა. ერთხელ რომ ეტყოდი ან გაუსწორებდი: ეს ასე უნდა, ის ასეო, გამეორებდა საჭირო აღარ იყო. მერედა ქცევას დაუწუნებდი, სიარულს თუ სიტყვა-პასუხს! სუფრაზე დასვაძლი და—დანა-ჩანგალს ვერ იხმარდა, პირის წკაპუნს გაიგონებდი თუ რა!.. მისი შემხედვარე ვინ იტყოდა, მეკურტნის ქალიაო. ასეთი ნანატრი მოახლე ნუთუ

სახლიდან მხოლოდ იმიტომ უნდა გამოდგომოდა, რომ მისი გამოტყინებული ქმარი თვალებს უყუყუენებდა.

პირველი დღიდანვე გაიანე მაისურაძე ყველას მოეწონა კალმახელიძის ოჯახში. მეტადრე გოჩას მოხუცებულ მშობლებს. გაიანემ მალე მოიგო მოხუცების გული და მათაც შვილივით შეითვისეს ყურადღებიანი გოგო. მხოლოდ ოლინკას უფროსმა ქალიშვილმა, ხანგადასულმა საპატარძლომ, სასტიკად აითვალწუნა შნოიანი გაიანე. ვაზაში ყვავილი რომ ჩარჩება და უწყლოდ დასკვნება, სწორედ ასე მოსჩანდა ციციწონო თავისი ლამაზი მოახლის გვერდით. ამიტომ საშველს არ აძლევდა ყმაწვილ ქალს: „გოგო, ეს მომიტანე, გოგო, ეს წაიღე!“—წამდაუწუმ ისმოდა მისი მკივანა ხმა. კიდევ კარგი, ნახალწლევს ვიღაცამ ქალაქში ხმა გაავრცელა, გოჩა კალმახელიძეს ვაჭრობის მინისტრის პორტფელს აძლევდნო. ვაზაში ჩარჩენილ ყვავილს მეორე დღესვე მაქანჯალი მოუვიდა.

ასე ბედშავად ცხოვრობდა გაიანე, რომ ახლა ქალბატონი ოლინკაც გადაეკიდა. „რატომ, რა დავუშავე?“—უეშმაკო გაიანეს პასუხი ვერ ეპოვნა. დიასახლისის გული რომ მოეღბო, დილიდან გვიან ღამემდე მისი ხელების გაჩერება არ იყო. ორივე ცოლ-ქმარს თვალებში შეჰყურებდა. რით ვასიამოვნოო, თუმცა მისი ასეთი მონდომება და გულმოდგინება ქალბატონ ოლინკას ეჭვს უფრო აძლიერებდა. გაიანეს დამფრთხალ თვალებში იგი სხვა რამეს კითხულობდა და მოახლეს გასაქანს არ აძლევდა. როცა ქმარი შინ იყო, გაიანეს ხან უთოზე დააყენებდა საკუჭნაოში, ხან კიდევ საკერავს გამოუძებნიდა, რომ უსირცხვილო კაცმა გოგოს თეთრ მკლავებს არ უტყუროსო. გოჩას გასაგონად კი სიტყვას არ ამბობდა. თავმოყვარე ქალი სხვებსაც უმალავდა თავის პირვარამს. ამა რა სათქმელი იყო. მიქელაძის ქალი ვიღაც რაჰველი მეკურტნის გომბიოზე ექვიანობსო..

ახალწლის წინა ღამეს მოხდა ერთი

ამბავი, რამაც ქალბატონ ოლინკას ის გოგო სამუდამოდ შეაქულა. ყოველ შობათ საღამოს კალმახელიძის მეუღლეს სამინისტროს ეტლი მოაკითხავდა, რომ ოლინკა და გაიანე გოგილოს აბანოში წაეყვანა. გაიანე ქალბატონს დაბანდა, თმას დაუვარცხნიდა, ფეხებზე ფრჩხილებს დაქნიდა. მერე სანამ წინა ოთახში ოლინკა ჩაიცვამდა და ფერუშარილს წაიცხებდა, გაიანე ხელდახელ ტანზე წყალს გადაივლებდა. ქალბატონი ოლინკა არასდროს არ დაჰკვირვებია, მის მოახლეს როგორი ტანი და ფერხორცი ჰქონდა. ცხელი ორთქლით სავსე აბანოში გაიანე მთლად შიშველი არც უნახავს. მორცხვი გოგო ტანზე პერანგს დაიტოვებდა და ქალბატონს ისე დაბანდა ხოლმე. იმ საღამოს კი ოლინკამ პერანგიც გაახდევინა და მისი ჩამოსხმული ტანი რომ დაინახა, ზაფრა მოერია. „გამოტყინებულ გოჩას კი არა, მამაღმერთს შეაცდენს ეს გომბიო!“ — გაიფიქრა ოლინკამ. ერთბაშად, ერთი გამოქროლებით მხეცურმა სურვილმა შეიპყრო და კანკალი დააწყებინა: „ავიღებ ამ ვედროს და თავს გავუხეტიქავ! მოვკლავ! დავახრჩობ!“ — გაიანეს მოეჩვენა, ოლინკამ რაღაც მიიხრაო. — წყალი გინდათ, ქალბატონო? — ჰკითხა მან. — სიკვდილი მინდა, ჩემი სიკვდილი! — ამოიკენესა ოლინკამ. გაიანე არ მიიკარა, თვითონ ჩაიცვა და სუფთა პაერზე გავარდა, რომ იქ სული მოეთქვა და ცოტა დამშვიდებულიყო. მაგრამ ავიფიქრა ერთხელ ნებაზე რომ მიუშვა, მერე ლავამი ვედარ ამოსდო: „ამიტომ შემძულა გოჩამ!“ — დაასვენა მან და თვალისწამში გაიხსენა ყველა ის ღამე, როდესაც ალერსმოწყურებულ ოლინკას ქმარი ზურგს შეაქცევდა და ხვრინვას ამოუშვებდა...

გაიანე ლომბერის მაგიდას მიუჯდა. უკრიდან თამბაქოს კოლოფი ამოიღო და პაპიროსის პილზეები ამოალაგა

— მომკლავს დეიდა ოლინკა, ახლა რომ შემომისწროს, — სთქვა მან.

— ორივეს მოგვკლავს და ბარემ ერ-

თად გავგასვენებს! — გაიცინა გოჩამ.  
— გუშინ ძალიან გამიწყრა, კაბინაში რას დაბუჯურობ, შეხვალ და გამოსვლა გავაწყდებო. გაკეთებას ვერ ვასწრებ, იმდენ პაპიროსს ეწვევით, ბატონო გოჩა!

— დარღმა იცის, ჩემო გაიანე!

გაიანემ ჩუმად ჩაიცინა: დარდი და ბატონი გოჩა?!

— არ გჯერა ხომ? — ვითომ იწყინა გოჩამ.

— მე კი მჯერა, ბატონო გოჩა, მარა იმას რომ არა სჯერა?

— ვის, გოგო?

— იმას, ბატონო, — გაიანემ კედლისკენ გაიშვირა ხელი.

გოჩამ მიიხედა და მოვარაყებულ სარკეში თავისი გაბადრული პირისახე რომ დაინახა, თვითონაც გაიცინა.

— სარკეს რა ჰქუა აქვს, გოგო! ლამაზი მიცვალებული არ გინახავს?

— უიმე, დედა! რას ამბობთ, ბატონო გოჩა, სიკვდილს რა უნდა თქვენთან!

— რა ვიცი, ამ საკმელ-სასმელს კი მიკრძალავენ და... ამასწინათ ექიმმა იცი რა მიიხრა? ყველაფერს კიბე გიშვრება, ბინა უნდა გამოიცვალოო...

— თქვენისთანა კაცმა დიდხანს უნდა იცოცხლოს, ბატონო გოჩა. ამიტომ ზრუნავენ და გეფერებინან!

— შენ რომ არ გეცოდები, გოგო?!

— მე-ე? — გაიანე დაიბნა, სიტყვა ვერ იპოვნა.

— ჰო, შენ? აბა სხვა ვინ მაძლევს ამდენ საწამლავს!

— თუ ასეა, აბა დღეიდან დაკვეტავ იმ საწყობს!

— არ დამღუპო, გაიანე! მაშინ მართლა ამომხდება სული.

უყვარდა გოჩა კალმახელიძეს ასეთი უზაკველი ლაილია გაიანესთან. იგი თითქოს ისვენებდა ამ შატბუტა ლაპარაკის დროს და თვითონაც ვერ ატყობდა, რომ მისდაუნებურად თავს აწონებდა ლამაზ მოახლეს.



— ვახოს უთხარი, ეტლი გამოიძახოს! გაიანემ დატენილი ჰილზები ვერცხლის კოლოფში ჩაყარა, მაგიდა მოასუფთავა და წავიდა. გოჩამ კი ხელდახელ ჩაიცვა; მან უკვე იცოდა, დღეს სამინისტროში აღარ წავიდოდა. სილიას და ბიძინას ნამცეცობაზე დაუძახებს და ამ წვიმიან დღეს ტკბილად დალამებენ.

გოჩა კალმახელიძე სოლოლაკში ცხოვრობდა, პეტრე დიდის ქუჩაზე, ვილაც რუსი გენერლის დანატოვარ ბინაში. თებერვლის რევოლუციით დაფეთებულ გენერალს გულა-ნაბადი სასწრაფოდ აუკრავს და რუსეთში გაქცეულა. ყოველგვარი სიკეთით საესე შეიდობთა-ხიანი ბინა მუქთად ჩაუვარდა ხელში მომარაგების მინისტრის ამხანაგს გოჩა კალმახელიძეს. ინგლისური ავეჯით მორთული ვეება კაბინეტი, ფრანგული გობელენებითა და სპარსული ნოხებით დამშვენებული სასტუმრო დარბაზი, ძველებური ვერცხლითა და საქსონური ფაიფურით გამოტენილი სასადილოს განჯინები, ბროლის ჭაღები, მაღალყელიანი ჩინური ვაზები, ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმული სარკეები... ეტყობა, ბევრი ვერაფრის წაღება ვერ მოასწროს სახლის პატრონმა და ეს ქონება რევოლუციის სახელით ბედმა ქალბატონ ოლინკას უბოძა.

მოგეცა ლხენა, ქალბატონმა ოლინკამ ამ ნაბოძვარს მოუღიხნა. მეორე დღესვე ისეთი წვეულება გამართა, მთელი თბილისი ალაპარაკა.

— მეყო, რაც ციხის კარებთან ვიყურებუტე და საქმელი გიზიდე. ახლა აღამიანურად მინდა ვიცხოვრო! — გამოუცხადა გოჩას და იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ შაბათ-კვირას, ლხინისა და ტაშ-ფანდურის ხმა ისმოდა კალმახელიძის ოჯახში.

— შენ, ქალო, იმდენს იხტუნებ, პარტიიდან გამრიცხავენ! — უსაყვედურა ქმარმა.

— ჯერ სხვები გარიცხონ, საქართველოს რესპუბლიკის ფული ფულად რომ არ მიაჩნიათ და ხელში აღება ეზარებათ! ქრთამში ბრილიანტის ბეჭედი ან

ნიკოლოზის ოქროს თუმნიახეი თქმის მიუტანე, ახლოს არ გაგიკარებენ! — მიუგო ოლინკამ.

ცოლთან რომ არაფერი. გაუვიდა, გოჩა მამას შეეხვეწა, შენი რძალი ცოტა დაარიგეო...

— ჭკვიანი ქალი, ახლა იცი, რას იზამს, მამაჩემო? სავარძლებისა და ვაზების გამოფენას კი არ მოაწყობს, — ცოტა ხანს კარებს დაკეტავს და ჩუმად იქნება! ამ სულელმა დედაკაცმა კი ნახევარი თბილისი შეჰყარა და ტაშ-ფანდური გამართა, მოდიო, ნახეთ, სისხლისმსმელ ბურჯუაზიას რა ქონება დავატოვებინეთო!

გოჩას სირცხვილი სწავას, მისი მეუღლე უტხო სტუმარს ფაიფურის განჯინასთან რომ მიიყვანს და ახსნას დაუწყებს, ეს ფინჯანი, თუ არ ცვდები, ბაროკოს სტილისა უნდა იყოს. ის მოოქრული ლანგარი კი ნამდვილად როკოკო არისო.

ამას რომ ამბობს, პირზე ისეთი დაქტბარი ღიმილი გადაეცლება. თითქოს მთელი ეს ქონება მამამისმა მზითვეში გამოატანაო.

ამოდენა ბინას, დგამ-ავეჯს, მუხის პარკეტით დაგებულ იატაკს მოვლა არ უნდა?

კიდევ კარგი, ქალბატონმა ოლინკამ მოახლეს ორი საქმე ჩამოაცილა: დიდი სარეცხი და სამინისტროს საწყობში სიარული. თეთრეულს მეგზოვის დედაკაცს არეცხინებს, გასაგზავნ-გამოსაგზავნად კი ვახო წულაძე ჰყავს, თავისი ახლო ნათესავი. სამტრედიელი კონდუქტორის შვილი. ვახოს საწყობიდან სანოვაგეც მოაქვს, შეშა და ქვანახშირიც.

ვინ არ იცის, რამდენი სირბილი და დაეიდარაბა სჭირდება სამადლო აუქციონისა და ალგერის მოწყობას. ვახო წულაძე აქაც მხარში უდგას ქალბატონ ოლინკას. შეხვედრა, ვაცილება, ფაქტონის მორთმევა, ბილეთების ჩამორიგება, ყვავილების შოვნა — ასეთ რამეებზე ვახოს ბადალი არა ჰყავს.

და კიდევ ერთი რამ უყვარს სამტრე-

დიელი კონდუქტორის ვაჟს: ნარდის თამაში.

სანამ სამტრედიაში ცხოვრობდა, კამათლების გორების მეტი არაფერი გაუკეთებია. დილიდანვე ჩამოუვლიდა ნაცნობ დალაქებს, მიკიტნებს, ხარაზებს, სადაც მისი ამფსონები იყრიბებოდნენ.

ვახოს რომ დაინახავდნენ, დუქნიდან მაშინვე სამი ტაბურეტი გამოფრინდებოდა, ორზე მოთამაშეები დასხდებოდნენ, მესამეზე ნარდს გაშლიდნენ და იყო ერთი ტახატუხი წითელი და შავი ქვებისა. სანაძლეო მუდამ უცვლელი იყო: ორი კვარტი თავისი „რაც მოუხდება“-თი.

მახსოვს, რევოლუციამდე სამტრედელ კაცს ერთი დიდი სანატრელი ჰქონდა: რკინიგზაზე სამსახური ეშოვნა. ვახოსთანა ოთხკლასიანი ყაზილარი კი არა, ახლა მიქელაძეებიც აღარ თაკილობდნენ კონდუქტორის ადგილს. ფოთი-თბილისის მატარებელზე.

რკინიგზაზე სამსახურს მრავალი სიკეთე მოჰქონდა. კარგი ჯამაგირი, სახაზინო ტანსაცმელი, სასურსათო ბილეთი და, რაც მთავარი იყო, რკინიგზელი ჯარში არ მიჰყავდათ.

მაგრამ ვერ ივარგა ვახო-ბიჭმა: რკინიგზის სკოლაში ორი კვირა არ მოიცადა.

— რაღა დროს ჩემი წიგნია და გაკვთილებს ზუთხვა! — გაუწყრა მამას.

— არ გეცოდები. შვილო? როდის უნდა ჩავარდე ჰუკუაში?

— მალე, მამაჩემო, მალე, როდინობის კვირაში! — შეპირდა ვახო.

მაშინ მშობლებმა მოილაპარაკეს და ვახოს ცოლი შერთეს, იქნებ გარე-გარე სიარულს თავი მიანებოს და ხელში სახრე მაინც აიღოსო.

ამასობაში სარაევოში ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი მოჰკლეს და მსოფლიო ომიც დაიწყო. ვახო წულაქემ კენჭი ამოიღო და პირველსავე ეშელონს ბაქოსაკენ უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ქვეყანაზე არის

ისეთი ცხრაკლიტული, ქრთამმა ვახო-ღებები ვერ მოარგოს? ვახო სამტრედიაში დასტოვეს და სადღეზინფექციო ვაგონის სანიტრად მოაწყვეს. ყასიდად მოაწყვეს. ვახო წულაქეს იმ ვაგონში ერთი ღამე არ გაუთევია, ერთი წყვილი ქუჭყიანი საცვალი ორთქლის ქვაბში არ ჩაუგდია. დრო და დრო მოსაკითხს თუ მიართმევდა უფროს სანიტარს — ღვიწხოს, მოხარშულ დედალს, თამბაქოს, თორემ წულაქეს იქ სხვა არაფერი ეკითხებოდა. მერე მოხდა თებერვლის რევოლუცია. ვახოს მამიდაშვილის ქმარი გოჩა კალმახელიძე დიდი კაცი გახდა. ვახეთში დახატული იყო, მომავალი მინისტრის ამხანაგი მეტეხის ციხიდან ხელში აყვანილი გამოჰყავდათ რკინიგზის მუშებს. ამ სურათის შემხედვარე ვახოს ბევრი აღარ უფიქრია, დაჰკრა ფეხი და ბედის საქებნელად დედაქალაქს მიაშურა.

შეხედავდი — კაცსა ჰგავდა. თვალტანადობას დაუწუნებდი თუ ზრდილობას. ქუჩაში თითისხელა ბიჭი სალამს ვერ მოასწრებდა. „ბოდიში, ბატონო“ და „მიბრძანე, ბატონო“, სულ ენის წვერზე ეკიდა. ამ სიკეთეს ქალბატონ ოლინკას ორი სიტყვაც დაემატა და შარშან გაზაფხულზე ვახო წულაქე საგანგებო რაზმში ჩაირიცხეს. თავისფერი ბუშულატი ჩააცვეს, ხისბუდიანი მაუზერი მხარზე ჩამოჰკიდეს და მთავრობის მოწინააღმდეგე ხალხის „მოვლა-ბატრონობა“ დაავალეს. მაგრამ ერთხელ რაზმელებმა ვილაც სომეხი ვაჭრის ბინა რომ გაჩხრიკეს, დიასახლისმა თავში ხელი შემოირტყა: ამ კოლოფში ოქროს საათი მედო და ახლა აღარ არისო. ამხანაგებმა ეჭვი ვახოზე მიიტანეს. მეორე ოთახში გაიყვანეს, ჯიბეები გადმოუბრუნეს და ნაქურდალი უპოვნეს. მინისტრის ამხანაგის ხათრით სამართალში აღარ მისცეს. იმავე დღესვე იარაღი ჩამოართვეს და პანდური ამოჰკრეს.

— რა მოხდა, ბიჭო? — ჰკითხა ქალ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთავალული მითუზხაბიძე



ბატონმა ოლინკამ აბრუგატეხილ ბიძა-შვილს.

— იქ სამსახურს ცოტა სხვანაირი გული უნდა, ჩემო ოლინკა! ყველას კი არ შეუძლია ყოველ დამე ჩხრეკა და ხალხის დაჭერა! ამოდენა კაცი ვარ და ჯერ ქათამი არ დამიკლავს. ქათმის დაკვლას რა უნდა, მაგრამ მერე ვიცი, მშვიერი დავჩრები. მისი ხორცი ყელში არ გადამივა! რა ვქნა, ასეთი უშნო ვარ! თუ სადმე სხვაგან მომაწყობ, პატივისცემას არ დაგივიწყებ! არა და, შენ კარგად იყავი. ეს უფასო ბილეთი აგერ მიდევს ჯიბეში, ის ჩემი სამტრედიაც თავის ადგილზეა, — ერთმანეთს არ დევკარგებით!..

— რა ვიცი, ბიჭო, დღეში ათასი მთხოვნელი მყავს, არიქა, მიშველე, კედიასთან სიტყვა შემაწიეო!

— მე უფრო წყნარი სამსახური მინდა. არ მიყვარს ეს თოფი და ზარბაზანი!

- დაადგი თვალი რამეს?
- კაზინოში მინდა მოვეწყო...
- კაზინოში?!

— სწორედ რომ საჩემო საქმეა, ჩემო ოლინკა! ამას წინათ შევიარე და უკან ვეღარ გამოვედი, ისე გამიტაცა თამაშის ყურებამ. ხომ იცი, როგორ მიყვარს ამისთანა ამბები! ნუ მაკმევ, ნუ მასმევ, ოლონდ იქ მამყოფე, იმ ხალხში გაბრიე! ჰო-ჰო-ჰო, რა ფული გადადის და გადმოდის, რა ცოდვა-მადლი ტრიალებს! არ მინდა მარკიორობა, კარისკაცად მიმიღონ, თანახმა ვარ! ცოტა ჯამაგირიც მექნება, ცოტა გამორჩენაც... წაგებული კაცი, ხომ იცი, უკან არ იხედება: ოლონდ იმ წუთში ხელი მოუმარფე და გიროდ რას არ დავიტოვებს! საათს, ბეჭედს, ვერცხლის პორტსიგარს — რა ვიცი, ჯიბეში რა არ უყრია ამ ხალხს! იქ შინაური კაცი რომ გავხდები, მერე მიყურე შენ, ამ მუცელს რა ბოძი შევუყენო! მთელი დღე შენთან ვიქნები, ათას რამეში მოგვხმარები, სალამოს კი ჩემს საქმეს მივხედავ!

— კარგი, ვეცლები, თუმცა გოჩა კა-

ლმახელიძის მოყვარეს უფრო სწავლა-საქმე კი შეეფერება, მე და ჩემმა ღმერთმა! — სთქვა ოლინკამ, გულში კი მოუწონა ვახოს ეს არჩევანი, ჩემს ჯამლოკია ბიძაშვილს თავისუფალი დრო მართლა ბლომად ექნება და ცოტას მეც მომხედავსო.

ამ წყნარი სამსახურის მოლოდინში ვახო წულაძე თითქმის ხელზე მოსამსახურედ გაუხდა ქალბატონ ოლინკას.

გათენდება თუ არა, მომავალი მარკიორი პეტრე დიდის ქუჩაზე გაჩნდება. ქალბატონ ოლინკას ჯერ კიდევ სძინავს. ვახო სამზარეულოში შეიძურწება, ზურგით კარს მიეყრდნობა, ფეხს ფეხზე გადაიდებს, ქართული ქამრის ბალთას თითზე ათამამებს და გაიანეს ჩუმიდ მისჩერება.

— რას მიყურებ, ბიძია ვახო! — ეკითხება გაიანე და სამოვარში ნახშირს ჰყრის.

- ვერ მატყობ, გოგო, ვერაფერს?!
- რა უნდა შეგატყო?
- სულ ვერაფერს?
- მგონი, ცოტა ნასვამი ხარ!
- კაი, აბა, კაი! სხვა დროს ვეტყვი!
- ამოიხრებებს ვახო და სამოვარს აივანზე გაიტანს.

ვახოს გადაკრული სიტყვა გაიანეს მხოლოდ სიცილსა ჰკვირდა. ეს ყველაფერი უბრალო ლაზღანდარობად მიაჩნდა, თუმცა ერთხელ, როდესაც იგი და გაიანე შინ მარტონი დარჩნენ, გოგო რაღაც მოუსვენრობამ შეიპყრო. უცბად მოეჩვენა, ახლა თითქოს ვახოს ხმაც გამოეცვალა, თვალებიც სხვანაირი გაუხდა. ეს შეუცნობელი ფორიაკი დიდხანს ეგრ დაიოკა ყმაწვილმა ქალმა და ამ დღის მერე ერთი რამ მუდამ ახსოვდა: ვახოსთან მარტო არ დარჩენილიყო.

დერეფანში ზარმა გაიწკრიალა. სადარბაზო კარი გააღეს, გარედან შემოვარდნილ სიცივეს ფეხების ფრატუნნი და ხველება შემოჰკვია.

- ვინ არის!
- მე ვარ, გოჩა, შეიძლება?
- ბიძინა, შენი ჭირიმე, ნამდვილად

გულში მიჯექი! — გოჩა გახარებული მივარდა სტუმარს, დაკეცილი სველი ქოლგა ხელიდან გამოსტაცა და კაჩხაზე ჩამოჰკიდა: — შენთან მოვიდიოდი ახლა. გაიხადე, გაიხადე, რაღას უყურებ! ოღონდ, გენაცვალე, აბა ერთი ბუხართან პატარა სუფრა გაგვიმალე. გაიანე, ჩაირბინე დაბლა და მეეტლეს უთხარი, სილია მომიყვანოს... სილია ლაშხი! გოჩას გული გაუხდა ცუდად და შენი ნახვა უნდა-თქო, ასე უთხრას! მომეცი, კაცო, ეს პალტო!

სტუმარი ისევ კარებში იდგა და აქოთქოთებულ მასპინძელს პალტოს არ ანებებდა.

— არა მცალია, გოჩა, ვერ დავრჩები!

— რა მოგივიდა, კაცო! ოთახში მინც შემოდი!

სტუმარი სასადილოში შეაგდო და ოლინკას თვალი ჩაუკრა, აბა შენებურად დაფაცურდიო.

— იცი, ბიჭო, წვიმა რატომ მიყვარს?

— ვიცი, ჩემო გოჩა, ყველაფერი ვიცი, მხოლოდ ერთი რამ ვერ გამოვიგა. ეს ვინ ჩამოდო პალტოს ჯიბეში! წაიკითხე და დასტკბი! — სოქვა სტუმარმა, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი მოყვითალო ქაღალდი ამოიღო და გოჩას გაუწოდა.

მსოფლიო ბურჟუაზიის ლაქიებმა მენშევიკებმა კიდეც ერთი სამარცხვინო საქმე ჩაიდინეს: სამხრეთ-რუსეთის მთავრობას მიჰყიდეს ორასი ათასი ფუთი ქვანახშირი, ოცი ათასი ფუთი ნავთი და მაწუთი, სამი ათასი ფუთი ბენზინი, ორი ათასი ფუთი მანქანის ზეთი, ერთი ათასი ფუთი საპოხი ზეთი... როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, თბილისში ჩამოსულა თეთრგვარდიელთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი; ამ დღეებში დაიწყება მოლაპარაკება მომარაგების მინისტრთან, რათა ნება მიეცეს დენიკინის „მთავრობას“ თავისი ავიაციის საჭიროებისათვის შეისყიდოს, დაამზადოს და გაიტანოს საქართველოს საზღვრებიდან საგანგებოდ შერჩეული ხე-ტყე...

ამხანაგებო, დროა შეწყდეს თეთრ-

გვარდიელთა მომარაგება სამხედრო მასალებით. რკინიგზის მუშებო, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების მტვირთავებო, არ დატვირთოთ ვაგონები, გემები...

პროკლამაცია რომ ჩაიკითხა, მერე თვალი ვერ მოსწყვიტა ბოლო სტრიქონს: საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია სპარტაკო.

— ლაწირაყები! ბეჭდონ და იკითხოთ მეორედ მოსვლამდე! თუ ძმა ხარ, ახლა ხასიათს ნუ გამოფუჭებ! ისედაც მომშალა ამ თოვლქყაპმა. არ გშოია, შე კაცო? კაბინეტიდან ლომბერის მაგიდა გამოაბრიგინა და ბუხართან დადგა. მერე უცბად ისევ სტუმარს მიუბრუნდა.

— კი მარა, შენს ჯიბეში რა უნდოდა ამას?!

— ამიტომ შეგაწუხე ასე აღრიანად. წუხელ აქედან პირდაპირ შინ წავედი, გზაზეც არავინ შემხვედრია, რომ კაცმა სხვა რაღაცა იფიქროს! ამ დილით კი, სოფიკო პალტოს რომ მიწმენდდა, ხელში ეს ქაღალდი მოხვდა!

— იქნებ ქუჩაში იპოვნე, კაცო, და აღარ გახსოვს! ამას წინათ მთელი ერეკუნის მოედანს პროკლამაციებით გადაათეთრეს...

— არა, გოჩა, არც ისეთი მთვრალი ვიყავი!

— აბა მისით ჩაგიფრინდა ჯიბეში?! ნამდვილად არ გახსოვს, ჩემო ბიძინა! აბა მითხარი, თუ გახსოვს, წუხელ რა ამბავში იყავი წერეთლის ქალთან?..

— ნუ გიყვარს, კაცო, ყველაფრის გადაჭარბება! — ცოტა დაიმორცხვა ბიძინამ.

— შენი ბედი, სოფიკო აქ არ იყო, თორემ...

ოლინკამ თეფშები შემოიტანა, საუბრის კალაპოტი რომ შეეცვალა, ბიძინამ სოქვა:

— ისე, კაცმა რომ სოქვას, მართალი კი დაუწერიათ. დემოკრატიულ რესპუ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთაბაღელი მეთავეთბი

პოლიკას არ, ეკადრება დენიკინის ინტენდანტობა გასწიოს!

— გაჩუმდი, თუ ძმა ხარ. ეს ერთხელ ვითქვამს და მეორედ აღარ წამოგცდეს! — მინისტრის ამხანავს არ უყვარდა, როდესაც მისი ახლო მეგობრები მთავრობის პოლიტიკას ძრახვას დაუწყებდნენ.

— ტყუილია თუ?

— იცი რა ვითხრა, ჩემო ბიძინა? პოლიტიკაში რა არის ტყუილი და რა არის მართალი, ამას შენისთანა მიაბიტი კაცი დიდხანს ვერ გაიგებს! ეს ერთი. ახლა აქ მოდი და ამას შეხედ!

სტუმარი ფანჯარასთან მიიყვანა და ფურნეს მისეული ქალები დაანახვა.

— ამ ხალხმა რა დააშავა, რომ ერთი გირვანქა პურისათვის დღე და ღამე აქა დგანან! დენიკინი ჩვენ პურს გვაძლევს, პურში კი ჩემო კარგო, ქვანახშირს კი არა, სულს მიჰყიდი ეშმაკს! ამასწინათ ხონში ვიყავი, სიკვდილი ვინატრე, შიმშილისაგან მუცელდაბერილი ბავშვები რომ დავინახე. გუშინ საღამოს ფოთის ნავსადგურში რუსების გემი შემოვიდა, ხორბალი მოიტანა. იცი, პურს კიდევ რა შეუძლია? ჩვენზე შემართულ მახვილს ისევ ქარქაშში ჩააგებს, თორემ მშვიერი ხალხი, ხომ იცი, თოფის წამალსა ჰგავს! ერთი პატარა ნაპერწკალი და ერთიანად იფეთქებს! ბოლშევიკები მეტს არაფერს აკეთებენ, ყოველ ნაბიჯზე გაჰყვირიან, ყორღანის მთავრობამ საქართველო დალუპაო! აი, ეს არის პოლიტიკა, ჩემო ბიძინა!

— კარგი, მაგრამ ყველაფერი დავივიწყოთ? — პარტია, იდეა... ნუთუ მართო ტახტზე ასასვლელად იყო საჭირო ამდენი ფიცი და აღთქმა?

— ბიძინა, გამოიხედე აქეთ! არ გინანება სახელმწიფო ბანკის დატოვება? მასეთ ადგილს მეორედ კი აღარ მოგცემენ, ჩემო ძმაო! მე არაფერი... ჩემთან რაც გინდა, ისა სთქვი, მაგრამ სხვაგან ჰკუთი იყავი, დამიჯერე!

— მომბეზრდა ყველაფერი! ვერ ხედავ, თავი ლამის ღვინოში ჩავიხრჩო!

კაბინეტიდან ტელეფონის წყრილი მოისმა.

— ოლინკა, გახადე პალტო ამ ურთიერთობაში! — გასძახა გოჩამ და კაბინეტს მიაშურა.

მალე იქიდან გოჩა კი არა, მისი ლანდი გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ბიძინას ასე მოეჩვენა, როდესაც გაფითრებული, მხრებჩამოყრილი მასპინძელი სასადილო დარბაზში დაბრუნდა.

— რა მოხდა, კაცო, ვინ იყო!

— კედიამ დამირეკა, ასეთი პროკლამაცია მასაც უპოვნია პალტოს ჯიბეში!

— ნუ მეუბნები! — შესძახა ბიძინამ: — მე თუ გინდა არაფრად ჩამაგდეს, ერთი საწყალი ბანკის თავმჯდომარე ვარ და ჩემი არავის ეშინია! კედიას კი როგორ გაუბედეს, პირდაპირ საკვირველია!

გოჩა გაოგნებული მისჩერებოდა ბუხარში გამხიარულებულ ცეცხლს. ჯერ ისევ ყურებში უწიოდა საგანგებო რაზმის უფროსის მეჭი კედიას სიტყვები: „მინისტრის ამხანავმა უნდა იცოდეს, მის ოჯახში რა ხდებაო“... გოჩამ კი წვეულებაზე ღვიძლი ძმაც არ დაჰპატიჟა, მთავრობის ხალხში უცხო არავინ გაუბრია, რადგან დიდუკაებს არ უყვართ, როცა მათ ნადიმს უბრალო მოკვდავები ესწრებიან.

ტელეფონმა ისევ დარეკა. დუღე კვანტალიანი იყო, მეტეხის ციხის უფროსი.

— გესმის, გოჩა! — ხრიალებდა ყურმილში მისი ნაღვინევი ხმა: — წელან კედიამ დამირეკა და მკითხა, შინელის ჯიბეში ხომ არაფერი გიპოვნიაო... ჰო, ტყუილი ვერ ვუთხარი! მიკვირს, ღმერთმანი, შენს სახლში საიდან გაჩნდა ამდენი პროკლამაცია?!

— რა ვითხრა, ჩემო დუღე, მე თვითონ ჰკუთაზე აღარა ვარ!

...ყურმილი ჩამოჰკიდა. ამდენი პროკლამაციაო! ეტყობა, კედიამ ყველას დაურეკა! რატომ ენა არ გამიხმა, როცა ის ვახშმად მოვიწვიე...

მალე სილია ლაშვიც მოვიდა. ხელში მასაც მოყვითალო ქაღალდი ეჭირა.

„ვისი პალტოც ეკიდა დერეფანში, ყველას ეს ნობათი ჩამოურიგა ვიღაც მუდრეგმა!“ — გაიფიქრა გოჩამ.

გაზეთ „ერთობის“ რედაქტორი სილია ლაშხი მეტად გამხდარი და დაბალი ტანის კაცი იყო. დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე რომ დადგებოდა, მხრები თითქმის აღარ უჩანდა. ამიტომ შარშან საგანგებოდ შეაკერინა მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი. სამაგიეროდ, გაზეთის რედაქტორს ხმა ჰქონდა ძალიან მკვექარი. ყველას უკვირდა, ამ ნამღვევა კაცის ყელიდან ასეთი მკვექა-ქუხილი რომ ამოდიოდა.

— მეტი თავხედობა შეიძლება, ბატონებო! — იგი მუდამ ისეთი რიხით ლაპარაკობდა, თითქოს ტრიბუნაზე იდგა: — დღეს ჯიბეში პროკლამაცია ჩამიდეს, ხვალ სასაბჭოალოში ბომბს ამომიდებენ! ამ დროს რას უყურებს ჩვენი საგანგებო რაზმი?!

„რას უყურებს?“ — გოჩამ ამოიოხრა და ბიძინას შეხედა, გაჩუმდი, არაფერი წამოგცდესო. რაც არ უნდა იყოს, სილია ლაშხი ყოველსშემძლე კედლის დაყენებული კაცი იყო და მასთან საგანგებო რაზმის უფროსის ძვირი არ ითქმოდა. „რას უყურებს და... ქვეყანას შეპყრის, კალმახელიძის ოჯახში ბოლშევიზმის ბუდე აღმოვაჩინეო. ვიცი, სად უმიზნებს უფალი მექი კედია. მთავრობაში ფედერალისტებს ორად-ორი პორტფელი დაგვითმეს და ახლა ამასაც კბილებს უკრეჭენ, იქნებ ხელიდან გამოვაცალოთო... კი მარა, მაინც ვინ გამოშკრა ყელი, ვინ იყო ის გველის წიწილა!“

უცბად რაღაც გაახსენდა, დერეფნის კარი გააღო და საკიდარს მივარდა, თავის ყავისფერ პალტოს გარე ჯიბეები ამოუბრუნა. ერთში მხოლოდ ხელთათმანები აღმოჩნდა, მეორეში — გაზეთი და სლადარბაზო გასაღები. უბეს მოუსვა ხელი... „არც მე დამწყვიტეს გული!“ მწარედ ჩაიციხა და მოყვითალო ქალადიდ ისე ამოაძვრინა, თითქოს ხელში ორი თითით ცინდალი აიყვანაო.

— ოლინკა!

—ახლავე, ახლავე! აგერ ხაჭაპურებს გავაცხელებ და დაგიძახებთ!

— გაგაცხელა ჩემმა გამჩენმა!

— დაწყნარდი, გოჩა, ყველაფერი გამოირკვევა! — უთხრა ბიძინამ.

— რა გაყვირებს, კაცო, ბაბუჯას გააღვიძებ! წუხელ ფეხზე ჩამოწყდა საწყალი გოგო!

— ძალიან შეგაწუხებთ, ქალბატონო ოლინკა! — სთქვა სილიამ.

— მეტი არ შეგაწუხებთ მტერმა, თქვენზე უკეთესი ვინ მომივა ოჯახში! შენ კი მიყურე, ბიძინა, თუ სოფიკოს არ მოვახსენო ყველაფერი. Настоящий Дон-Жуан! არ ვიცოდი!

— გამიგონე, ოლინკა, წუხელ ჩვენთან ხომ არავინ მოსულა?

— რას მეუბნები, გოჩა, სუფრას თექვსმეტი კაცი უჯდა!

— არა, უცხო თუ შემოვიდა ვინმე? დღეში ათასი მიზოვნელი და ოხერი მოდის!

— მე არავინ მინახავს, რატომ მეკითხები?

— მერე გეტყვი. ახლა გაიანეს დამიძახე...

დაძახებას აღარ მოუცადა, თვითონვე გავარდა სამზარეულოში.

— რაე არ მახსოვს, ბატონო! — უთხრა გაიანემ: — ჯერ ფოსტალიონმა დევეშა მოიტანა, ხელი კარებში მოეუწერე, დერეფანში არც კი შემოსულა. მერე ჩვენი მეეტლე მოვიდა, ბორჯომის ბოთლები წაიღო. სახლში არც ის შემოვლუმი. ფეხები ჰქონდა ტალახიანი. ნაშუალამევს კი მეთევზეები მოგვადგნენ, კარის ვალება არ მაცალეს, სველი ბუშულატები დერეფანში დაჰყარეს და პირდაპირ თქვენთან შემოცვივდნენ. სხვა გარეშე არავინ ყოფილა!

„ნუთუ მეთევზეებმა გამიკეთეს ეს ოინი?! კი, ნამდვილად ასეა. ორთაქვალელი კინტო რას არ იკადრებს! სპარტაკელებმა მოისყიდეს ის ვირიშვილე-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთაქვალელი მითავენიძე

ბი და ოჯახში შემომიგზავნეს! არად ჩამადგეს ხომ! ვანანებ თუ კაცი ვარ!”

— ნამდვილად ორნი იყვნენ?

— ორი, ბატონო.

— თუ იცნობ რომელიმეს, სადმე რომ შეგხვდეს?

— ერთი წითლური ბიჭი იყო, ძალიან ჰორფლიანი. იმას მოხარულს ვიცნობ! მეორეს კარგად არ დავკვირვებდვარ, მხოლოდ ეს კი შევამჩნიე, წინა კბილები ოქროსი ჰქონდა. მე იმათ სულ ფეხებზე მივჩერებოდი, იატაკი არ დამისვარონ-მეთქი.

## ნაწილი მეორე

წვიმს. ფეხზე ჩამომწყდარი გაიანე გოგილოს აბანოს ასახვევში დუქნის დარბაზს მიჰყუდება და ქუჩაში მიმავალ ხალხს უტყვრის. უზომოდ დაიღალა. თავბრუ ეხვევა. კაცი, ცხენი, აფიშების ჩახური, ფარნის ბოძე მიდგმული კიბე, — ხანდახან ყველაფერი ერთმანეთში გაითქვიფება და გამოუტანელ სიზმრად იქცევა. ეძინება თუ რა ჰირი ემართება! გოგო ისეთ დღეშია, ცხვირწინ კარის მეზობელმა რომ ჩაუაროს, მგონი ისიც კი ვეღარ იცნოს, არამტუთ ერთხელ ნანახი მეთევზე, მაგრამ რა ჰქნას! ვიდრე მეტეხის ციხეს საღამოს ბინდი არ დაეცემა, გაიანე აქაურობას თვალს ვერ მოაშორებს.

კიდევ კარგი, წელან ისევ წვიმა დაიწყო და ბიძია ვასიკოს მთელი დღე ჭყავში ნაწოწილი გოგო შეებრაღა, ნება მისცა დუქნის საჩეხში შემდგარიყო და ცოტა სული მოეთქვა; თვითონ კი ეგერ გადახურულ ფაიტონში შეძრა და მეეტლეს ელაპარაკება. გადაიღებს თუ არა, ისევ გაუყვებიან ორთაპოლისა და ხარფუხის ქუჩებს. იმდამინდელ მეთევზეებს ეძებენ. წინ გაიანე მიდის. მობუზული, დამფრთხალი გოგო გამვლელ-გამოვლელ ხალხს თვალს ვერ უსწორებს, თითქოს რცხენია, ახლა ამ თვალებმა ავი საქმე რომ უნდა გააკეთონ. თუმცა გაიანეს ბატონი გოჩაც ეცოდება. ვინ იფიქრებდა, მეთევ-

ზეების სტუმრობას ამდენი აურზაური თუ მოჰყვებოდა.

ამბობენ, თუ ის ნაძირალები ვერ იპოვნეს, კალმახელიძის სახელს ჩირქი მოეცხება, მინისტრის პორტფელს ვერ მოესწრებაო...

გადაცმული აგენტი — ბიძია ვასიკო შორიახლო მიჰყვება კალმახელიძის მოახლეს. უკანიდან წარამარა ესმის მისი მოგუდული ბლუზუნი. ეტყობა, გაიანეს მხლებელს კარგი რამ არ უნდა სჭირდეს — კაცი მარტო ძვალსა და ტყავს შუა ტრიალებს. ჩაფეთილ ლოყებზე პირის კანი მთლად გაცსრეცია და ძაფივით წვრილი, ლურჯი ძარღვები მაღლა ამოუყრია. თვალები კი ნიადაგ უბრწყინავს, თითქოს შიგ ჩაუქრობელი ალი უპრიალებს.

რალა ეს სნეული კაცი აჰკიდეს გაიანეს, თუმცა სნეული დაუძახე შენ! დილიდან საღამომდე ენაგადმოგდებული დაწანწალებს თათრის მეჩეთიდან ორთაქალის მეთევზეების სადგომამდე. ხანდახან ძალღივით ალაზე თუ ჩაჯდება, რომ ცოტა ხნით ქარი ამოიღოს. მერე ისევ წამოხტება, გაიანეს წინ გაიგდებს და ქლექიან თვალებს უკან მიადევნებს.

ის ნანატრი წუთი კი ჯერ კიდევ არა სჩანს. ის ნანატრი წუთი, როდესაც გაიანე სწრაფად შემობრუნდება და ბიძია ვასიკოს წასჩურჩულებს, ეგერ წითლური ბიჭი რომ სდგას, ის არისო!

მოჰკლა გაიანე ამდენმა სიარულმა. საღამო ხანს ტან-ფეხი ისე გაუშემდგება, თითქოს მთელი ნახსმანი ხისა ჰქონდეს.

მეხუთე დღეა, ღვთის პირიდან გადავარდნილ მეთევზეებს ეძებენ. სად არ იყვნენ: დუქნებში, ბაზარში, მტკვრის პირებზე... ქუჩებს ნულარ იკითხავ. ორთაქალისა და ნარიყალას მიდამოებში ერთი პატარა შესახვევი და ქუჩაბანდი არ დაუტოვებიათ, რომ იქაურობა ხუთჯერ არ მოეკლოთ. გუშინ ბიძია ვასიკო მეეზოვეს გამოელაპარაკა, მერე ადგა და რომელიღაც მეთევზეს გა-



ენლო, ავლაბარში გავიდნენ, მაგრამ იმ ბიჭების კვალი ვერსად იპოვეს.

არადა, არც ეგრე ვარგა, საგანგებო რაზმის შტაბში ცარიელ-ტარიელი რომ დაბრუნდნენ. გაიანეს რაიმე შარში გაპახვევენ. ეს პირველ დღესვე აგრძნობინეს კალმახელიძის მოახლეს. ვერის დაღმართზე წამოყუდებული შენობიდან რომ გამოვიდნენ, ბიძია ვასიკოს ხველა აუტყდა. ბუშლატის სახელო პირზე მიიფარა და კარგა ხანს აბლუხუნებდა.

ცოტა რომ დაწყნარდა, გაიანეს ჰკითხა:

— დიდი ხანია, კალმახელიძის ოჯახში დგებარ?

— წელიწადზე მეტია, — მიუგო გაიანემ.

— ხომ კარგი ოჯახია?

— კარგია, ბატონო, ძალიან.

— გაკლია რაზე?

— რა უნდა მაკლდეს! — დაიბნა გაიანე.

— რა და, მაგალითად საქმელ-სასამელი, ჩასაკმელი, სითბო და სინათლე... რა ვიცი, რამდენი რამ გვაკლია ამ ქვეყანაზე!

— ყველაფერი მაქვს, ბატონო!

— ა, კალოშებიც ქე გქონია, შე ქალო!

— კი, ბატონო, მაქვს!

— მერე? — ბიძია ვასიკომ უეცრად ზმას აუწია და თვალეზში ჭლექიანი ალი აუპრიალდა.

— რა, ბატონო?!

— გათავდა შენი კალოშ-მალოშები, თუ ის ბიჭები არ მაპოვნინე! გაიგე?

— ერთი დამანახა და იმ წუთში ვიცნობ! — იმედიანად მიუგო გაიანემ.

— ასე ჰქენი, ბიძი! თვალეზში კარგად გამოიხედე. შენი ბედი ახლა შენს ხელშია. გოჩამ რომ გაპატიოს, ჩემი უფროსი არ გაპატიებს, თუ იცი ეს შენ?

— რა მაქვს, ბატონო, საპატიებელი!

— იწყინა გაიანემ: — ვინ იცოდა, გულში რა ედოთ იმ შეჩვენებულ ბიჭებს!

ბიძია ვასიკომ ჩაიცინა.

— ცოდვა-მადლს აფთიაქის სასწორ-

ზე ვინ ავიწონის, გოგო! გტაცებენ ხელს და, მერე უყარე კაკალი! ახლა გამიგონე, გზაში არ დამელაპარაკო, არავითარი ყურადღება არ მომაქციო, ვითომ არ ვიცნობთ ერთმანეთს. მიხვდი?

— კი, ბატონო, — მორჩილად მიუგო გაიანემ.

და აგერ უკვე მეხუთე დღეა, ეს ორი აღამიანი წალმა-უკულმა დაეხეტება ქუჩებსა და მოედნებზე. ბიძია ვასიკოს არც საქმელი ახსოვს, არც დასვენება.

შეხედავ — ხელი რომ ჰკრა, წაიქცევო, გეგონება. ისე კი ნამდვილად ქაჯის სული უდგას. გზას რომ დაადგება, მერე მიდის და მიდის ფეხმუხრელად...

როგორც ნასროლი ტყვია გვერდზე არ გაუხვევს, ისე არც ის.

შებინდებისას გაიანეს ფეხები აღარ მიჰყვება. წვიმაში გაზუნზლული გოგო შინ მივა თუ არა, საწოლზე დაედება და სძინავს თუ ღვიძავს, თვითონაც აღარ იცის. ისევ თავბრუ ეხვევა, ისევ რიალებენ თვალწინ ტალახიანი ქუჩები, წვიმაში მობუზული მგზავრები...

მარტის უგემურ წვიმას ბოლო აღარ უჩანს. ციდან თითქოს ცივი და წვრილი ნემსები ცვივა.

ერთი და ორი დღე ჯანდაბას, კაცი როგორმე გაუძღვებს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ტყემაღზე სხედან...

ნაწყებია მდგეცა შეახსენა კალმახელიძის მოახლეს. შენ არ იცი კედლას ამბავი, ის კაცი მამალ ბუზს თავზე არ ისევას, თქვენს ოჯახში კი გააპამპულეს. ჯიბეში ბოლშევიკური პროკლამაცია ჩაუდესო!..

— ასეთი რა ეწერა იმ ქალღვრეზე? — ჰკითხა ერთხელ გაიანემ.

— რა ეწერა და ჩვენი მთავრობის ლანძღვა-ვინება! ბოლშევიკების ამბავი არ იცი?

იცის, როგორ არ იცის. ბატონი გოჩა ხშირად ამბობს, კაციჭამია ბოლშევიკები იმიტომ გვებრძვიან, რომ საქართველო რუსეთს მიჰყიდონო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთავალი მითავეთი



— დედა-დედა! მთელი მთავრობა ჩვენსას იყო, რაფერ გაბედეს ფეხის შემოდგმა!

— ამიტომ გეუბნები, გოგო, თუ ის ბიჭები არ გავკოჭეთ, გონა კალმახელიძის მინისტრობამ თავი დაგიკრა! — სთქვა მაშინ ნაჭყვიამ, და გაიანესაც თავზე ცეცხლი არ დაუნთია, თორემ სხვა არაფერი დაჰკლებია იმ თოვლ-ქყაში.

ნახევრად მშიერი, დამდნარ ლაზლში გამოხვეული გოგო მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს, რომ მისი კეთილი ბატონის მტრები იპოვნოს. გაიანეს გული მოუკვდება, ბატონ გონას სამსახურში რაიმე საწყენი რომ შეხვდეს. მაგრამ თავზევით ძალა ვისა ჰქონია, გაიანეს რომ ჰქონდეს! უზომოდ დაღლილი გოგო შებინდებულში შინ რომ დაბრუნდება, მთელი ოჯახის საქმე ისევ მისი ხელების შემეყურება.

დაძინებამდე სახლიც უნდა დააღვოს, ჭურჭელი დარეცხოს, ქვაბები და დანა-ჩანგალი დახეხოს, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რასაც ჩვეულებრივ აკეთებს; და კიდევ — ქალბატონ ოლინკას ბუზღუნს უნდა გაუძლოს — შენ იქ ქუჩა-ქუჩა დასეირნობ, მე კი აქ წელში ვწყდებიო.

გაიანე რომ დასეირნობს, ღმერთმა ისე შენ ვასეირნოს, ქალბატონო ოლინკა, მაგრამ რას იზამ, ენას ძვალი არა აქვს, სიტყვას ბუი არ ადევს.

ყველაზე მწარე ცრემლი უსამართლო მოპყრობამ იცის.

გაიანე ჩუმად ყლაპავს ამ ცრემლს, ოღონდ ბატონი გონა კარგად იყოს. რამდენი სიკეთე ახსოვს მისგან. რამდენი ტკბილი სიტყვა. საჩუქარი. აი, თუნდაც ეს კალოშები.

— წულებზე თუ არ ჩაგვიდეს, შალის წინდებზე ჩაიცვი, ფეხები თბილად გექნება! — უთხრა გონამ.

ქალბატონი ოლინკა ჭკუიდან კინაღამ შეიშალა, გოგოს ხელში ახალთახალი კალოშები რომ დაინახა. სწორედ ისეთივე, ამას წინათ ახალგაზრდა ქალბატონს რომ უყიდეს.

მივიარდა ქმარს და გულში ნაგუბარი ერთად გადმოანთხია.

— ხეალ აბრეშუმის საცვლები ჩააცვი... მეერ ადექი და გვერდზე მიუწეკი!

— რას ამბობ, ქალო, სულ დაჰკარგე სირცხვილი! — უთხრა გონამ.

— სირცხვილი შენ დაჰკარგე, ვაჟბატონო, აღარ იცი, როგორ მოხიბლო ეს ცინგლიანი გოგო! იცოდე, გონა...

სიტყვა აღარ გააგრძელა. მიხვდა, რომ არსათქმელი სთქვა და ხელი ჩაიქნია.

სწრაფად ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. ქალბატონ ოლინკას ცრემლი შინაურებს არ უნდა დაენახათ.

...ჩვენ ყველას ჩვენი სასწორი გვიპირავს ხელში. მისი ერთი ჯამი მუდამ სავსეა ჩვენი წუხილით, ტკივილით, შიშითა და უიღბლო დღეებით.

და ჩვენც წლებზე ფეხს ვიდგამო, ვიბრძვით, ვეძებთ,

ისეთი რა დავდოთ მეორე ჯამზე, რომ ის გადაწონოს, — ჩვენი ვაებისა და გაჭირვების საწყაო.

თუ ეს არ მოხდა, ძნელია მაშინ კაცის ცხოვრება.

„ფეხები თბილად გექნებაო!“

არა, გონა-ბატონო, შენმა საჩუქარმა სულ სხვა სიხარული მიანიჭა გაიანეს. ამ სიხარულმა ქუდი ჭერს ჰკრა და ისეთი რამ უთხრა ყმაწვილქალს, რაც შენ სულ არ გქონდა ნანაგარიშები.

მეკურტნის გოგოს ერთ სიცოცხლედ მარტო ის უღირდა, რომ ახლა მასაც ისეთივე კალოშები ეცვა, როგორც პატარა ქალბატონს, ქეთევან კალმახელიძეს.

ისეთივე. არავითარი განსხვავება.

როდესაც ბატონი გონა ცოტა გადაჯრულში იყო, ქეთინოსაც და გაიანესაც — ორივეს ალერსიანად „ძღაბოს“ ეძახდა.

„ძღაბო, ბორჯომის წყალი მომიტანე!“ ეს „ძღაბო“ შეიძლება გაიანეც ყოფილიყო და ქეთინოც.

„ძღაბო, ფეხზე გამხადე!“ — ეს „ძღა-

ბოც“ იმას უხმობდა, ვინც პირველი გა-  
იგონებდა.

ო, როგორ ამთელებდა გაიანეს გულს  
ეს არგანსხვევება...

ქალბატონ ოლინკას ჯავრი მოსდის.

— არ გაარჩიო, ხო, არ გაარჩიო შე-  
ნი ღვიძლი შვილი ნაბუშარ გოგოსაგან!

— ბუზღუნებს იგი და თვითონაც არ  
იცის, რა აჩერებს, იმ გომბიოს სახლი-  
დან რატომ არ გაავადებს...

იცის, როგორ არ იცის! ახლა მხო-  
ლოდ ერთი რამ ასულდგამულებს ეკვით  
აფორიაქებულ ქალს. ერთხელ მაინც  
შეისწროს ისინი უმსგავსო საქციელზე,  
რომ გოჩას წმინდანის ნიღაბი ჩამოხა-  
დოს. მანამდე კი აქ ეგდოს და მემსა-  
ხუროს...

რამდენი მახე დაუგო ქმარს, რომ მი-  
სი თვალთმაქცობა გამოეაშკარავენინა.

ერთხელ ისე მოაწყო საქმე — ქეთი-  
ნო თეატრში გაუშვა, მამამთილი ძმას-  
თან გაისტუმრა, მერე თვითონაც ჩაი-  
ცვა და ვითომ დღეობაზე წავიდა... ასე  
მიფანტ-მოფანტა შინაურები, რომ გო-  
ჩა და მოახლე-გოგო სახლში მარტო და-  
ეტოვებინა.

მაღე უკანვე დაბრუნდა. ზარი არ და-  
რეკა. საღარბაზო კარი თავისი გასაღე-  
ბით გააღო და კიბეზე ფეხაკრფით  
ავიდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. თან  
რცხვენოდა, რომ ამას აკეთებდა, თანაც  
თითქოს უკვე ესმოდა მათი საალერსო  
ჩურჩული, თითქოს უკვე ხედავდა გაი-  
ანეს თეთრ კისერზე შემოხვეულ  
მკლავს...

გოჩას არც გაუგია, ქალბატონი  
ოლინკა ისე მოჩვენებასავით დაადგა  
თავზე.

ვერც გაიგებდა.

მინისტრის ამხანაგს ტკბილად ჩას-  
ძინებოდა სავარძელში. მუხლებზე გაშ-  
ლილ გაზეთზე ხელები დაეწყო და ჩუ-  
მად ქსუტუნებდა.

გაიანე კი შუშაბანდში ზეწრებს აუ-  
თოებდა.

ამ უწყინარმა სურათმა არამც თუ და-  
ამშვიდა ქალბატონი ოლინკა, უფრო გა-  
ახელა და საოცარი რამ აფიქრებინა.

„ჩემზე უფრო ჭკვიანები ხართ, ხომ  
მაინც ჩამივარდებით ხელში!“

ო, როგორ ამთელებს გაიანეს გულს  
ეს არგანსხვევება. ფეხდანადგამ ბალა-  
ხვით ნელ-ნელა წელში იმართება, და  
ზოგჯერ ისეთ რაღაცას ბედავს, რაზე-  
დაც გუშინ ფიქრიც კი არ შეეძლო.  
ამას წინათ გაიანე პატარა ქალბატონის  
ოთახს ალაგებდა. შინ არავინ იყო. ლო-  
გინი რომ გაასწორა, უცბად რაღაცამ  
წამოუარა, ქეთინოს ტანსაცმლის კარა-  
და გააღო, ყველაზე ლამაზი კაბა ამრ-  
არჩია და ჩაიცვა, თედოების რხევით  
სარკის წინ გაიარ-გამოიარა, მერე თავის  
ორეულის მიუბრუნდა და უთხრა:

— გამარჯობა, ჩემო მშვენიერო გაი-  
ანე! როგორ გიხდება პატარა ქალბა-  
ტონობა.

თვითონაც გაუკვირდა, ისეთი ამაყი  
და ლამაზი სჩანდა ამ ცისფერი ფარჩის  
კაბაში. „სწორედ ჩემს ტანზეა შეკერი-  
ლი!“ გაიფიქრა უზომოდ ნასიამოვნებ-  
მა გოგამ, ერთხელ კიდევ მიტრიალ-  
მოტრიალდა სარკის წინ და გულისპი-  
რი შეისხნა, კაბა რომ გაეძრო. უეცრად  
სარკეში ოთახში შემოსული ვახო და-  
ინახა. ქალბატონ ოლინკას ბიძაშვი-  
ლი კართან იდგა და უშნოდ იღრიჭე-  
ბოდა.

გაიანეს არ მოეწონა, რომ იგი ასე  
ჩუმად შემოვიდა დაკეტილ სახლში. არც  
ზარი დარეკა, არც დაუძახა, ალბათ უკა-  
ნა ეზოდან შემოიპარა, როგორც ხანდა-  
ხან იცოდა ხოლმე, როცა არ უნდოდა  
გოჩას მამას შეხვედროდა.

ამ აყლაყულა ბიჭმა ოთახებში ისეთი  
ჩუმი სიარული იცის და ისე უეცრად  
დაგადგება თავზე, ადამიანს შიშისაგან  
გული გადაეღვევა.

არასოდეს არაფერს რომ არ წამო-  
ედება, ხელიდან არაფერი გაუვარდება,  
კარი ღია არ დარჩება, იატაკზე ფიცარს  
რომ არ გააქრაქუნებს, თითქოს სულ  
მუდამ ვიღაცას ეპარება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთავალაღი მითივენივი

ელდანაცემი გოგო სარკეს იმწამსვე მოშორდა; რატომღაც არ უნდოდა, რომ ახლა ვახოს წინ ორი გადაბრიალებული გაიანე მდგარიყო.

შეეხვეწა:

— არ გამთქვა, ბიძია ვახო, ახლავე გავიხლი.

— მოიცა, გოგო, დამანახე შენი თავი ამ კაბაში, დედუ-უ, რაფერ გშენის, რომ იცოდე, — შესძახა ვახომ.

— ასეთი კაბა მე კი არა, ეკლის ჯოხს რომ ჩააცვა, იმასაც კი დაშვენდება, — დაიმორცხვა გაიანემ, თუმცა სარკისაკენ თვალი მაინც გაექცა.

— აუჰ, რას ამბობს ეს ადამიანი, — ვახომ ხელისგულები ერთმანეთზე გაუსვა და გაიანეს წინიდან შემოუბრინა:

— აბა, იქით მიტრიალდი, გოგო! მოიცა, მასე კი არა, ცოტა აქეთ მოიხედე, ჩემსკენ... ა, გოგო, ა, ასე უნდა გადაიღო სურათი, ნამდვილი პრინცესა ხარ, დედის სული ნუ წამოიწყდება!

ამ წამოძახილს, ეტყობა, სიწრფელე არ აკლდა.

გაიანეს შიშმა სწრაფად გაუარა და ადვილად აპყვა ვახოს ლათიას.

— გაიანე პრინცესა, გაიანე პრინცესა, — ჩაიკისკისა გოგომ და ლოყები ისევ აუპრიალდა.

— იცი, რაფერ გამოგიჩინა მთელი ფიგურა?!

— ძალიან მიხდება?

— გიხდება კი არა, თუ გინდა ახლავე ფაიტონს დაკუძახებ და პირდაპირ ეკლესიაში წაგიყვან.

— რას ამბობ, ბიძია ვახო?! — იწივლა გაიანემ.

— „ბიძია“ არ გამაგონო, თუ გიყვარდე!

— რა დავიძახო აბა!

— ვახოა დამიძახე, გოგო! ასე არ მეძახის ყველა? მერე რა მოხდა, შენზე ცოტა უფროსი რომ ვარ. კაცი ქალზე უფროსი უნდა იყოს! ასეა გენაცვალე, ეს ცხოვრება!

— ცოლი რომ გყავს, ბიძია ვახო?

— შენ პართობა მომეცი და ხვალვე გავეყრები!

ეს უთხრა და მხარზე ხელი დაადო რაღაც ისე მეგობრულად, შინაურულად, რომ აცეტებულმა გოგომ ვერავითარი საფრთხე ვერ იგრძნო. მხოლოდ მხარი გასწია, ისიც უნებურად, მაგრამ უკვე გვიანდა იყო: ერთ ხელს მეორე ხელიც მიეშველა და სანამ გაიანე რაიმე აზრს აიღებდა, იგი ისეთ სალტეში მოექცა, სული ვეღარ მოითქვა და უმწეოდ აფართხალდა.

— ხელი გამიშვი! კაბა გაიხვეა! — შეუძახა გაიანემ და თავპირში მუშტები დაუშინა.

— ნუ მეჭიდავები და არაფერიც არ გაიხვეა! — ჭკუა დაარიგა ვახომ.

— არ გაგიტენდა მანამდე ხვალინდელი დღე!

— აბა მირტიკი, რამდენიც გინდა! ასე უფრო მომწონხარ, გაჯავრებული რომ ხარ!

კაბის გახვევის შიშში ვახოსაც უბორკავდა ხელებს. ამიტომ რაც შეიძლება ფრთხილობდა, ჭერხანად იერიში არ მიჰქონდა, აძიგძიგებულ გოგოს სულშეტაცებული ეჩურჩულებოდა:

— ხომ ხედავ, გოგო, შენი სიყვარულით ჭკუაზე აღარა ვარ! დაგაჩდება თუ რა მოგივა, ერთი რომ გაკოცო!

— არა, არა, არ გაბედო, თორემ იცოდე, პირსახეზე ადუღებულ წყალს შეგასხამ!

— ნუ გადამრიე, კაცი! მოწიე აქეთ ტუჩები!

გოგო მკერდზე მიიკრა, ჩაბუბნა და ლოშნა დაუწყო. — ლოშნა არაფერი. — თავ-პირზე ისეთი მყრალი სუნი შეაფრქვია, — არყის, ნივრისა და დამპალი ღრძილების სუნი, რომ გაიანეს გული კინადამ შეუწუნდა.

მაშინ კი გამწარდა გაიანე.

— გამიშვი, შე მხეცო! — გაიბრძოლა, ხელები მოურიდებლად გამოსტაცა და ვახოს ყელში სწვდა.

ფხრიწ! დაიძახა კაბის სახელომ.

— ვაიმე, დავიღუპე! — ისეთი ხმით შეიცხადა გაიანემ, დიდი უბედურების დროს რომ შეიცხადებენ ხოლმე. თითქოს ეს კაბა უფრო ძვირფასი იყო, ვიდ-



რე მისი ღირსება და სიწმინდე. ვახოს კისერს თავი მიანება და იღლიაში გარღვეული სახელო მოსიწვა.

— უსინდისო, წამხდარო! ეს გინდოდა? რა მეშველება ახლა!

ფხრეწის ხმა რომ გაიგონა, ვახოსაც საქციელი წაუხდა. გაიანეს იმწამსვე ხელი გაუშვა, ნარღვევს თვალი შეავლო და სთქვა:

— ნუ გეშინია, გოგო, სულ არაფერი დაეტყობა, ისე გაიკერება!

— შენ გაგიკერა პირი სიკვდილმა! — გაიანეს ცრემლი წასკდა, თავის ძველ კაბას ხელი დაავლო და ოთახიდან გავარდა.

დამცირება და შიში კი უნახავს გაიანეს ქალბატონ ოლინკას ოჯახში, ყველა მთვრალი და ოხერი მისკენ მიიწვიდა საკოცნელად, მაგრამ არასოდეს კინტი არ დაუძრავს.

ეშინოდა, სახლიდან დამითხოვენო. იმ დიდი შიმშილობის დროს აბა ასეთი ადგილის დაკარგვა იქნებოდა?

ბატონ გოჩასაგან კი ერთი ვადაბრუნებულ სიტყვა არ ახსოვს.

„ძღაბო, ბორჯომი მომიტანე!“ — ეს „ძღაბო“ შეიძლება გაიანეც ყოფილიყო და პატარა ქალბატონიც. ო, როგორ ამთელებდა გაიანეს გულს ეს არგანსხევაება.

„ამიტომ რას მიქვია დაღლა და შეწუხება. აღელვებულ ზღვას არ შეეპუები ბატონი გოჩას გულისათვის. როგორ გაუმწარეს სიცოცხლე ამ კეთილ ადამიანს! ველარა ვცნობ, იმ ღამის მერე ისე შეიცვალა. მე თითქმის აღარ მელაპარაკება. მხოლოდ მაშინ გავახსენდები, ჩუმად კონიაკის დაღვევა რომ მოუხდებდა. ძალიან მოუხშირა სმას. წუხელ დაწოლისას ორი წილი ერთად გადაპკრა. თავის ღღეში ეს არ უქნია. კიბეზე სულ ჩაფიქრებული ჩადის და ამოდის. არც გამეხუმრება, ხანდახან ზედაც არ შემომხედავს. მხოლოდ ჩუმად შებრუნდება და მხრებჩამოყრილ ზურგს მომიშვერს, პალტო გამხადეო. ყველაფერზე ეტყობა, დარღბ გულს უქამს.“

არაფერია, ბატონო გოჩა, მართალია გაიანეს წმინდა ნინოს სასწავლებელი არ დაუმთავრებია, ლამაზად დაკაზმული წიგნები არ წაუკითხავს, მაგრამ იმდენი კი იცის, ადამიანს სიკეთე არ დაუვიწყოს.

თოვლ-ჭყავი კი არა, ზესკნელი მთლად რომ ჩამოიქცეს, ნაჭყებუას მაინც არ მიატოვებს. თუ ის უკუღმართი ბიჭები მიწამ არ ჩაყლაპა, არ შეიძლება სადმე თვალი არ მოატანოს.

ჰო, ბიძია ვასიკო, ახლა გამახსენდა: იმ წითურ მეთევზეც ცალი წარბი ნახვერად თეთრი აქვს, თითქმის ზედ თოვლის ფიფქი დასდებია და აღარ დამდნარაო.

წვიმამ უკვე გადაიღო.

აბანოდან გამოსულმა ქალმა ქოლგა დაეცა და პიწკად გამოჰყვა ქვაფენილის კიდეს. ღუქნის საჩეხში შეფარებული მოწაფეები ისევ ქუჩაში გამოიშალნენ. ისინი უკვე აღარ უფრთხიან მალლიდან წამოშვერილ საწვიმარ მილებს. ახლა იქიდან ნაბოლარა წვეთი თუ მოსწყდება დროდადრო.

გაზეთის გამყიდველმა ბიჭმა უბიდან ისევ ამოაძვრინა „ერთობის“ დარჩენილი ცალები და ღრიალით რიყისაკენ ჩაუხვია. მხოლოდ ნაჭყებუას ნაცნობი მეეტლე არ ჩქარობს, რომ ფაიტონს სახურავი გადახადოს. ნაბადივით მოთელილი ღრუბელი უკვე გაცრეცილა და ქულა-ქულა დაშლილა, აქა-იქ ლაქვარდიც გამობრწყინდა, მაგრამ როდის იყო, ჩვენებურ მარტს სინდისი ჰქონდა? ამ წუთში რომ გამოიდარებს და სახლიდან გამოგიტყუებს, მეორე წუთში ყოვლად უსირცხვილოდ გიმუხთლებს. სველი მატყლის ბარდანასავით დამძიმებული ღრუბელი ჩუმად წამოგეპარება და ისეთ ოინს გაგიკეთებს, გულზე გაგხეთქავს. ა, თუ არ გჯერა; შეხედე ეგერ ბიძია ვასიკოს! ფაიტონიდან რომ გადმოვიდა, მაშინ მოუხდა თამბაქოს მოწვევა. ქისა ამოიღო და პაპირო-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთაბალაული მეთევზეები

სის შეხვევა რომ დაიწყო, ზედ ერთი  
ოსეთი ჯიჯიანი წვეთი დაეცა, თამბა-  
ქო თითებში აუზილა.

ნაჭყეპიამ ჯავრიანად გააფურთხა,  
დამბალი თამბაქო ქალაღიანად მიწას  
დაანარცხა და გაიანეს უთხრა:

— რა მიქნა, ხელავ! მეტი არცა  
მაქვს!

— ძალიან კაი. ხელავ, რაფერ გახვე-  
ლებს?

— მოგკედები და ყვავების გარდა  
შავს არავინ ჩაიცვამს, — სთქვა ნაჭყე-  
პიამ. ცარიელი ქისა დაბერტყა და ჯი-  
ბეში ჩაიღო.

— ცოლშვილი არა გყავს, ბიძია ვა-  
სიკო?

— ჩიქვანის ქალი დავიწუნე, სხვაზე  
კი ჯერჯერობით ვერავისზე შევაჩერე  
თვალი! — სთქვა ნაჭყეპიამ.

— მართლა, მართლა!

— ცოლშვილი კი არა, ა, შეხედე  
ამას! — მიწას ფეხი დაჰკირა და, ჭყაპ,  
დაიძახა ძირგავარდნილმა ჩექმამ.

ეს კაციც ეცოდება გაიანეს. უთუოდ  
არც ამას დააყრიან კარგ დღეს, თუ ის  
დავალება ვერ შეასრულა. პირველად  
როგორი ღჯუ და ავგული სჩანდა ბიძია  
ვასიკო! ეს კი თურმე მთლად უპატრონი  
ყოფილა...

— დაიღალე, გოგო?

— რომელი საათია?

— ახლა?

გაიანეს გაეცინა. ნაჭყეპიამ სულ ასე  
იცის. „ახლა?“ ეს უეჭველად უნდა იკი-  
თხოს.

ფარაჯა გაიხსნა და სატინის ხალათის  
გულჯიბიდან ვეება თეთრი საათი ამო-  
იღო. ეს ჯიბე მუდამ დაბლა ჩამოწეული  
ჰქონდა ნაჭყეპიას, თითქოს შიგ რიყის-  
ქვა უღევსო.

— ოთხი სრულდება.

— აღრე ყოფილა, ბიძია ვასიკო!

— მეც მომატყუა ღრუბელმა. ცოტა  
ხნით მადათოვის კუნძულზე გავიარ-  
გამოვიართ და შინ წავიდეთ. კარგი?

ვისაც ძველი თბილისი არ უნახავს,  
იგი ახლა ვერც კი დაიჯერებს, რომ ეს  
კუნძული ვერის ხიდსა და ახლანდელი

ბარათაშვილის ხიდს შორის მდებარე-  
ობდა. მადათოვის კუნძულს ერთი მხრი-  
დან დიდი მტკვარი ჩაუდოდა, მეორე  
მხრიდან კი პატარა ტოტი, აქაური ხე-  
ლოსნები მტკვრის შვილს რომ ეძახ-  
დნენ.

წისქვილებს რომ გასცდებოდნენ,  
მდინარის ტოტები ისევ ერთდებოდნენ  
და ერთბაშად მოღონიერებული წყალი  
შმაგად აწყდებოდა მეტეხის ციხის  
კლდეს.

დახვეებული, მრავალ ადგილას დაბ-  
რამული კუნძული მჭიდროდ იყო და-  
სახლებული. ტალახიანი, ვიწრო ქუჩე-  
ბი, ერთმანეთზე უთავბოლოდ მიყრი-  
ლი ქონხანები, დუქნები, სახლოსნო-  
ები... რა გვარისა და ჯილაგის ხალხი არ  
ცხოვრობდა მადათოვის კუნძულზე.  
ყველა გიჟი და ოხერი აქ ეძებდა თავ-  
შესაფარს, აქეთკენ მობროდა ყველა  
„უბაშფორთო“ და უსახლკარო, ნაკაცა-  
რი და ბედის მადიებელი, რადგან ეს  
კუნძული ყველას აქმევდა პურს: ამ  
კუნძულს ყველანაირი ხელობის კაცი  
სჭირდებოდა: მეკურტნე მუშაც და  
ქურდის ხელის დამცლელიც.

კუნძულის მარჯვენა მხარეს მეტწი-  
ლად ხელოსნები უტრიალებდნენ. თერ-  
ძები, ხარაზები, ჭონები, დაბადები, მე-  
კასრეები. აქ იყო მეეტლეების ფუნდუ-  
კი, დროგების სადგომი. თოჯინების ბა-  
ლაგანი, კარუსელი, ძველმანის ბაზარი.

ამ ბაზარს ხალხი ყველაზე უფრო  
ეტანება. კავკასიის ფრონტი რომ და-  
იშალა, სამხედრო საწყობებიდან უთ-  
ვალავი საქურველი და სურსათ-სანო-  
ვაგე დაიტაცეს. ყველას მიჰქონდა, ვი-  
საც ხელი მიუწვდებოდა. აქ ჯერკიდევ  
იშოვება ბევრი ისეთი რამ, რაც დიდა  
ხანია სახსენებლად გაჰქრა თბილისის,  
მალაზიებსა და დუქნებში. შაქარი,  
ბრინჯი, ბურღული, საპონი, მარილი,  
წეკო, ორცხოზილა, ტარანი, ღვედები,  
თასმები, ტანსაცმელი, რუხული უნაგი-  
რები.

ნახევარ თბილისს ამ უნაგირების  
ყვითელი ტყავისაგან შეკერილი ჩექმე-  
ბი და ტუფლები აცვია.

აქ არიან ხონჩით მოვაჭრე კინტო-ბი-  
ჭები,

მეაქლემე თათრები, ფეხმოკეცილი  
რომ სხედან ფარდულის წინ და ცხელი  
ჩაით პირს იფუფქავენ,

მეხილე სპარსელები,  
წავკისელი მემაწვნეები,  
ახატნელი მენახშირეები, მოლოკანი  
მერძევეები, კრწანისელი მეთევზეები,  
თურქეთიდან აყრილი სომეხები,

მთრალი დეზერტირები, თვალისწამ-  
ში ჩქმას რომ გაიხდიან და გაყიდიან,  
რათა კახა ქალებს არყითა და მყალზე  
შემწვარი შიშაქაბაბით გაუმასპინძლ-  
დნენ.

ათასი ჯურისა და რჯულის ნაკაცარი  
დაეხეტება მდათოვის კუნძულზე, ად-  
ვილ საშოვარს დაექებს, რომ საღამო  
ხანს, ტივების საბმელთან, თოფიკას მამ-  
ზელებს ესტუმროს. თოფიკას მამზე-  
ლებს გარყვნილ ქალებს ეძახდნენ. ვი-  
ლაც სომეხმა ისინი ოდესიდან ჩამოიყ-  
ვანა და მდათოვის კუნძულზე დაასახ-  
ლა. მერე გაშალა ხელი და ზარისა და  
ბანქოს სათამაშო სახლიც გამართა.

ოფოფის ბუდესავით ყარდა იქაუ-  
რობა.

ათასგვარი ნამუსრევი და ნაქამ-ნუ-  
ქამი. ძაღლები სძიძენდნენ სანაგვე  
ორმომი ჩამპალ ხორცის ნარჩენებს.

გაიანეს ეზარებოდა აქ სიარული, მაგ-  
რამ ნაჭყებია ამბობდა, თუ ის ბიჭები  
მართლა მეთევზეები არიან, მდათოვის  
კუნძულს არ დაეკარგებიანო. ყმაწვილი  
ქალი ყოველ დილა-საღამოს მკვდრის  
სულივით დასტრიალებდა ცოცხალი  
თევზის ლასტებს, მომსვლელ-წამსვ-  
ლელს თვალს ადევნებდა. წითური ბიჭი  
კი არსად სჩანდა.

ორბელიანების სასახლეს რომ გაც-  
დნენ, ისევ წამოვიწყლა. ჯერ წვიმამი  
თოვლი გაურია, მერე ერთბაშად ისეთი  
თქეში წამოვიდა, გამკლელი ხალხი  
ტყაატყუბით მიაწყდა დუქნებსა და სა-  
ღარბაზო შესასვლელებს.

— ჩამოიქეცი ბარემ! — წაიბურღ-  
ლუნა ნაჭყებამ. ბუშლატის კალთები

ტანზე მჭიდროდ შემოიხვია და კუნძუ-  
ლისაკენ მოუსვა.

გაიანეც უკან მიჰყვა.

პატარა ხიდთან ტალახიანი დაღმარ-  
თი ჩაირბინეს და ერთი დაბალი შენო-  
ბის საჩხეში შეცვივდნენ. თუნუქის აბ-  
რაზე ეწერა: „ელექტრომბეჭდავი სტამ-  
ბა „სორაპანი“. აქ უკვე ტევა აღარ  
იყო. წვიმამი მოხვედრილი მგზავრები  
ტანსაცმელს იბერტყავდნენ, მალლა  
აწეულ საყელოებს ისწორებდნენ. ვი-  
ლაც ბერიკაცი პაპიროსის გამყიდველ  
ბიჭს ეჩხუბებოდა, ნავთის ბოთლი გა-  
მიტეხეო, გაიანეს გაეცინა. ბერიკაცს  
ბოთლის ყელიდა შერჩენოდა საჩვენე-  
ბელ თითზე გამობმულ კანაფზე.

გაიანეს უყვარს ეს ადგილი. ზაფხუ-  
ლის სიცხეში ბაზრიდან მომავალი გო-  
გო აქ შეისვენებს ხოლმე. აქ ისეთი  
მტკვრის ნიაგი იცის, მკვდარს გაცოცხ-  
ლებს. ხანდახან სტამბის ფანჯარას ჩუ-  
მად მიადგება და თვალს ვერ აშორებს  
საბეჭდი მანქანის მუშაობას. როგორ  
მოსწონს ის გამხდარი ქალარა კაცი, სა-  
ფეხურზე რომ სდგას და მანქანას ქა-  
ლალდს აწოდებს. შეიძლება ამაზე მეტი  
საოცრება! აგერ ცარიელი ფურცელი  
ქვემოთ ჩასრიალდება და ზედ თვალის-  
წამში გინდა ყაზბეგის მოთხრობა და-  
იბეჭდება, გინდა ომში დახოცილი ჯა-  
რისკაცების სურათები. ბედნიერია,  
ვინც აქ მუშაობს! ისინი, ალბათ, სულ  
წიგნების კითხვაში არიან. „მე კი იმ-  
დენი მოცალეა არა მაქვს, წიგნი ტყუი-  
ლად მინც ავიღო ხელში. მალე ორი  
თვე გახდება, რაც „გლახის ნამბობი“  
სასთუმალთან მიღვეს. დავიწყე და ვე-  
ღარ დავამთავრე. დღისით არა მცალია.  
ღამე კი, დავწვები თუ არა, ქალბატონი  
ოლინკა სინათლეს ჩამიქრობს, ელექტ-  
რონი ბევრი იხარჯებო“.

— ნავთის ლამპას დავიდგამ, ქალბა-  
ტონო! — ვთხოვე ერთხელ.

იცით, რა მითხრა?

— კარგად გამოძინებული რომ ხარ,

---

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთავალელი მითითებით



მაშინ ვერ აღუდებარ საქმეს, ძილდაკლებულმა გოგომ რა უნდა გამიკეთოსო!

ქუჩას სამი ერთნაირი ფანჯარა გასცქერის. ორი — საქვერტად არ ვარგა. ეს იცის გაიანემ. ერთი მტვრიანია, მეორეს კი შიგნიდან სვეტი ეფარება. საბეჭდი მანქანა ყველაზე კარგად კუთხის ფანჯარიდან მოსჩანს... გაიანემ ხალხი მისწი-მოსწია და ნაცნობ ფანჯარასთან მივიდა. საბეჭდ მანქანას გრიალი გაჰქონდა. მხოლოდ ახლა საფეხურზე ის ჰადარა კაცი კი არა...

გაიანეს გული გაუჩერდა. „ღმერთო მიშველე, მეღანდება თუ რა მემართება?“ — წაიჩურჩულა და მბეჭდავს ჩააშტერდა.

მანქანის საფეხურზე წითური ბიჭი იდგა. ის ბიჭი. ორთაჭალელი მეთევზე.

„აბა გავინილა, კაცი კაცს ასე ჰგავდეს? წითელი თმა, თეთრი წარბი, ნამდვილად ის არის!“

მღელვარებისაგან გაიანეს ლოყები გაუწითლდა, თავისებურად ცხელმა ოფლმა დაასხა.

„როგორ გაუხარდება. ბატონ გოჩას, რომ მისი ოჯახის თავლაფდამსხმელი ეპოვნენ!“

გაიანეს გული აუჩუყდა, ეს რომ გაიფიქრა. ძლივს შეაჩერა ყელთან მომდგარი ჭკითინი.

ის მუდამ ფიქრობდა, გოჩას დარდი და წუხილი ოჯახში არავის ენადვლებათა ქალბატონი ოლინკა ცისმარე დღეებუზღუნებოდა ქმარს, ეს გოგო მაინც ნუ დამიკარგე, სახლი რასა ჰგავსო!

ჭკითინო კი ბოლო ღროს სულ მკერავთან დარბოდა. გოჩას დანა კრიჭას არ უხსნიდა, ის კი ახალ კაბას იცერავდა.

არც ვახოია გამსკდარა ცრემლად. წინეებზე მთელი ღამე ღვინოში ჩაიხრჩო, პური გვიან მოიტანა და ბატონი გოჩა სამსახურში მშვიერი წავიდა...

მხოლოდ გაიანემ გადასდო თავი და შემწეობა აღმოუჩინა ბატონ გოჩას. უპატრონა. მხოლოდ მან უპატრონა.

გაიანე უზომოდ გაახარა ამ უცაბედმა ფიქრმა. იგი ახლა ვერ ზედავდა, რომ

ეს არ იყო მართალი; გოჩას რაღაცნაირი ამოვნება შეხვდა, ეს ოჯახში ყველას აწუხებდა, თუმცა ამ წუხილს ყოველი მათგანი თავისებურად განიცდიდა და გამობატავდა; სწორედ ეს იყო მიზეზი.

— ეს თავისებურება, რომ გაიანემ არასწორი განაჩენი გამოუტანა ოჯახის წევრებს. ზრუნვა და პატივისცემა გოჩას არც ოჯახში აკლდა და არც სამსახურში, მაგრამ გაიანეს არ უნდოდა ეს ამბავი დაენახა, არ უნდოდა ამგვარად ეფიქრა, რადგან ის ფიქრი (შემცდარი ფიქრი) უზომო სიხარულს ჰპვრიდა პატარა გოგოს. ამ ფიქრმა რაღაც გამოუცნობი სინაზით გაავსო მისი გული. ახლა ბატონი გოჩა ისეთი ახლობელი გახდა მისთვის, თითქოს სისხლით ნათესავეები ყოფილიყვნენ.

სიკეთეს მოწყურებულ გულს ზოგჯერ სჩვევია ასეთი ახირება.

„ჩქარა, ბიძია ვასიკო, საღ ხარ? ავერ ის წამხდარი ბიჭი!“ — უხმოდ იყვირა გაიანეს სულმა, მაგრამ საკვირველი ის იყო, გოგო ადგილიდან არ დაიძრა, რომ ხალხში შერეული ნაწყყობია ეპოვნა და ეს ორი სიტყვა ეთქვა.

რატომღაც არ ჩქარობდა.

ფანჯარასთან უძრავად იდგა და მბეჭდავს მონუსხული მისჩერებოდა. ეს წითური ბიჭი ზღაპრული ქვეყნიდან მოსულ ჯადოქარსა ჰგავდა, დღისით-მზისით, ყველას თვალდასანახად სასწაულს რომ ახდენდა, — წიგნს ბეჭდავდა. გაიანეს ეს ბიჭი ღვთის პირიდან გადავარდნილი ეგონა, ეს კი თურმე წიგნებს ბეჭდავს!

ერთხელ კალმახელიძის ოჯახში ასეთი ამბავი მოხდა.

შუალამემ მოატანა. ყველანი კარგახანია წავიდ-წამოვიდნენ დასაძინებლად. მხოლოდ ქალბატონი ოლინკა ჯერ ისევ სარკის წინ იჯდა და თმას ივარცხნიდა. უცბად სამხარეთლოში ვიღაცამ წამოიქვითინა.

„გაიანე? რა მოუვიდა?“ — გაიფიქრა ოლინკამ და ყური მიუგდო.

ტირილი ისევ მოესმა. ოლინკას გულს შემოეყარა. გაიანე არ

იყო მტირალა გოგო. უბრალო რამეზე  
 ზღვილს არ დაიწყებდა. „ვახა თუ გა-  
 მიტეხა იმ სასიკვდილემ! ან იქნებ ვა-  
 ხოია გაეღალბუტა!“

წამოდგა...

გაიანე ჩამქრალ ღუმელთან იჯდა.  
 ხელში შავყდიანი წიგნი ეჭირა და გულ-  
 ამომჭდარი სლუკუნებდა.

— რა მოგივიდა, გოგო?

— არაფერი. — წაიზმუკუნა გაიანემ.

— აბა რა გატარებს!

გაიანემ თავი ასწია. თვალები სავე-  
 ჰქონდა მდულარე ცრემლით.

— ელგუჯა მოჰკლეს! — სთქვა და  
 გული ისევ ამოუჯდა.

— ვინ არის, გოგო ელგუჯა? ახლა  
 გაგახსენდა, ამ შუალამისას! გული გა-  
 დამიტირალე! — დატუქსა ოლინკამ,  
 მერე უეცრად წიგნის სათაურს თვალი  
 მოჰკრა და უფრო გაკაპასდა: — მომე-  
 ცი აქ! წიგნის კითხვა თუ არ შეგიძლია,  
 ნუ კითხულობ! ესლა მაკლია, ახლა  
 ტირილი და ვაი-ვუი დამიბედო ოჯახში!  
 წადი, დაწევი.

გაივლის წლები, მუხთალი წუთისო-  
 ფელი ბევრჯერ აატირებს გაიანე მა-  
 ისურაძეს, მარილიანი ცრემლი ბევრჯერ  
 ამოსწვავს ლამაზ თვალებს, მაგრამ ის  
 ღამე კალმახელიძის ოჯახში სიკვდილამ-  
 დე არ დაავიწყდება. ელგუჯა იყო პირ-  
 ველი კაცი, მდულარე ცრემლი რომ აფ-  
 რქვევინა ყმაწვილ ქალს. ის იყო მისი  
 პირველი ზაფრა და ელდა, მისი პირ-  
 ველი გლოვა საყვარელ ადამიანზე.

...მამ როგორ შეიძლება იმ კაცის ხე-  
 ლის ხლება, ვინც ასეთ გულისდამწველ  
 წიგნებს ბეჭდავს! განა იქნება ეკლესი-  
 აში მუხლმოდრეკილ მლოცველს ლოც-  
 ვა შეაწყვეტინო?

დაფიქრდი გაიანე, ვისიმე ცოდვაში  
 ფეხი არ ჩადგა. აქ რაღაც სხვა ამბავია.  
 ეს ბიჭი და ავკაცობა? შეუძლებელია!

— გაიანე... გაიანე! — თითქოს შო-  
 რიდან ეძახდა ვიღაცა.

გაიანემ მოიხედა. მისკენ მომავალი ნაჭ-  
 ყვანია რომ დაინახა, ფანჯარას მყისვე  
 მოსწყდა. შეშინდა, ბიძია ვასიკო აქ არ  
 მოვიდეს და სტამბაში არ შეიხედოსო.

წვიმას უკვე გადაედო. საჩეხილად  
 ხალხი სწრაფად გადიოდა.

— რაფერ კანკალებ, გოგო, შეგ-  
 ცივდა?

— დიდხანს ვიდექი ერთ ადგილზე.  
 არაფერია, სიარულში ვავთბები. წავი-  
 დეთ!

ღამფრთხალი, ვაოგნებული გაიანე  
 ჩუმად მიჰყვება ნაჭყეპიას თერძების  
 ქუჩაზე. დროდადრო ბიძია ვასიკო შე-  
 მობრუნდება და გაიანეს რაღაცას ეკი-  
 თხება. გოგო თითქოს ძილ-ბურანში  
 იყოს. — კაცის ხმა კი ესმის, სიტყვები  
 ვერ გაუჩვენია.

გაიანე თავს ძალას ატანს, რომ გუ-  
 ლისყური მოიკრიბოს და კალაპოტში  
 ჩადგეს, თორემ ვინ იცის, ნაჭყეპია რაა  
 იფიქრებს.

ამ დაღუულ კაცს ისეთი თვალი აქვს,  
 არამცთუ მტყუანი, მართალი კაცი  
 თვალს ვერ გაუსწორებს.

რამდენი ხანი კი დაჰყო გაიანემ სტამ-  
 ბის ფანჯარასთან? სულ რამდენიმე წუ-  
 თი... ამ წუთებმა სულთაგან დასცალა  
 პატარა გოგო. ყველაფერს იფიქრებდა  
 კალმახელიძის მოახლე, მაგრამ თუ იმ  
 ბიჭს ხელს დააფარებდა, ეს კი აღარ  
 ეგონა.

რა უცბად გადაუდგა გაიანე ბატონ  
 გოჩას, რა მოხდა ასეთი!

ვინც წიგნებს ბეჭდავს, ის არ შეიძ-  
 ლება ავკაცი იყოსო, ასე სწამდა გაი-  
 ანეს და იგი ბოლომდე მიჰყვა თავის  
 გულუბრყვილო რწმენას.

მაგრამ მე ხომ ვიცი, ამ მოთხრობის  
 დამწერმა, მართა ეს რწმენა ვერ მო-  
 ერეოდა გოჩასადმი ერთგულების  
 გრძნობას.

ვერც სიბრაღული (წითურ ბიჭს ცო-  
 ხეში დაალობდენო),

ვერც თანდაყოლილი სულიერი სიწ-  
 მინდე (გამკემი და არაკაცი ერთია),  
 და, ბოლოს, ვერც შიში (ავისპქნელს  
 ცოდვა დაეწვეაო).

გაიანემ თვითონაც არ იცოდა იმ

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
 ორთავაღული მითაგვამი



გრძნობის სახელი და ასავალ-დასავალი, რამაც ეს უბრალო, გაუნათლებელი გოგო ბეწვის ხილზე გაიყვანა.

იგი მხოლოდ ბრმად, უკანმოუხედავად ენდო თავის ალლოს, როგორც თოთო ბავშვი დედის ძუძუს ენდობა.

უფრო მეტიც: იცით ახლა რა გაიფიქრა კალმახელიძის მოახლემ? „კიდევ კარგი, ბიძია ვასიკოს რომ არ ვუთხარი, ცალი წარბი თეთრი აქვსო!“

— დაყრუვდი, გოგო! — ფიქრობრულ გაიანეს ისევ შორიდან მოესმა ნაკყვიას ხმა.

— მითხარით რამე, ბიძია ვასიკო?

— როგორ ვიპოვებ თვალები! ნამდვილად სიცხე გაქვს. წადი შინ და ამაღამ ოფლი მოიღინე. ხვალ გამოგივლი. — უთხრა ნაკყვიამ.

„მინც კეთილი კაცია!“ — ბუნდად გაუელვა კალმახელიძის მოახლეს.

ნამდვილად ღმერთმა ჩააგონა ნაკყვიას, რომ გაიანე შინ გაეშვა, თორემ ცოტაც კიდევ და...ის თავის დაქიმულ ნერვებს ვეღარ მოუვლიდა. იყვირებდა, იბღავლებდა, ან როგორც ბნედიანი, ქუჩაში უხმოდ დავარდებოდა.

კარი პატარა დიასახლისმა გაუღო. ლოყებზე აღმური ასდიოდა, სულის მობრუნება უჭირდა.

— სტუმრები გყავს! ერთი კაცი უცხოელია. იცი, რამდენი მაცეკვა? მერე იცი, რა მითხრა? მთელი ქვეყანა მომივილია, თქვენისთანა პაეროვანი ქალიშვილი ჯერ არსად მინახავსო! მე, იცი, რა ვუთხარი?..

აღარ დაამთავრა, ვარდისფერი შიფონის კაბის კალთას ხელი წამოუსვა და გაიქცა.

„რა არ შეუძლია სიხარულს!“ — გაიფიქრა გაიანემ.

პატარა დიასახლისი ერთი გაწლიკულო, შეუხედავი გოგო იყო. თვალები ჰქონდა რაღაც ჩამქრალი და ჩაბნელებული, თითქოს ჩინი დაუკარგავთო.

აბერებდა, სულ არ უხდებოდა სიტყვები მოწყენილობა, ჩუმიდ ყოფნა.

სამაგიეროდ, თუ რამე გაახარებდა, მისი თვალები მაშინვე ფერს იცვლიდნენ, ცისფრად აუუყუნდებოდნენ, მერე ეს ცისფერი ქუეყანი ლოყებსა და ტუჩ-პირზე მოედებოდა და ეს უფერული გოგო თავიდან ფეხამდე ისე გაბრწყინდებოდა, თვალს ვერ მოაცილებდი.

სამწუხაროდ, ქეთინოს დედის უყმური ხასიათი გამოჰყვა. ყველაფერზე ბუზღუნებდა, ყველაფერს იწუნებდა; სამოთხეში რომ შესულიყო, იქაც კი ისე მოპრუწავდა ტუჩებს, თითქოს ბოსელში მიხვდაო.

გაიანემ სველი თავშალი მოიხადა, კალონები გაიძრო და ჯერ შუშაბანდში შევიდა, რომ სტუმრებს არ შეფეთებოდა.

სასადილო დარბაზიდან რიილის ხმა და ქეთინოს კისკისი ისმოდა.

სამზარეულოში შეეჩიქლილებული ვახო შამფურზე სამწვადეს აგებდა.

— არაფერი? — ჰკითხა ვახომ.

— არაფერი.

— ტყუილა კარგავთ დროს!

— რა ვქნა, რასაც მეუბნებიან, მეც იმას ვაკეთებ! ვინ არიან? —

— ე, შეხედე იმას! — უთხრა ვახომ.

მაგიდაზე მოვარაყებული, შინდისფერი ლანგარი იდო.

— ო-ო! — მიხვდა გაიანე.

ქალბატონ ოლინკას სამი სხვადასხვანაირი სადილის სერვიზი ჰქონდა. ერთს, ყველაზე უბრალოს და უსახოს, ოჯახში საყოველღეოდ ხმარობდნენ. მეორე სერვიზი სტუმრისა იყო. დიდი ლურჯი ყვავილებით მოხატული და ვერცხლისფრად მოარშიებული ჯამ-თეფშები და მაღალფეხიანი ბროლის ჭიქები ძალიან შეენოდა გახამებულ-გაქაბათებულ სუფრას და სადღესასწაულო განწყობილებას აფრქვევდა დარბაზში.

მხოლოდ ვახოს არ უყვარდა ეს ძვი-

რფასი ჭურჭელი და გაიანეს შეეხვეწე-  
ბოდა ხოლმე:

— ე, გოგო, მომიტანე უბრალო ჭი-  
ქა, შიშისაგან ღვინო ვერ დამიღვია! ეს  
ბროლი რომ გამიტყდეს, ოლინკა გადა-  
მაშენებს...

ყველაზე ძვირფას სერვიზს, რუსი  
გენერლის დანატოვარ ფაიფურს, გან-  
ჯინის კარს მხოლოდ მაშინ გაუღებდ-  
ნენ, როდესაც ქალბატონ ოლინკას  
ვარდისფერ სასადილოს „მთლად დი-  
დი ხალხი“ მოვევლინებოდა: მინისტრე-  
ბი, უცხოელები, გამოჩენილი საზოგა-  
ლო მოღვაწენი.

ეს მოვარაყებულები, შინდისფერი ჭურ-  
ჭელი მართლაც იშვიათი რამ იყო. თვი-  
თეული თევზი და ლანგარი, ჯამი და  
ბაქანი სულ სხვადასხვანაირად მოეხატა  
მხატვარს. ერთი სურათი მეორეს არა  
ჰგავდა, თუმცა ყველგან დიზა-ატლასში  
მორთული პრინციები და პრინციესები  
სჩანდნენ. აგერ მდინარის პირას ქნარზე  
უკრავდნენ, მწვანე მდელოზე ფერ-  
ხულს უვლიდნენ, ტბაში მოცუ-  
რავე გედებს აპურებდნენ, მინდორში  
ყვავილებს ჰკრეფდნენ, დიდი ცაცხვის  
ძირში ისხდნენ და გვირგვინებს სწნავდ-  
ნენ... ერთხელ გაიანემ ბევრი უკირკიტა  
ამ თევზებს, ორი ერთნაირი სურათი  
მინც ვერ იპოვნა. „სწორედ ამიტომ  
არის ფასდაუდებელი!“ — იტყოდა ხან-  
დახან ქალბატონი ოლინკა.

— ვაი ჩემი ბრალო! — აღმოხდა გა-  
იანეს, სამზარეულოს მაგიდაზე შინდის-  
ფერი ლანგარი რომ დაინახა.

მან იცოდა „მთლად დიდი ხალხის“  
ჩვეულება. ჯერ პრეფერანსი, მერე  
ვასშამი, მერე ისევ პრეფერანსი. ხში-  
რად ოთხი დამწვარი მოთამაშე დილამ-  
დე შერჩებოდა ლომბერის მაგიდას.  
გაიანე თვალს ვერ მოხუჭავდა, სანამ  
ისინი სახლიდან არ გაეტეოდნენ. ხან  
ცხელი ყავა უნდა შემოეტანა, ხან კი-  
დევ ზელტერის წყალი. ყოველ ნახევარ  
საათში საფერფლე უნდა გაეწმინდა. ამ  
დილაკებს როგორ არა სჯობდა ქალბა-  
ტონ ოლინკას მეგობრები — საქველ-

მოქმედო საზოგადოების წევრები, ნა-  
ხევარ საათში რომ გამოსკდებოდნენ და  
შინ წაეთრეოდნენ.

შინისაკენ მხოლოდ იმიტომ მოიჩქა-  
როდა, თავის პატარა ოთახში შემალუ-  
ლიყო და სულში ატეხილი ფორიაქი  
დაეცხრო. ხედავ, რა გაბედა მეკურტნის  
ცხვირმოუხოცელმა გოგომ, მთავრობის  
მოწინააღმდეგე კაცი დაინდო!

თმით ათრევენ, ეს რომ გაუგონ.

მარტო ყოფნა უნდოდა... მარტოდ  
რომ იქნება, ასე აღარ გაწვალდება. მი-  
უშვებს თავის ნებაზე აცახცახებულ  
კუნთებს და იცახცახონ, რამდენიც მო-  
ესურვებათ. სხვა ვერავინ დაინახავს და  
არ შეეკითხება, რა დაგემართაო. ხალხ-  
ში კი შეიძლება თავისი თავი გათქვას.  
ამიტომ გამოექცა ბიძია ვასიკოს, ამე-  
ლელ-ჩამვლელს, დღის სინათლეს —  
ყველას და ყველაფერს, რადგან იქ, ქუ-  
ჩაში, ერთხელ უკვე მოეჩვენა, რომ ვი-  
დაც-ვიდაცეები გადაჭარბებული ყუ-  
რადლებით იცქირებოდნენ მისკენ.

შიშმა მთლად გაუწყვიტა ილაჯი. შინ  
კი თავის პატარა სენაქში ჩაიკეტება და  
გონს მოიკრებს.

ნასადილევს კალმახელიძის ოჯახში  
ყველაზე მეტი სიწყყარე და მყუდროე-  
ბა სუფევს.

გოჩა ჩვეულებრივად გაზეთებს ათ-  
ვალიერებს, ან სავარძელში სთვლემს.  
ქეთინო მუსიკის გაკვეთილზე მიდის,  
ვანო ქალბატონ ოლინკას მიჰყვება, —  
ან მკერავთან მიდიან, ან პარიკმახერთან,  
ან კიდევ სადმე სხვაგან, — ქალბატონ  
ოლინკას საქმეს რა გამოუღვევს. ერთი-  
ორი საათით გაიანეს აღარავინ შეაწუ-  
ხებს. ამის იმედით მორბოდა შინ გულ-  
გადაბრუნებული გოგო. მოულოდნელ-  
მა დარბაზობამ ცოტა ხელი შეუშალა,  
თუმცა გარეგნულად მაინცა და მაინც  
არაფერი ეტყობა: ხელები კალთაში ჩა-  
უყრია და წყნარად ზის ბუხართან,  
მხოლოდ დრო და დრო შეაქრეოლებს,

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთავალური მითევზიები

თითქოს სიცივემ აიტანაო. ეს მაშინ ემართება, სტამბის ფანჯარა რომ გაახსენდება. გაიანეს ის ფანჯარა წამდაუწყუმ თვალწინ უდგას, საითაც არ გაიხედავს, მისი თვალი ყველგან იმას აწყდება, თითქოს ამ ქვეყანაზე მეტი აღარაფერია, იმ ერთი მტერიანი ფანჯრის გარდა...

თანაც უხარია, საოცრად უხარია, რომ ბიძია ვასიკოს დაუმალა იმ ფანჯრის საიდუმლოება. ახლა სწორედ ეს სიხარული აშინებს გაიანეს.

ვახო ისევ სამწვადეს დაფუსფუსებს. თან ჩუმად ღლინებს:

სიმონია გოცაძე  
შევისწარი კოცანზე...

— ჯერ არ დამსხდარან? — ჰკითხა გაიანემ.

— სულაქველიძეს უცდიან. შენ რა დაფეთებული იყურები, გოგო! შენმა ავენტმა სიყვარული ხომ არ ავიხსნა?

— ის კაცი მამად მეკუთვნის, ბიძია ვახო! ბებერია! — უთხრა გაიანემ და თვითონვე გაუკვირდა, ვახოს ლაზღანდარობას მხარი რომ აუბა. შეიძლება ეს უკეთესიც იყოს. მღელვარება უფრო არ შეეტყობა.

— შენ რა ბებერს გვეძახი ყველას! აბა, აკვანში მწოლიარეს ცოლი რად უნდა? — ვახომ ქონიანი ხელი ტილოზე შეიწმინდა, ნაკლული ბოთლიდან ღვინო დაისხა: — ამით წმინდა გრძნობას გაუმარჯოს! — სთქვა და ჭიქა დასცალა.

— დავიღალე, ბიძია ვახო, ძალიან დავიღალე!

— დაღლა ამ საღამოს იკითხე შენ!

— რა დროს სტუმრობა იყო? ბატონი გოჩა დროსტარების ხასიათზეა?! — სთქვა და იმწამსვე ენაზე იკბინა. ეს არ უნდა ეთქვა გაიანეს. იმის მერე, რაც იქ, სტამბის ფანჯარასთან მოხდა, გოჩას შეცოდება პირმოთენობა იყო და მეტი არაფერი. ჭირის ოფლი მოეძალა თავისიერზე.

— შენს ხასიათს ვინ დაეძებს, გო-

გო, როცა მთავრობას სტუმრები აგერ ახლა დაურეკა გეგეჭკორმა ბატონ ოლინკას, ეს უცხოელები შენთან მომყავს და აბა შენ იცი, როგორი მასპინძელი იქნებიო. გაიგე? ორი გოჭი თორნეში წავიღე შესაწვავად. ოლინკამ კლუბიდან მზარეული მოიყვანა. ე, შეხედე, იმისთანა ბაყე და ფიცხი გააკეთა, გადამრია კაცი. ახლა ეზოში ბატკანს ატყავებს, ერთი ჩემებური ჩაქაფულიც გასინჯეთო.

ვახომ ჭიქა ისევ შეავსო და გადაჰკრა.

— მარტო ღვინოს რა გასმევს, ბიძია ვახო?

— ჯარში მივეჩვიე, გოგო! ჯარში ხომ იცი, პური თუ გაქვს, ღვინო გაკლია. ღვინოს იშოვი და პური გამოგლევა... აბა! ასეა ცხოვრება მოწყობილა! იცი, გოგო, რაფერ გამიხარდა შენი დანახვა?

— ახლავე, ბიძია ვახო, ცოტას გავთბები და მოგეხმარები.

— არა, მაგიტომ კი არ მითქვამს! ისე გამიხარდა... რალაცნაირად! ამ ბოლო დროს ძალიან დავუახლოვდი ერთმანეთს, ხომ გოგო?

გაიანემ თავი დაუქნია. ეს უთავბოლო რატრატი რალაც შეღავათს აძლევს. სულშეძრულ გოგონას. იმ ფანჯარას აშორებს. აწყენარებს.

ვახო ბუხართან ჩაიკეცა, სამწვადე ნაკვერცხალი გამოშალა.

— გენაცვალე გაიანე, ერთი რალაც უნდა გკითხო! გკითხო?

— მკითხე.

— მამის სულს გაფიცებ, დაუკვირდი და ისე გამეცი პასუხი.

— ნუ შემაშინე, ბიძია ვახო, რა მოხდა ასეთი!

— ჩემი თვალეები არაფერს გეუბნება? ვერ მატყობ ვერაფერს?!

— ახლა თავი მიბრუნის, ბიძია ვახო, ლაპარაკი აღარ შემიძლია. იცი, დღეს რამდენი ვიარე!

— კაი, აბა, კაი, სხვა დროს მითხარი! — უცბად დაემორჩილა ვახო და ისევ ბოთლს წაეტანა. — მომკლა, გო-

გო, ამ შენმა „ბიძია-ბიძიამ!“ — დაუ-  
მატა მან.

შუშაბანდიდან ქალბატონ ოლინკას  
ტუფლები პაკაბუკი მოისმა.

გაიანე სწრაფად წამოდგა. ოლინკას  
გული შეუწუხდება, მოახლე გოგო უსა-  
ქმოდ დამჯდარი რომ დაინახოს.

ვახომაც ბოთლი იქვე დადგა და ბუ-  
ხარს მიუბრუნდა.

ოლინკამ შემოსვლა ვერ მოასწრო,  
მისმა თვალებმა უკვე მთელი სამზარე-  
ულო შემოირბინეს, — შეამოწმეს, აქ  
უჩვენოდ ხომ არაფერი მომხდარაო.  
გობზე აქნილ დედლებს ერთი კუჭი  
რომ დააკლდეს, მისი თვალი იმასაც კი  
შეამჩნევს.

— მოათავე სეირნობა? მაღლობა  
ღმერთს! გამოიცვალე კაბა და ცომი  
მოზილე! — უთხრა გაიანეს და განჯი-  
ნიდან ყველი გადმოიღო. მერე ვახოს  
მიუბრუნდა: — თუ არ გეზარება, დაბლა  
ჩაირბინე და გიგოს ნარდი გამოართვი.  
ჩვენი ნარდი სილიამ დაისაკუთრა! რა  
იცის ეს ამ კაცმა! თუ ერთხელ წააგო,  
მერე სკამიდან ველარ წამოაყენებ.

ისინი გავიდნენ თუ არა, სამზარეუ-  
ლოში კვერცხივით ჩაპრგვალებული,  
ლოყებდაყდაყა კაცი შემოვარდა: მე-  
ლოტი თავი წითლად უპრიალებდა, მუშ-  
ტუკუნა ცხვირზე ოქროს პენსნე უბრჭ-  
ყინავდა. ოლინკას მოეხვია და სულმო-  
უთქმელად უთხრა:

— ოლინკა, შენი ჭირიმე, წამოდი  
ერთი წუთით! ეს სანადლეო მომაგებინე  
და რა გინდა ჩემგან!

— რა მოხდა ლევარსან, რა გაგიჭირ-  
და?! — ოლინკამ ხელი ფრთხილად  
გააშვებინა და კედლიდან მერდინი ჩა-  
მოიღო.

— თუ გიყვარდე, მითხარი, შარშან  
აფხაზავას ქალი მერამდენედ გათხოვ-  
და? მესამედ ხომ?

— მესამედ. — დაუმოწმა ოლინკამ.

— გენაცვალე სულში. ლევანმა კი  
დაიჩემა, გენერალი ვარდიშვილი ბა-  
ბულია აფხაზავას მეორე ქმარი არისო!  
ვეუბნები, კაცო, ბაბულისა მეორე ქმა-

რი რუსი ჰყავდა, შორაპნის მაზრის უფ-  
როსი იყო-მეთქი, — არაო, მიმტკიცებს,  
ის რუსი პირველი ქმარი იყო და ომი  
რომ დაიწყო, იმ წელიწადს სვირის  
პლატფორმაზე ლაბადემ მოჰკლათ... აბა  
პირველი ქმარი, შავი ქვის მრეწველი ნი-  
კუშა წერეთელი სად წავიდა-მეთქი. გე-  
შლებათ, მითხრა, ნიკუშა წერეთელმა  
შარშანწინ ვაჩნადის ქალი მოიტაცაო.  
გამაგიჟა კაცი! ვეუბნები, სანამ ვაჩნა-  
დის ქალს მოიტაცებდა, ბაბულია ჰყავ-  
და-მეთქი! ვერაფერი შევასმინე იმ უტ-  
ვინოს! თუ ქალი ხარ, სიმართლეს ნუ  
დამიკარგავ! ერთი სიტყვა შემაწიე, მე-  
ტი არაფერი მინდა!

— ყველს დავალობ და წამოვალ. —  
ოლინკამ რამდენიმე წველა ყველი სპი-  
ლენძის ტაშტზე დაჭრა, წყალი დაასხა,  
მერე ხელები დაიბანა და ლევარსანს  
წინ გაუძღვა.

შუშაბანდში გაიანეს შეეფეთნენ.  
გოგოს კაბა გამოეცვალა, თმა დაევარ-  
ცხნა... ცოტა უკვე ფერზეც მოსულიყო  
და თვალებშიც სინათლე მომატებოდა.  
სტუმარს მოკრძალებით მიესალმა და  
გვერდზე ჩაუარა.

ლევარსანმა თვალი გააყოლა, მერე  
ოლინკას მუნჯურად შეეკითხა, ეს ქა-  
ლიშვილი ვინ არისო.

— ხედავ, რამდენი ხანია ჩვენთან  
აღარ ყოფილხარ! დიდი კაცი რომ გახ-  
დი, ჩემი სახლის კარიც გადაგვიწყდა! —  
ღიმილით, უსაყვედურა ქალბატონმა  
ოლინკამ.

— ნუ დამცინი, ოლინკა! ნეტავი იმ  
დროს, როცა შენი გაკეთებული ლო-  
ბით და ჭადი სანატრელი მქონდა! დიდი  
კაცი მაშინ ვიყავი თურმე, სიმართლის  
ლაპარაკი არ მეშინოდა! ახლა კი კა-  
ბინეტში რამდენი გიყი და ოხერი შე-  
მომივარდება, ყველას ფიანდაზად უნდა  
გავეგო და შენი ჭირიმე ვუთხრა!

— მოისაწყლე თავი, ხო, მოისაწყლე,  
მაინც არ შეგიცოდებ, ჩემო ლევარ-  
სან!

---

კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
ორთავალაღი მითხვეთავი

— არა, მართლა, ვინ არის ეს მზეთუ-  
ნახავი!

— ჩვენი მოახლეა. ვარდიკო რომ გა-  
გვიტხოვდა, მერე ეს ავიყვანე.

— მოახლე? — შეიკვირვა ლევარ-  
სანმა: — მერე არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს! — შეცბა  
ქალბატონი ოლინკა, სტუმარს აღმატე-  
რად გადახედა.

ლევარსანმა ჩაიცინა.

— ამისთანა მარწყვი გოგო სახლში  
რამ მოგაყვანინა, ჩემო ოლინკა?! თუ...  
დაბერდა შენი წუწკი ქმარი და გული  
არხეინად გაქვს! — ლევარსანმა ისევ  
ჩაიხითხითა და დიასახლისს მხარზე ხე-  
ლი მოხვია.

რას იფიქრებდა ხონის ერობის თავ-  
მჯდომარე ლევარსან მეტუკე, რომ მისი  
უზაკველბ ხუმრობა ქალბატონ ოლინკას  
სიცოცხლეს მოუწამლავდა. ისევ გაიღ-  
ვიძა ოღნავ მიუტყრებულმა ეჭვმა, ისევ  
მიეწყო ერთმანეთზე ის მტანჯველი  
ფიქრები. საზოზარმა, ნაცნობმა ტვი-  
ვილმა სისხლი გაუყინა ძარღვებში.

წამის ერთი ნამცეცი კმარა, განვ-  
ლილ ცხოვრებას თვალი რომ გადაავ-  
ლო. ის ტკივილი იმდენად ძლიერი იყო,  
რომ მეხსიერებამ არავითარი შეღავათი  
არ მისცა ეჭვით დაბრმავებულ დედა-  
კაცს. ქალბატონმა ოლინკამ ერთი  
მზიანი დღე, ერთი ბედნიერი წუთი ვერ  
გაიხსენა გოჩასთან ერთად გამოვლილ  
გზაზე. ამ ტკივილმა ყველაფერი შავად  
მოაჩვენა და ისევ სიკვდილი, ხვალის-  
დელი დღის არგათენება მოანატრა კალ-  
მახელიძის მეუღლეს.

„ნამდვილად ასეა!“ — დაუტრა კვერი  
უეცრად გაელვებულ ფიქრს. „ჩემზე  
უბედურტი ქალი მეორე არ არის ამ ქვე-  
ყანაზე!“

რატომღაც სარკეში ჩაიხედა, ყე-  
ლის ძირში შემკვნიარი კანი რომ დაი-  
ნახა, გულზე ისეთი ნაღველი შემოაწ-  
ვა, სული ვეღარ მოითქვა.

როგორ ჩაამწარეს დღევანდელი  
დარბაზობა! ის კი, მისი ვარყენილი ქმა-  
რი, სავარძელში არხეინად ზის და სტუმ-

რებს ცხელ-ცხელ ანეგლოტებს. უამ-  
ბობს. შეხედეთ ერთი, შეხედეთ მათსადაც

რად ხარხარებს ის არდასაცალელები.  
არა, ოლინკას უკვე აღარ შეუძლია მისი  
ყურება. ჩაიცვამს და სადმე გადაიკარ-  
გება, სანამ ეს ზაფრა არ გაუვლის. მან  
კი თავის სტუმრებს თვითონ მიხედა...  
მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრი იყო, — ქა-  
ლბატონ ოლინკას სახლიდან ფეხი არ-  
სად გაუდგამს. კეთილგონიერება არას-  
დროს არ აკლდა კალმახელიძის მეუღ-  
ლეს. ჭირი დამალა და სტუმრებს თე-  
თრი კბილი უჩვენა. გოჩამაც კი ვერ  
შეატყო უგუნებობა. ლევარსან მეტუკეს  
სასტუმრო დარბაზში შეჰყვა და ჯერ  
სანაძლეო მოაგებინა, მერე სუფრაზე პი-  
რველიც კი უთხრა ამღერებულ სტუ-  
მარს. იცინოდა, ხუმრობდა... მხოლოდ  
ერთხელ ვერ მოერია თავის გულს. ეს  
მოხდა მაშინ, როდესაც გაიანემ სუფ-  
რაზე ხაჭაპურები შემოიტანა. ქალბა-  
ტონ ოლინკას ზაფრის ქარები აუტყდა,  
მისი თეთრი მკლავები და კრიალა ყელ-  
კისერი რომ დაინახა. უბრალო ჩითის  
წინსაფარიც როგორ დაიმშვენა ცვირ-  
მოუხოცელმა გოგომ, თითქოს დიბა-  
ატლასი ეცვას! რას არ ვასცემდა ქა-  
ლბატონი ოლინკა, ოღონდაც გათელი-  
ლი, დამკირებული, მიწასთან გასწორე-  
ბული ენახა მისი ყმაწვილ-ქალობა.

გაიანე რომ გავიდა, ვეღარ მოითმინა  
და უკან გაჰყვა, დერეფნის კუთხეში  
მიიმწყვდია და სისინით უთხრა:

— გაეთრიე აქედან, არ დაგინახოს  
ჩემმა თვალებმა! ჩადი ეზოში და მზა-  
რეულს მიეხმარე!

— კი, ბატონო! — ესლა ამოიბუტ-  
ბუტა უზომოდ გაოცებულმა გაიანემ:  
წიდან — ცომი მომიზილე და მო-  
მეხმარეო, ახლა კი — ჩემმა თვალებმა  
არ დაგინახოსო.

სტუმრებს მუდამ გაიანე დასტრია-  
ლებს თავს.

დანა-ჩანგლისა და თეფშების გამო-  
ცვლა, ახალი კერძის მიართმევა, ყავის  
დასხმა, ნამცხვრის ჩამორიგება, — ამას  
ყველაფერს მარჯვედ, კონხტად აკეთებს



გაიანე. არც სტუმარს შეაწუხებს და არც მასპინძელს, მაგრამ ახლა ქალბატონმა ოლინკამ თავი ვერ შეიკავა. მალე თვითონაც მიხვდა, ამ უეცარ გაკაპასებას ვერაფრით ვერ გაამართლებდა, ამიტომ პირის მოსაწმენდად გაიანეს მაინც მიიძახა:

— მზარეულს უთხარი, ჩაქაფულს ბევრი პილპილი არ უქნას!

გაიანესაც ეს უნდოდა. ახლა სტუმრებთან გამოჩენა მასაც არ ეპრიანებოდა.

ცრემლი ჩუმად გადაყლაპა და თავის ოთახში შევიდა. ამ პატარა, უფანჯრო სენაკში სინათლე ჭერში დატანებულ სარკმლიდან ჩამოდის. ერთი საწოლი ტახტი და პატარა მრგვალი მაგიდა, — აქ მეტი არაფერი ეტევა. სამაგიეროდ ოთხივე კედელზე იმდენი ჭრელა-ჭრულა სურათი ჰკიდია, გაიანეს თავისი პატარა სენაკი ქვეყანას ურჩევნია. გოჩა და ქეთინო ყურნალებსა და მოსალოც ბარათებს გადასაყრელად რომ გადაარჩევენ, გაიანე იმ ნაგავს ხელახლა გადაარჩევს, რა სურათიც მოეწონება, ფაქიზად ამოსჭრის და თავის ოთახში მიუჩენს ბინას. მხოლოდ გაიანემ იცის, რამდენი ფიჭრისა და ოცნების აღმძვრელია ამ სურათებზე დახატული ადამიანების ცხოვრება. ნაღვლიანად შესცქერის იგი პაატას მოკვეთილ თავს, ლეკეთს გატაცებულ ვაშლოვანელ ქეთოს, ცეცხლის ალში გახვეულ ჟანა დარკს, და როგორ უხარია, როდესაც იქვე, ჟანა დარკის გვერდით, ობოლი კონკია ბოროტ დედინაცვალს თვალში ნაცარს შეაყრის და შეფეს ცოლად გაჰყვება...

ტახტზე ჩამოჯდა, ფოსტლები გაჰყარა და კალოშები ჩაიცვა. წინსაფარმა ცოტა გააწვალა. კვანძი ვერ გახსნა. წედან შალიან რომ ჩქარობდა, ეტყობა, ზორტები კარგად ვერ გამოსკვნა და ჩაეხლართა. „მერე ისევ მივაკერებ!“ — გაიფიქრა, მაგიდის უჯრიდან მაკრატელი ამოიღო და ნასკვი გაჭრა.

ეზოში ჩავიდა. სწორედ ამ დროს მათათვის ქუჩაზე მდებარე სტამბიდან

ლოი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა.

ერთმა უთხრა მეორეს:

— სიფრთხილეს თავი არ სტკივს, ალექსი! ერთი-ორი კვირით სტამბაში ნულარ გამოჩნდები!

— არა, ბიჭო, რაც ეს ახალი მანქანა დადგეს, ჩვენი სტამბის ფანჯარას ხალხი მუდამ აწყდება! თუმცა პირველად წელში კი გამაცივა, ის გოგო რომ დავინახე, ვაი თუ მიცნოს-მეთქი! ეტყობა, ვერ მიცნო, თორემ აქამდე ხუთჯერ გამკოჭავდნენ გვარდიელები!

— იქნებ გიცნო და არ გაგთქვა?!

— მთლად უკეთესი! მაშინ სიტყვას გაძლევ, კალმახელიძის ოჯახში სულ მალე ჩვენი კაცი გვეყოლება!

— ნუ იციანი, ალექსი! გუშინ ჩვენი სტამბა გაჩხრიკეს, დღეს ის გოგო გვესტუმრა... რაღაც არ მომწონს ეს ამბავი! თუ ძმა ხარ, ხვალ მაინც მოერიდე აქაურობას!

— არ ვიცოდა, ბიჭო, თუ ასეთი მშინ შარა იყავი!

— რაც გინდა, ის დამიძახე, ოლონდ ეს თხოვნა შემისრულე!

— იყოს ნება შენი, კეისარო!

ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ალექსის რომ ეძახდნენ, იმ ბიჭმა პატარა დაღმართი ჩაირბინა და სიბნელეს შეერია. მეორე კი ისევ სტამბაში დაბრუნდა.

მკითხველი რა თქმა უნდა მიხვდა, რომ ეს ახალგაზრდება ილაშინდელი ორთაჭალელი მეთევზეები იყვნენ. ყველამ იცის ორთაჭალელი მეთევზეების ზნე-ჩვეულება: მთელი დღე მტკვარში ბადესა შლიან, საღამოს კი თევზით სავსე ვედროს ხელში დაიჭერენ და თბილისის ქუჩებს მოედებიან. ისინი ყველგან თამამად შედიან, სადაც კი დაფა-ზურნის ხმას გაიგონებენ. სუფრას მტკვრის ცოცხალით დალოცვენ, ოჯახს გაახარებენ და ისევ თავის გზას გაუდგებიან.

სწორედ ამ ჩვეულებას დაენდო ალექსი თოთიაური, როდესაც შეატყო-

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**  
ორთაჭალელი მეთევზეები



ბინეს — კალმახელიძის ოჯახში მთავრობის წევრებიც იქნებიანო. ბიჭებმა პროკლამაციის ბეჭდვა რომ დაამთავრეს, მერე ორთაჭალაში გავიდნენ, აქ ყველაფერი იშოვეს, რაც საჭირო იყო და ნაშუალამევეს წვეულებაზე გამოცხადდნენ. დერეფანში ვალოდია ორავველიძემ მოახლე გოგო ლაპარაკით შეიყოლია, თითიაურმა კი პალტოებს ჩამოუთარა და თითო „საჩუქარი“ ყველას დაუტოვა.

ქალბატონმა ოლინკამ ფხიზელი ძილი იცის. ღამით თუ ერთი გაეღვიძა, მერე დასაძინებელი წამალიც რომ დალიოს, უკვე აღარ დაეძინება, საშინელი თავის ტკივილი ეწყება. ამიტომ თუ გოჩა შინ ნასვამი დაბრუნდა, ლოგინს კაბინეტში გაუშლიან. ნასვამი გოჩა მტრისას! მისი ხვრინვა-ხრიალი არამეტოუ კაციშვილს, მუხის ჯირკს შემშლის ჭკუაზე. მამამთილის ხველებაც ძალიან აწუხებს ქალბატონ ოლინკას. გოჩას მამა, ცალთვალა მოხუცი ალექსანდრე ჯერ კიდევ გაუთენებელში წამოდგება ხოლმე შარდის დასაქცევად, და სანამ საპირფარეშოს მოივლის, მისი ხარბუხა ხველება თოფის ხმასავით ისმის ოლინკას საწოლში. ამასწინათ ალექსანდრეს ოთახში ღამის ჭურჭელი დაუდგეს. ბერიკაცს ხანდახან ავიწყდება ეს სიკეთე და გაიღვიძებს თუ არა, ხველებ-ხველებით ისევ საპირფარეშოში მიფრატუნებს.

იმ ღამეს ფეხზე ჩამომწყდარ ოლინკას დასაძინებელი წამალი არ დაუღვევია, ისედაც დამეძინებაო. სანამ დაწვებოდა, ერთხელ კიდევ დახედა კაბინეტში მძინარე გოჩას. გულადმა გამხვართული კაცი ყელგამოღადრულივით ხროტინებდა. „რამდენი ვეხვეწე, ნუ დაღვე-მეთქი! მაინც დალია...“ ოლინკამ ქმარი გვერდზე შეაბრუნა, მერე კარი შეაღო და სასტუმრო დარბაზში შეიხედა. აქ ბიძინა იწვა. ისიც ძალიან დათვრა და დივანზე ჩაეძინა. აღარ გააღვიძეს. ოლინკამ საბანი წაახურა და სინათლე ჩაუქრო.

შინაურებს ყველას ეძინა. მხოლოდ

ვახო და მზარეული ჯერ ისევ ბუხარით იხსდნენ და ღვინოს შეექცეოდნენ.

— ვახო! — დაუძახა ქალბატონმა ოლინკამ. დერეფანში მთვრალი ვახო გამობანდალდა.

— რას გევახარ, ბიჭო! თუ ღმერთი გწამს, მეტი აღარ დალიო! ის კაციც მალე გაუშვი და კარი კარგად დაკეტე. ლოგინი ალექსანდრეს ოთახში დაგიგე, აბა შენ იცი! — უთხრა ქალბატონმა ოლინკამ.

ვახო სწრაფად წელში გასწორდა. ფეხი ფეხს მიადგა და მხედრული სალამი მისცა:

— Слушаюсь, королева!

ახლა უფრო შეეტყო, რარივ მოჰკიდებოდა ღვინო. ოლინკა ვერ იტანდა ვახოს სიმთვრალეს, მაგრამ ახლა გაჩუმდა. იგი თუ არა, ამ მოულოდნელ სტუმრებს თავს ვინ გაართმევდა!

სათბურაში ცხელი წყალი ჩაასხა და თავის ოთახს მიაშურა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ქალბატონმა ოლინკამ ჰაერის გასაწმენდად გაღებულ იფანჯარა დაკეტა და ძილს მისცა თავი.

...რალაც ხმაურმა გამოაღვიძა.

გული უფრიალებდა. ამით მიხვდა, დიდხინის ჩაძინებული არ იყო.

სიჩუმეს ყური მიუგდო. არსაიდან ჩქამი არ მოდიოდა. ოლინკამ გაცივებულ სათბურას ფეხი ჰკრა და იატაკზე დააგდო. მერე ისევ საბანი შემოიკეცა, რომ უეცრად შუშაბანდში სკამი გახრიგინდა...

წელან ოლინკამ გული ვერ იხმო, ასე უტკაბედად რამ გამოაღვიძაო; ახლა კი მოისხურა, რომ სწორედ ამ სკამის ხრიგინმა დაუტრღვია მოსვენება. წუხელ, ვახშამი რომ დაამთავრა, ვახომ და გაიანემ სასადილო დარბაზიდან შუშაბანდში გაიტანეს ზედმეტი სკამები და მისიდგმელი მაგიდა.

ახლა იქ ვილაც დაბორიალობდა.

„გოჩა ბორჯომის წყალს ეძებს... როგორ დამავიწყდა მიტანა!“ — შეწუხდა ოლინკა.

გოჩამ ნაღვინეგზე გულსწვა იცოდა, სასთუმალთან მუდამ ედგა სოდიანი წყალი, ან ბორჯომი.

„კი მაგრამ, შუშაბანდში ბორჯომს რა უნდა?! რა მთვრალია! სამზარეულოს ვეღარ მიაგნო?!“ — და ქალბატონი ოლინკა უკვე წამოდგა, რომ გოჩას შეხმინებოდა...

ხმის ამოდება ვერ მოასწრო — ერთი უკეთური ფიქრი ჰვალავით დაადგა გულზე. „არა... გაიანესთან მიიპარება! საზიზღარი! ღვინოში მინც ვერ დამალა თავისი წუწკობა!“

ეს რომ გაიფიქრა, ხელ-ფეხი გაუშეშდა, საწოლიდან ვეღარ გადმოვიდა. დიდხნის ნაგუბარმა ბოლმამ თვალისწაში გადალახა სირცხვილ-ნამუსის საზღვარი. იკვილებს... იკვილებს და ყველას გააღვიძებს. სტუმარსაც და შინაურსაც. საქვეყნოდ გამოაქენებს იმ ზნედაცემულ კაცს! რას იტყვის ბიძინა, მინისტრის ამხანაგს მოახლე გოგოს საწოლში რომ დანახავს! ერთად გაზღვევინებ ამდენ დამცირებას, შეურაცხყოფას! ხვალ რა მოჰყვება ამ ზღვევას, ეს გოჩა კალმახელიძემ იკითხოს. ქალბატონ ოლინკას კი მეტი დარდინუ მისცა ღმერთმა.

შურისძიებამ დიდი უგონო სიხარული იცის. ვერავითარი სალი აზრი და საბუთი იმ სიხარულს წინ ვერ აღუდგება.

ახლა სად მიწაში აპირებ წასვლას! ნახოს შენი კაი-კაცობა შენმა გასათხოვარმა ქალიშვილმა, შენმა ბრუტიანმა მამამ, წუხელ სტუმრებს ტრაბახით გული რომ გაუწყალა, ძეგლი უნდა დამიდგან, საქართველოს იმისთანა შვილი გავუზარდო.

—ა, ბატონო, ახლავე დაგანახებ, რა ვაუბატონიც გაუზარდე საქართველოს! ოღონდ ცოტა მაცალე... ჯერ შევიდეს იმ კახპასთან!

ამ ფიქრმა დიდი შეგება მოუტანა ქალბატონ ოლინკას, თითქოს ის ეჭვი და ნადველი, აქამდე გულს რომ უჭამდა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი კომმარული სიზმარი იყო და მეტი არაფერი. და

აა, ეს სიზმარიც გათავდა.

ბნელში ფოსტლები აღარ უძებნებოდა ერთი კი შეაყრეოლა, ცივ პარკეტს ფეხისგულები რომ დაადგა და... ფანჯარასთან გაჩნდა. ხავერდის ფარდა ოდნავ გადასწია. ქუჩიდან შემოსული სინათლე შუშაბანდს საკმაოდ ანათებდა. უზომოდ მთვრალი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ აქ წესიერად ვერ გაეცლო.

ის კაცი მართლაც გაიანეს ოთახთან მიბანდალდა, კარი ჩუმად შეაღო და შევიდა.

მაგრამ ის არ იყო გოჩა კალმახელიძე... გაიანეს ოთახში მთვრალი ვახო შევიდა.

„ღმერთო ძლიერო, მაპატიე ეს ერთი ცოდვა! არ გაიხაროს ჩემმა არგამხარებელმა!“ — ჩაიჩურჩულა ქალბატონმა ოლინკამ. არც კივლი დაუწყია, არც არავინ გაუღვიძებია, — ერთი ხმა არ გაუღია, ფანჯარას ისე გაეცალა და საწოლთან დაბრუნდა. ღამის ნათურა აანთო, ხელის კანკალით ჭიქაში ორი წილი დასაძინებელი წამალი დაისხა... მერე ისევ დაწვა და საბანში გაეხვია.


ფედერალისტებს არ უყვარდათ მონარაგების მინისტრის ამხანაგი გოჩა კალმახელიძე. ამიტომ მხოლოდ ვაზეთმა „ტრიბუნამ“ გამოაქვეყნა „ქალაქის ქრონიკებში“ კალმახელიძის ოჯახში მომხდარი უსიამოვნო ამბავი.

ხუთშაბათს, 12 მარტს, მომარაგების მინისტრის ამხანაგის, გოჩა კალმახელიძის ოჯახში სტუმრად მყოფმა მოქალაქე ვახო წულაძემ გაუპატიურება დაუპირა მოახლე გოგოს გაიანე მ-ძეს. გამწარებულმა გოგომ ღვინით გაღვშილ მოძალადეს მაკრატლით მძიმე ჭრილობა მიაყენა მარჯვენა თვალის არეში. დაზარალებული წულაძე საავადმყოფოში მოათავსეს. გაიანე მ-ძე სახლიდან გაიქცა და მიიშალა“.

სხვა პარტიების ვაზეთებმა გოჩა კალმახელიძე დაზოგეს, ამ სამწუხარო შემთხვევას სიჩუმით შეხვდნენ.

მცხეთა, 1969

# ქნისის ქოხი



## ისტორიული კოხეა

### ბროლოზი

ამ პოემაში ამბავი ხდება, — არა, არ მკითხო, რატომ და რისთვის, —  
ათას ხუთასი ქართველი კვდება

არა თავისთვის, არამედ სხვისთვის,

შეეწებება ბალახი ბალახს, დაემსგავსება მინდორი რიყეს —  
ქართველთა მეფე სომეხთა ქალაქს

ქართული სისხლით სომხისთვის იღებს!

ქართულ კოპორტას სომხეთში დაფლავს, მოიხდის ჩაჩქანს, იყურებს დიდხანს,  
ემთხვევა სომხის დედოფლის საფლავს

და ღირსსახსოვარს წარმოთქვამს სიტყვას.

სელჯუკიანი გარბის მკვეხარა, ქრისტეს ტაძრებში ზარები ჟღერენ;  
„მიეპატრონა სომხის ქვეყანას“...

სხედან ვარპეტნი და წიგნებს წერენ...

დიდ მოედნებზე იყოფენ ალაფს, ქართველი სომხის იმედებს ანთებს:  
„ათინა — ბერძენს! ბაღდადი — არაბს!

ანისი — სომეხს! თბილისი — ქართველს“!

„ჯან, დავით-მეფე!“ სომხეთი გრგვინავს, ჯაჭვის ზარადი უხდება ლომებს  
და მეგობრობის ყვაველი ბრწყინავს,

სისხლისფერი აქვს ფურცელი რომელს!!!

მთელ დღეს ჭიხვინებდა აგვისტოს რაში  
(მზე!) და ოქროფერილ გუმბათებს ახურებდა,  
იდგა მეციხოვნე ანისის ცაში —  
ყურძენს კიკინდა და ქალაქს გაპყურებდა.

სპილენძი გაჟღერიალდა, ჯაჭვი განსრიალდა,  
ურდული გასრიალდა, კარიბჭე განიზიდა:  
სამი ჯოროსანი — შედგა აბჯრიანთან,  
სამი შავოსანი — გავიდა ანისიდან.

მეთხეს ჭრელი ეცვა, ქალაქში რჩებოდა,  
გადაფითრებული იდგა ყმაწვილებთან,  
ტურებით თურქულად ანეგდოტს ჰყვებოდა,  
თვალებით — ქალაქიდან მიმავლებს აცილებდა.

გოდლიდან მეციხოვნემ გუშავს ჩამოსძახა,  
ჯორებზე ანიშნა და ტრამალში გაახედა;  
გუშავმა პასუხი ხელებით გამოსახა  
და მერმე კარიბჭე ჟღერიალით გადაკეტა.

ვაჭარმა ხალათქვეშ მომუჭა მახვილი,  
გული მიუსუსტდა, შუბლი დაეცვარა,  
— ჯოჯიკ! — საკუთარი მოესმა სახელი,  
ღიმილი დატოვა და ბიჭებს გაეცალა.

— გადავრჩით, არამაის? — მისვითთან დაეწია.  
— გადავრჩით, ჯოჯიკო! ქრისტე-დმერთს მადლობა! —  
ანაზდად უცნაური ჯინჯველა დაესიათ,  
ანაზდად ორთავეს მოსწყურდა დათრობა.

ოქროს გუმბათებთან სილურჯე ტბორდება,  
დასიცხულ ქალაქს სიგრილე ეუფლება,  
„მშიაო!“ — არწრუნი ბალღივით ღონდება,  
„მარანში სჯობიან!“ — ჯოჯიკი ეუბნება.

სადღაც მუეძინმა შეჰკვილა ალაპს,  
დაისი ქრისტეს სისსლით წითლად იჟღინთებდა;  
გაპყვილ-გამოპყვილეს მოლებმა ქალაქს,  
ღავლაგით წაესიენ ტაძრებს მისვითები.

მარცხნივ გაუხვიეს მარნების მხარეს,  
მარჯვნივ მოიტოვეს მყრალი ჩაიხანა;  
ჯოჯიკი დაიხარა, ფეხი ჰკრა კარებს,  
ჩაუძღვა კოლეგას და მარანში ჩაიყვანა.

სომხურ ხალიჩაზე სელჯუკურ ტაბაკს  
უხმოდ შემოუსდნენ, ნარგილე გააჩადეს,  
კვამლი გადაყლაპეს, სომხის ბიჭს ამყეს  
თარი დაუკარო, თურქულად გადასძახეს.

თურქმანმა ბროწეული ქებას მოაწურა,  
„მწვადიო!“ — ბიჭიც და მყალიც იქ იდგა.  
სტუმრებს საპატიოს საჩქაროდ მოაშურა,  
„მწარე თუ ტკბილიო?“ — ღვინოზე იკითხა.

„ჯოჯიკი დავით-მეფის სარწმუნო კაცია,  
სომეხი არწრუნიც დავითის მოვალეა,  
ჯუბებქვეშ კაი წმინდა ჯაჭვები აცვიათ,  
თურქმა რომ იცოდეს, ორთავე მსტოვარია“... —

ასე გაიფიქრა ჯოჯიკმა ბოლმით,  
თითებით დაუთვალა ვეება დახლიდარს:  
„თუნგი ათორმეტი მიმირთვი მოყმეთ,  
დროზე მიმირთვიო!“ — და ამქარს გახედა.

ხვალ-ზეგ — თოროსნები, ხვალ-ზეგ — ცხენოსნები,  
ხვალ-ზეგ — მოისარნი ყოველი ბეჟიდან —  
ზუსტად ათორმეტნი ისხდნენ ხელოსნები  
და ხმელი თითები ჭიქებზე ეკიდათ.

სომხებმა ჯოჯიკის თუნგებით გაიხარეს,  
ხოლო კოლეგებმა ქეიფის ბრწყინვალეობით;  
დადლილი ცხენებივით კისრები წაიხარეს  
და ძმურად შეახეს ერთურთს ყვრიმალები.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემო არამაის,  
შენი განზრახულით, შენი დასახულით,  
შენი სომხეთით და შენი ბეწვის ხილით,  
შენი ტანჯვითა და ძნელი სამსახურით! —

— თურქი ხარ, არაბი ხარ, ქურთი ხარ, სკვითი ხარ,  
დღეს ვაჭრობ, ხვალ ჩარჩობ, ზეგ ბერად როჭიკობ,  
ეს ოცი წელია, სულ ბეწვზე ჰკიდიხარ,  
ეს — შენც გაგიმარჯოს, ჯოჯიკო! —

სიცილით გამოსცალეს მსტოვრებმა ზედაშე,  
თითით გამოუხმეს ფაშვიან დახლიდარს:  
— მსტოვრები გვერქვასო, ჯოჯიკო, მე და შენ  
და კაცი ერქვასო ამხელა სახედარს! —

ჯოჯიკი გახალისდა არწრუნის ბერძნულით,  
თურქმა ვერ გაიგო სიცილის გამოცანა,  
თანახმა გახლავართო თქვენ მიერ შესმულის, —  
მიწვდილი სასმური დარცხვენით გამოსცალა.

კედელს გამოსცილდა ჭაბუკი მეთარე:  
თუ შეიძლებაო, ეს თქვენთვის დაგუკრა?  
ბეჭით შეისწორა ჯოჯიკმა ბეგთარი,  
ძირს დადგა ჯამი და ღიმილი გაუქრა...

„ყოფილა დრო და ვყოფილვართ ხალხი,  
ჯან, თარო, თარო, გამიგონია...  
სცოდნიათ ჯანყი, მერნების ყალყი,  
თორნიკს და ვარდან მამიკონიანს...

ჯან, თარო, თარო, ჯან, თარო, თარო,  
ჯან, თარო,  
შენგან გამიგონია!...

რომ დავიბადე ჩემს თახსირ დროში,  
რაც არ დავეარგე, რა მიპოვნია?...  
ახლა ვის გავყვე, ვერ ვხედავ დროშით  
თორნიკს და ვარდან მამიკონიანს...

ჯან, თარო, თარო, ჯან, თარო, თარო,  
რაც არ დავეარგე,  
რა მიპოვნია!..

გალრმავებულა სომხეთის წყლული,  
სთქვი, სომხეთისთვის რა გვიღონია?  
მიპყვირის გული, მისტირის სული  
თორნიკს და ვარდან მამიკონიანს.

ჯან, თარო, თარო, ჯან, თარო, თარო,  
სთქვი, სომხეთისთვის  
რა გვიღონია!..

ამ ჩემს ჭიქაში დაისი ბრწყინავს,  
ვსვამ წითელ ღვინოს, შხამი მგონია...  
მასისის ძირში მხარდამხარ სძინავს  
თორნიკს და ვარდან მამიკონიანს...

ჯან, თარო, თარო! ჯან, თარო, თარო!  
ვსვამ წითელ ღვინოს,  
შხამი მგონია!..“

სადაფის პეპელა დააკვდა სიმებს,  
ჭაბუკი მეთარე ტაბაკს გაეცალა,  
— აზიზჯანი! — ოხვრასავით აღმოსდა მღვიმეს  
და სომხის ამქარი ღვინოს დაეძალა.

ჯოჯიკმა ამობოჭა ქისიდან ღინარები,  
„ხუთი მეთარესო!“ — დახლიდარს დაუყარა,  
ჩალმა გაისწორა მისმა ბრწყინვალეობამ  
და ბატონკაცურად თავიც დაუსარა.

კარებთან დაეწიათ ლომკაცი ჯუბით:  
„ნარგილე გრჩებოდათო“, — მიზეზი განუმარტა  
და მერე: „გახლაგართო ხუთასი შუბით,  
როცა დაგჭირდეთო!“ — ხმადაბლა დაუმატა.

მადლობით მოუჭირეს მაჯაზე ხელი,  
ლალბობით ვითომცდა რაღაც წაიხუმრეს;  
წაუძღვა კოლეგას კოლეგა ძველი,  
ქალაქში გავიდნენ და კარი გაიხურეს.

შექღრინეს ქოფაკებმა დავითის კაცებს,  
გვღვიძავსო ამცნეს და ღრანჭები მოხურეს;  
მთვარე დაძლოდა ანისის ტაძრებს,  
მისგითებს, ბაზრებს, გოდლებს და ქონგურებს.

უკან მოიტოვეს ვანქის ნანგრევები  
წამოყუდებული დევის ბეჭებივით.  
იწვნენ ძლოკვისთავა მყრალი აქლემები  
და იფურთხებოდნენ ქურის ბიჭებივით.

ეძინა ანის-ქალაქს, მზიანს და სვიანს,  
ოდესღაც სატატოს ტაძრებით გაბრწყინებულს,  
ეძინა ანის-ქალაქს, ოდესღაც დიადს,  
ახლა პატივყარულს, ახლა დამცირებულს.

ქარი არ იძვროდა, ჩქამი არ ისმოდა,  
ხე არ შრიალებდა, ტყე არ დუდუნობდა,  
მარტოდენ სომხეთის ჭრილობა ფხიზლობდა  
და ახურიანი მოწყენით პუტუნობდა.

ურდული გარრილიყო გალაგნის ყბაში,  
თურქის ციხიონი ქალაქში მსახურებდა...  
იდგა მეციხოვნე ანისის ცაში —  
აზიის უსაშველო ღამეს გაპყურებდა.

მეფე დავითი როდია  
 მსტორების ანაბარა!  
 სპას წვრთნიან, მიდი-მოდინან  
 სარდლებიც წარამარა!  
 მაგრამ როდესაც აურთებ  
 ზღვით-ზღვამდე იმერ-ამერს,  
 მაინც დაზვერვა სჭირდება  
 ამხელა თურქულ ღამეს.  
 და ამიტომ და ამისთვის,  
 ამა მიზეზთა გამო,  
 დავითისათვის ანისით  
 ეტრადი გახლავთ ამო.  
 თვალი დაადგა სტრიქონს  
 და წარბი აიზიდა:  
 „იტყობინება ამას  
 ჯოჯიკი ანის(ღან)“...

ბეჭედს დავითი თავად სვამს,  
 კითხვა წესად აქვს აზრის —  
 ძელს ჰკრა და ჩუსჩარხს უბრძანა,  
 მისმეთ პირველ ვაზირს.  
 „მეფეს აფხაზთა, ქართველთა,  
 რანთა, სომეხთა პატრონს  
 სწერს ფერხთა მტვერი მისი,  
 მის მზეგრძელობას ნატრობს.  
 ბრძანებისათა თქვენითა,  
 ახლა ხალიჩით ვვაჭრობ,  
 თვეებს ანისში ვამოკლებ,  
 დღეებს ანისში ვაღრწობ.  
 უკვე დაგვიდგა დახლები,  
 გამცნობთ — ვყიდულობ, ვყიდი,  
 ისპაჰანს იყო ნაკლები,  
 აქ — ვაჭრობაა დიდი...

პირველ უმთავრესს გაუწყებთ:  
 აქ გახმაურდნენ ლხენით  
 უკანასკნელნი, ახალნი.  
 დიდნი ძლევენი თქვენი.  
 სამშვილდეს მერე რაკილა  
 ლორე დააკეთ რიყედ,  
 რაკილა წურთვა ინებეთ,  
 ლაშქრავთ სომხითის ციხეთ,  
 დაფრთხა ანისის ამირა,  
 დაფრთხნენ სელჯუკთა სპანი,  
 სამოცი ათას დინარად  
 საჩქაროდ ჰყიდის ანისს.

ჩემნი სარწმუნო კაცნი,  
თურქნი, ჰფიცავენ ალაჰს,  
ჰყიდისო, ნაღდად ჰყიდის,  
თხასავით ჰყიდის ქალაქს.

მეორედ კიდევ გაუწყებთ,  
ამბავს კი არა, ხანძარს:  
ნალი მოიღო ხლათით და  
დაჰკიდა ქრისტეს ტაძარს.  
ტაძარი იგი რაც არი  
(საყდარი იყოს ვითომ!),  
ანისს ტაძრების დედაა,  
მოგეხსენებათ თვითონ.  
დრტვინავენ წმიდა მამანი,  
ვაჭარნი ხსნიან ქისას,  
იშხანნი ხმალსა ლესავენ,  
ყმანი უცდიან ნიშანს.  
ესე ყოველი ზუსტია!  
შვილი ბეჩავი მიწის  
არამაისიც აქ არის, —  
ცაში დაფრენს და იღვწის.

მესამედ, შემდგომ ამისა,  
წვრილმანად ვთვლიდი თითქოს,  
მაგრამ წვრილმანსაც გაახლებთ  
და შეწყნარებას ვითხოვ:  
აქ სამორინე სახლია,  
შიგ მოყმე ვინმე დადის —  
აბულასვარის ცოლისძმა,  
სიძე ანისის ყადის;  
ძვალს არ ვყრით, ჭადრაკს ვუსხედვართ,  
ჭადრაკის სწავლა მწადის,  
ყომარბაზებმა გაცარცვეს,  
გიჟი ყოფილა ნარდის.  
გაფრცქვნილს ვასმიე კოკით და  
ნასმურევს ვთხოვე ძმობა —  
ხუთას დინარად მომყიდა  
ესე ქვემოთ ცნობა...

ჰყვება (და ეს ხომ თქვენც უწყით,  
გვიუწყებია წვრილად!):  
კარელ და ანელ ამირას  
ლამის ერთ ტახტზე სძინავთ.  
ჰყვება (და ეს ხომ ჩვენც ვუწყით,  
ჩვენც არა ერთხელ ვნახეთ!):  
ანელი მიჰქრის კარისკენ,  
კარელი მოჰქრის აქეთ.

ჰყვება: ვახლდით პატრონს,  
როს ძაღლის ძვალი ჰყარეს —  
ოცი ათასი წაუღო  
თურმე კარელმა ანელს.  
ჰყვება, რომ ვალი-ვალია,  
თუნდ წაგებული ძვალში,  
ორმოცს მოსცემს და დანარჩენ  
ოცს გამოუბრის ვალში.

ასე და ასე ამჯერად!  
პატრონს გაუწყებთ ყმანი,  
რაიც საცნაურსაყოფად  
დიდთაგან მცირე ვცანით.  
თორემ რა ხმები არ ისმის,  
რას არ სწამებენ ამ ორს,  
რას არ ჰყვებიან ანისის,  
კარის ამირის გამო!  
ერთნი ხასებზე ჰყვებიან,  
სხვანი საეჭვო ძმობას;  
მემთერალეობენ, ბნდებიან,  
თრიაქით ჰკარგვენ ცნობას.  
ვიეთნი ისეთს თითხნიან,  
რომ ყური ბამბას ითხოვს:  
ფუ, ეშმას! ფუ, ეშმას! იტყვიან,  
მამათმავლობენ თითქოს...

აქ ამინდები კარგია,  
ამას ერთხელაც ვებდავთ —  
დიდ არს მეფე და ღმერთი,  
ზემოდან უკეთ ხედავთ.  
დახსნა სწადია ყამარს  
ვეშაპის ალერსიდან —  
იტყობინება ამას  
ჯოჯიკი ანისიდან“.

პირველ ვაზირის შემოსვლა  
არც გაუგია მეფეს,  
თავი აიღო, ერთმანეთს  
ღიმილი მიაგებეს.  
„წაიკითხოთ ჯოჯიკი?“ —  
პატრონს თვალებით ჰკითხა.  
„წაიკითხოთ!“ — პასუხით  
სუყველაფერი ითქვა.  
ნიკაპზე ქლალი უხდება  
ბღუჯად, სატურე ღარში,  
უკვე თმა-წვერიც რუხდება  
ამდენ ომსა და ქარში...

მუშტით დაეყრდნო მაგიდას  
და მხნედ წამოდგა ზეზე,  
„დავკრათო?“ -- ვაჟირს გახედა. —  
მთლად მომპალაო ესეც!“

ხოლო როდესაც აწვიეს  
სომხის იშხანი მკაცრი, —  
ელჩი ანელთა თავადათა, —  
მასთან სარწმუნო კაცნი,  
როცა მათ წიგნი აახლეს  
ტახტზე მჯდომარეს მორჭმით  
და როცა ბაგე აღახენეს  
დავითისადმი ლოცვით,  
წვრილად მოუთხრეს ყოველი  
მეფეს და მეფის კაცებს  
და ქალაქის და ციხეთა  
მისთა მოცემა ამცნეს,  
მეფემ წყალობა მოიღო,  
დიდ არს უფლისა ძალა,  
წამსვე სარდლები მოიხმო  
ლაშქრის მზაობა ბრძანა.

ოქროს ტაბაკთან სომხები  
ვერცხლის სელებზე დასხეს  
და პატივითა დიდითა  
ოცი წლის ღვინო ასვეს.  
აქა სხდნენ კაცნი სანდონი  
საქმით, ნიჭით და ხვედრით,  
აქა ჯდა თავად პატრონი  
ბაკურიანის გვერდით.  
უჯდა ჭაბუკი დემეტრეც,  
თვისი ტახტისმტე, პატრონს,  
დედულით მოსულ კაცთათვის  
ღიმილს ჰფანტავდა სათნოს.  
მეფე მწნილს წასწვდა, არ სვამდა,  
ტუჩს შეახებდა ოდენ  
და... განმარტოვდა...  
მთელ დამეს  
მალემსრბოლები ჰქროდნენ...

ორ დღეს სტუმრობდნენ ელჩები,  
დროს ჩანგის ქღერით ჰკლავდნენ,  
სვამდნენ, ეძინათ, პურობდნენ,  
მაინც მოწყენილს ჰგავდნენ.  
მეფეს „აფხაზთა, ქართველთა,  
კახთა, სომეხთა, რანთა“  
თვალი ვერ ჰკიდეს — მარტოდენ  
მიმსვლელ-მომსვლელი ჩანდა.

ჯერ მცირე სპაი მოგროვდა,  
კახნიც მოვარდნენ ჩორთით,  
შემდგომ ერისთვის კოპორტა  
შამანის ძითა, ჯონდით.  
ყვიჩალთა სპანით შემოკრბენ,  
ისანს მოადგნენ ბებერს  
და პა, „სამეოც ათასი  
წინაშე უდგა მეფეს“...

სცეს დუმბულს დღესა მესამეს,  
ჟამსა ცისკრისა, დილით,  
და განაღვიძეს სომეხთა  
სარწმუნო კაცნი ძილით...  
შავს ცხენზედ აღმხედრებულმან,  
პირშებურგილმან ჯაჭვით,  
ბრძანა დავითმან: „ოჲს მივალთ,  
ელჩეებსაც ჯაჭვი აცვით!“  
ჩამოქვეითდა ჩუხჩარხი,  
ვარპეტს შეახო ტორი:  
„ზარდახანაში მობრძანდით,  
მიიზომეთო თორი“.  
იხარეს წმიდა მამათა,  
თვალეებს ჭკუტავდნენ მწვანეს,  
რაიცა თორებს ეხება, —  
მტკიცე უარი ბრძანეს...

ხა-ხა, უარი ბრძანესო?  
უარი როგორ ბრძანეს?!  
აღარ მოვდივართ ანისსო?  
ხო-ხო, უარი ბრძანეს!  
იწყინეს წმიდა მამათა,  
ქოში უკუღმა ყარეს,  
დაფანჩვეულ წარბ-წამწამიდან  
ისრებს ისროდნენ მწარეს...  
არა! არ იყვნენ წვეულნი  
ოდენ ჯვრითა და წიგნით!  
თავადაც სცმოდათ თორები  
ანაფორების შიგნით;  
დახადეს ანაფორები,  
თითო არაყი სცეცხლეს,  
გამოუცვალეს ჯორები  
და ტაიჭებზე შესხეს.

იმხელა ლაშქრისთვის, რამხელაც ჩვენია  
და ახლა შვილივით დავითს აბარია,  
არც მეტი, არც ნაკლები, გზა ცოტა ძნელია და,  
თბილისით ანისამდე სამი დღის სავალია.

ღამე წუხანდელი ლორესთან გაათიეს,  
ანისის გუმბათები ახლადა ოქროვდება;  
ლაშქარი მთებშუა ტაფობში გაატიეს,  
სომხეთში გაივაკეს დავითის კოპორტებმა.

ჭრიალებს ალალი ოფლში გაღვარული,  
ამძიმებს რკინეული ულაცებს ჯიშინებს,  
და, როგორც თხიერი, თითებში გაპარული,  
გარს უვლის ლაშქარი ბორცვებს და მიშრიალებს.

ხან სპაი ქვეითი ყვაპეში დაახანებს  
და, შედედებული, ფარ-შუბს ალაცუნებს;  
დავითი დროდადრო ტაიჭს გააქვავებს  
და ლაშქრის მსვლელობას ქორივით გადაჰყურებს.

უეცრად შემოესმა ნაცნობი თქართქური —  
კორდს მოსწყდა მხედრობა, ტაფობში შთაბრიალდა.  
არ გაჰკვირვებია მეფეს დანახული:  
ზღვად ლელი ვრცელი და ყიჟინა აბჯრიანთა.

შემწყნარედ ჩაეღიმა — სხვა სპანი დიოდნენ,  
ეგ — ხორცს შოულობდნენ ლეკენი ლომისანი;  
ისრები შხიოდნენ, კოლტები ჭყიოდნენ —  
ტახებს მიხცავდნენ ცხენდაცხენ მოისარნი.

ნებისად შეაბრუნა ბილიკზე ცხენი,  
ცხენმა ნიანიას ამლაცით გაიხარა,  
შორითვე შეჰფრუტუნა მეგობარს ლხენით,  
პატრონი ბორცვიდან ბორცვზე გაიყვანა.

ნეკერჩხლის კორომიდან აფრინდნენ სავათები,  
ცად საზანდრებივით დაბერეს ჩიჩახვები.  
თურქ ჩობნებს დაერივნენ წყალგაღმა ჯავარდნებით  
და ცხოვარს მოდენდნენ დავითის ყივჩალები.

დავითი მიეახლა საყვარელ სარდლებს,  
სარდლებმა გაფიცებულ ცხენებს დაუყვავეს.  
ანაზღად ელჩებმა სალამი ჰკადრეს,  
გზიდან გადადგნენ და თავი დაუსარეს.

დავითმა გადაჰკრათ თვალი გამოცდილი, —  
თორში მსხდართ სახეზე სიმტიცე ეწერათ, —  
და სომხის ელჩები სავსებით გამოცვლილი,  
კარგისკენ გამოცვლილი ვჩვენა.

„მაც, რას ნიშნავსო თორი და ცხენი —  
ანგელოზს გაქცევსო ლომად და მგელთავად!“  
სომხებმა შეაგებეს თვალები ცხელი —  
მიფე მიესალმა ელჩებს და მღვდელმთავართ.

ისხდნენ ჭარმაგები, ისხდნენ ჯანმავრები,  
(რის წმიდა მამანი ანუ მღვდელმთავრები!)  
ზედ შედუღებოდნენ ცხენებს ამაყები  
და მოკვინტრიშობდნენ, როგორც კენტავრები.

აქ — მკვდარი სოფელი, იქ — ციხის ნანგრევი.  
გოდლიდან მდამიობის გუნდი წამოფრინდა.  
ბალახში ჩაშლილიყო ჩაფხუტი ნამკვდრევი,  
ცხენს ფლოქვი ჩაეკრა და უცბად წაფორსილდა.

უმალვე მოთოკა ამლაყი ნიანიამ,  
მიფეს მიუბრუნდა: „ამ ზეიმს ბოროტის  
ველოდი, რამდენი ნგრევა და ზიანია,  
გადააჭარბათ ყოველგვარ მოლოდინს!“

დავითს გაახსენდა სომხეთის ქალაქებზე  
იბნ-აბუ-ბეჰრისგან თქმული გადაკრულად;  
მწუსარედ გაელიმა არაბის არაკებზე,  
პასუსი ნიანიას მიუგო არაბულად:

— „თუ სადმე აღრეული, თუ სადმე დარღვეული,  
თუ სადმე დანგრეული ქვეყანა ნახო,  
შორითვე იცოდეთ, უდმერთოდ დარყეული  
სომხეთი იქნებაო — ნუ მიხვალ ასლო!“

— ჰო, — თავი ჩაჰკიდა თანხმობით ნიანიამ, —  
მწარე სიმართლეა, მაგრამ — ნამდვილია:  
არაბიც ჭკვიანია, არაკიც ფრთიანია —  
სხვის უბედობაზე ხუმრობა ადვილია! —

სომხეთის ბორცვებზე მწუსრია წითელი  
და თვალებდათხრილი ასობით საყდარია;  
დავითს შემოესმა დაღების ქვითინი,  
სომხეთის სიბრალულით გუნებაწამხდარია.

ისევ აფორხილდნენ შამბნარში ცხენები —  
ჩამოხდნენ, მიუყარეს ჩუხჩებს აღვირები.  
წვივებზე ესვეოდნენ შავ-შავი ძელები —  
ვენახის მკლავები — მიწაზე დაყრილები.

დასწვდა ნიანია ცოცხალმკვდარ ვენახს,  
ასწია ლერწი და მტევანი შეაწყვიტა;  
დავითმა გამოართვა, უჩვენა ყველას,  
და, გაოცებული, მტევანს შეაცქერდა.

შეზარა ფეროვნებით მარცვალმა ყურძნის —  
სისხლს ჰგავდა, სინჯარაში ოდნავ წყალგარეულს:  
„თვლებს მაგონებთო შინაურ ყურდგლის —  
იჭვით გადიდებულს, შიშით გადარეულს!..“

მზე მოკვდა, ღრუბლებმა სისხლისფრად იალეს,  
ცხენებმა კანკალით სითხე დააქციეს.  
ცოცხალმკვდარ ვენახში ქვეითად იარეს,  
ათავდა ვენახი და ზეგანზე გააღწიეს.

უეცრად ანისისკენ ცხვირწაწვდილ გორზე  
ნიავმა დაჰქროლა ჩალისფერ ბაირადებს  
და იქვე, სისხლისფერ დაისის ფონზე  
თეთრ ცხენზე მჯდომარე ჭაბუკი დაინახეს.

თემოზე მიებღუჯა უფლისწულს ფრანგული,  
იჯდა ღვთაებრივი თავის ყალანქარზე.  
ტკბილად შეუქანდა ხელმწიფვს ქვა-გული  
საბრძოლო დროშებში პირმშოს დანახვაზე.

ლომს თავის ბოკვერი გერმისთვის შეერჩია,  
ბოკვერს შესტყობოდა ლომობა ბრჭყალებში,  
სამეფო კარვისთვის ადგილი შეერჩია  
და კითხვით შესცქეროდა მეუფეს თვალებში.

თანხმობა უჩურჩულეს სარდლებმა დავითს,  
დავითმა ზევსივით ქალაქში ჩაიხედა,  
მოწყალედ დაუქნია უფლისწულს თავი,  
თვალი გადაჰკრა და ღიმილი გაიმეტა...

ტახტი ედგა ქალაქში  
ერთ დროს სუმბათს სვიანი,  
გალავანი მოველო  
აშოტს ტურფად ქვიანი —  
დაბლა ჩანდა ანისი  
ოქროსგუმბათიანი.

რა საშინელი დალახვრით,  
 რა საზარელი წამით,  
 რით შეიძლება ქალაქს  
 გამოედვიდოს ღამით?  
 იბნ-ალასარი გეპასუხობს,  
 ბრძენი არაბის აზრით:  
 უპირველესად — მიწისძვრით,  
 შემდგომ ამისა — ხანძრით,  
 მესამედ — სამართებლით,  
 ანუ პაწია ხანჯლით,  
 შეთქმული ვაზირისაგან  
 სულთნისთვის თავის წაჭრით...  
 რაიცა ანისს ეხება,  
 მის გაღვიძებას ღამით,  
 ვერ ამოვწურავთ საკითხს  
 აქ ჩამოთვლილი სამით,  
 არის მეოთხე პასუხიც,  
 და სათვალავში ჩადით:  
 შემწვარი ხორცის სურნელით,  
 კაი ქართული მწვადით!

ათას-ას-ოცდა-სამია  
 ქრისტეშობიდან წელი,  
 ანის-ქალაქში ღამეა,  
 ღამე თურქივით ბნელი.  
 ჩაპხუტებია შუბს და  
 ზედ წასთვლემია მოდლილს —  
 სძინავს გოდოლზე ასისთავს,  
 ილ-ოსმან-ყურბან-ოდლის.  
 კისრიდან გამოსაყვანი  
 გამოიყვანა თურქმა,  
 იღლია გამოიფხანა  
 და შეაწუხა ზურგმა.  
 ულვაში შეაცმაცუნა,  
 შიმშილი იგრძნო ძილში  
 და, უცებ, შემწვრის სუნი და  
 კვამლი ეძგერა ცხვირში...

თვალეები გამოახილა,  
 ვიშ, რას ვხედავო ამას!  
 „მწვადიო!“ — წამოაყვირა  
 და გააშტერდა ტრამალს.  
 გალავანგარეთ, წყალგადმა,  
 თვალი დაადგა კოცონს —  
 ორი თუ სამი კოცონი  
 ატკაცუნებდა ქოჩორს.

ასკერს ჩასძახა გოდლიდან:  
„წყალგაღმა გახვალ, რამენ!  
ეგ კუდიანი სომხები  
ნამდვილად მწვადსა სწვამენ!  
თუ ბურვაკს სწვამენ, უტაკე  
იატაგანი ძვლამდი,  
თუ ცხვარს და, მაინც უთაქე,  
აქ მომართვიო მწვადი!“

სომხის სოფლებში მამლებმა  
ყივილი ასტეხეს ცხარედ.  
რამენმა გახსნა კარიბჭე  
და წაბლავუნდა გარეთ.  
ოსმანა ცაში შებრუნდა,  
ისეუ გახედა ღამეს:  
ცოტა არ იყოს, შეცბუნდა, —  
კოცონს ხედავდა თვრამეტს.  
თვრამეტს თვრამეტი ემატა,  
ასი გადიღდა ასით.  
ჯერ შუბი ცაში შემართა  
და წაიშინა თავში,  
მერე დონღუზო, იყვირა,  
ერთი შეჭბლავლა ალაჰს. —  
ბარე ათასი კოცონი  
შემოსწყობოდა ქალაქს...

რა საშინელი დალახვრით,  
რა საზარელი წამით,  
რით შეიძლება ქალაქს  
გამოღვიძოს ღამით?  
იბნ-ალასარი გეპასუხობს,  
ბრძენი არაბის აზრით:  
უპირველესად — მიწისძვრით!  
შემდგომ ამისა — ხანძრით!  
მესამედ — სამართებლით,  
გნებავს, ჰაწია ხანჯლით,  
შეთქმული ვაზირისაგან  
სულთნისთვის თავის წაჭრით,  
მეოთხედ — არის მეოთხეც,  
და სათვალავში ჩადით —  
შემწვარი ხორცის სურნელით,  
კაი ქართული მწვადით!

გოდლიდან გოდოლს გასძახეს,  
დღე თენდებათ ნავსი.  
ჭრაქებით გააჩახჩახეს  
ანის-ქალაქი წამში.

ეს თუ ხანძარი არ არის,  
(რაკი სუნი გვემს მწვადის!)  
ქალაქის თავზე ბოლქვეზად  
მაშ, კვამლი რატომ დადის?  
ხოლო თუ მართლა მწვადს სწვამენ,  
თან შიში არ აქვთ წამხდართ,  
მაშინ, ჩვენთვის რომ არ სწვამენ,  
ეგეც სწორია ნაღდად!..  
მწვადზე გაგზავნილს გახედეს  
(რამენ მოვარდა ფრენით!)  
თვალს აფეთებსო? — ჩაკეტეს  
ჯაჭვის ჩხრიალით ბჭენი...

ქალაქს გასძახეს ნაღართ,  
ბუკებს ჩაჰბერეს ბოღმით.  
სომხურ-ბერძნული ყაყანით,  
თურქულ-ქურთული ოხვრით  
სუმბათის თაღქვეშ მოჰქროდა  
კისრისტენით და ჯგლეით,  
აშოტის ბჭესთან მოგროვდა  
ხალხი თვალების ფშენებით.  
აბულასვარიც მობრძანდა  
და დაღრეჯილმა გლახად  
თქვენს მტერს, რაც იმან იხილა,  
ჩვენს მტერს, რაც იმან ნახა.  
— ყარსისკენ! — ბრძანა წყნარის ხმით,  
სიტყვა გაუშრა ყელში  
და მიწისქვეშა ანისით  
შიკრიკს წაუძღვენენ ბნელში...

### თ ა ვ ი მ მ ნ უ თ ე

რა ღამე დილისკენ შეიმღვრა მგლისფერად  
და თვალმა ცხენ-კაცის გარჩევა შეიძლო,  
გახედა ანისიდან და კორღზე, ტყისპირას,  
ამირამ დავითის დროშები შეიცნო.

— ილ-ალაპ! გურჯები ჩვენს წყალში ცხენს ბანენ!  
— შაითან დაუღ-ბეგ! — ყაყანი განმეორდა.  
დავითმა შეპგზავნა ქალაქში დესპანი  
და აბულასვარის პასუხს დაელოდა.

მაგრამ დროს დავითი ამაოდ ხარჯავდა:  
არც ანის-ქალაქის კარი გაღებული,  
არც თვითონ დესპანი, არც თავი არ ჩანდა —  
თავი დესპანისა, შუბზე დაგებული.

ომიც მკა და თიბვაა  
შრომად შეირაცხება!  
ომი ასიცხებაძღე  
გრგვინავს, მერე დაცხრება!  
ვთიბოთ, სანამ აცხება,  
მზის წურბელა გაძღება —  
ავგისტომი უთენია  
გვმართებს ომის დაწყება!

და უმაღ ბუკსა ჰკრეს, ბანაკი აწრიალდა,  
მზემ ყური ამოჰყო, შეირხა ლაშქარი,  
სამოცი ათასი ფარ-შუბი აპრიალდა,  
სამოცი ათასი თორი და ჩაჩქანი.

ბორცვიდან ბორცვისკენ დროშებით ჩაიქროლეს, —  
მკვირცხლი ფაიკები ტაიჭებს გაჰკვროდნენ;  
ქვეითმა რაზმებმა მტვერი აიყოლეს,  
დაღმართში გზადაგზა კოცონებს აქრობდნენ.

ძირს ახურიანის გამოჩნდა ჭალები —  
სომხები მოსულიყვნენ, სომხების დახმარებით  
წყალში ფუთფუთებდნენ მოალყე ჯარები,  
წყალგაღმა გაჰქონდათ საალყო მანქანები.

აზიის ქალაქებში  
მზეა — სისხლით მორწყული!  
დღეა — რისხვით მოცული!  
ცა — სიკვდილით ორსული!  
ვთიბოთ, სანამ აცხება,  
მზის წურბელა გაძღება —  
ანისის სანახებში  
ვართ ომისთვის მოსული!

დავითს დაესია ნაცნობი ჯინჭველები,  
თვალეზად იქცა და ტაიჭზე გაქვავდა,  
ომის ტრიალებდნენ უკვე წისქვილები,  
საფქვავი აკლდა და ჯერ მისთვის არ ფქვავდა.

წალკაძორს შეჰგზავნა საჩქაროდ ჯონდი,  
გელაძორს დემეტრე აახლა ბაკურიანს;  
ალყის შესაკვრელად ყივჩაღნიც ჩორთით  
სამხრეთით მისდევდნენ მდინარე ახურიანს.

და როგორც ტყისმჭრელმა მოსაჭრელ ჭალაკს,  
ნაბიჯით მავალმა, თავისი მხედრებით  
გარს შემოუარა დავითმა ქალაქს —  
თვალდათვალ გასინჯა სუმბათის კედლები...

როგორც ლომმა კლანჭი გაჰკრას  
და შალვარი გაადროს, —  
ტიტლიკანა პაპუასმა  
ლომს პალმაზე აასწროს;  
ლომი დაწვეს პალმის ჩრდილში,  
ტიტლიკანას სცხელოდეს,  
იწვეს ლომი, პაპუასის  
ჩამოვარდნას ელოდეს;  
ესრეთ სჭირდა აბულასვარს,  
ბეჩავს ესრეთ სცხელოდა,  
იდგა დავით და წაქცევას  
ქალაქისას ელოდა...

მაგრამ უცბად ცისკიდური  
სპით დაბნელდა ყარსის მხრიდან  
და ანისშიც იქედნურად  
დაფა-ზურნა აჭიჭყინდა.  
ოთხი ჯაჭვი განხრიალდა,  
ოთხი კარი განიზიდა,  
ოთხი რაზმი ვეებერთელა  
გამოვარდა ანისიდან.  
(თექვსმეტისას შეუყვარდა  
ომი, როგორც ყმაწვილს სასძლო)  
დავითს გული შეუქანდა,  
გულმა ომი რეჩხით ამცნო.  
ბრძენმან სიბრძნით, ლომმან სიმხნით,  
მამამ სპათა აბჯრიანთა,  
„წაღკაძორით ჯონდის მიხმეთ!“ —  
სთქვა და ოში შთაბრიალდა.  
წინამებრძოლს ანელთ სპისას  
ხმალი მარჯვნივ დაანახა,  
შტერს ბალღსავით ფარი დაჰკრა,  
ზუჩი თავზე დაანაყა.  
ჯერ ანელნი შეაცბუნა,  
შეადრწუნა გული ლაშქრის,  
კვლავ ქალაქში შეაბრუნა,  
სპას ბრძანება წარსცა გაშლის,  
უმალ ყარსელთ მიუბრუნდა,  
ლომებრივმან ქმნით და სახით,  
თავი თავსა შეუჯახა,  
შეუზახა ხმითა მალღით.  
„არა თუ ვით სხვაი ვინმე  
ზურგით უღვა ოდენ ყმათა,

ანუ შორით უზახებდა“ —  
 წინ უძღოდა ლომებრ სპათა.  
 ხრმალს ხმარობდა, ფარს ფარობდა,  
 თან ჩქარობდა ძღვევას თურქის,  
 თუმცა სპაი არ კმაროდა —  
 თუმცა ფიქრი ჰქონდა ზურვის;  
 „ჰკა, წუნკლებსო!“ — დამაშვრალმა  
 თვალი ჰკიდა ბაკურიანს —  
 მოფრინავდა სპა მაშველი,  
 მოსტობავდა ახურიანს.  
 უფლისწული ეჯზე იცნო —  
 გვერდში უდგა ნიანიას,  
 ხრმალს იქნევდნენ, თურქის ლაშქარს  
 მოარღვევდნენ რიარია.  
 ქნევა ხრმლის და ძგერა შუბის,  
 მტვრევა ისრის, თხევა სისხლის,  
 თმენა გაჩეხილი შუბლის  
 და ველური ღრჭენა რისხვის...  
 და შეძრწმუნდა სპა თურქმანთა  
 და უსჯულო მეოტ იქმნა  
 და შებრუნდა სპა თურქმანთა  
 და ქართველი ჩეხვით მიჰყვა...  
 ყივრადებიც დაეწიენ,  
 მუშაკობდნენ, სისხლსა ღვრიდნენ,  
 ბალღებსავით წაესიენ,  
 ცხენებიდან ძირსა ჰყრიდნენ.  
 ომი დაცხრა, ხრმალი გაძდა,  
 ცეცხლი ჩაქრა, ჩაინაცრა —  
 სპამ ოთხივე კარი დახსნა  
 და ქალაქში გადინაცვლა.



უცბად მეფემ თვალი მოჰკრა:  
 გოლიათს ცხენი წაჰქცეოდა;  
 წამოხტა და სამი მოჰკლა,  
 ახლა თორმეტი წასეოდა.  
 მოუნაცვლა მარცხნით მებრძოლს,  
 ხმლით კისერი წააკვნიტა...  
 დავით-მეფეს ლომკაცი ეცნო,  
 სიყვარულით ჩააკვირდა.

ყმას დევსახე ზუჩი ესურა;  
 აჩხაბერად იტყვიან რომელს;  
 ჰაბილოს ჰგავდა და ხტოდა ვეფხურად,  
 ხერხს ატანდა ძალსა და ღონეს.

„რას უყურებთო! — ბრძანა მკაცრად, —  
სისხლს თუ ხედავთო მოყმის თორზე?!  
კი ღირსო კაი თორმეტ კაცად,  
მიეშველეთო ვაჟკაცს დროზე!“

შეტრიალდნენ ჩუხჩები სწრაფად,  
მიაშურეს ეულად მებრძოლს,  
ხოლო მოყმემ თურქები ჰკაფა,  
მტრის გაქცევა მარტომ შეძლო;

მოუბრუნდა ახმახი რყევით  
მეფის ჩუხჩარხს დიდებაშვილს,  
ბეჭები ჰქონდა ბაყბაყდევის და  
სახე ჰქონდა დიდი ბავშვის;

სწვდა აღვირში ჩუხჩარხის ტაიჭს,  
ცხენი ადგილზე გაუქვაკა,  
სახე სახესთან მიუტანა,  
თხოვნა-მუდარით დაუყვაკა:

ჩუხჩობა მწადს, მონა-სპა ვარ,  
მცველად ვახლავარ ამირახორს;  
ერწუხის ომში ნანახი ვყავარ,  
უთხარო მეფეს, დამინახოს“...

ესა სთქვა და დირეს დასწვდა,  
ნანგრევს წკირივით გამოაძრო,  
მოედანზე თურქებთან გაჩნდა,  
„ქიოფო-ოღლის“ თქმა მოასწრო.

ეტყობოდა, სისხლის თქრიალი  
ლხინად უჩნდა, ვინემ საქმედ;  
ცოდვის კითხვა დაატრიალა,  
დააბზრიალა დირე სახრედ.

წამოეპარა ჯუჯა თურქი  
და, ნეკნებქვეშ, აღმაცერად,  
სანამ იდგა ლომკაცი ზურგით,  
იატაგანი დააჭგერა...

ესე ყოველი წუთში მოხდა, —  
დავითს სახე დაედრიჯა.  
უმალ-ჯუჯა თურქიც მოკვდა, —  
ჩუხჩის ქეიბურს გაეგლიჯა.

თუმცა ვაშას გუგუნებდნენ და  
გრუხუნებდნენ ანისის ბჭენო,  
აღვირს დასწვდა უგუნებოდ,  
შეაბრუნა დავითმა ცხენი...

ქარიშხლების ფრთებზე ნარწყვებან,  
 ღვთაებრივმან, ნიჭით და მკლავით,  
 აღისრბოლა  
 ვითარცა არწივმან,  
 მამობრივმან  
 მეფემან დავით.

სისხლის თხევა არ მოსწყინდა და  
 არ მოსწყინდა ძგერა შუბის,  
 უსჯულონი  
 ამოსწყვიდნა და  
 გამობრწყინდა  
 ნებად უფლის.

დღესა მესამეს ომი სრულყო,  
 ომი სრულყო მუნჯრის ველად  
 და აღიღო  
 ანისი და  
 ციხენი მისნი  
 უჭირველად.

ანისის ტაძრად წარემართა,  
 იმუქაფა მტერზედ რისხვით:  
 საყდარი იგი  
 დარიმანთა  
 და მოლათა  
 მორწყო სისხლით.

და აღუბო დედუფალსა  
 კატრონიტეს წესი და რიგი —  
 აღეშენა.  
 ტაძარი რომელს,  
 ესაფლაგა  
 რომელი იქი.

და ჩასძახა სამგზის ერთმან:  
 „შენ, წმიდაო, იყავნ ღზენით!  
 გიხაროდენ, რამეთუ ღმერთმან,  
 ღმერთმან იხსნა  
 საყდარი შენი!“

ძმათა ჩვენთა ხსნის მოჩქარებან,  
ღვთაებრივებან ნიჭით და მკლავით,  
იმუქაფა  
ღმრთის მოყვარებან  
ლომებრივებან  
მეფებან დავით.

ათავისუფლა ხალხი სომხის,  
საწყალნი ქოხნი ალიზისანი,  
პოფელნი და  
ქვეყანანი  
გარს მიმდგომნი  
ანისისანი.

ვამორბოდნენ, „ჯანს“ ჰყვიროდნენ  
დედა-წულით და ჩვილის ბაღლით,  
„ვაპ!“ — ჰყვირობდნენ,  
თან სტიროდნენ  
მეფის დავითის  
პირის ნახვით...

შავს ჰუნეზე იჯდა ბრწყინვალე,  
ქერეჭისფერი ზუჩით თავზე,  
ვერცხლის გობით  
ვერცხლის დინარებს  
მიართმევდა  
ჩუხჩი წამსვე.

ვით მთესველი რასმე თესდეს და  
პირი უჩნდეს დაღლისგან ქუშად,  
ესრეთ დავით  
ხელს ჩაპკრავდა,  
ვერცხლს ჰფანტავდა  
ხალხისკენ ბღუჯად.

ლომებრივად ხმლის მომხმარებან,  
ღვთაებრივებან ნიჭით და მკლავით,  
იმუქაფა  
ღმრთის მოყვარებან,  
მამობრივებან  
მეფებან დავით.

განაგო საქმე მანდაური,  
ჰყო მეჯლისი და განისვენა,  
თვისნი მესხნი  
აზნაურნი  
დაუტევნა  
ანისს მცველად.

ხათრი ხათრად, მადლი მადლად და,  
ზღვიდან ზღვამდე ქვეყნის მპყრობელმან,  
სომხის დიდგაჭრებს  
ესრეთ ჰკადრა,  
ვითარცა მამამ და  
ვითარცა მშობელმან:

„ანუ ხრმალი დაიკიდეთ,  
ვითარცა სპანი იკიდიან,  
ანუ როქის სპა იყიდეთ,  
მეც  
ყივჩაღნი მიყიდიან!...“

ქარიშხლების ფრთებზედ ნარწვემან,  
ღვთაებრივმან ნიჭით და მკლავით,  
აღისრბოლა  
ვითარცა არწივმან,  
მამობრივმან  
მეფემან დავით,

რვათა ძეთა მისთა თანა,  
ქალთა, სძალთა, ძმასთან ერთად,  
„წარმოიყვანა  
აბულასვარ  
და ჩარგზავნა  
აფხაზეთად“.

## მ ბ ი ლ ო ბ ი

ბრუნდებოდა, სპა ანისით ბრუნდებოდა,  
სად მახვილით სამართალი ვყავით.  
ოცდაათი წელიწადი სრულდებოდა,  
აზიაში ხრმალს იქნევდა დავით.

ღმერთს ჭეშმარიტს და ერთადერთს მსახურებდა:  
შავს ჰუნეზე ქვიშისფერი ჩაჩქნით  
ჯდა, და ბორცვებს სომხეთისას გაჰყურებდა,  
დამძიმებულს საქართველოს ლაშქრით.

ქმნა მართლისა სამართლისა აღგვამაღლებს,  
განგვაღაღლებს ძლევა მტერთა ჩვენთა,  
მაგრამ მეფეთ იღუმალის ხმაც განაგებს —  
უცბად დავითს მოეძალა სევდა...

სევდა იგი უკვდავი და მარადია,  
ნუეინ ჰგონებს — ზადია და ხინჯბ!  
სევდა იგი პოეტების ტალანტია  
და მეფეთა ოდენ დიდთა ნიჭი!

მაგ სევდაში — დალლაა და სიბერეა!  
სხვა რა რჩება უკანასკნელ გზამდე?!  
უკვე გქონდა ვებერთელა იმპერია  
გადაშლილი, დავით, ზღვიდან ზღვამდე!

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მტრიანი,  
მაგრამ ქრისტედ, აღდგენილად მკვდრეთით,  
უკვე გქონდა საქართველო მთლიანი  
და მთლიანზეც ბარეორჯერ მეტი!

დიდს დიდებას, მოპოვებულს მახვილით,  
მათრობელა ბანგი ახლავს ზმირინის;  
უკვე გქონდა ხანძარივით სახელი  
პროზს, აფრიკეთს, ევროპს ხმაგასმენილი!

აღესრულენ ოცნებანი ფერადნი:  
სხვად ათინად და უადრეს მისად,  
უკვე გქონდა, უკვე გქონდა გელათი  
საყდრად ქვეყნის და საქვალედ თვისად...

არარაის იყავ, დავით, მოხოველი,  
უკვე გქონდა წილად უფლისანი  
წყალობანი, წყალობანი ყოველნი,  
გალობანიც  
სინანულისანი.





## ნუ გეუინია, ღელა

— რას აკეთებ აქ, ჯაყელო? — მეს-  
ჟის ზურგს უკან ფეხზე ვღებები. ჩემს  
წინ მწერალი დგას.

— არაფერს, ამხანაგო ლეიტენანტო,  
შაქარს ვაჭმევ მერაბიას!

— დიდი გახდა შენი მერაბია!

— ძალიან გაიზარდა!

— რატომ დაარქვი მერაბია?

— აბა, რა ვიცი, უცებ დავარქვი,  
ერთ ჩემს ნაცნობს ერქვა...

— დათეს გავდა ის შენი ნაცნობი?

— პირიქით, სულ არ გავდა, ხასია-  
თით გავდა.

— იმასაც შაქარი უყვარდა?

— არ ვიცი, ალბათ უყვარდა!

— შენ რომ წახვალ, რა ეშველება  
შენს მერაბიას.

— რა უჭირს, მალე დავავიწყდები.

— რაც უფრო გაიზრდება, უფრო შე-  
გეჩვევა.

— შეიძლება. ცოტა ხანს გაუჭირდე-  
ბა, მერე დავავიწყდები.

— ჯაყელი, რატომ არ ისვენებ? —  
მკითხა უცებ მწერალმა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“  
№ 5, 6.

— არ მინდა დასვენება, ამხანაგო ლეიტენანტო.

— წუხელ ხომ მორიგეობდი?

— დიახ.

— მერე არ გეძინება?

— არ მეძინება, ამხანაგო ლეიტენანტო! — მწერალი დაფიქრდა, ჯიბეები მოიხსრია.

— სიგარეტი ხომ არ გაქვს? — მკითხა. მივაწოდე და ასანთი ვაკარი, მოუკიდა, მერე მერაბიას გვერდით, თივაზე დაჯდა, ახლა მან დაუწყო მუცლის ფხანა, მერაბია გაიტრუნა.

— ჯაყელო, სახლში წასვლა არ გინდა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— სახლში წასვლა ვის არ უნდა, ამხანაგო ლეიტენანტო? — გამეღიმა მე.

— ჩხარტიშვილს ველაპარაკე, ერთი კვირით შევბუღება მოგცა, ხვალ დილით წახვალ, წადი სახლში და დაისვენე ერთი კვირა.

— გმადლობთ, ამხანაგო ლეიტენანტო!

— კარგად დაისვენე!

— გმადლობთ, ბატონო ვლადიმერ!

— მადლობა ჩხარტიშვილს უთხარი.

— ვეტყვი, ბატონო ვლადიმერ! —

იგი წამოდგა, მხარზე ხელი მოახვია და ყაზარმისაკენ წამომიყვანა ნელი ნაბიჯით. კარებთან რომ მივედი, გაჩერდა, მეც ვაჩერდი. ასე ვიდექით დიდხანს. სიგარეტი გადააგდო და უცებ ახალი მთხოვა. მივაწოდე და ისევ მოუქიდე. მერე შეტრიალდა და ზღვისაკენ წავიდა.

ორიერაყა. თბილისის სადგურის მოედანს ორი სახვეტი მანქანა მოჰყვებოდა გუგუნიით. მათ უკან კიდევ ორი სარწყავი მანქანა მიდიოდა ნელი სვლითა და ქშენით. წყლის შადრევნებით. უზარმაზარ თეთრეშვებიან ზღვის ლომებს ჰგავდნენ. მათ ნაკვალევზე ასფალტი სარკესავით თამაშობდა. მატარებლიდან ვაგონის დახუთული და მკავე სუნი ჩამომყვა. შუბლი უთოსავით მიხურდა. ერთ-ერთი მანქანა რომ მომია-

ხლოვდა, რატომღაც, არ მოვერიდე. ჩემები დამსველდა და სახეზე შადრევანის შეხებები მეცა. სასიამოვნო ყრუ-ანტელმა დამიარა. ღრმად ჩავისუნთქე. ფილტვები გრილი, სუფთა და ნოტიო ჰაერით ამევსო. სიამოვნებისაგან თავბრუ დამეხვა, უცებ ქული მოვიხადე და ასე ქულმონხილმა გავიარე, მეორე მანქანის შადრევანში, თავიდან ფეხებამდე გავიწუწე. მძლოლმა მანქანა გააჩერა, ფანჯრიდან თავი გადმოჰყო.

— ეე, სიმონ, დაგარტყა? — მკითხა მან და ცხვირწინ ხელი გამიქნია.

— გამარჯობა, ჯიგარო! — ვუთხარი მე და მის ჰაერში გაშვერილ ხელს ჩემი ხელი შევაგებე, მაგრად ჩამოვართვი.

— აბა, შენა ყოფილხარ აი?! — სინანულით მითხრა მან, ხელი გამომართვა. საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიღო, დაატრიალა, დაუსტვინა და მანქანა დაძრა.

— მე ვარ, მე, ჯიგარო! — გავუღიმე და ხელი დავუქნიე წასულს.

— მე ვარ, მე! — სადგურის ქუჩით ვეშვები დაბლა ნინოშვილის გადაკვეთამდე.

— გამარჯობათ, მგზავრებო, გამარჯობათ, თბილისელებო, სად ვარბიხართ, ჯერ ხეირიანად არც კი გათენებულა. მე ხომ არ გამირბობთ, გაწუწულს რომ მხედავთ. ცაში რას იყურებოდით, წვიმს გგონიათ? არა, არც წვიმს, არც წვიმდა, არც აპირებს წვიმას, შეხედეთ. რა მოწმენდილი ცაა, სარკეს ჰგავს დალოცვალი, მაშ არ იკითხავთ, რაზე ვარ სველი? აი, ასევე მწვანე სამხრეებით, მწვანე ქუდითა და ლურჯი ჩემოდნით პირდაპირ ზღვიდან ამოვედი. ტალღამ ამომადგო. აბა, როგორ გინდოდათ, წყლიდან მშრალი ამოვსულიყავი? წყლიდან მშრალი ვინ ამოსულა, მე რომ ამოვიდე! — გამარჯობათ, ნინოშვილის ქუჩის მეზობელებო, ეს თქვენ მოაქუჩეთ შემოდგომის ფოთლები და თქვენ მოუქიდეთ ცეცხლი? ფრთხილად, თბი-

ნოლად ლუბაძე  
ნუ გაჟინია, დედა

ლისი არ დამიწყვით, ჩემი თბილისი, თორემ დედას გიტყობთ. — გამარჯობა, ნინოშვილის ორმოცდაათი ნომერი! ჯერ არ წაქცეულხარ? ისევ გიდეგას სული? შენს გამძლეობას გაუმარჯოს! გამარჯობა, ჩემი ეზოს რკინის ალყავთ, დარუბანდის ციხის კარს რომ ჰგავხარ, როგორ ჩამოგვარდნიან მხარი, გამარჯობა, ჩემო ონკანო, გამარჯობათ, რიგში ჩამდგარო კასრებო. ჩიუნებო, დოქებო, ბოთლებო, ქილებო... ბოლო რომელია, ვინ არის ბოლო?! მე თქვენს შემდეგ ვარ! გამარჯობათ, ბელურებო, რას ფართიფურთობთ ონკანის გარშემო, პირს იბანთ? რამ შევაშინათ, რას აცვივლით აკაციაზე, ვერ მიცანიო? მე ვარ, ავთო ჯაყელი, გამარჯობა, ძიარუბენის სახელოსნოვ, ეგ როგორ დაგემართა, ძიარუბენ. ვიტრინაში შუქი დაგრჩენია ანთებული, ვაჰ, ვაჰ, ამ თვეში ხომ სინათლის ფულის აბაზით მეტის გადახდა მოგიწევს! გამარჯობათ, საათებო, ჯიბის საათებო, მაჯის საათებო, კედლის საათებო, როგორა ხართ, ხომ კარგად ხართ? ხომ კარგად მუშაობთ? აუ, რა დრო გასულა, რაც არ მინახავხართ, წელიწადნახევარი გასულა! რა ბეგრი დროა, საათებო, რა ბეგრი დროა, აფსუს, უჩემოდ რამდენი გივლიათ. გამარჯობა, სარეცხო, გაქათქათებულ სარეცხო, გამარჯობა, პერანგო, რაღაც ვერა გცნობ, ვინა ხარ, ახალი ბინადარი ხარ? რა პატარა და სასაცილო ხარ, ვისი ხარ, პერანგო? გამარჯობა, დადუნა, ხომ ტყბილად გძინავს? გამარჯობა, კიბევ, ჩემო კბილებჩამტვრეულ კიბევ, რა გახდა ორი მოკლე ფიცარი კბილები რომ ჩაგიდგან! გამარჯობა, კარო, ლურჯად შეღებილო კარო, სამწარწერიანო კარო! გამარჯობა, ჩემო ელექტროდილაკო. არ შემარცხვინო, დენი ხომ არის? დარეკე ზარო, დარეკე, შენი ჭირიმე, გაილე კარო, სეზამ, გაილე!!!

— გამარჯობა, ვანიჩკა ბიძია!

— გამარჯობა, ბიჭო ავთო!

● სალამოს, უცხო ენების ინსტიტუტი. წინ უამრავი ვაყები დგანან, თერთმეტ საათის შესრულებას ელოდებიან. თერთმეტ საათზე ლექციები მთავრდება. დგანან ბიჭები, ვაკის პარკის რკინის ლობის გასწვრივ და ელიან. დგანან ცალ-ცალკე, ერთმანეთის მოშორებით, ზოგი მანქანით, ზოგი უმანქანოდ. საათებზე იცქირებიან, ზოგს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს სეირნობს. მოვა, სიგარეტს გიკიდეგს, თითქოს არაფერი იყო, საკუთარი საათი აქვს, მაგრამ სიგარეტს რომ გაუწვი ცეცხლის მოსაკიდებლად, თვალი მაინც შენი საათისაკენ გაურბის, საკუთარ საათს არ ენდობა. თერთმეტს რომ თხუთმეტა წუთი აქლია, პირველი გოგონა აღებს უცხო ენების ინსტიტუტის კარს, მორბის, პალტოს გზადაგზა იცვამს, მანქანებს არ ერიდება, აქეთ-იქით იცქირება, ეს ყველაზე სულწასულია. წუთით დგება. უცებ ვაყების გრძელ ჯაჭვს ვინმე გამოეყოფა და გოგონასაკენ მოდის, თავდაპირვლად, ვითომ აქ არაფერი იყო, ვითომ არ ეჩქარება. ვითომ მაინც და მაინც არ უხარია, ისინი ერთმანეთს ხელებიან. მერე იწყება დაუსრულებელი დენა გოგონებისა, საოცრად ლამაზი გოგონებისა, მოდიან მდინარესაკით, ყვავილების მდინარესაკით, ფერად-ფერადები და სურნელოვანი, წითელი, ყვითელი, ქერა, წაბლისფერი, ვერცხლისფერი, ალისფერი, შავი, ყურყუმა შავი, მოლურჯო თმებით, მოკლე კაბებით. ჩექმების, წვრილქუსლა ფეხსაცმელების, ბრტყელცხვირა ფეხსაცმელების, მოკასინების, ქოშების ბაკუნით, მხარზე ათასფერჩანთებგადაკიდებულები მოდიან, უერთდებიან შავ კოსტუმებზე ქათქათა თეთრსაყელოგამოწყობილი თბილისელი ბიჭების ნაკადს. ერთ ხანს ასე, ორ სხვადასხვა ფერის ნაკადად მიედინებიან ამ ფართო და ლამაზ ქუჩაზე, მერე ირევიან ერთმანეთში, მოედანთან მორევით ტრიალებენ და ნელ-ნელა, პატარ-პატარა ნაკადე-

ბად იღვრებიან უამრავ ქუჩებსა, შესახვევებსა და ჩიხებში. მიედინებიან და აბურებენ სიყვარულის წყურვილით გავარვარებულ, ათრთოლებულ და ხანაგაშრალ თბილისს.

— გამარჯობა, დადუნა! — შემომხედა, წარბები გაკვირვებით აზიდა, ვერ მიცნო. არ ვიცოდი რა მექნა, ქუდი მოვიხადე და უხერხულად გავუღიმე.

— ჯაყო, ვაიმე, ჯაყო! — დადუნამ ხელები მომხვია და ლოყაზე მაკოცა. — საიდან, ჯაყო? როგორა ხარ? ღმერთო, რა სასაცილოა, გავგიცდები, აბა ქუდი დაიხურე! — დავიხურე. დადუნა გვერდზე გადაგა. სახეზე ხელები აიფარა და ასე მიყურებდა.

— გენერალი, მწვანე გენერალი. Хороший наблюдательный пункт! — თქვა მან და გადაიკისკისა. ჩვენს გარშემო ხალხი იღიმებოდა. უხერხულობა ვიგრძენი.

— წავიდეთ აქედან, დადუნა! — ვთხოვე და მკლავში ხელი გავუყარე.

— ჯაყო, ჩემო ჯაყო, საიდან, ბიჭო? ღმერთო, რა სასაცილო ხარ, როდის ჩამოდი?

— დილით!  
— რამდენი ხნით?

— ერთი კვირით. — დადუნა ისევ გვერდზე გადაგა და გადაიკისკისა.

— მწვანე გენერალი!

— როგორ ხარ, დადუ? — ვკითხე მე. სიცილი რომ გაათავა.

— ძველებურად! — მიპასუხა და მკლავი მკლავში გამიყარა.

— როგორ ძველებურად? — ვკითხე მე.

— ძველებურად. ვსწავლობ, თმას და თვალებს ვიღებავ, წარბებს ვიჭნი, კინოში დავდივარ...

— კიდე?

— კიდე? — დადუნა დაფიქრდა. — კიდე, წიგნებს ვკითხულობ, ზაფხულზე პოლონეთში ვიყავი, ტურისტული საგზურით, კიდე რას ვაკეთებ? ვცეკვავ, ვმღერო, ცოტას ვსვამ კიდევაც.

დაბადების დღეებზე! — დადუნამ მოთვლა დაამთავრა.

— კიდე რას აკეთებდი ამ წლინახევრის განმავლობაში? — ვკითხე მე. დადუნამ გაკვირვებით ამომხედა.

— აკი ჩამოგივალე, სხვა რა უნდა მეკეთებინა?

— მე არ გახსოვდი? — დადუნამ ისევ ამომხედა, მერე დაფიქრა.

— არ ფიქრობდი ჩემზე? — გავუშეორე კითხვა და შევჩერდი.

— შენზე? — დადუნამ ხელი გამიშვა, ჩემს წინ დადგა, ყელი მოიღერა და დიღხანს მიყურა. ჩანთა მოიხსნა მხრიდან და, მალაყელიანი ჩექმების გასწვრივ კედლის საათის ქანქარასავით იქნედა. ჩანთა ჩექმის ყელს ხვდებოდა და ზუსტად საათის ხმას გამოსცემდა. თითქოს წუთებს ითვლიდა, ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი სამი, თფუ, დასწყევლოს ღმერთმა, ისევ ჯარისკაცის ჩვევა, სამს ვერ გავცილდი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...

— შენ თუ ფიქრობდი ჩემზე? — მკითხა უცებ და ჩანთა გააჩერა.

— მე, აბა. მეტს რას ვაკეთებდი? სულ შენზე ვფიქრობდი. — ვთქვი და გავწითლდი. გავწითლდი და მიხაროდა, რომ დადუნა თავდახრილი იდგა და ჩემს სიწითლეს ვერ ხედავდა.

— მერე, ერთი წერილი ვერ მომწერე? — მკითხა მან თავაუღებლად.

— არ მიყვარს წერილების წერა, დადუ! — ვთქვი მე გულწრფელად. დადუნას გაეცინა.

— ბიჭო, ერთხელ ვიყავი „საქართველოს ქალის“ ყდაზე და შეიდასი ჯარისკაცის წერილი მივიღე და შენ ამბობ წერილების წერა არ მიყვარსო! ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებული წერილების 99 პროცენტსა და 9 მეათედს ჯარისკაცები წერენ.

— დადუნა, დედას გეფიცები, ბაბუაჩემისათვისაც არ მიმიწერია წერილი! — ვიმართლე თავი.

ნოდარ დუმბაძე  
ნუ გუიზინა, დედა

— წამოდი, წამოდი, შენ თუ ბაბუა-  
შენსა და ჩემს შორის განსხვავებას ვერ  
ხედავ, რა თქმა უნდა, არ მომწერდი.  
— თქვა დადუნამ, მკლავზე ხელი წამაგ-  
ლო და წამათრია. უხალისოდ გავყვიე.

— მე მეგონა, დადუნა... ჩვენი ჯვარ-  
ზე ერთად ყოფნის შემდეგ...

— რა, ჩვენი ჯვარზე ერთად ყოფნის  
შემდეგ?

— ის, რომ წერილებს მაინცდამაინც  
დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... — ენა დამება, რა  
მეთქვა, არ ვიცოდი.

— რატომ? ჯვარზე ჯვარი დავიწე-  
რეთ? რა მოხდა ჯვარზე?

— მე მეგონა, რომ... — აგბლუკუნდი მე.

— მე კი მგონია, რომ ჩვენი ჯვარზე  
ყოფნის შემდეგ ჩვენს ურთიერთობას  
ჯვარი დაესვა. — თქვა დადუნამ და გა-  
ჩერდა.

— კარგი, მე დეგენერატი ვარ, შენ  
რატომ არ მომწერე წერილი? — ვიყ-  
ვირე მე მოულოდნელად და დადუნას  
მხრებში ვტაცე ხელი. დადუნას სახე-  
ზე გაკვირვება გამოესახა და ჩანთა გა-  
უყვარდა ხელიდან.

— რატომ, რატომ?! — დადუნა დაი-  
ხარა, ჩანთა აიღო და ნელი ნაბიჯით  
გაჰყვა ქუჩას. უკან ავედევნე. უნივერ-  
სიტეტის პირდაპირ ვიყავით. ქუჩის სა-  
ათს ავხედე, თორმეტს ათი წუთი აკლ-  
და. დადუნამ ქუჩა გადასერა და ვარა-  
ზის ხეის დაჰყვა.

— დადუნა! — მხარზე ხელი შევახე.  
გაჩერდა.

— დადუნა! — დადუნა ხმას არ იღებ-  
და. შემოვატრიალე და თვალეში ჩავ-  
ხედე. თვალეში ცრემლით ჰქონდა სახე.

— დადუნა, ჩემო დადუ! — ვუთხარი  
ჩურჩულთ და ჩემსკენ მოვზიდე. მომ-  
ყვა.

— მახატე, დადუნა, თუ გიყვარვარ,  
მახატე! — შევემუდარე მე. დადუნამ  
უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და  
გაშლილი თმები მის მხრებზე დაწყო-  
ბილ ხელებზე ცეცხლივით დამეფინა.  
ქრუანტელმა დამიარა ტანში.

— დადუ, ჩემო დადუ! — ავლულულ  
ლდი მე, მერე მკერდზე მივიკარი  
ქვიფთ კოცნა და ვუწყე თვალეზე, ლო-  
ყებზე. ტუჩებში, ყელზე. დადუნა წი-  
ნააღმდეგობას არ მიწევდა, მკლავებ-  
ჩამომშვებული, ზოდუნებული იდგა და  
თვალეში დაეხუჭა.

— Прразойдись! — მომესმა უცებ  
ქუჩის მეორე მხრიდან. ცივად გავუ-  
შვი დადუნას ხელი და იქითკენ გა-  
ვიხედე, საიდანაც ხმა მომესმა. უნივერ-  
სიტეტის ბაღში, ზედ კიბის თავთან  
გრძელ სკამზე ოთხი ბიჭი იჯდა და ხარ-  
ხარებდა. ჯერ ბრაზი მომივიდა, მერე  
უცებ გამახსენდა სამხედრო ფორმა  
რომ მეცვა და გამეღიმა. ბიჭებს ხელი  
დავუქნიე და წინ წასულ დადუნას და-  
ვედევენე. გმირთა მოედანზე ისე ჩავე-  
დი, ხმა არ ამოგვიღია.

— ტაქს დაველოდოთ! — ვუთხარი  
დადუნას, მხარზე ხელი მოვხვიე და  
გავაჩერე. დადუნა გაჩერდა.

— მითხარი რამე, დადუნა! — ვთხო-  
ვე. მან სევდიანი თვალეებით შემომხედა.

— რა გითხრა. ჯაყო? — მკითხა მან  
და მე მომიჩვენა, რომ მის ხმაში რაღაც  
სიცარიელე იყო, რომ ამ წუთში სულ  
ერთი იყო რას ვეტყვოდი ან რას მეტყო-  
და. მომიჩვენა კი არა, იმდენად დარ-  
წმუნებული ვიყავი ამაში, რომ შემე-  
შინდა.

— მითხარი, დადუ, გიყვარვარ თუ  
არა? — ვკითხე ძალიან ფრთხილად  
და გული პასუხის მოლოდინში შემე-  
კუმშა.

— არ ვიცი, ავთო, არ ვიცი! — თქვა  
მან და თავი გაიქნია.

— მაინც მითხარი, გიყვარვარ თუ  
არა?

— შენ როგორ ფიქრობ, ავთო? —  
მკითხა მან.

— მე არაფერს არ ვფიქრობ და არც  
ვიცი, მითხარი, გიყვარვარ თუ არა?

— არა! — თქვა უცებ დადუნამ.

— არ მჯერა! — ვთქვი მე და თვითო-  
ნვე გამიკვირდა, რატომ არ მჯეროდა.

— მაშინ, მიყვარხარ! — გაიღიმა  
დადუნამ.

— არც ეს მკვრა! — ჯიუტად ვთქვა მე. დადუნამ მხრები აიწურა.

— ან ერთი უნდა დაიჯერო, ან მეორე, აქ მესამე არ არსებობს! — და მე მივხვდი, რომ სწორედ მესამე არსებობდა, დადუნასათვის ამ წუთში სულ ერთი იყო, რომელს დავიჯერებდი, იგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ ამ სულელურ საუბარს ბოლო მოღებოდა.

ათამდე მანქანას ავუწიე ხელი, არც ერთმა არ გამიჩერა.

— ჯარისკაცებს არ უჩერებენ, ცოტა გვერდზე მიდექი! — მითხრა დადუნამ.

გვერდზე მივდექი, დადუნას ხელის აწევა არ დაჭირვებია. უცებ შავი, გაბრიალებული „ვოლგა“ მონუსხულივით დაერტო მის წინ. კარი გაიღო, მძღოლი გიჟივით გადმოვარდა, ხელები გაშალა და დადუნასაკენ გამოქანდა.

— ვაა, დადუნა, შენ გენაცვალე, ნატვრისთვის ხარ? აბა, მალე, ახლა შენთან ვიყავი, დედაშენმა თქვა, ჯერ არ მოსულაო. მალე, მალე! — ვაჟმა ხელი სტაცა დადუნას და მანქანისაკენ გააქანა.

— მოიცა, გივი, მარტო არა ვარ, ნუ მიმათრევ, სულელო, მოიცა! — გაუძალიანდა დადუნა.

— ვინ გახლავს? — გაუკვირდა გივის.

— ამხანაგია! — თქვა დადუნამ და ჩემსკენ გამოიხედა.

— ეგ სალდათი?

— ჯაყოა ეგ!

— რომელი ჯაყო?

— ავთო!

— ვინა?

— ავთო!

— წამოიდე!

— მოიცა, კაცო!

— მოიცა არ ვიცი მე, ეგ შენი სალდათი წამოიდე და წამოდი, მეგობარო, მობრძანდით! — დამიძახა მან. მივედი. ვაჟმა მანქანის უკანა კარი გამოაღო და მე და დადუნა ძალით შეგვტენა შიგ. მერე სირბილით მივიდა საჭესთან, კარი მოიჯახუნა, მოტორი ჩართო — წავე-

ლით! — იყვია და მანქანა ცოფიანივით მოსწყდა ადგილს. მხოლოდ ახლ შევამჩნიე, რომ წინ გოგონა ეჯდა, ქართმიანი.

— ვიტა, შენა ხარ? — გაუხარდა დადუნას.

— მე ვარ! — ვიტა გადმოიხარა და დადუნას აკოცა.

— სად მივყავართ ამ გადარეულს?

— ვიცი, სად მივყავართ? ლოგინიდან წამომაგლო. შენთან ვიყავით ახლა.

— სად მივყავართ, ბიჭო? — ჰკითხა დადუნამ გივის.

— „წამოდი ი ერთადა ვიიაროთ.

მსოფლიო შეემოვიიაროთ...“ — წაიმღერა გივი და საჭეზე დოლი გააჩაღა.

— სად მივყავართ ამ შუალამისას, აღარ იტყვი? — ჰკითხა ვიტამ.

— ეხლავე გეტყვით! — თქვა გივი, თავი მოაბრუნა ჩვესკენ და გაგვიღიმა, ძალიან ლამაზი იყო, ოღნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა და ფართოდ გაღიმებული პირი ბროლივით თეთრი კბილებით ჰქონდა გამოჭედული. — დღეს ნელის დაბადების დღეა, ის მოაწყო, რას ეძახით თქვენა? ალაფურშეტ! სწორად ვამბობ? — იკითხა გივი და თვალი ჩამიკრა.

— სწორად ამბობ! — უთხრა დადუნამ.

— აბა, სხვა რა გინდა? — ჰკითხა გივი.

— გვიანია, გივი, დედა გაგიყვება!

— დედაშენმა იცის. რომ არ იცოდეს კიდევაც, რისი გეშინია, არმია გახლავს! — თქვა მან და ისევ ჩამიკრა თვალი.

— ჰო, მართლა, გაიცანი! — გავახსენდი დადუნას.

— გივი! — მითხრა მან და ხელი გამომიწოდა.

— ავთანდილი! — ჩამოვართვი მეც ხელი.

— ვიტა, შენც გაიცანი რა? — სთხოვა დადუნამ.

ნოდარ დუმბაძე  
ნუ გეშინია, დედა

— ვიცნობ! — ვთქვი მე.  
— საიდან? — გაუკვირდა ვიტას.  
— თქვენ ვიტა არა ხართ? აი, აქ, ლოყაზე, ხალი გქონდათ — გავასვენე მე.

— კი, მქონდა, მაშინ ხალები მოღაში იყო. მაინც საიდან მიცნობთ?

— ჯაყოა ეგ, არ გახსოვს ჩემთან?

— უი, მართლა?! — შემობრუნდა ვიტა ჩემსკენ. თვალები მოჭუტა და დამაკვირდა.

— მართლა! — გავუღიმე მე.

— რა გჭირთ? — შეწუხდა უცებ ვიტა.

— რა მჭირს? — შეეწუხდი მეც და დადუნას გადავხედე.

— ეგ რა გაცვიათ?

— ხოო, ჯარში ვარ! — ვთქვი მე და გულზე მომეშვა.

— ააა! — გააგრძელა ვიტამ. — მანქანა სოლოლაკის აღმართზე ავარდა და მახარაძის ქუჩის დასაწყისში გაქვავდა. მე და ვიტა ერთმანეთს შევასკდით.

— გიყი ხარ, ნამდვილი გიყი! — წყენით უთხრა ვიტამ გივის და თმები გასწორა.

— ცეტი ვარ, ცეტი! — კმაყოფილებით თქვა გივიმ და მანქანიდან გადმოვიდა. მესამე სართულზე ავედი. ალაფურშეტი დაწყებული იყო. გივიმ ფეხით შეაღო კარი, შუა ოთახში დადგა და მკლავები გაშალა: „ტრულილას ფული რად უნდააა, ტრულილა თვითონ ფულიააა!“ — ნახევრად ბაიათის ხმაზე წამოიწყო მან.

— ვა, შენ გენაცვალე, გივი მოვიდა, — გაუხარდა ვილაცას.

— მოდით, გოგოებო! — მიგვიპატიუჯა გივიმ. — ერთი ნახეთ რა ხალხი მოვიყვანე! — ვიტას და დადუნას გამოჩენას არანაკლები აღტაცებით შეხვდნენ. მე ყველა გაკვირვებითა და მორიდებული ღიმილით მიცქერდა.

თავისუფალი სავარძლები მოგვართვეს და ალაფურშეტი გაგრძელდა. თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი. და ვიდრე ჩემს სასაცილო მდგომარე-

ობას შევეჩვევოდი, ჩემს გვერდით დაბალ მაგილაზე მდგარი კონიაკით ვიჭევი. ვიტა გადავკარი და სიგარეტს ცეცხლი მოვუვიდე. აქვე, ვეებერთელა შანდალში აციმციმებული, მკლავისსიმსხო, ვარდისფერი სანთლიდან. კონიაკმა ცოტათი დამამშვიდა და ძარღვები გამითბო, ოთახისა და მის ბინადართა შესწავლა დაიწყო. ოთახი ძალიან ჰგავდა დადუნას ოთახს, იმდენად ჰგავდა, რომ წუთით ვიფიქრე, ისევ ის საღამო გრძელდებოდა, წლინახევრის წინ რომ დაიწყო დადუნასთან, ისევ იმ სავარძელში ვიჯექი და გაოგნებული ვადევნებდი თვალს როიალზე ჩამწკრივებული სპილოების თავბრულდამხვევ კარუსელს. ჩემს პირდაპირ, როგორც მაშინ, წლინახევრის წინ, გელა იჯდა, გვერდით ისევ მკლავებდაბერილი მუტრუკი, ანზორი ეჯდა. რომ შევედი, ვერ მიცნეს, მერე უცებ მკლავებდაბერილმა მიცნო და პოეტს მუხლზე მოუჭირა ხელი, იმან გაკვირვებით გადახედა მკლავებდაბერილს, მკლავებდაბერილმა რაღაც გადაუჩუქრჩულა და მე დავინახე, როგორ გაწილდა გელა. სახე ავარიდე. ოთახის თვალიერება განვაგრძე. კუკური, როგორც მაშინ, როიალთან იჯდა, კლავიშებზე იდაყვდაყრდნობილი და ხმას არ იღებდა. ოთახის კუთხეში პოეტი ქალი, მზია იჯდა. თეთრი შალი მოესხა მხრებზე, ფეხი ფეხზე გადაედო და გემრიელად აბოლებდა სიგარეტს. ძალაუნებურად ახალი სიგარეტი ამოვიღე, ძველზე მოვუკიდე, ფეხი ფეხზე გადავიდე და ზუსტად ისე გავაბოლე, როგორც მზია აბოლებდა. მზიას გვერდით იზდა იჯდა, ტანტზე ფეხმორთხული და ყავას სვამდა. დანარჩენები უცნობები იყვნენ. ძალიან უსიამო გრძნობამ შემიპყრო. ისევ დავისხი კონიაკი და გადავკარი. დადუნა თვალს არ მაცილებდა. კონიაკი რომ გადავკარი, მოვიდა და გვერდით დამიჯდა.

— ჯაყო, არ გინდა, ნუ დათვრები! — მთხოვა მან.

— არა, დადუნა, შენს თავს ვფიცავ, არ დათვრები! — გავუღიმე მე. —

თავს უხერხულად ეგარძნობ და იმიტომ ვსვამ, ახლა ვნანობ. რომ წამოვედი, მანინც როგორ მიყურებენ.

— ყურადღებას ნუ აქცევ, ისე, მართალი ვითხრა, დიდი უცნაური კაცი ხარ, ვითომ არ შეგეძლო ეს სამხედრო ფორმა გაგეხადა და ისე შემხვედროდი?!

— რატომ უნდა გამეხადა? — ვკითხე მე გაკვირვებულმა.

— ჰო, კარგი, კარგი, დაწყნარდი, არ უნდა გაგეხადა, ოღონდ გთხოვ, თავი შეიკავო.

— გეფიცები, ხმას არ ამოვიღებ, მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე გალახული ვყავარ იმ მუტრუქს.

— კარგია, თუ გახსოვს. ეს შენი ჩამოსვლისა იყოს, ჭაყო! — მითხრა მან, გამიღიმა და სავესე ჭიქა შუბლზე მომიჩახუნა. მეც გავუღიმიე და თავი დავუქარი.

მაგნიტოფონი ძალიან ნელ და მელოდითურ ბლუზს უკრავდა. ნახევრადჩაბნელებულ, მკრთალ, ლურჯი ფერით განათებულ ოთახში სიგარეტების კვამლი ქარისაგან ვაწეწილი თეთრი ღრუბელივით დაბორიალობდა. რამდენიმე წყვილი ცეკვავდა. ძალიან, ძალიან ხმადაბლა საუბარს ხანდახან გივის მოულოდნელი წამოძახილი ან ხმამაღალი სიცილი არღვევდა.

— ნელი! — დაუძახა დადუნამ — ძალიან მაღალ და ლამაზ გოგონას. იგი ღიმილით წამოვიდა ჩვენსკენ, თვალები ქართულ ფრესკასავით უსაშველოდ დიდი და სევდიანი ჰქონდა. მოვიდა და ჩვენს პირდაპირ დადგა. ფეხზე წამოვდექი.

— ბრძანდებოდეთ! — გამიღიმა მან. სასწრაფოდ დავკეჭი.

— გაიცანი, ნელი, ეს ჭაყოა, ავთანდილ ჭაყელი, ჩემი მეგობარი! — თქვა დადუნამ.

— ვიცი! — თქვა ნელიმ და ისევ გაიღიმა. მე ისევ წამოვდექი. დადუნამ სამი ჭიქა შეიავსო კონიაკით.

— ჭაყო, დღეს ნელის დაბადების

დღეა, დალოცე. — მითხრა დადუნამ და ჭიქა მომამოდა. ჭიქა ჩამოვართვი.

— კიდევ ას წელიწადს იცოცხლეთ. ნელი! — ვთხოვე მე.

— ბევრია! — მითხრა მან.

— რამდენი წლის ბრძანდებით? — ვკითხე მე.

— ოცის! — თქვა ნელიმ. დადუნამ გაიცინა. ნელიმაც გაიცინა.

— ოცდაერთის! — გაასწორა შეცდომა ნელიმ. დადუნამ ისევ გაიცინა.

— რაც არ უნდა იცინო, მეტს აღარ მოვუმატებ! — უთხრა ნელიმ.

— მაშინ კიდევ 79 წელს იცოცხლეთ! ვუთხარი მე და დავლიე.

— გმადლობთ! — თქვა ნელიმ, დალია და ჩვენს გვერდით დაჯდა.

— თქვენ ჯარში ხართ? — მკითხა მან უცებ.

— დიას!

— კარგია ჯარში ყოფნა?

— რა თქმა უნდა!

— რატომ?! — დაინტერესდა ნელი.

რატომ? ვაგიფიქრე მე, მერე შუბლი მოვისრისე, რატომ არის ჯარში ყოფნა კარგი? როგორ ავუხსნა ახლა ამას, რატომ არის ჯარში ყოფნა კარგი.

— უფასო ბინა... უფასო ტანსაცმელი... უფასო კვება დღეში სამჯერ... უფასო იარაღი... პარსვა... აბანო და საპონიცი! — გამახსენდა მე. ნელიმ გადაიკისკისა.

— ეი, რა გაციინებთ მანდ, ჩვენც გავგაცინეთ! — იყვირა ოთახის მეორე ბოლოდან გივიმ და ჩვენსკენ წამოვიდა.

— ჯარის ამბებს ვიყვირებ! — უთხრა დადუნამ.

— რა ხდება ჯარში? — მკითხა ახლა გივიმ.

— ჯარის იდეურ-პოლიტიკური დონე მაღალია, დისციპლინა მტკიცე, შეიარაღება ბრწყინვალე, მზად ვართ გამანადგურებელი, საპასუხო დარტყმა ვაგემოთ ნებისმიერ აგრესორს! — მოვასხენე მე.

**ნოდარ ფუფხაძე**

ნუ გეზინია, დედა

— შენ გენაცვალე, რომ დამამშვიდე, თორემ რაც ამერიკელები მთვარეზე დასხდნენ, ცოტა შევშინდი, ზევით არ დაგვარტყან-მეთქი! — გაუნარდა გივის.

— ნუ გეშინია, სამყაროში, ზევითქვევით არ არსებობს. ვინც მთვარეზეა, იმათთვის ჩვენც ზევითა ვართ, — ვანუგეშე გივი.

— ვიეტნამში რა ამბებია, გენერალო? — მკითხა გელამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ძალიან ირონიულად მღიმიოდა და მის გვერდით მჯდარ ცხვირაბრებილ გოგონას განუწყვეტლივ ეჩურჩულებოდა რაღაცას. მივხვდი, რომ დამცინოდა. ის საღამო არ დავიწყებია, გავიფიქრე, მაგრამ არ შევიმჩნიე, ვითომ ვერ გავიგონე, კონიაკი დავისხი და პირთან მივიტანე.

— ხომ არ იცით ვიეტნამში რა ამბებია? — გამიძეორა კითხვა გელამ. ვიღაცამ გაიცინა. ჭიქა ხელში შემაცივდა, დადუნას შევხედე, მუდარით მიცქერდა და თვალებით მთხოვდა, შენი ჭირიმე, შარშანდელი არ გაიმეორო. კონიაკი დავლიე და ჭიქა დავდგი.

— ბატონ გელას ვთხოვთ ლექსი წავგიკითხოს! — მიუბრუნდი ნელის. გელას სახე მოებრცა მოულოდნელობისაგან.

— გელა, მიდი რა?! — გამოიგლიჯა ყელი ნელიმ.

— მიდი რა, გელა, შენი ჭირიმე!

— გელა „სიზმარი“!

— „თეთრი იასამანი“, გელა!

— „ყაყაჩოს ცრემლი“! — წავიდა დაკვეთები გელას მისამართით.

— აღარ ვწერ ლექსებს! — თქვა გელამ.

— რატომ? — ვკითხე მე. დადუნამ ისე მიპწკინა ბეჭზე, ერთი დაბლაღება ქვეყანას მერჩია, მაგრამ თავი შევიკავე.

— პროზაზე გადავედი! — მითხრა მან ნიშნის მოგებით.

— ვიცოდი, რომ გადახვიდოდით! — ვუთხარი მე.

— რაზე შემატყვევთ? — მკითხა მან.

— ლექსებზე! — ვუთხარი მე.  წამოდგა, მეც წამოვდექი.

— ე, ხემინგუეი, დაჯექი! — წამოდგა გივი. — შენც დაჯექი, სუვოროვი! — მითხრა მან და მხარზე ხელი დამადო. მივხვდი, რომ არ დავმჯდარიყავი, დამსვამდა. ალბათ გელაც იგივეს მიხვდა და უხმოდ დაჯექით ორთავე.

— გოგო, რა უბედურებაა ამ სათითურებით რომ გვასმევ, სტრუბტომიციონია? — მიუბრუნდა გივი ნელის. — მოიტანე დიდი ჭიქა და მაჭეიფე.

— აზიატი ხარ, გაუთლელი! — უთხრა ნელიმ და წამოდგა.

— ახლავე გათლილი ჭიქა მომიტანე, თორემ ამ სათამაშო ჭიქებს სულ ფანჯარაში გადაგიყრი! — დამუქრა გივი, ნელიმ ორი გათლილი ჭიქა მოიტანა, გვიმ ორთავე ჭიქა პირამდე აავსო.

— კარგი რა, გივი, სულ ასე იცი, აუცილებლად უნდა აურიო. ვისაც როგორ უნდა, ისე დალიოს! — ძლივს გავიგონე წელწადახვევრის შემდეგ კუკურის ხმა.

— არავის არ ვაძალე, ჩემო იანკუკურა, ვისაც როგორ უნდა და რა უნდა, ის დალიოს. თქვენ დალევთ? — მკითხა მან.

— რატომაც არა! — ვუთხარი მე.

— აი კაცი! — თქვა გვიმ და ჭიქა მომიჩახუნა.

— თქვენს ჩამოსვლას და ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — თქვა გვიმ და ჭიქა გამოსცალა.

— გაუმარჯოს! — ვთქვი მე და ნელნელა დაუწყე წრუბვა კონიაკს. ჯერ მკერდი შემიხურა კონიაკმა, მერე თანდათან საფეთქლებისაკენ წავიდა, შუბლზე სიმხურვალედ დამედვარა. თვლები დაგხუჭე. ასე ვიყავი ერთ ხანს და როდესაც თვალები გავახილე, შემეშინდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა, კუთხეში მდგარი როიალის სახურავზე სპილოები ამოძრავდნენ, ჭალი შექანდა, მკლავებდაბერილს გავხედე. იგი ჯერ ისევ ისე იჯდა, არ დაპატარავებულყო. გელა ვიტას ეკამათებოდა რაღა-

ცაზე, ყური მივუვლე; ვილაყის სტატიაზე ლაპარაკობდნენ.

— არ უნდა დაეწერა!.. — ამბობდა გელა.

— რატომ? — ეღაფებოდა ვიტა.

— იმიტომ, რომ არ უნდა დაეწერა, ისიც ცენტრალურ პრესაში.

— რაზე ლაპარაკობენ? — ვკითხე გივის.

— ერთმა ჩვენმა მეგობარმა, გურამი ჰქვია, შენ ალბათ არ იცნობ, სტატია გამოაქვეყნა ცენტრალურ გაზეთში. კრიტიკული სტატია.

— რის შესახებ? — ვკითხე მე.

— ყველაფერის შესახებ;

— მაინც?

— როგორ გითხრა, ყველაფერზე — გოგონები რომ პაპიროსს წევნენ, ქართველები რომ მოსკოვში ყვავილებს ჰყიდიან, შექრთამეობა რომ მომძლავრდა. აბა, რა ვიცი, ყველაფერზე; ცა და ქვეყანა, ძაღლი და მამაძაღლი რომ დისერტაციებს იცავს, იმაზეც წერს, სამი მანქანა რომ აქვს კაცს, ოთხი აგარაკი, ხელფასი ასი მანეთი და კაციშვილი რომ არ ეკითხება საიდანო ამასაც წერს, მოკლედ ჩეხავს რა?! ერთი შავის დედაც ვატირე, კისერი უტეხიათ, მოდი, ჩვენ დავლიოთ. — თქვა გივიმ, ჭიქა გამივსო, თვითონაც შეივსო და ისევ მომიჯახუნა. — ხომ არ წავიკითხავს?

— წავიკითხე! — ვუთხარი მე და ჭიქა მოვსვი.

— თქვენც წავიკითხეთ? — მომიბრუნდა უცებ ვიტა.

— დიახ! — ვუპასუხე მე და სიგარეტს მოვუყიდე.

— მძაგეწონათ?

— ძალიან!

— ესეც მე ვარ? — მიუბრუნდა ვიტა გელას.

— ნახე შენც ავტორიტეტი! — თქვა მკლავებდაბერილმა და ცალყბად გაილიძა.

მე სისხლი ამივარდა ტვინში, მაგრამ თავი შევიკავე.

— კაცი რომ თავისი ქვეყნის ნაგავს გარეთ გაიტანს, თქვენ ეს დიდ სასახელო საქმედ მიგაჩნიათ? — მკითხა გელამ და სიგარეტი საფერფლეს დააწყულიტა.

— კი! — ვუპასუხე მე.

— შენც ასე ფიქრობ? — მიუბრუნდა გელა ვიტას.

— შენ გინდა, რომ ყველამ შენსავით იფიქროს? — შეუბრუნა კითხვა ვიტამ.

— სხვასაც აქვს ნაკლი, მაგრამ არ წერს! — თქვა მკლავებდაბერილმა და გელას გადახედა.

— მით უარესი მათთვის! — ჩაერია ლაპარაკში მზია — პოეტი ქალი.

— ნაკლის დაფარვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაკლი არ არსებობს. თავის მოტყუებაა, მეტი არააფერი.

— არ არის სავალდებულო ქვეყანამ გაიგოს, რომ ოჯახში მახინჯი შეილია. — თქვა გივიმ. — მეც მაქვს მანქანა, აგარაკიც და ფულიც. მაგრამ არაფერს არავის არ ვუშავებ, არავის არაფერს ვთხოვ. პირიქით, იქით ვეხმარები.

— საიდან გაქვს? — ჰკითხა მზიამ.

— საიდან და მამაჩემს აქვს!

— მამაშენს საიდან აქვს, არ ეკითხები?

— მამაჩემს რომ ეგ ვკითხო, სახლიდან გამაგდებს, გიყი კი არ ვარ! — გაიცინა გივიმ და კონიაიც მოსვა.

— მაგაზე არ არის ახლა ლაპარაკი. — ჩაერია საუბარში კუკური, — მაგას თავის დროზე ყველა იტყვის დაკითხვაზე, აქ საკითხი სამშობლოს სიყვარულს ეხება.

— შენ ამბობ, რომ გურამის სამშობლო არ უყვარს? — ჰკითხა ვიტამ.

— ვერაფერი. სამშობლოს სიყვარულია საქვეყნოდ თავი მოსჭრა შენს ქვეყანას. ცხადია, რომ კარგი მეტია, ვიდრე ცუდი, აიღე და კარგი სწერე თუ გიყვარს სამშობლო.

— ნუ გახდით ახლა ერთ ქეციან სტა-

**წოდარ ლუბაძე**  
ნუ გიზინია, დედა

ტიას საკამათოდ და ნუ გაბერავთ. აი, ვის უყვარს სამშობლო, წავიდა ჯარში და იცავს! — თქვა დადუნამ ღიმილით და სამხრებზე ხელი დამარტყა.

— დავიჯერო, ჩემზე უფრო უყვარს სამშობლო მაგას? — იკითხა გელამ და ოთახს მოავლო თვალი. ყველას გაეცინა.

— ალბათ უყვარს! — თქვა მკლავებდაბერილმა. ისევ მომწაწვა სისხლი ტვინში, დადუნას შევხედე. ისიც იღიმებოდა.

— სამშობლოს ენის ტლიკინი არ უყვარს, სამშობლოს საქმე უყვარს! ადრე რომ მეგონა, ის არ ყოფილა სამშობლოს სიყვარული. სამშობლოს სიყვარული სულ სხვა რამე ყოფილა!

— მაინც რა ყოფილა? — დაინტერესდა გელა.

მე ისევ დავისხი კონიაკი და მოვსვი.

— თქვენ როგორი სამშობლო გიყვართ? — ვკითხე უცებ გელას. გელა ჯერ დაიბნა. სავარძელში აწრიალდა, მერე დაფიქრდა და დინჯად დაიწყო:

— მე უნაკლო სამშობლო მიყვარს. ყოველ შემთხვევაში, მინდა უნაკლო რომ იყოს, ყველაფერს კარგს მივეყალმები და ყველაფერი ცუდი მეზიზღება.

— გეზიზღებათ? — ვკითხე მე.

— ძალიან!

— მერე რას უშვებით ამ ცუდს?

— ყოველ შემთხვევაში გურამივით ჭუჭყიანი საცვალი არ გამომიფენია ეზოში საქვეყნოდ გასაშრობად და არ ვყვირი, რაც ცუდი ხდება ჩვენი ბრალით. ჩემი რა ბრალია, თუ ვილაც მორფს იკეთებს და კაცს კლავს, ყველამ თავის თავს მოუტაროს.

— ჭუჭყიან საცვალს. თუ გარეცხავ, მერე რა უჭირს თუ გამოაფენ!

— მე მრეცხავი არა ვარ, პოეტი ვარ!

— თქვა გელამ და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

— ჯობია, მრეცხავი იყო! — ვუთხარი მე და კონიაკი გადავყლაპე. მკლავებდაბერილი სავარძლიდან წამოიწია.

— დაჯექი! — უბრძანა გვიმ და

ჩვენს შუა ჩადგა, — თუ კამათია, ვითი იყოს. — მე არ გავნძრეულა.

— შენ არ იცი, გივი, ამოვიდა ყელში ამ იდიოტის ჭკუის სწავლება. უკვე მეორე წელია, მეორე დაბადების დღეს გვიფუქებს. — თქვა მკლავებდაბერილმა და დაჯდა.

— ჯარში გასწავლეს, ამხანაგო გენერალო, სამშობლოს ასეთი სიყვარული? — მკითხა სახეშეცვლილმა გელამ და ისე გამიღიმა, მივხვდი. სიამოვნებით დამაფუშნინდა მის გვერდით მდგარ ვაშლით სავსე ბროლის ვაზას.

— ჯარში! — ვუპასუხე მე და ზუსტად ისეთივე აზრმა გამიელვა იმავე ბროლის ვაზის მიმართ.

— მაინც რაო, თქვენ როგორი სამშობლო გიყვართ?

— ყველანაირი!

— მაინც, მაინც! — არ მომეშვა გელა.

— ყველანაირი, ცუდი, კარგი, მახინჯი, ლამაზი, მშვიერი, მაძლარი, შიშველი და შემოსილი, ბედნიერი და უბედური... ყველანაირი...

— რატომ ასე, ჯაყო? — მკითხა უცებ გაკვირებულმა დადუნამ.

— იმიტომ, რომ სამშობლო, კონსტანტინე სიმონოვის თქმის არ იყოს, ხაჭაპური არ არის. მარტო ყველი რო გიყვარდეს შიგ და ქერქი არა, არც ქიშმიშინი ნამცხვარია სამშობლო, ქიშმიში რომ ამოარჩიო შიგ და დანარჩენი გადაყარო, სამშობლო ყველაფრიანად უნდა გიყვარდეს — ქერქიანად, ნახშირიანად, ნაცრიანად, მტვრიანად, ნაკლითა და უნაკლოდ, ყველიანად და ქიშმიშიანად. ავადმყოფი, რომელიც უმაღლეს ექიმს ავადმყოფობას, კვდება! — მე აღელვებისაგან პირი გამიშრა და კონიაკი დავისხი ისევ.

— არ გინდა, ჯაყო, გეყოფა, თუ გიყვარვარ! — მთხოვა დადუნამ და ჭიქას ხელი დააფარა.

— გაუშვი, დალიოს! — უთხრა გვიმ და დადუნას ხელი ჭიქას მოაცილა. მე ჭიქა ავიღე და ავღექი.

— სამშობლოს სიყვარულის სადღე



რძელოა? — მკითხა მკლავებდაბერილ-  
მა მუტრუქმა. ხმა არ გაეცეცა, ჯიბეში  
ჩაიკაფი ხელი და შუაზე გაეცეცა ქა-  
ღალდი ამოვიღე.

— ლექსია? — მკითხა შეშინებულმა  
დაღუნამ. ვისაც ჩემი პირველი ლექსი  
ჰქონდა მოსმენილი, გულიანად გაე-  
ცინა. ვაცალე, ვიდრე დაწყნარდებოდ-  
ნენ და როდესაც თათხში სიჩუმე ჩამო-  
ვარდა. დავიწყე.

დედა!  
ჩემო საყვარელო დედა. წერილი და  
ამანათი მივიღე შენგან, წერილზე ლა-  
ქებია. გიტყობა. რა მჭირს სატირალი?  
თმში ხომ არ ვარ! გათავდეს ეს მეორე  
წელიც და ჩამოვალ. რომ იცოდე, რა  
კარგად ვარ, აკი გწერდი კიდევაც.  
ძალიან კარგად ვარ-მეთქი, არც მწყუ-  
რია, არც მშია, არც მცივა, კინო მე არ  
მაკლია და ცეკვა. ყოველ კვირას მიშ-  
ვებენ ქალაქში. ზღვა გვერდით მაქვს  
და მთა. აქ ყველაფერი ერთადაა —  
ზღვაც, მთაც, ბარიც, ზამთარიც, ზაფ-  
ხულიც, გაზაფხულიც და შემოდგო-  
მაც. მეგობრები კარგი მყავს და მეთა-  
ურებიც. შენი შვილი პეტრო შერბი-  
ნა ყველას უყვარს, წარჩინებული მე-  
საზღვრე ვარ. ჯერ ჯაშუში არ დამიჭე-  
რია. მაიორი ჩხარტიშვილი დამპირდა.  
თუ ორს დაიჭერ. ერთს სახლში გაგა-  
ტან დედაშენ მარია პავლოვნასთანო.  
პა, დედი, რას იტყვი, ჩამოვიყვანო?  
ჩვენი ძალი დამბერდა უკვე, დავაბათ  
ეზოში და ვაყეფოთ და ვაყეფოთ. აქ  
ისეთი მეგობრები მყავს, სულ მხესა  
და მთვარეს ჩემზე იფიცებენ. იძახიან,  
ნეტავი დედაშენს, რა შვილი გაუზრ-  
დიაო, ჩვენ რომ შენისთანა შვილები  
გყავდეთ ჩვენს მშობლებს, რა უჭირთო.  
აღრეც გწერდი, ერთი ქართველია, ჯა-  
ყელი, მეორე ჩვენებური პარხომენკო,  
ჩვენმა კოლმეურნეობამ რომ ბუღა ჩა-  
მოიყვანა ჩერნიგოვიდან იმას ჰგავს. სუ-  
რათს გიგზავნი. სამნი ვართ. შავი ჯაყე-  
ლია, დანარჩენს მიხვდები. ეს საქართ-  
ველო, თედორეს ქსენია რომ გიყვებო-  
და, ის არ გეგონოს. სულ ტყუილია, დე-  
და, ახლა რომ მაგონდება, მცხვენია კი-

დედაც. ამ ჩაის და მანდარინს, პურს  
რომ სჭირდება, ათი იმდენი შრომა  
უნდა, ღვინოს კიდევ მეტი. ქართველე-  
ბი რბილი ხალხია, ჭკვიანი, ალერსიანი,  
სიმღერა უყვართ. დედის გინებისათვის  
შეიძლება კაცი მოჰკლან. ამხანაგი უყ-  
ვართ. ამხანაგის გულისთვის სახლს გა-  
ყიდნიან, ოღონდ შენც სამაგიერო სიყ-  
ვარულს გთხოვენ. ეს ჯაყელიც ასეთია.  
მომკლა, ყოველ დღე მზის ამოსვლას და  
ჩასვლას მაყურებინებს, მზე უყვარს. —  
ქსენია არ შემოუშვა სახლში, დედი,  
სულ ტყუილებს გვიყვებოდა — ჯაყელს  
დედა არ ჰყავს, შენი სურათი რომ ვა-  
ჩვენე, ასე მითხრა, სულ დედაჩემს ჰგავ-  
სო, ტყუილს ამბობ-მეთქი, რომ ვუთხა-  
რი ასე მითხრა — თვალებით ჰგავსო. ალ-  
ბათ მართლაც ჰგავხარ, აბა, ტყუილს  
რატომ იტყვის. დედას იფიცებს ხოლ-  
მე. როდესაც დედას იფიცებს, მაშინ  
არ სტყუის. ქართველები თუ დედას  
იფიცებენ. ხატზე დაფიცებას უდრის.  
კიდევ მეტს. თავისი ქვეყანა სიკაცემ-  
დე უყვართ, საქართველოს სადღეგრძე-  
ლოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან  
კიდევაც. სამოთხესავით ქვეყანაა. დე-  
დი, საქართველო, სამოთხესავით, მაგ-  
რამ ერთი ჩემს ტრამალზე მარბენინა  
აბლა — ერთი ჩემს პურის ყანაში მა-  
გორავა. რომ იცოდე როგორ მენატრე-  
ბი, წინ ამანათი მიდეგს, პურს ჩვენი  
ბედელის სუნი აქვს, არაყანს — ჩვენი  
ძროხის სუნი, მურაბას — ჩვენი ალუბ-  
ლის ბალის სუნი. ხახვს — ჩვენი ბოს-  
ტნის სუნი, ძეხვს — ჩვენი სხვენის სუ-  
ნი და თვითონ ამანათს ჩვენი სახლის  
სუნი აქვს, სკოლიდან მომავალს, კვამ-  
ლის სუნთან ერთად ნიაკი რომ შემა-  
გებებდა ხოლმე. ორი თვეა დარჩა,  
ჩემო თბილო და ჩემო ტკბილო დედი.  
ჩამოვალ და ჩავაბარებ ინსტიტუტში.  
მომიკითხე მეზობლები.

გკოცნი. შენი შვილი პეტრო შერბინა.  
წერილი ფრთხილად დაკეციე, ჯიბე-  
ში ჩაიკიდე, კონიაკი შევსვი ბოლომდე

ნოღარ ღუმბაჟი  
შე გაიშინა, დედა

და დავჯექი. ოთახში უხერხული სიჩუმე იდგა.

— ასეთი უნიჭო წერილი ჯერ არ მომისმენია! — დაარღვია სიჩუმე გელამ.

— ეს შერბინა უკრაინიდან ჩამოვიდა. წვიმაში, თოვლში, ნიაღვარში, ტალახში, სიცხეში, უკუნეთში და სკვარამში იწვა, დახოხვდა, დარბოდა, იდგა და საზღვარს იცავდა... — ვთქვი მე.

— ვინც საზღვარზეა, ყველა ასე იქცევა! — სთქვა მკლავებდაბერილმა — არ არის სავალდებულო ყველანი ჯარში ვიყოთ, ზოგი აქ ვემსახურებით სამშობლოს.

— თქვენ რით ემსახურებით პირადად? — ვკითხე მე.

— მე სხვადავით კრეტინი არ ვყოფილვარ, ჩავაბარე მისადები გამოცდა და ვსწავლობ. — კრეტინი აშკარად ჩემი მისამართით იყო თქმული.

ისევ გადავყალბე წყენა.

— შერბინამ ეს წერილი 28 სექტემბერს დაწერა. შერბინას მეგობარი უყვარდა, დედა უყვარდა, სამშობლო უყვარდა, შერბინას მზე უყვარდა. შერბინამ დათვი იტირა, შერბინას სიცოცხლე უყვარდა და ისე მოკვდა, არ დაუკნენსია, უხმოდ ტიროდა. 29 სექტემბერს, ღამით, დაიღუპა შერბინა. და მე ახლა შერბინას სადღეგრძელო მინდა ვთქვა! — ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი. ჩემდა გასაოცრად ყველანი წამოდგნენ ფეხზე.

— რა მოუვიდა? — მკითხა გივიმ.

— ოცდაცხრაში, ღამით, აი, ისეთი კაცი, ვისაც თქვენ ჭუჭყიან საცვალს ეძახით და გარეცხვა გეზარებათ, იმიტომ რომ მრეცხავები არ ხართ, საზღვარზე გადასვლას აპირებდა და იმის დასაჭერად ჩატარებული ოპერაციის დროს დაიღუპა შერბინა.

— წასულიყო ის კაცი, რას იცვრდით? — თქვა ვილცამ. და მე ვიკრძენი, რომ წონასწორობას ვკარგავდი.

— წასულიყო, არა? თქვენ მიგაჩნიათ, რომ უნდა წასულიყო. ერთი გაიძვერათი ნაკლები იქნებოდა, ხომ? ამას მიაჩნია რომ სამშობლო ხაჭაპურია, ამას მიაჩნია,

რომ ვინც უმაღლესში არ სწავლობდა კრეტინია, ამას არ აინტერესებს საიდან მოაქვს მამამისს, თქვენ არ გაინტერესებთ იმ ნაბიჭვარს რატომ ჰქონდა მორფოსიგან დაგლეჯილი გენები, თქვენ არ გაინტერესებთ, რატომ მოკვდა შერბინა... თქვენ არ გაინტერესებთ, ვინ რას აკეთებს, თქვენ რას მიკეთებთ, თქვენ? აი შენ, მაგალითად, რომ გადავიდვია ფეხი ფეხზე და აბოლებ პაპაროსს, შენ, რომ მიჯდომიხარ მაგ როიალს და ელოდები როდის მოვა შენი რიგი, შენ, ბაირონივით რომ წევხარ სავარძელში და წერ, როგორ უჭირავს ყანჩას ცალ ფეხში დედამიწის სფერო, შენ, რომ დაგიბერია მკლავები და ისევ ისე აგდიხარ მაგ სავარძელში, როგორც დატოვე ორი წლის წინ, რას მიკეთებთ?! ეს არის თქვენი სიყვარული?! ეს არის? მიმიფურთხებია მე თქვენთვის. — ვთქვი მე და ჭიქა იატაკზე დავანარცხე. უცებ დავინახე, როგორ წამოდგა სავარძლიდან მკლავებდაბერილი და როგორ წამოვიდა ჩემსკენ. მას არავინ არ აკავებდა და უცებ ისევ დარეკა საფეთქლებში უზარმაზარმა ზარმა, ისევ შექანდა ჭალი, ოთახის ჭერზე ზუსტად ისე, როგორც წლინახევრის წინ დადუნას ოთახში, ათასმა თეთრმა, ყვითელმა, წითელმა, მწვანე ვარსკვლავმა ჩამიქროლა თვალწინ. ოთახი დაირწა. ჯერ ნელა შემოტრიალდა. მეჩე უმატა, როიალის სახურავზე ჩამწკრივებული სპილოები ზანტად დაიძრნენ და უცებ საოცარი სისწრაფით დატრიალდა სპილოებშებმული კარუსელი. სპილოებზე ამხედრებული გოგოები და ბიჭები ეღვასავით დაქროდნენ ჩემს წინ. ერთი სპილო, ყველაზე პატარა სპილო, ცარიელი ტრიალებდა უმხედროდ. აი, ახლა ჩამომივლის და შევახტები, აი, ახლა, აი, ახლა. ჩამოიარა, გამოვედევნე, ძლივს დავეწიე, ხელი ვსტაცე, გადაველე ზურგზე და გულალმა გადავეარდი მოფარდაგულ იატაკზე.

— ახია მაგაზე! — გავიგონე ვილცის ხმა და უცებ ყველაფერი ვაქრა. ყველაფერი წყვილიადა მოიკცა.

გონს რომ მოვედი და თვალი გავახი-  
ლე, ყველა ნივთი თავის ადგილზე იდ-  
გა, მუსიკა სდუმდა, ოთახი ორად იყო  
გაყოფილი, ერთ კუთხეში მე ვეგდე ია-  
ტაკზე, დადუნა დაჩოქილი იყო ჩემს  
წინ და ვახეთქილი ტუჩიდან სისხლს  
მწმენდა. მის გვერდით გივი იდგა და  
მარჯვენა მჯიღს მარცხენა ხელისგულით  
ისრესდა. ოთახის მეორე კუთხეში კი  
სავარძელზე გადასვენებულ ანზორს  
ასულიერებდნენ. მივხვდი, გივის ნამუ-  
შევარი იყო. წამოვდექი და შევებარბა-  
ციდი. გვიმ ხელი შემაშველა. ოთახს  
მოვაველე თვალი და ჩემსკენ მოპყრო-  
ბილი, შეწუხებული და გაკვირებული  
თვალები რომ დავინახე, შემრცხვა, ისე  
შერცხვა, რომ ტირილი მომინდა, მაგ-  
რამ თავი შევიკავე, სისხლიანი ნერწყვი  
გადავცლაპე ცრემლთან ერთად და შუბ-  
ლზე გამოყოფილი ცივი ოფლი მოვიხო-  
ცე სახელოთი.

— რას გვერჩოდი, ბიჭო, სულში რომ  
ჩაგვაფურთხე ყველას? — მკითხა გი-  
ვიმ.

— ბოდიშს ვიხდი... — ვთქვი მე და  
ისევე მომინდა ტირილი.

— ბოდიში უშველის ამას? — თქვა  
გივიმ და სავარძელზე მისვენებულ ან-  
ზორისაკენ გაიხედა.

— ბოდიშს ვიხდი, მასატივით თუ შე-  
იძლება. — ვთქვი მე და გაფითრებულ  
დადუნას ქუდი ჩამოვართვი. — წავალ  
მე, მეტს აღარ შეგაწუხებთ.

— ამის მეტს რაღას შეგვაწუხებ. —  
თქვა ვილაცამ.

— წავალ მე, მშვიდობით! — ვთქვი  
და კარებისაკენ წამოვედი.

არავის არაფერი არ უთქვამს, ყვე-  
ლანი სდუმდნენ. მე კი ძალიან, ძალიან  
მინდოდა ვინმეს რამე ეთქვა, სულ ერ-  
თია, რას მეტყოდა, ოღონდ რამე ეთქვა,  
მაგრამ არავინ არაფერს ამბობდა. კარი  
გაპოვიხტრე. ქუჩაში რომ გამოვედი,  
სუფთა ჰაერმა გახურებული სახე გამი-  
გრილა და უცებ თავბრუ დამეხვა. იქვე,  
ხის ძირში, პირდაპირ ტროტუარზე ჩა-  
მოვკეჭი. არ ვიცი რამდენ ხანს ვიკეჭი,  
რადგან არაფერზე არ ვფიქრობდი. თავ-

ში უზარმაზარი, ცივი სიცარიელე  
დგა.

მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. არ  
ამიხედია, დარწმუნებული ვიყავი, რომ  
დადუნა იყო და რატომღაც არ მესია-  
მოვნა მისი ხელი მხარზე.

— შენ რა ჩქარი ყოფილხარ, ბიჭო!  
— მითხრა უცებ ხელმა. ავიხედე, თავ-  
ზე გივი მადგა და მიღიმოდა. — შემო-  
დი, გელოდებით.

— არა, წავალ! — ვთქვი მე და წა-  
მოვდექი.

— შემოდი, არც ისეთი მახინჯები  
ვართ, შენ რომ გგონია!

— უნდა წავიდე!

— გაგაცილებ.

— არა, მარტო წავალ.  
— მანქანით წაგიყვან, წავიდეთ  
ქსოვრელებთან მე და შენ, დუღუკებზე  
ვიქეიფოთ შამანიურებით დილაძღე.  
წავიდეთ, თუ ძმა ხარ...

— გმადლობთ, არ შემიძლია, უნდა  
წავიდე, ნახვამდის.

— ნახვამდის! — მითხრა მან და ხე-  
ლი გამომიწოდა. მეც გაუწოდე, ძა-  
ლიან თბილი ხელი ჰქონდა. დიდხანს არ  
მიშვებდა.

— ერთი თხოვნა მაქვს, იმ ბიჭის წე-  
რილი მაჩუქე! — თვალებში შევხედე.  
— მაჩუქე, თუ კაცი ხარ, უარი არ მი-  
თხრა. — გამიმეორა მან. ჯიბეში ხელი  
ჩავიყავი, წერილი ამოვიღე და გადა-  
ვეცი.

— მადლობელი ვარ! — თქვა მან და  
წერილი ჩამომართვა. არაფერი ვუთხა-  
რი. შევეტრიალდი და დაბლა დავეშვი.  
უკან არ მომიხედია, მაგრამ ვგრძნო-  
ბდი, ვიდრე კუთხეს არ მოვეფარე, იდ-  
გა და მიყურებდა.



ვანიჩკა ბიძიას არ ეძინა, მელოდა.  
იგი მაგიდას უჯდა და თავისთავს ჭად-  
რაკს ეთამაშებოდა. მე რომ შევედი,  
თავი არ აუღია. მოწინააღმდეგეს ბო-

ნოდარ ლუგაძე  
წუ ბიზინია, დედა

დღში მოუხადა, — ეს სვლა არ უნდა მეთამაშო, მხედარი უკან დააბრუნა და მხოლოდ შემდეგ შემომხედა. ჩემი გაბთქილი ტუჩი რომ დაინახა, მწარედ გაეღიმა.

— ეს რა მოგვლია, ბიჭო? — მე ლოყაზე და ყბაზე ხელი ავიფარე. — ვინ დაგხატა ასე, ბიჭო? — მკითხა მან.

— გამლახეს! — ვთქვი მე.

— გაგლახეს?! — გაუკვირდა ვანიჩკა ბიძიას.

— ჰო, მცემეს!

— ერთი შენი ნაცემი კაცი მაჩვენა, სულ შენ როგორ გცემენ? — ეწყინა ვანიჩკა ბიძიას.

— რა ვქნა!

— ვინ გცემა?

— ისევ იმან!

— ვინ იმან?

— აი, ორი წლის წინ რომ მცემა დადუნასთან.

— ისევ ღვინო შეასხი?

— არა, ახლა ღვინო არ შემისხია, მთელი ოჯახი გავლანძღე, თავისი სტუმრებიანად, მიმიფურთხებია თქვენთვის-მეთქი, ვუთხარი და ჭიქა თავზე დავაფშვენი.

— რატომ?

— არ ვიცი!

— მართალი იყავი?

— მე მგონია, ჰო!

— მერე?

— მერე არაფერი, ბოდიში მოუხადა და წამოვედი.

— ბოდიშს რაღაზე იხდიდი?

— მე მგონი, სულ მართალი არ ვიყავი! — ვანიჩკა ბიძია დადუმდა და ჭადრაკს მიუბრუნდა.

— დაჯექი! — მითხრა მან. მე ჭადრაკს მიუჯექი და პოზიციას დავაკვირდი, ვანიჩკა ბიძია იგებდა. უხერხული ღუმილი იდგა.

— ის გელა და მისი მკლავდაბერილი მუტრუქი ამხანაგი კარგი ხალხი არ უნდა იყვნენ! — დავარღვიე ღუმილი მე.

— შენ რა იცი კარგი და ცუდი რა

არის? — მკითხა ვანიჩკა ბიძიამ ზიერით ქიში გამომიცხადა.

— გელა ცუდ ლექსებს წერს!

— ცუდი ლექსების წერა ცოდვა არ არის!

— თავი გენიოსი ჰგონია!

— არც ეგ არის ცოდვა.

— ის მეორე, კრეტინია!

— კრეტინობა, მით უმეტეს, არ არის ცოდვა.

— დამცინოდნენ, სულ ამხანაგო გენერალოს მეძახდნენ. — ვანიჩკა ბიძიამ ფორმაზე შემავლო მხერა და გაეღიმა.

— ითამაშე! — მითხრა მან.

— წაგებულია! — ვუთხარი მე.

— მხედარი ჩამოაფარე და არ იქნება წაგებული! — მასწავლა მან. ჩამოვაფარე.

— არ გიფიქრია, რომ ხანდახან შენც შეიძლება იყო სასაცილო? — მკითხა ვანიჩკა ბიძიამ და სვლა გააკეთა პაიკით.

— კი! — ვუპასუხე მე.

— მაშ, რატომ გგონია, რომ შენ კარგი კაცი ხარ და ისინი ცუდები. შენ იცი კარგი კაცი რა არის? ან ვინ არის? — მკითხა ვანიჩკა ბიძიამ და ხელით მანიშნა, სვლა გააკეთეო. მეც წავეყიე პაიკი უაზროდ.

— ეგ ცუდი სვლაა! — გამაფრთხილა ვანიჩკა ბიძიამ.

— ვიცი, მაგრამ სხვა სვლას ვერ ვხედავ! — ვანიჩკა ბიძიამ ფიგურები ერთი ხელის მოსმით მოხიკა და მაგიდაზე დაყარა.

— ეგ არის უბედურება, რომ სხვა სვლას ვერ ხედავ! — თქვა მან. — კითხვაზე პასუხს რატომ არ მცემ, რა არის კარგი კაცი?

— თქვენ ხართ კარგი კაცი. — ვუთხარი გულწრფელად. ვანიჩკა ბიძია დაფიქრა.

— შენ რომ მოგწონვარ, ეგ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კარგი კაცი ვარ.

— რატომ? — ვკითხე მე. ვანიჩკა ბიძიამ კეფა მოიფხანა და გაიღიმა.

— იმიტომ, რომ შენ ჯერ კიდევ საეჭვო გემოვნება გაქვს. შეიძლება ცუ-

დღე. კარგი, ყველას თავისებურად ეს-  
მის. ბიძია ავთო. ერთი კვირის წინ თხუ-  
თმეტი თუმანი ვიპოვე. ავიღე და მი-  
ლიციას ჩავაბარე, მეორე დღესვე გაზე-  
თში გამწერეს „მისაბაძი მაგალითის“  
რუბრიკის ქვეშ. — მოქალაქე ი. ს. კო-  
ტინოვმა ფულს იპოვა და მთავრობას  
ჩააბარაო“, ესე იგი არ მოიპარაო. გეს-  
მის შენ! ქურდი რომ არ ვარ, ამისათ-  
ვის მაღლობა მითხრეს. ერთი თვის წინ  
ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ეზოს რომ ბა-  
რავდა, ერთი პატარა ქოთანს იპოვა, ნი-  
კოლოზის ოქროს თუმნისებობით სავსე.  
იმანაც მილიციას ჩააბარა. აწონეს,  
ცხრაასი გრამი გამოვიდა. არც გაზეთში  
გაუწერიათ, არც არაფერი, ერთი კვი-  
რა დაჰქერილი ჰყავდათ. სანამ დანარ-  
ჩენ ას გრამსაც არ მოიტან, არ გაგი-  
შვებთო. გაიგე ახლა, რა არის კარგი კა-  
ცი და რა არის ცუდი კაცი. — აქვე ვა-  
ნიჩკა ბიძიამ და წამოღდა. მეც წამოე-  
დექი და ჩემი ლურჯი ჩემოდნის ჩალა-  
გება დავიწყე.

— რა დროს ეგ არის, დაიდე მაგ გა-  
ხეთქილ ტუჩზე ცივი ტილო და დაწექი.

— უნდა წავიდე, ვანიჩკა ბიძია! —  
ვუთხარი მე.

— სად? — მკითხა გაკვირვებულმა.

— სოფელში!

— როგორ თუ სოფელში? აკი ერთი  
კვირით ჩამოდი?!

— კი მაგრამ, ამ წუთში ძალიან მო-  
მინდა საზღვარზე წასვლა, სხვა ახლა  
არაფერი არ მინდა.

— ხომ არ გაგიყდი, ბაბუაშენს და  
შურას რა ვუთხრა. ერთი დღით ჩამო-  
ვიდა, იმისათვის, რომ გაელახათ, და  
უკან წავიდა-მეთქი?

— ნუ ეტყვი, რომ ვიყავი, რა მნი-  
შვნელობა აქვს, ნახევარ წელიწადში  
სულაც დავბრუნდები. — ვანიჩკა ბი-  
ძია საწოლზე ჩამოჯდა.

— იქნებ გადაიფიქრო, ბიჭო?

— არა, ვანიჩკა ბიძია, ნუ მთხოვ, შე-  
ნი ჰირიმე, სულ ერთია წავალ.

— რამე ხომ არ გეწყინა, ბიძია, ჩემ-  
გან? — მკითხა მან და თვალები ცრემ-  
ლით ავესო.

— რას ამბობთ, ვანიჩკა ბიძია, პირი-  
ქით, თქვენი ძალიან მაღლობელი ვარ,  
— ვუთხარი მე. მივედი და ლოყაზე ვა-  
კოცე.

— ახლა რითი წახვალ. ბიჭო? —  
თქვა მან და თვალები მოისრისა.

— რამეს ვნახავ.

— წადი, ბიძია, წადი! — თქვა ვანიჩ-  
კა ბიძიამ დუმილის შემდეგ და თავი  
დამიქნია. ჩემოდანი ავიღე და კარი გა-  
ვალე. ცოტა ხანს შევჩერდი კარებში,  
მერე უცებ მოვბრუნდი და ვკითხე:

— ვანიჩკა ბიძია, როგორ ფიქრობთ,  
მე როგორი კაცი ვარ? — ვკითხე და  
გავწითლდი, გული ამიფართხალდა პა-  
სუხის მოლოდინში, ხელეებზე ოფლმა  
გამომქონა. ვანიჩკა ბიძია დაფიქრდა,  
მერე თავისი საოცარი ღიმილით გამი-  
ღიმა და ლურჯი თვალები ააფახულა.

— ჯერ შენ კაცი არა ხარ, ავთო ბი-  
ძია, ბიჭი ხარ, კარგი ბიჭი, საკარგკა-  
ცოდ გამზადებული ცოში, ოღონდ ცო-  
ტა მოზელა გაკლია.

— მე თუ კიდევ მოზელა მაკლია? —  
ვთქვი მე, დაყევილ ყბაზე ხელი მოვის-  
ვი და გულზე მომეშვა.

— ჯერ სადა ხარ! — გამიღიმა ისევ  
ვანიჩკა ბიძიამ.

— ნახვამდის, ვანიჩკა ბიძია!

— კარგად იყავი, ჩემო ბიძიკო! —  
კარი გავიხურე და კიბეზე დავეშვი.

ჰადრისა და აკაციის ფოთლების სა-  
ბანში გახვეული, ნინოშვილის ქუჩა.  
გრილ ნიაგზე ნამთვრალევი კაცივით  
იშმუშნებოდა. ფარდებჩამოფარებულ  
სარკმლებში ნათურები რიგ-რიგობით  
ინთებოდნენ. თბილისი იღვიძებდა.

●  
სოფელში რომ შევედი, ბნელოდა. სო-  
ფელში, როგორც წესი, აღრე იძინებენ.  
ამიტომ, მაღალი, ლამაზი ოდები ჩაბნე-  
ლებული იყო, მხოლოდ აქა-იქ ენთო  
შუქი. ნაწილში არავინ მელოდა, არც მე  
მეჩქარებოდა მაინც და მაინც და მთა-  
ვარ შარას ნელი ნაბიჯით მივყვებოდი.

ნოდარ დუმბაძე  
ნუ გზინია, დედა



ვზის ორთავე მხარეს მანდარინების გადმოხნეილი მუქი მწვანე ტოტებიდან, დაბალული ბავშვებით მიცქერდნენ მჯილისსისხო, ოქროსფერი ნაყოფები. ვერ მოვითმინე, ღობეზე გადავძვერი და ჯიბეები ავივსე. სოფლის საბჭოს გავუთარე, სკოლასთან მარჯვნივ უნდა შემეხვია და საგულშაგომდე ათი ნაბიჯილა მრჩებოდა, მაგრამ რატომღაც მარცხნივ გადავედი და ვიწრო შუკით აღმართს ავყევი. არ ვიცი, როგორ მივადექი ფერიდეს ჭიშკარს. გული გასკდებოდა, მეგონა, ისე მიცემდა. გავიხედ-გამოვიხედე, არავინ ჩანდა, არავინ მხედავდა. მაშინ ფრთხილად ავწიე ჭიშკარის ურდული და ფეხაკრეფით შევედი ეზოში. კიბეს მივადექი. ქვედა სართულზე ბნელოდა, ზევით ერთ ოთახში მუქი ენთო, ჩემოდანი კიბის ქვეშ დავდგი და ნელა ავყევი საფეხურებს. ანივანზე ავედი და კარებთან შევედექი, დაძაბულობისაგან სუნთქვა შემეკრა, მუხლებში მომისაგდა და გული გამიჩერდა.

— ფერიდე! — ვთქვი ხმაშალლა. თავბრუდახვეულმა ხელი კარის სახელურს ჩავავლე. ცივმა სახელურმა ოდნავ გამომაფხიზლა.

— ფერიდე! — გავიძეოვრე მე და სმენად ვიქეცი. ხმა არავინ გამცა.

— ფერიდე! — დავიძახე უფრო ხმაშალლა და ჩემდა უნებურად სახელურს მივანწევი. კარი ჭრიალით გაიღო, შევეკრთი, ოთახში შევედგი ფეხი. კარი გავიხურე და ზურგით მივეყარდენი. ოთახში არავინ არ იყო. ტახტზე ქალის თავშალი ეგდო. იქვე გაშლილი წიგნი იდო და ბუხარში ახლად შეწყობილი შუშა ბრიალებდა.

— ფერიდე! — ვთქვი ისევ და ოთახს თვალი მოვაველე, ფერიდე არსად ჩანდა.

— ფერიდე, სად ხარ, გამოდი, ნუ მემალები! — ვთქვი მუდარით და კარს მოვცილდი. მაგიდასთან მივედი, სკამი გამოვწიე და დავჯექი.

— ფერიდე, მე ვარ, ავთანდილი, ჯაყელი, ავთანდილი ვარ, ფერიდე, გამოდი, განახვ და წავალ, დედას გეფიცები.

— რა გინდა, ბიჭო, რატომ მოდი?! —

მომესმა მეორე ოთახში გამავალი იქიდან ფერიდეს ყრუ ხმა. და ნი, როგორ გამეხსნა სუნთქვა, როგორ დამიუყრდა გული, როგორ დამიბრუნდა და მუხლები და როგორ გამითბა ხელისგულები.

— გამოდი, ფერიდე; განახვ და წავალ, დედას გეფიცები. მეტი შენგან არაფერი არ მინდა. — ვთხოვე მე და უცებ ოთახში შემოვიდა ფერიდე ისე, როგორც ზღაპარში ზღვიდან ამოდის ალი და ციდან ჩამოდის ანგელოსი, იგი შემოვიდა ძალიან ფრთხილად, თვალს არ მაცილებდა, ისე მივიდა ბუხართან, კუთხეში ხატივით დაჯდა და ღამაზი, გრძელი მკლავები მუხლებზე დაიწყო.

— რა გინდა, ბიჭო? — მკითხა მან. ადგომა დავაპირე, მაგრამ ვერ ავდექი.

— ხომ გითხარი, მოვალ-მეთქი?! — ელთხარი და პირი გამიშრა. წყალი დავისხი და მოვსვი.

— მე ხომ ვთხოვე, არ მოხვიდე-მეთქი? — მითხრა მან.

— ვერ შევძელი, ფერიდე, მოვედი, განახვ და წავალ.

— ხომ მნახე, ადექი ახლა და წადი!

— ნუ გამაგდე, ფერიდე. ცოტა ხანს ვიქნები კიდეც.

— აკი თბილისში წახვედი?

— ვერ გავძელი თბილისში... შენ მომენატრე!

— სტყუი!

— მაშ რატომ ჩამოვედი?

— არ ვიცი.

— თუ არ იცი, გაიგე, შენი გულისთვის ჩამოვედი! — ფერიდეს გაელიმა.

— რატომ იღიმები? — ვკითხე მე.

— სტყუი და იმიტომ ვიღიმები.

— არ ვსტყუი. წინათ მეგონა, რომ მომწონდი, ახლა მივხვდი, რომ მყვარებიხარ!

ფერიდემ ისევ გაიღიმა.

— როდის მოასწარი, ბიჭო, ჩემი შეყვარება?

— ორი წელია, ფერიდე... ორი წელია თურმე მიყვარხარ.

— ასე რატომ მეღაპარაკები, ბიჭო, რომ დავიჯერო, მერე რას აპირებ? ხომ

იცო, ასე ხუმრობა ქალთან არ შეიძლება! — თქვა ფერიდემ და სახზე დიმილი გაუქრა.

— ფერიდე, დედას გეფიცები, არ ხუმრები. ძალიან მიყვარხარ, ფერიდე, ძალიან!

— მერე, მე არ მეკითხები?

— რომ გეკითხები, იმიტომ მოვედი!

— ჰოდა, გაიკე, მე ჯერ ის ერთი სიყვარული არ მომინებია და ბაწარში თავს ნუ გამაყრევინებ, სოფელში თავს ნუ მომჭირი, ნუ მოდიხარ ჩემთან, ხალხს იმაზე რატომ აძლევ სალაპარაკოს, რაც არ არსებობს?

— არაგის დაუწახივარ, ფერიდე. შენს თავს ვფიცავარ, ცუდს არაფერს გკადრებ. თუ ვინდა, გამოვალ ახლა და მთელი სოფლის გასაგონად ვიყვირებ, რომ მიყვარხარ...

— ბიჭო, ავთო, თუ ფიქრობ რას ლაპარაკობ?! ხომ გთხოვე ასეთი თვალეზით ნუ მიყურებ-მეთქი. შენ ჯერ პატარა ხარ, ჩემს სიყვარულს შენ ვერ მოერევი, ნუ მიზამ მაგას, ნუ დამღუპავ, ნუ გადაარევე, ნუ მომკლავ, მეყოფა მე ჩემი უბედურება... — ფერიდეს ხმა აუთრთოლდა და თვალეზი ცრემლით აეცსო. მე ავდექი, მივედი მასთან და როგორც ხატს ისე დაუჩოქე.

— ფერიდე, ჩემო ფერიდე, მიყვარხარ, ფერიდე, ყველაფერზე უფრო მიყვარხარ ქვეყანაზე, ჩემს თავზე უფრო მიყვარხარ, არა ვარ პატარა, არ ვატყუებ, ფერიდე, არ დაგღუპავ, ფერიდე, ოღონდ დამიჯერე; ოღონდ შემეყვარე... — მე დავემხვე, ფერიდეს მუხლებზე, ათრთოლებულ ხელებს ვუკოცნიდი.

— დაწყნარდი, ბიჭო, დაწყნარდი, ავთო, მჯერა, ბიჭო, მჯერა, ოღონდ ნუ იზამ მაგას, ნუ, დაფიქრდი, ბიჭო, ნუ დამღუპავ, ბიჭო, ცოდე ვარ, ცოდევა...

— ფერიდემ მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა, ნაზად, ძალიან ნაზად მისკამდა თავზე მის წინ მუხლებზე დამბობილს და, მე ავტირდი. სიხარულისა და ბედნიერებისაგან. ცოტა რომ დაეწყნარდი, ფერიდეს ახედე. იგი ილიმებოდა და

ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა გაფორებულ ლოყებზე.

— წადი, ავთო, შენს ადგილზე დაჯექი. — მე ავდექი და მაგიდას მივუჯექი. ფერიდე თავის ადგილას დარჩა. დიდხანს ვუცქირეთ ერთმანეთს.

— ხომ გთხოვე, ბიჭო, ასეთი თვალეზით ნუ მიყურებ-მეთქი! — თქვა ფერიდემ და სახზე ხელები აიფარა. — მე ვიცი, რატომ გაგიშვეს შენ თბილისში. ისიც ვიცი, შერბინა როგორ დაიღუპა. ყველაფერი ვიცი, ვიცი რომ კარგი ბიჭი ხარ, ისიც ვიცი, შენ ახლა რაღაც ვაკლია, ძალიან ვაკლია, იქნებ სიყვარული... იქნებ სხვა რამეს ეძებ, ბიჭო, და ჩემი სიყვარული იპოვე გგონია, ამიტომ მეშინია შენი... აი, ეს არ ვიცი. ისიც არ ვიცი, მართლა ჩემი გულისთვის დაბრუნდი თუ არა, ვაითუ შენც არ იცი... ვაითუ არ იცი, ბიჭო ავთო!.. — ფერიდეს ისევ აუთრთოლდა ხმა და მხრები აუცახცახდა.

მე წამოვდექი. ფერიდემ ხელები ჩამოიღო სახიდან...

— არ მოხვიდე!

— ფერიდე...

— დამტოვე, ავთო, მარტო დამტოვე, წადი, წადი, ახლა მარტო ყოფნა მინდა.

— ფერიდე, თუ შეიძლება კიდევ მოვიდე შენთან, აი, ასე, მოვალ, გიყურებ და წავალ.

— წადი, ავთო, ახლა ნურაფერს მკითხავ, ოღონდ ახლა წადი, სხვა დროს მკითხე, სხვა დროს გეტყვი, ახლა წადი, მარტო დამტოვე. — ფერიდემ ისევ ჩარგო თავი ხელებში.

— ნახვამდის, ფერიდე! — ვთქვი მე და კარი გავალე.

— წადი, ავთო, თუ ღმერთი გწამს, წადი!



შერბინას სიკვდილის შემდეგ ჩემს განწესში ახალწვეული გადმოიყვანეს კომენდატურიდან, დაბალი, ჩაფსკენი-

**ნოდარ ლუგვანიძე**  
ნუ გუშინია, ღება

ლი ბიჭი. იგი ფრთხილად შემოვიდა ოთახში და დამნაშავესავით დადგა შერბინას საწოლთან. მე და პარხომენკო ჩემს საწოლზე ჰადრაკს ვთამაშობდით.

— გამარჯობათ! — თქვა მან და ოთხკუთხედი ხის ჩემოდანი ფეხებთან დაიდგა. მე და პარხომენკომ თავები დაუქნიეთ და თამაში განვაგრძეთ.

— მე თქვენს განწესში ვიქნები, ზუღოვმა გამომგზავნა, მაიორ ჩხარტიშვილის დავალებით! — თქვა მან ძალიან წყნარად. მე და პარხომენკომ ისევ თავები დაუქნიეთ. პარხომენკომ თამაშს თავი დაანება და ფეხზე წამოდგა.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა და ჩემიდან ქულამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ლუგავოი ვალოდია პეტრეს ძე.

— საიდან?

— სერპუხოვიდან!

— სწავლება გაიარე?

— რა თქმა უნდა!

— აბა, მოდი აქ! — უთხრა პარხომენკომ და მაგიდას მიუჯდა.

ლუგავოი მიუახლოვდა.

— დაჯექი, დაჯექი! — ლუგავოი გაკვირვებული თვალებით უმზერდა პარხომენკოს. პარხომენკომ მარჯვენა ხელზე მაჯის ღილი შეიხსნა და იდაყვით მაგიდას დაეყრდნო.

— მომეცი ხელი! — უბრძანა პარხომენკომ.

ლუგავოი ცოტა შეეყოყმანდა, მაგრამ მერე თვითონაც გაიხსნა ღილი და მაგიდას იდაყვით დაეყრდნო. მისი მჯილი პარხომენკოს მჯილში ისე ჩაიმალა, ცერის მეტი აღარაფერი უჩანდა.

— ჯაყელო, დაითვალე! — ახლა მე მიბრძანა პარხომენკომ.

— სამი, ორი, ერთი, — დავითვალე მე და ორი მკლავი ელვის სისწრაფით აძაგძაგდა მაგიდაზე. გავიდა საოცრად დაძაბული ერთი წუთი, მეორე. პარხომენკო მოხარულ კიბორჩხალასავით გაწითლდა, ლუგავოი კი გაფითრდა. კიდევ რამდენიმე დაძაბული წამი გავიდა. პარხომენკოს ცერისსიმსო ძარღვი დააჯდა შუბლზე. ვიფიქრე, კიდევ წუთი

და გასკდება. კიდევ ოდნავ, კიდევ კიდევ და ლუგავოის ხელმა თითქმის შეხვეწილი მანძილი გაიარა... პარხომენკომ შხუთლით ამოუშვა ჩასუნთქული ჰაერი და ქერებსზე ამოგდებული თევზივით პირდაბჩენილმა ხმაურით შეისუნთქა ჰაერის ახალი ნაჟაღი, და ეს იყო მისი ღიდი შეცდომა. ლუგავომ ჩასუნთქვა არ აცალა, სხეული შვილდღივით მოზიდა, დაიძაბა, დაიჭიმა და პარხომენკოს ხელმა შეუღმჩნევლად, მაგრამ მაინც დაიწყო უკანსვლა. ლუგავოი კიდევ უფრო გაფითრდა და ცისფერი თვალები სისხლისფერი გაუხდა. მკლავები საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა, და მოხდა სასწაული, პარხომენკოს ვეება მკლავი მაგიდისაკენ დაიხარა. ჯერ ოდნავ, მერე უფრო სწრაფად და უცებ მოწყვეტილად და ბრახვანით დაენარცხა მაგიდას.

— არის! — ვთქვი მე. ლუგავოი აღგა და აჯანკალებული ხელით შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა. გაფითრებული პარხომენკო უხმოდ იჯდა და წაქცეულ ხელისგულს დასცქეროდა. გამტერებული. მძიმედ სუნთქავდა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა მან ჩამწყდარი ხმით ლუგავოის.

— სერპუხოვის ჩემპიონი ვარ სიმძიმეების აწვევაში! — უთხრა ლუგავომ და დამნაშავესავით გაუღიმა.

— მერე, ვერ მითხარი, დალოცვილო? კინალამ ბრმა ნაწლავი გამისკდა! თქვა პარხომენკომ და წელათრეული საწოლს დაუბრუნდა.

— ეგ არაფერი, შენ ჩემზე ღონიერი ხარ, მე უბრალოდ მაჯა მაქვს ნავარჯიშები. — მოეფერა ლუგავოი.

— ძაღლების გეშინია? — ჰკითხა უცებ პარხომენკომ.

— არა! — უპასუხა გაკვირვებულმა ლუგავომ.

— არადა, რადგან ასეთი ღონიერი და გულადი ხარ, დღეიდან შენ ათრევე აკბარს. — გადააბარა ძაღლი პარხომენკომ.

— თქვენი ნებაა! — გაუღიმა ისევ ლუგავომ.

— ახლა გავეცნოთ ერთმანეთს. მე პარხომენკო ვარ, ეს ჩაყელია, ჩვენი უფროსი! — უთხრა პარხომენკომ. — ჩვენ უკვე ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, მიდი, ჩაყელი გაიცანი! — ლუგავოი გამეჭიმა. მხედრული სალამი მომცა და ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი. ხელი ძალიან დაკუნთული, მაგრამ თბილი და საოცრად ნაზი ჰქონდა. ოღონდ უთრთოდა.

— ახლა დაისვენე, სალამოს მორიგეობა გვიწევს. — ვუთხარი მე და ისევ მიუჯექი ჭადრაკს. პარხომენკო წინ დამიჯდა და მიტოვებულ პოზიციას დაუწყო აღდგენა. ლუგავოი შერბინას საწოლზე დაჯდა და ჩექმების გახდა დაიწყო. საწოლის ჭრიალი რომ გაიგონა პარხომენკომ, გველნაკბენივით შეკრთა და შემომხედა. მე თვალი ავარიდე, მან საფეთქლები დაიხილა, ადგა, მაგიდასთან მივიდა, წყალი დაისხა, დალია და უცებ ლუგავოის მიუბრუნდა.

— ვალოდია! — თქვა მან.

— გისმენ! — უპასუხა ლუგავოიმ გაკვირვებით. ჩექმის გახდა შეწყვიტა.

— ვალოდია, მანდ ნუ დაწვები. — ლუგავოიმ გაკვირვებით ამოხედა პარხომენკოს.

— მანდ ნუ დაწვები, თუ ძმა ხარ, ეგ საწოლი... ეგ საწოლი... მანდ არავინ არ წვება და არ ჯდება, ეგ ეგრე უნდა იყოს ყოველთვის... ეგ საწოლი შერბინასია! — ლუგავოი სწრაფად წამოდგა და ლოგინს სწორება დაუწყო.

— არ გეწყინოს, ვალოდია, შერბინა ხომ იცი ვინ იყო? აი. მოდი, ჩემ საწოლზე დაწექი, დაისვენე. მე წავალ და ზუღოვს ახალ საწოლს გამოვართმევ. არ გეწყინოს, თუ კაცი ხარ!

— რას ამბობთ, ბიჭებო, ბოდის ვიხედი, მე არაფერი არ ვიცოდი. შერბინა როგორ არ ვიცოდი, მაგრამ მისი საწოლი თუ იყო... მაპატიეთ, ბიჭებო...

— ლუგავოი საოცრად დაბნეული გვიყურებდა ხან მე, ხან პარხომენკოს. მე ბურთი მომაწვა ყელში და, რომ არ მეტირა, კედლისკენ მივბრუნდი. პარხომენკომ კიდევ ერთი ტიქა წყალი დალია

და ოთახიდან გავიდა. ლუგავოი კი შუა ოთახში იდგა ცალ ფეხზე ჩექმავახტისკენ და დიდი, ლურჯი თვალელები ბოდიშითა და ცრემლით ჰქონდა სავსე.

ივლისის სულთამსუთავი, მთვარიანი ღამეა. მე, პარხომენკო და ლუგავოი საკინძემეხსნილები ვსხედვართ საფარში. ღამის ხელსაწყო არ გვეჭირდება, გაღმა სოფელი ხელისგულივით ჩანს. სამივე საკუთარ ფიქრებში ვართ წასული. ლუგავოის ყურდაცქვეტილი, ენაგადმოვადებული აკბარი ფეხებში უწევს და ქლოშინებს. საზღვრის ცხოვრება ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. ისევ სიწყნარე, ისევ სიმშვიდე. ერთი კვირის წინ წვიმა იყო კოკისპირული, მთელი სასაზღვრო ზოლი ჩამოვვირცხა. ხელახლა გასათოხნი და დასაფარცხი გავვიხდა საკონტროლო ხაზი. ახლა კი ისეთი სიცხეა, ისეა გადაფიჩინებული ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ღამეა, საღ შვევრგო თავი არ ვიცი. ჩვენი მწერალი დიდი ხანია მორჩა თავის შემოქმედებით მივლინებას და სახლში წავიდა. ის მაინც იყოს, საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, გვართობდა, არ ვიცი, ტყუილს გვიყვებოდა. თუ მართალს, საინტერესოდ კი ყვებოდა. დიდი ზარ-ზეიმით გავაცილეთ, ორკესტრაც უკრავდა, სალამოს კონცერტი გავუმართეთ, ცეკვებიც იყო. იმ დღეს საოცარი ამბავი მოხდა. ჩვენს კონცერტზე ფერიდე მოვიდა, არც უცეკვია, არც უმღერია, არც გაუცინია. უბრალოდ იჯდა და გვიყურებდა. ვცდილობდი სულ მის ახლოს მეტრიალა. მაგრამ თვალეებით მანიშნა, არ მომეკაროთ. რა გზა მქონდა. მეც დავეჭიკლუბის მეორე კუთხეში, დავეჭიკი და თვალს არ ვაცილებდი. რა თქმა უნდა. მხედავდა, მერე ადგა და წავიდა. მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ ვერ გავბედე. შუალამემდე ვიხეივით, ზეიმის დასასრულს, მდინარაზე სცენაზე ავიდა და

ნოდარ დუმბაძე  
ნუ გვიხინა, დედა



გამოსამშვიდობებელი სიტყვა გვიტარა. თქვენი მაღლობელი ვარო, ბევრი რამ მასწავლეთო, ამას დაწერო, იმას დაწერო, ამას ვიზამო, იმას ვიზამო. რა უნდა დაწეროს; რაც არაფერი მომხდარა, ალბათ ნახევარზე მეტს ტყუილებს დაწერს, ვინ ამოწმებს. თუმცა რა, დაწეროს, კარგი იყოს, მართალს ჰგავდეს და დაწეროს, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, შერბინაზე დაწერო, თქვა...

თურქებმა თეთრი შუშუნა გაუშვეს. მშუღლით ავარდა ცაში და საზღვარს ფარანივით დაეკიდა, მერე ზიგზაგებით წამოვიდა, შუა გზაში ჩაქრა და საღლაც ჩირგვებში ჩავარდა. აკბარი ფეხზე წამოიჭრა.

— დაწევი! — უბრძანა ლუგავოიმ, ძალღი უხმოდ დაემორჩილა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, გავაცილეთ ჩვენი მწერალი და ისევ მოწყენილობა და ერთფეროვნება დაიწყო, ეგ არი, რომ ტურისტები მომრავლდნენ. ხანდახან დღეში სამჯერ-ოთხჯერ გვიხდებოდა ერთი და იგივე ახსნა-განმარტებები, ერთი და იგივე კითხვებზე პასუხების გაცემა. შერბინამ კარგად იცოდა ტურისტებთან ლაპარაკი, მე ისე ვერ ვახერხებ, ვერც პარხომენკო, ლუგავოის კი ამ აკბარმა სული ამოართვა...

თურქებმა კიდევ ერთი შუშუნა გაუშვეს.

— რა ჰირი ეცათ, ჩვენ გვაშინებენ თუ თავისიანებს? — მკითხა პარხომენკომ და შუშუნის ფრენას თვალი გააყოლა.

— რაღაცას ეძებენ! — დავასკენი მე.

— მე მგონი, ერთმანეთს აღვიძებენ!

— თქვა ლუგავოიმ.

— აღეჭით, ჩვენი უბანი დავათვალიეროთ! — ვთქვი მე და წამოვდექი. სამთავე ავდექით. ლუგავოი ძალით წინ წავიდა. ბოგირზე რომ გავედით, თურქებმა ისევ გაუშვეს შუშუნა.

— რაღაც ამბავია! — ვთქვი მე, — ხომ არ დავრეკოთ საგუშაგოზე?

— დარეკვა რად უნდა, არ ესმით თუ რა? — თქვა პარხომენკომ.

ავტომატი გადმოიღო მხრიდან და წინ

წავიდა. დღეს გადავხედი და სახალისო რო ბოძთან მივედი. ყურმილი

— მორიგე გისმენთ!

— ჯაყელი ვარ, თურქები შუშუნებს ისვრიან!

— ვიცი, სხვებმაც დამირეკეს.

— რა ვქნათ?

— უთვალთვალეთ, მეტი არაფერი!

— ყურმილი გამოვრთე. ჩვენი უბნის საზღვრამდე მივედით, ყველაფერი რიგზე იყო, უკან დავბრუნდით. ის იყო კვლავ საფარში უნდა ჩავმსხდარიყავით. რომ თურქებმა ისევ გაუშვეს შუშუნა. შუშუნა ძალიან დაბალზე გასკდა და ზედ ჩვენი კოშკის პირდაპირ ჩაეშვა შიშინით.

— რამ გაცოფათ ეს შობელძაღვლები! — თქვა პარხომენკომ და თავის ადგილზე მოიკალათა. ჩვენ ჩვენი ადგილები დავიკავეთ. თავს იტყვევენ თუ რა არის, გავიფიქრე და უკანასკნელი სიგარეტი ამოვიღე. ორი თვე ჩვენი მწერალი სულ „კენტს“ გვაწვევინებდა, სადა ჰქონდა მაინც ამდენი, აფსუს?! ახლა მომცა ერთი ცალი... ასანთი გავკარი და უცებ მოვარდნილმა გრილმა ნიავმა ჩამიქრო. ცას ავხედე, თეთრი, გაწეწილი ღრუბელი ზღვისკენ მიიჩქაროდა. ჯერ მესიამოვნა, მერე გავიფიქრე, ზენაქარია და ახლა თუ კიდევ მთის წყალი მოვარდა, რა გათოხნის და დაფარცხავს საკონტროლო ზოლს-მეთქი. ისევ დაბერა გრილმა და ხაამო ნიავმა.

— იფ, იფ, ძლივს არ მოვითქვი სული?! — თქვა კმაყოფილმა პარხომენკომ და გულ-მკერდი უფრო გაიღედა. მერე გადმომხედა და შემახსენა:

— „სოროკი“ არ დავავიწყდეს — მე ღრმა ნაფაზი დავარტყი სამჯერ და სიგარეტი პარხომენკოს გადავეცი. პარხომენკო სულმოუთქმელად ეცა „პრემას“ და გადაფიჩინდა.

— თფუ, დასწყევლოს ღმერთმა, სიგარეტი კი არა, კავერნაა! — თქვა მან, სული რომ მოითქვა და დარჩენილი ნამწვი ლუგავოის გადასცა.

— მე რა, საფერფლე ვარ! ცოტა მეტი ვერ გაიმეტე? — აბუზღუნდა ლუ-

გავოი, მაგრამ მაინც ჩამოართვა ნამ-  
წვი და დიდი სიფრთხილითა და ტუჩე-  
ბის პრანჭვით მოწრუპა.

— სიგარეტი ძალი არ არის, სახ-  
ლიდან რომ გამოგეკიდოს, ყიდვა უნდა,  
გენაცვალე! — დაამაძლა პარხომენკომ  
ჩემი სიგარეტი. ისევ დაუბერა ნიაგმა,  
ახლა საკმაოდ ძლიერად.

— ეს ქარი არ მომწონს, დავიღუპეთ  
თუ გაწვიმა! — თქვა ლუგავოიმ.

— ოლონდ ნუ გაწვიმდება, და უბე-  
როს რამდენიც უნდა! — თქვა პარხო-  
მენკომ და ქული მოიხადა. ისევ დაუბე-  
რა ქარმა და ოფლიან სახეზე ახლად მო-  
თხნილი მიწა შემოგვაყარა, პარხომენ-  
კომ გადააფურთხა, მე თვალეები მიწით  
ამეკსრ და ამეწვა.

— რა ოხრობაა, საიდან მოვარდა?! —  
ვთქვი და თვალეების სრესა დავიწყე.

— ცეცხლი, ბიჭებო! — იყვირა უცებ  
ლუგავოიმ და ფეხზე წამოიჭრა. წამოვ-  
დექი მეც. ჩვენი კოშკის პირდაპირ, იქ,  
სადაც ნახევარი. საათის წინ თურქების  
შუშხუნა ჩავარდა, ცეცხლი გიზგიზებ-  
და და ყვითელი კვამლი სვეტად ამოდი-  
ოდა.

— პარხომენკო, შუშხუნა! — ვუბრძა-  
ნე მე. პარხომენკომ დამბაჩა დააძრო  
ბულიდან.

— რომელი? — მკითხა მან.

— წითელი! — შუშხუნა ისე წავიდა,  
თითქოს ცა გახიაო და წითლად გაანა-  
თა საზღვარი. სასაზღვრო ბოძს ვეცო  
და ყურმილი შევავრთე ხაზთან.

— მორიგე გისმენთ!

— ჯაყელი ვარ!

— რა ამბავია მანდ, ვინ ისერის?

— მომეცი მაიორო, ხანძარია! — წუ-

თიც და მაიორს ველაპარაკებო.

— ამხანავო მაიორო, მოგახსენებთ

რიგითი ჯაყელი, ხანძარია!

— სად?

— პირდაპირ ჩვენი კოშკის ძირში.

— ვის მხარეზეა?

— ვფიქრობ, ნეიტრალურზე!

— დარეკეთ სხვა უბნებზე, მოვდი-

ვარ! — ხუთ წუთში ჩხარტიშვილი აღ-

მართს შემოუღვა სირბილით. ვიცი

ჩხარტიშვილია, მაინც ვუღერებ ავტო-  
მატს და ვეკითხები:

— სდექ, ვინ მოდის!

— ჩხარტიშვილი ვარ!

— პართო! — ჩხარტიშვილმა სიმწ-

რისაგან გადააფურთხა.

— თოლია! პასუხი? — მკითხა ახლა

მან ისე, რომ არ შეჩერებულა.

— ყაყაჩო!

— სად არის! — მომვარდა ის, ჩვენე-  
ბა აღარ დამქირდა, ცეცხლი არაჩვეუ-  
ლებრივი სისწრაფით ეღებოდა გადამ-  
ხმარ კატაბარდებს და უკვე საზღვრის-  
პირას ამოლტილ ნაძვებსა და ალვებს  
ლოკავდა. ზენა ქარი უსაშველოდ ძლი-  
ერდებოდა.

— ამ გაზინთულ ბოძებს თუ მოედო,  
დავიღუპეთ, სახლებიც ამოიდაგება. მო-  
მეცი ყურმილი! — მივეცი. სასწრა-  
ფოდ შეუერთა ხაზს.

— გამოაცხადეთ განგამი, ზუღოვს  
უთხარით დინამიტი და ხელყუმბარები  
წამოიღოს მალე, ჩემი ოფიცრები სად  
არიან? კასრები, კასრები სწრაფად! —  
ერთ წუთში მთელი საზღვარი ფეხზე  
დადგა. ცეცხლი კი ღვივდებოდა და  
ღვივდებოდა, ზენა ქარი სულ გაგიჟდა,  
ცეცხლი ერთი ადგილიდან მეორეზე გა-  
დაპქონდა, ალმა ბოძებს მოაღწია და  
პირველი სასაზღვრო ბოძი კვარციით  
აინთო. გალმა, საზღვრისპირა სახლის ყა-  
ვარი ქალღღვივით აბრიალდა, გაისმა  
ქალის განწირული კივილი და ძაღლე-  
ბის ყმუილი — იქითა მხარეს, ასკერე-  
ბი ბარებითა და კასრებით ხელში მოჩ-  
ვენებებით დარბოდნენ, მოსახლეობა  
საზღვარს მოაწყდა.

— ყველანი მდინარესთან! — გასცა  
ბრძანება ჩხარტიშვილმა.

ჩაცვევდით მდინარეში და წეროვბი-  
ვით გამწკრივდით. კასრებმა სწრა-  
ფად დაიწყეს ხელიდან ხელში გადასვ-  
ლა, ცეცხლი კი გრიალებდა, შიშინებ-  
და, წიოდა, ქარი გიყვივით დათარეშობ-  
და საზღვარზე, უზარმაზარი ნაძვები

ნოღარ დუმავაჲ  
ნუ გაჟინია, დედა

ზღაპრული კელაპტრებივით ინთებოდნენ და ლაწანით წვებოდნენ გაღმა-გამოღმა. ქარი მექ-ყვითელ კვამლს სახეში გვცემდა. უკვე ვიღარ ვხედავდი ვისგან ვიღებდი კასრს და ვის ვაწოდებდები. კვამლი თვალებსა და ფილტვებს მღრღნოდა. გამშავებული ხალხი, ზოგი კასრით, ზოგი ნიჩბით, ზოგი კიდევ შიშველი ხელებით ებრძოდა გადარეულ ალს, რომელიც გველივით დაძვრებოდა კატაბარდებში და ხან იქ და ხან აქ ამოასისინებდა ენას ახალი სიძლიერით. სასაზღვრო ბოძები მთლიანად ცეცხლში იყო გახვეული და ხანძარი ახლა ფერიდეს ღობეზე გადმოსულიყო. უცებ ჩემს თავზე უზარმაზარი ცეცხლის სვეტი გადმოწვა და გრუხუნით გადაატყდა აკელაპტრებულ ნაძვს.

- ფრთხილად! — იკვილა ვილაცამ. ყველაფერი ერთმანეთში აირია.
- უშველეთ სახლებს!
- კედლებს შეასხით წყალი!
- დინამიტი!
- ბოძები, ბოძები ააფეთქეთ!
- პარხომენკო!
- ლუგავოი!
- ჯაყელო!
- ბეტროვ!
- სიდოროვ!

ალარაფერი არ მახსოვს, გაცოფებული ხაროვით დავრბოდი. ხან ვის ვართმევდი კასრს, ხან ვის, წვიმა, ღმერთო, წვიმა! ვინატრე გულში და ცას ავხედე, ცა დახურული იყო, არ ვიცი ღრუბლით, არ ვიცი კვამლით. ქარი გრიალებდა, ვილაცას ბარი წავართვი და გაშმაგებით დავუწყე მიწას თხრა, ვთხრიდი და ვაყრიდი ცეცხლს, მაგრამ სად? ცეცხლი იყო ყველგან — ხეზე, მიწაზე, წყალზე, ცაზე, ცეცხლი იყო ყველგან, ცეცხლი გრიალებდა, ცეცხლი კიოდა... ბლაოდა საქონელი, ყმუოდნენ ძაღლები... ქართული, ლაზური, თურქული, რუსული, ყველაფერი ერთმანეთში აირია.. და უცებ რაღაც მომწყდა მხრიდან და ბარდებში გადავარდა. ავტომატი, ავტომატი, გამიელვა თავში. შუა

ცეცხლში გადავევი და ავტომატი დავემხვე. სუნთქვა შემეკრა და გათქვა. თვის სუნი მეცა, ვილაცის ძლიერმა ხელმა ამიტაცა და ცეცხლიდან გამომიყვანა, მიწაზე დამსვა და რაღაც მომახვია.

— წვიმა, წვიმა, ღმერთო! — ვინატრე და აზრი სადღაც შორს, ძალიან შორს გამოცურდა. ჯერ უზარმაზარ ხანძრად ენთო, მერე თანდათან მომცილდა, დაპატარავდა, წავიდა, წავიდა, წერტილად იქცა და ბოლოს სულ ჩაქრა..

თვალი რომ გავახილე, თავზე პარხომენკო და ლუგავოი მადგნენ. პარხომენკო ლოყაზე თავის ვეებერთელა ხელს მითათუნებდა და გაღიმებული ტირილდა.

— რა მოვივიდა, ბიჭო, გამოიხედე, კაცი არა ხარ? შეხედე, ვინ არის! — შევხედე, გვერდით ფერიდე იდგა და ისიც გაღიმებული ტირილდა.

— რა მოხდა? — ვიკითხე მე. წამოვდექი და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ კოკისპირულად წვიმდა.

— შეხედე, ბიჭო, სად ვართ, შეხედე! — მეუბნებოდა პარხომენკო და სულელივით იღიმებოდა. თავს ძალა დავატანე. დავატანე და ქრუანტელმა დამაიარა.

— აი, ამის გადარჩენაში ეხმარებოდით! — მითხრა პარხომენკომ და მუგუზლად ქცეულ სახლზე მიმითითა. — მაინც არაფერი არ ეშველა, უთოში ჩასაყრელადაც არ გამოდგება. — ჩვენი ოთხთავე, მე, ფერიდე, პარხომენკო, ლუგავოი, მთელი ჩვენი სოფელი და საგუშაგო თურქეთის ტერიტორიაზე ვიდექით, საზღვრისპირა სახლის ეზოში, რომელიც ახლა ნახშირად ქცეულიყო და საოცრად ჰგავდა შავებში გამოწყობილ, მიწაზე დამხობილ მის პატრონ დედაკაცს.

კოკისპირულად წვიმდა... ჩვენს წინ მთელი გაღმა სოფელი იდგა, ათასი მადლიერი და ცრემლიანი თვალი გვიყურებდა. ჩვენს შორის მანძილიც კი აღარ იყო, ერთმანეთის სუნთქვა და



გულისცემა გვესმოდა. ჩემს წინ, ჩემი უველაზე ძველი ნაცნობი, მასწავლებლის ცოლი. ლამაზი, ხალიანი გოგონა იდგა და ძალიან, ძალიან შეფარული ღიმილითა და სიყვარულით მიმზერდა.

- გამარჯობა, გოგო!
- გაგიმარჯოს, ჯუმა მოგაფერი!
- მიცანი, გოგო?
- გიცანი. ჩემო ჯუმა მოგაფერი, ავთანდილი ხარ, ჯაყელი!
- შენ რა გქვია, გოგო?
- მევენუნე მქვია მე.
- ხომ არ გვემღური, გოგო მევენუნე?

— რას ამბობ, ჯუმა მოგაფერი, თქვენ რომ არა, მთელი სოფელი დაიწვებოდა.

- შეშინდით, მევენუნე?
- ჩვენ რაღა გვიჭირს აწი, ჯუმა მოგაფერო. შენ ხომ არ დაიწვი?
- არა უშავს, მევენუნე, გამივლის.
- რა ვახდა, ჯუმა მოგაფერი, მაინც და მაინც, ქვეყანა უნდა დაიწვას, ასე ახლოს რომ გხედავდე ჩემს სისხლსა და ხორცს?

— წავიდეთ, ავთო! — მითხრა წყნარად პარხომენკომ. მე შემოვტრიალდი და ჩემს სოფელს გავხედე, სულ ათ ნაბიჯში იყო იგი, ასე ახლობელი და ასე მაცოცხლებელი. ჩხარტიშვილი დელისპირას იდგა გამურული, ტანსაცმელ-შემომწვარი, შემოფლეთილი და თვალს არ გვაშორებდა. ნელი ნაბიჯით დავიძარით, მხარში პარხომენკო და ლუგავი მიდგნენ. სასაზღვრო ღელე გავტოპეთ და ჩხარტიშვილთან მივედი. მას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ გამიღიმა და დამწვარ ხელებზე დამხედა. ახლა ისევ მოვტრიალდი და გაღმა სოფელს გავხედე. მთელი ჩვენი სოფელი და ჩვენი საგუშაგო დინჯი, წყნარი ნაბიჯით ბრუნდებოდა სახლში, დაღლილი, დაქანცული, გამურული, დაგლეჯილი და მაინც საოცრად კმაყოფილი სახით. კასრებით, თოხებით, ბარებითა და ნაჯახებით შეიარაღებული მოდიოდა და მოაბოტებდა სასაზღვრო ღელეში, ამოდიოდა გორაკზე და ჩხარტიშვილის

უკან დგებოდა უხმოდ და მღუმარედ. ეს იყო საოცარი სანახაობა. გამოღმა სოფელი ამ დღეს იმ შეწუხებულ მშობელს ჰგავდა, რომელიც გათხოვილი, ავადმყოფი შვილის სანუგეშოდ იყო წასული და ვალმოხდილი შინ ბრუნდებოდა.

წვიმადა კოკისპირულად. დამწვარი, ფერფლად და ნახშირად ქცეული საზღვარი შიშინით ქრებოდა და ბოლავდა. ძაღლები აღარ ყმუოდნენ. ძაღლები ყუფდნენ. სოფელში თენდებოდა.

სექტემბრის მიწურულსა და ოქტომბრის დამდეგს ზღვის სანაპირო, გაღმაც და გამოღმაც სავსეა მეთევზეებით. ისინი დილიდან საღამომდე დგანან ზღვისპირას, ერთმანეთისაგან ორი, სამი მეტრის მოცილებით, თავს ზევით, შურდულივით მოხდენილად იქნევენ ლარს და სტყორცნიან შორს, შორს, ზღვაში. ლარს ბოლოში თევზის ფორმის უქანგავი ფოლადი და სამწვერა ანკესი აქვს გამობმული. ჩაეშვება თუ არა ანკესი წყალში, მეთევზეები უმაღლ კრეფენ ლარს და ოდნავ წელში წახრილები, სწრაფად ქაჩავენ ნაპირისაკენ. სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში სარგანა მოდის, სარგანა წვრილ სტავრიდასა და ხამსას მოსდევს. მოუვლის სამი მხრიდან და ნაპირისაკენ მოერეკება, ნაპირთან მომწყვდეულს დაერევა და მაშინ უნდა უყურით ზღვას. ზღვა დუღს, განწირული ხამსა და სტავრიდა ლამის ნაპირზე ამოცვივდეს, სარგანა კი ტრიალებს მშვირი მგელივით ნაპირთან მომწყვდეულ თევზის ქარავანში და ზღვა დუღს, დუღს სახინკლე ქვაბივით. სწორედ ამ დროს გამოდიან სოფლელები ნაპირზე თავიანთი ლარებით, სტყორცნიან აღუღებულ ზღვაში და ყიყინით მოათრევენ ნაპირზე ანკესზე წამოგებულ ლურჯზურგა და თეთრმუცელა მაჯისსიმსხო სარგანას.

**ნოღარ ლუგავი**  
ნუ გაშინია, ღელა

ჩემი კომპიდან ზღვა და მთელი სანაპირო ხელისგულივით ჩანს. ჩვენი საგუშაგოს პლაჟზე, პატარა პირსის ქვეშ, ორი მოტორიანი ნავი დგას, ორი ნავი დედამშვილივით, ერთი დიდი, სათევზაო, მეორე პატარა საგუშაგო. საგუშაგო ნავი ჩვენია, ამ ნავით ყოველ დილა-საღამოს ზუღოვი და ლეიტენანტი კოროლიოვი ინსპექციას უწევენ სანაპიროს, დიდი ნავი კოლმეურნეობისა. კოლმეურნეობას მეთევზეთა ბრიგადა ჰყავს, ბრიგადირი ალი ხორავაა. წლებანდელ ზაფხულს მისი ნავი უქმად ეგდო პირსის ქვეშ, ნესტისაგან ორი გვერდითი ფიცარი დაუღპა და საღებავი თითქმის მთლიანად ჩამოცვივდა.

ამ დილით. ხამსისა და წვრილი სტაფრიდის უღევი ქარავანი მოაწყდა ნაპირს. დამფრთხალი თევზი პირდაპირ ქერებსზე ამოდირდა, ბავშვები წივილ-კივილით დადგაფუნებდნენ ადუღებულ ზღვაში და პეშვებით ყრიდნენ თევზს ნაპირზე. სარგანას პირველი ქარავანი გამოჩნდა სოფლის სანაპიროსთან. გამოჩნდა და უცებ გაბრუნდა. აწი დაიწყება, ივლის და ივლის სარგანა, სულ ახლოს მოვა ნაპირთან. ჭოგარითი ეუმზერ კომპიდან, როგორ უტრიალებს გარშემო ალი ხორავას ბრიგადა გვერდზე წამოწოლილ ნავს. ორი იმ დამპალ ფიცრებს უცვლის, ორი თეთრად დებავს, თვითონ ალი ხორავა და მუჰამედა ვანილიში ქვიშაზე გაშლილ უზარმაზარ, მოსასმელ ბადეს კემსავენ. ალბათ სულ მალე ალი ხორავას ბრიგადა ლამ-ლამობით ზღვაში გასვლას დაიწყებს. ღამით ზღვაში გასვლას მაიორ ჩხარტიშვილის ნებართვა სჭირდება. ალი ხორავა მივა მაიორთან და.. რა უნდა სთხოვოს ისეთი ალი ხორავამ მაიორს, რომ მაიორმა უარი უთხრას. ალი ხორავა უმადური კაცი არ არის, დილაძე ივლის ზღვაში, ალი ხორავა ჯერ ზღვიდან გაწბილებული არ დაბრუნებულა, რასაც დაიჭერს, ამორჩეულს საგუშაგოს სამხარეულოს მიართმევს. ალი ხორავა რომ ზღვაში გადის, ჩვენს საგუშაგოს „უხა“ და შემწ-

ვარი თევზი არ აკლია. ამიტომ დღანა ახლა ჩემს გვერდით პარხომენს და ლუგავი და ღმერთს სთხოვენ, მალე გავიდეს ზღვაში ალი ხორავა.

— საღამო მშვიდობისა, ჯაყელო ავთანდილ!

— საღამო მშვიდობისა, ალი ბატონო!

— გავიგე დღეს ღამით არ მორიგეობ.

— არ ვმორიგეობ, ალი ბატონო!

— და საერთოდ ზეგ სამხედრო სამსახურს ამთავრებ, სახლში მიდიხარ!

— მივდივარ, ალი-ბატონო!

— გიხარია?

— ძალიან მიხარია! — ალი ხორავა პირსზე ჩამოჯდა და ფეხები დაბლა ჩაკიდა. თუთუნი ამოიღო, ჩიბუხში ჩაიტენა, მოუკიდა და ამწლაკუნა.

— სარგანა მოვიდა! — თქვა ალიმ და თავისი ჭკვიანი თვალებით ქვევიდან ამომხედა.

— ვნახე, ალი ბატონო, ამ დილით დავინახე, თამაშობდა.

— დღეს ღამით ზღვაში გავდივარ.

— მთელი ბრიგადა?

— ბრიგადა ჯერ ადრეა, თევზი შორს არის, თქვენი ნავით მივდივარ, ლარიო უნდა მოვსინჯო.

— მარტო გადიხარ, ალი ბატონო?

— არა, მარტო არ გავდივარ, შენ მომყვები!

— მე? მე როგორ?

— ჩხარტიშვილმა სთქვა, შენ წამოხვალ ჩემთან ერთად.

— თვითონ ჩხარტიშვილმა სთქვა?

— არა, მე ვთხოვე.

— რატომ მე, ალი ბატონო? — ალი დაფიქრდა, მერე ისევ ამომხედა ქვევიდან ზევით.

— მომწონხარ, ჩემი ხელობა უნდა გასწავლო, 12 საათისათვის მზად იყავი, ლარს მე წამოგიღებ. ნახვამდის!

— გმადლობთ, ალი ბატონო! — ალი წამოდგა, ჩიბუხი ხელისგულზე დაიფერთხა, ბეტონის კიბეზე დაეშვა და ნაპირს გაჰყვა მძიმე ნაბიჯით.

ზღვაზე ბილიკივით გაწოლილ პროექტორის შუქს მიყვებოდით. ალი ნავის ქიმზე იჯდა, ჩემსკენ ზურგშექცეული, მე — მოტორთან. ზღვა ოდნავ ღელავდა და დროდადრო შუაზე გახლეჩილი ტალღის შხეფები სახეში მცემდა, თევზი თამაშობდა პროექტორის სხივზე, ცეკვავდა, ხანდახან ამოვარდებოდა, თითქოს გადახტომას აპირებდა ამ თეთრ ბილიკზე და ტყაპანით ეცემოდა სულ ახლოს, გვერდზე. ალი ხორავამ ხელი ასწია, მოტორი გამოვრთე, ნავმა ერთ ხანს კიდევ იარა ინერციით, მერე გაჩერდა, სოფლისაკენ ქნა პირი და მუქ ლურჯ ტალღაზე რწვევა დაიწყო. ალი ხორავამ ლარი გადმომცა, თვითონაც გაშალა თავისი ლარი. პროექტორმა თავი დაგვანება და ახლა სადღაც ჩვენგან შორს დაიწყო ბორიალი. ძალიან სუსტი და გრილი ნიავი ჰქროდა. ალი ხორავამ ბოხჩა გახსნა, შემწვარი სტავრიდა, კეცის მჭადი და ერთი ბოთლი არაყი დაალაგა ნავის ფსკერზე.

— წაიხეხმოსო! — თქვა მან.

— ჯერ გვეთევზავა, ალი ბატონო! — ვუთხარი მე.

— ჯერ ადრეა, თევზი რიყრაყზე მოდის! — სულ პატარა ყანწი არაყით აავსო, უხმოდ დალია, ისევ გაავსო და გადმომცა, მერე სტავრიდას კუდი მოტეხა და დააყოლა.

მეც უხმოდ დავლიე და დარჩენილი სტავრიდა დავითრიე. ისევ აავსო ალიმ ყანწი.

— მაშ მიდინარ და გიხარია? — მკითხა მან.

— არა, ცოტა გულიც მწყდება! — მოუხბოდამე ალის.

— გული რაღაზე გწყდება, ბიჭო?

— გული ბევრ რამეზე მწყდება, ალი ბატონო! — ვუთხარი მე და მხოლოდ ახლა დავიწყე ფიქრი, თუ რაზე მწყდებოდა გული...

გული ბევრ რამეზე წყდება ავთანდილ ჯაყელს. ორი წლის ნათევ ღამეებზე წყდება გული, ორი წლის ნათელ ღღე-

ებზე წყდება გული, შერბინაზე წყდება გული ავთანდილ ჯაყელს, პარხომენაზე, მერაბიაზე, ჩხარტიშვილზე, იმ დამწვარ სახლზე წყდება გული ავთანდილ ჯაყელს, გაღმა სოფელში რომ დაიწვა, მასწავლებლის ცოლზე წყდება გული მევენუენზე. ათას რამეზე წყდება გული, ზღვაზე წყდება გული, თვითონ ალი ხორავაზე... და ფეროდებზე, მაგრამ ალი ხორავას რაში აინტერესებს, რაზე წყდება გული ავთანდილ ჯაყელს?!

— გული ბევრ რამეზე მწყდება, ალი ბატონო! — გავიმეორე მე და თვალი ავარიდე. ალიმ არაყი დალია და ახლა მე ამივსო ყანწი. ჩამოვართვი და სულმოუთქმელად გადავყლაპე. რატომღაც დათრობა მომინდა.

— რამდენი წლისა ხარ შენ, შვილო? — მკითხა მოულოდნელად ალიმ.

— ოცის ვხდები!

— ოცი ცოტა არ არას! — თქვა ალიმ და ჩიბუხი ამოიღო. — წედან მაინც არ მითხარი რაზე გწყდება გული, ჯაყელო! — მითხრა მან და თავი მაღლა ასწია. მთვარის შუქზე მისი ხმელი, დაკუნთული და დაღარული სახე ნაცრისფერი ქვისაგან უხეშად გამოკვეთილ ქანდაკებას ჰგავდა. თვალეები რაღაც იღუმალის და გაუმხელებელი სათქმელით ჰქონდა სავსე.

საშინელმა ეჭვმა გამიელვა თავში და გული დამწვა.

— ალი ბატონო, რაღაც გინდათ მითხრათ და არ მეუბნებით! — ვუთხარი მე ძალიან ფრთხილად. ალი არ ელოდა ასეთ კითხვას და ოდნავ შეერთა, მერე ჩიბუხი გატენა და ცეცხლით გააჩაღა.

— მე შენგან ველი თქმას, შვილო, დიდი ხანია ველი.

— რის თქმას, ალი ბატონო? — ვკითხე მე და ვინატრე, ნეტავ არ მითხრას, რის თქმას ელის ჩემგან-მეთქი..

ნოდარ დუმბაძე  
ნუ გვირინა, დედა

— ის გოგო, უბედური გოგოა... —  
თქვა ალიმ და ხმაში ეხანგი შეეპარა.  
მუხლებში სისუსტე ვიგრძენი. ბოთლი  
ავიღე და არაყი დავისხი.

— ამის სათქმელად წამომიყვანე,  
ალი ბატონო, ზღვაში? ამას სახლში  
ვერ მეტყოდი? — ვკითხე და ათრთო-  
ლებული ხელით არაყი გადავკარი.

— ზღვა ჩემი სახლია, ავთანდილ  
ჯაყელო, ზღვა ერთადერთი სულიერია  
დედამიწის ზურგზე; რომელსაც ყურე-  
ბი არა აქვს, ზღვა სუფთაა, უმტკერო,  
უნავგო, ზღვა ადამიანის ტვინს და  
სულს რეცხავს და ნავავი ნაპირზე გაა-  
ქვს. შეხედე, ზღვა რა სუფთაა! თქვა  
ან, ნავიდან ხელი გადაყო და ერთი პე-  
შვი წყალი ჰაერში აიქნია, ფოსფორი-  
ანი შეხეფბი ციციანთელებივით აენ-  
თნენ სიბნელეში. — რასაც გეტყვი,  
ზღვასავით მართალია და რასაც მეტ-  
ყვი, ზღვასავით მართალი უნდა იყოს!  
— თქვა მან. მე ისევე ავიღე ბოთლი და  
არყის დასხმა დავაპირე, ალიმ ბოთლი  
გამომართვა და ზღვაში მოიქნია.

— მე ამ ზღვასავით მართალი მიე-  
სულვარ ფერიდესთან და ამ ზღვაზე  
სუფთა გამოვსულვარ იქიდან! ვთქვი მე.

— სოფელმა არ იცის, სოფელი ვერ  
ხედავდა, რას აკეთებდი შენ შიგნით,  
ფერიდეს სახლში! — თქვა ალიმ.

— ჩემს დედას გეფიცებით, ალი ბი-  
ძია, თუ ფერიდესთვის რამე მეკადრე-  
ბიოს. — ვთქვი მე და ცრემლი ყელ-  
ში მომაწვა.

— ფერიდე ჩვენი სოფლის სინდი-  
სია, ფერიდე ჩვენი სოფლის შვილია და  
ვინც ფერიდეს შავს გახდის, ჩვენი სო-  
ფლის სინდისი და შვილი უნდა გახ-  
დეს. — თქვა ალი ხორავამ.

— მე ფერიდე სიცოცხლეზე უფრო  
მიყვარს... — ხმა ამითრთოლდა.

— როდის მოასწარი ამდენი სიცოც-  
ხლე და ამდენი სიყვარული, შვილო?  
მე არ ვიცოდი როდის მოვასწარი ამდენ-  
ი სიცოცხლე და სიყვარული, მაგრამ  
ვგრძნობდი, რომ ამ წუთში მეტი სიყ-  
ვარული, მეტი სიცოცხლე მე არც შემე-  
ძლო და არც მჭირდებოდა...

— ალი ბიძია, ალი ბატონო...  
დავიწყე მე და პირი გამიშრა, ხმა ჩნდა  
მიწყდა, ენას ვეღარ ვაბრუნებდი.  
ზღვაში ხელი გადავყავი, ერთი პეშვი  
ამოვიღე და ხარბად დავლიე. მლაშე  
წყალმა ყელი დამწვა.

— შენ, ჩემო შვილო, მთელი ცხოვ-  
რება წინ გაქვს, ფერიდემ კი ნახევარი  
ცხოვრება დაამთავრა. შენ ჯერ ახალგა-  
ზრდა ხარ, ის კი ქვრივია, ფერიდეს პატ-  
რონი უნდა, შენ თვითონ საპატრონო  
ხარ. ფერიდეს ნამდვილი სიყვარული  
სჭირდება, შენ ჯერ სიყვარული ლამა-  
ზი ქალი გგონია, ფერიდე სოფლელი  
გოგოა, ქალაქში იგი შენთვის უცხო  
სხეული გახდება. მე ვიცი, შენ წმინდა  
ბიჭი ხარ, ალალი და პატიოსანი, მაგრამ  
შენ ჯერ აღელვებულ ზღვაში არ შე-  
სულხარ და ზღვას ჯერ შენთვის სული  
არ უთხოვია. ჯერ შენ ვეშაპის კუჭში  
არ გაგივლია და მოუხარავი არ გა-  
მოსულხარ იქიდან. მე გთხოვ, მოერიო  
შენს ოც წელიწადს და წახვიდე შინ,  
კეთილად და მშვიდობით წადი, შვი-  
ლო, გულს ნუ აყვები, ვიდრე გვიანი  
არ არის. ყველაფერს თავისი ბადალი  
ჰყავს ქვეყანაზე და ბადალმა ბადალი  
უნდა მოძებნოს! — ალი ხორავამ ცას  
ახედა. — ხომ ხედავ, როგორ დასდევს  
მთვარე დედამიწას დღე და ღამე, ეს  
დალოცვილი კი ყოველ დღით მაცო-  
ცხლებელი მზის ამოსვლას ელოდება.  
— ალი ხორავა დადუმდა.

— ალი ბატონო, ალი ბიძია, თქვენი  
ჭირიმი, — დავიწყე მე და ვცდილობდი  
არ ავტირებულყავი, — ფერიდე ჩემთვის  
ყველაფერია, ალი ბიძია, მე ქვეყანაზე  
არაფერი არ გამაჩნია. ფერიდე მიყ-  
ვარს, ძალიან, მე სხვანაირი, უფრო დი-  
დი სიყვარული არ ვიცი, მე რომ ფე-  
რიდე დავკარგო... ალი ბატონო, ნუ  
მიზამთ მაგას, ნუ შემშიშლით ხელს,  
ნუ დამლუბავთ, ალი ბიძია... — ძლივს  
დავამთავრე მე, მერე თავი მუხლებში  
ჩავიყავი და ავტირდი. დიდხანს ვიყავი  
ასე, მერე თავზე ალის ძლიერი ხელი  
ვიგრძენი, იგი, როგორც ქუჩაში ნა-  
პოვნ ზხაბნეულ, უპატრონოდ დარჩე-

ნილ და ატირებულ ბავშვს, ისე მეფე-რებოდა.

— არა, ბიძია, არა. მე ვისი დამღუბველი ვარ, ან ვისი ხელის შემშლელი. უბრალოდ გამოცდილი კაცი ვარ, ამინდის ცნობა ვიცი და გეუბნები, ავთანდილ ჯაყელი, ხვალ გრიგალი ამოვარდება, ზღვა გადაირევა, ნაპირებს წალეკავს და ფრთხილად იყავი, არ დაგახრჩოს-მეთქი. სუ, ბიძია, არ გრცხვენია? აბა, დაქოქე შენი მოტორი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვბრუნდები უთევზოდ ზღვიდან. აბა, მიდი, ჩართე მოტორი და ჰაიდა. ნაპირისაკენ, ერთ საათში ქარი ამოვარდება.

●  
ალი ხორავა, შენ გამოცდილი კაცი ხარ. შენ იცი, რომ ხვალ გრიგალი ამოვარდება, ზღვა გადაირევა, ნაპირებს წალეკავს და შეიძლება დაახრჩოს ავთანდილ ჯაყელი. მაგრამ ავთანდილ ჯაყელი შევა ამ ზღვაში, ავთანდილ ჯაყელს მოსთხოვს ზღვა სულს და ავთანდილ ჯაყელი არ მისცემს სულს ზღვას. არც ვეშაპის კუჭში მოიხარშება ავთანდილ ჯაყელი. ავთანდილ ჯაყელის ნავი ნაპირისაკენ მიდის. ალი ხორავა, ავთანდილ ჯაყელი მადლობელია შენი!!!

ოთახში რომ შევედი, ჰარხომენკოსა და ლუგავოსი მკვდრებივით ეძინათ. ტანზე გაუხდელად წამოვწეკი საწოლზე და ხელები თავქვე ამოვიდე. თავი ისე დამიმძიმა, ხელებს გამისრესდა მეგონა. საფეთქლები მიხურდა და ყურებში გაბმული წივილი მედგა. თვალები დავხუჭე. წინ ათასმა ნაცნობმა სახემ გამირბინა. არავიზე ფიქრი არ მინდოდა და თვალები გაეახილე. არაფერი შეცვლილა, არაფერი განსხვავება... თვალწინ კვლავ ათასი ნაცნობი სახე და სურათი დარბოდა. ესეც დავხუჭე თვალები. ახლა ეს სურათები და სახეები აჭრელდა, აფერადდა და თავბრულამხვევი სისწრაფით დატრიალდა ჩემს გარშემო ისე, როგორც ის შვიდ-სპილოშებმული კარუსელი, რამდენიმე თვის წინ. ოღონდ ამჯერად მე ნავში

ვიჯექი, ყველა დანარჩენებიც ნავევში ისხდნენ და გადარეული ზღვა გვისროდა ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით. ნავები რიგ-რიგობით იკარგებოდნენ აბობოქრებული ზღვის ტალღებში, მერე კვლავ ამოყოფდნენ თავს აქაფებულ ტალღაზე, ტალღა ნაფოტივით ისროდა ჰაერში.

ღელა... მამა... აბო... ბაბუა... ვანიჩკა ბიძია... დადუნა... მერაბია... ფერიდე... შერბინა... მეგუნე... ადიოდნენ მალლა, მალლა, ვარსკვლავებამდე, მერე მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ცვიოდნენ ზღვაში და რიგ-რიგობით შეკარგებოდნენ, ქრებოდნენ, იძირებოდნენ. ბოლოს მარტო ჩემი ნავილა შერჩა ტალღას, ვეება ტალღას, რომელიც ისე მალლა ავიდა, ისე ახლო მივიდა ვარსკვლავებთან, რომ მე მათი სითბო ვიგრძენი და ხელები გავიწვდინე მათკენ. ეს არ იყო სიზმარი, ეს იყო ნახევრად ცხადი, ნახევრად სიზმარი, რადგან მე აშკარად ვიგრძენი, როგორ გამომეცალა ფეხქვეშ ნავი და ტალღა და როგორ შევრჩი ლურჯ და ვარსკვლავიან ცას, გაწვდილი ხელების ანაბარა... მერე მე შემეშინდა ამ ვეებერთელა სიმარტოვისა ამ ვეებერთელა სიცარიელეში და თვალები დავხუჭე. ახლა მე ველარაფერს ვხედავდი. მხოლოდ ვგრძნობდი, როგორ შემიდგა ქარი მხრებში, როგორ მათამაშებდა, როგორ დამაფრენდა ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე, როგორ დავყავდი სიცოცხლეჩამქრალ პლანეტებს შორის და როგორ ეძებდა ქარი ისეთ ვარსკვლავს, რომლისთვისაც შეეძლო ჩემი ბედი, ჩემი სიცოცხლე მიენდო...

●  
ფერიდე ბაღში იდგა და კალთაში დაკრეფილ მანდარინებს ფრთხილად აწყობდა ხეზე მიყუდებულ გოდორში. გამარჯობა არ მითქვამს, ისე მივედი და გოდორს გვერდით დავჯექი, პირდაპირ

ნოდარ ლუგავაძე  
შუ ბუთინია, დელა

ზალახზე. არც ფერიდეს უთქვამს რამე. მანდარინები ჩაცალა გოდორში და გოდორის იქითა მხარეს დაჯდა ისე, რომ მხოლოდ ერთმანეთის მუხლებზე დაწყობილ ხელებს ვხედავდით.

— დღეს, ნაშუადღევს მივდივარ! — ვთქვი მე. ფერიდემ არაფერი მიპასუხა. იგი მშვიდად ფტქენიდა მანდარინს.

— წუხელ ალი ხორავამ გამიყვანა ზღვაში.

— სარგანა მოვიდა. — თქვა ფერიდემ.

— ჰო, სარგანა მოვიდა, ოღონდ სათევზაოდ არ გავუყვანივარ, სალაპარაკოდ გამიყვანა. — ფერიდემ მანდარინის ფტქენა შეწყვიტა. შევატყვე, სმენად იქცა განგებ არაფერი ვთქვი. სიგარეტი ამოვიღე და გავაბოლოე.

— რა, ალი ხორავამ? — ველარ მოითმინა ფერიდემ.

— ალი ხორავა ქვეიანი კაცია. ალი ხორავამ ყველაფერი იცის. — მე დაფიქრდი, ფერიდეს ხელებს მოუთმენლობა დაეტყო, თითები მანდარინის ქერქს სრესდნენ და წიწკნიდნენ. —

ალი ხორავამ თქვა, — განვაგრძე მე, — ფერიდემ ჩვენი სოფლის შვილია და ჩვენი სოფლის სინდისიაო, თავი დაანებე ფერიდეს, შენს ოც წელიწადს მოერიე, გულს ნუ აპყვები, რაც შენ სიყვარული გგონია, ეგ სიყვარული არ არის, ჯერ შენ პატარა ხარო — ფერიდემ მთლიანად დაგლიჯა მანდარინი, მერე ფეხებთან დაგდებული ხმელი ჯოხი აიღო და ახლა იმას დაუწყო მტკრევა.

— ალი ხორავა ჩემთანაც იყო! — თქვა ფერიდემ.

— რა მინდაო ალი ხორავამ? — ვკითხე მე და გული ყელში მომებჯინა.

— ალი ხორავას უნდა, რომ ფერიდემ ბედნიერი იყოს, ალი ხორავამ შენზე ყველაფერი იცის, რომ შენ კარგი ბიჭი ხარ, რომ შენ ობოლი ბიჭი ხარ, ახალგაზრდა ხარ და ალი ხორავას ეშინია, რომ შენ ჩემს სიყვარულს ვერ მოერიევი...

— შენ თუ გეშინია, ფერიდემ? — ვკითხე მე და პასუხის მოლოდინში პირი გამიშრა.

— მეშინია. — თქვა ფერიდემ, ხნის შემდეგ. ძლივს გადავყლაპე ნერწყვი და რომ არ დავმხვრჩვალეყავი, მანდარინი გაუფტქენულად ჩაკვბიჩე და მოვწყუნე.

— რატომ, ფერიდემ?

— არ ვიცი, ავთო.

— რაო ალი ხორავამ, კიდე რა თქვა? — ვკითხე ფერიდეს.

— ალი ხორავამ ღმერთი დამაფიცა და მთხოვა, თუ გიყვარს ის ბიჭი, თუ ატყობ რომ მართლაც უშენოდ არ შეუძლია, წაყვი, ნუ გააწბილებ, ის თუ არა, შენ იყავი მისი პატრონო... ასე სთქვა ალი ხორავამ. — ფერიდემ დაღუძდა. მოულოდნელობისაგან აღარ ვიცილი როგორ მოვტყუდიყავი.

— შენ რა უთხარი, ფერიდემ, ალი ხორავას? — ვკითხე ხმის კანკალით და ნერვიულობისაგან სიგარეტი ხელში ჩამატყდა.

— მე ვუთხარი ალი ხორავას... — ფერიდემ დაფიქრდა, ხელები უთრთოდა, რაღაცის თქმას აპირებდა და ვერ ბედავდა, რაღაცის ეშინოდა.

— თქვი, ფერიდემ, რა უთხარი ალი ხორავას? — შევემუდარე მე.

— წადი, ავთანდილ ჯაყელო, წადი, შენს ცხოვრებას მიხედ, ნუ ჩამადენინებ იმას, რისიც სიკვდილზე უფრო მეშინია, წადი, თუ ღმერთი გწამს... — ჭერიდეს ხმაც აუთრთოლდა.

— ფერიდემ, მე არ ვიცი, რას ეძახით შენ ალი ხორავა ნამდვილ სიყვარულს, ვიცი რომ ასე ჯერ არავინ მყვარებია, ვიცი რომ უშენოდ არ შემძლია ყოფნა და სხვა სიყვარული მე არ ვიცი.

— რა გინდა, ბიჭო, ჩემგან, რას მერჩი, ეს ერთი წელია ძილი აღარ არის ჩემთვის და მოსვენება. რატომ გინდა რომ ცეცხლს მივცე ეს სახლი და მერე ზღვაში გადავვარდე! რა დჭიშავე, ბიჭო?

— ფერიდემ, შენ თქვი, რომ არ გიყვარვარ, შენ თქვი, სხვა ნუ მეტყვის, სხვისი არ მჭერა, თქვი, რომ არ გიყვარვარ და ახლავე ავდგები და წავალ.

— წადი, ავთო, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, წადი... — მე ავდექი და უხმოდ

წამოვედი ჰიშკრისაკენ. ჰიშკარს რომ ვხუროვდი, ფერიდესკენ გავიხედე. მას თავი მუხლებში ჩაერგო და მხრები უცახცახებდა.

საგუშაგოზე ასეთი წესი გვაქვს, არც ერთ სამსახურმოხდელს არ უშვებენ უსადილოდ.

იმ დღეს ჩემს პატივსაცემად ძალიან გემრიელი სადილი გააკეთეს, ღვინის კისელი მოადლეს, საპარადო ფორმა ჩამაცვეს და ოფიცრების მაგიდაზე დამსვეს სასადილოში. სამი სადღეგრძელო დაილია კისელით. პირველი — ჩვენი დიადი სამშობლოს შეიარაღებული ძალებისა. მეორე — დედამიწის ზურგზე ყველაზე სამაგალითო საგუშაგოსი, ჩვენი საგუშაგოსი და მესამე — ჩემი კეთილი მგზავრობისა. სპასუხო სიტყვაში საზეიმო ფიცი დავდე, რომ საომარი მდგომარეობის შემთხვევაში, სამშობლოს პირველსავე დაძაბილზე, თოფით ხელში დავდგებოდი ჩემი მეგობრების გვერდით. მეორე თითო-თითო პანდური მივიღე ყველა მეომრისაგან.

ჯერი ოფიცრებზე მიდგა. კოროლიოვი და პავლოვი ცოტა ოფიციალურად გამომეთხოვნენ, ხელი ჩამომართვეს მაგრად და გამიდიმეს. ჩხარტიშვილი განზე იდგა და ალერსიანი თვალებით მიდიმოდა.

— მიდიხარ, ბიჭო? — მკითხა მან, როდესაც გავეჭიმე და ლოყაზე ხელი მომიტათუნა.

— მივდივარ, ამხანაგო მაიორო!

— წადი, ბიძია, დარჩი-მეთქი რომ გითხრა, მაინც არ დარჩები და რა აზრი აქვს, წადი! — გამიდიმა მან. მერე მომიანლოვდა, მხრებზე ხელი მომხვია და გადამოცნა. — ბედნიერი იყავი!

— გმადლობთ, ამხანაგო მაიორო!

— ზუღოვ, გამოიყვანეთ ვილისი! — უბრძანა მაიორომა. ზუღოვი ვილისის მოსაყვანად გაიქცა. მაიორი სამორივეო ოთახისკენ წავიდა.

— ამხანაგო მაიორო! — დავუძახე გაუბედავად. მაიორი მობრუნდა.

— რა იყო, ჯაყელო?

— ნება მომეცით მოგმართოთ, ამხანაგო მაიორო! — ისევ გავეჭიმე მე.

— თქვი რა გინდა, ოლონდ თავისუფლად დადექი, თუ კაცი ხარ.

— ერთი თხოვნა მაქვს.

— თქვი, რა გინდა?

— ამხანაგო მაიორო, მომეცით მერაბია!

— ვინ? — გაუკვირდა ჩხარტიშვილს.

— მერაბია, დათვი!

— როგორ, მოგცეთ?

— მომეცით, გამატანეთ!

— სად გაგატანო, ჯაყელო, დათვი, სახლში? — უფრო გაუკვირდა მაიორს.

— ახლა ზამთარი მოდის, ვიცი ზუღოვი დაკლავს მაგას და მწვადებს ააშიშხინებს საახალწლოდ. გამატანეთ, ამხანაგო მაიორო, ბათუმის ზოოპარკს ჩავაბარებ. მადლობას გვეტყვიან. — მაიორი დაფიქრდა.

— ბათუმის ზოოპარკს?

— დიახ! — მაიორი ისევ დაფიქრდა.

— გოროხოვ! — დაიძახა მან, ვილაც გაიქცა გოროხოვის მოსაყვანად. გოროხოვი მზარეული იყო. — ეს კარგი აზრი მოგივიდა, ზოოპარკს ჩავაბაროთ. გოროხოვი მოიყვანეს. — გოროხოვ, წადი, დათვი მოიყვანე, ჯაყელი წაიყვანს და ზოოპარკს ჩააბარებს.

— ამხანაგო მაიორო, სასოებით გავასუქე...

— რასაც გიბრძანებენ, ის გააკეთე! — გოროხოვი წელათრეული წავიდა.

ძლივს ჩავკუჭეთ, მერაბია ვილისში, აქეთ-იქით პარხომენკო და ლუგავოი მოუსხდნენ ყარაულებად, მე კი, როგორც საპატიო პირი, წინ დავჯექი. ვილისი დაიძრა და ნელი სვლით გავიდა საგუშაგოს საზეიმოდ გაფეთქილ რკინის ჰიშკარში. მერაბია გზაში ბურტყუნებდა და დროდადრო კეფას მლოკავდა.

ნოღარ ღუშაბაჲ  
ნუ გუზინია, დედა

— ჯაყელო, გვარი გამოიცვალე, ან ზაპაშნი დაირქვი, ან დუროვი, თუ რა გვარია ის, დათვები რომ ჰყავს? — იკრიჭებოდა ლუგავოი.

— რის ბათუმის ზოოპარკი, რა ბათუმის ზოოპარკი, სისულელე არ ჩაიდინო და არ ჩააბარო! — მაფრთხილებდა პარხომენკო.

— აბა, რა ვქნა?

— მე ხომ ვიცი გაისადაც ვერ მოეწყობი უმალლესში, იყიდე ერთი დაირა და იარეთ თბილისის ქუჩებში, გაკეთდები. — ახორხოცდა პარხომენკო.

— ყოჩაღ, იდიოტი ხარ! — შევაქე მე.

— იდიოტი რომ არ იყო, ეს აქათებული დათვი სად მიგყავს? — მკითხა პარხომენკომ.

შლაგბაუმთან მივედი.

— აბა, ბიჭებო, ჩამოდი, გეყოფათ გაცილება! — გავეცი ბრძანება. ბიჭები ჩამოვიდნენ. მერაბია ძლივს გადმოვართრით ვილისიდან.

— მშვიდობით, ჯაყო!

— მშვიდობით, ბიჭებო!

— არ დაგვივიწყო, ბიჭო!

— რა გატირებთ, თქვე უბატრონოებო!

— მოიწერე წერილი!

— აბა, რას ვიზამ?

— შეტრიალდი ახლა!

— შენ არ დამარტყა პანდური, პარხომენკო, ძალიან დიდი ვირი ხარ!

— ნელა ამოგარტყამ, არ გეწყინოს!

— ვირისგან წიხლი რა საწყენია!

— ბიდიხარ არა, შენი სული ვატირე?! —

• — აბა, მშვიდობით, ბიჭებო!

— ნახვამდის, ჯაყო!

— აუ, შენ ვინ ყოფილხარ, აპა ცხვირსახოცი. ჩაჯექი ახლა ვილისში!

— ნახვამდის, ჯაყო!

— დაქოქე, სიდოროვ! — ვილისი ბრაზიანი ძალღვივით აღრინდა, მერე უკან დაიხია, ბენზინის სუნი და ბოლი მომაფრქვია და უცბად გაქანდა სოფლისაკენ მიმავალ გზაზე.

მერაბია ჯერ უკან გაიქაჩა, რომ არ მიეღწევი, დაჯდა. ტორებით ჯაჭვის წართმევა დამიბირა და კბილებით ღრღნა დაუწყო.

— აღექი, სულელო, მაგვიანდება. — ვუთხარი მერაბიას. მერაბიამ ყურიც არ გააპარტყუნა. მაშინ ჯიბიდან შაქრის ნატები ამოვიღე და დავანახე, მერაბიამ დრუნნი აათამაშა და კისერი წამოიგრძელა. უკან დავიხიე, მერაბია ფეხზე წამოდგა და ტორები გამომიწოდა, ისევ დავიხიე უკან. მერაბია მიწაზე დაემწა და ძუნძულით გამომეღვენა.

— რაო, უქრთამოდ ხარ მომყვები? — მერაბია ისევ დაჯდა, მივუახლოვდი და დაფრენილ პირში შაქარი ჩავუღდე, სიამოვნებისაგან დაიკვნესა.

— წამოდი ახლა! — ვუთხარი და ჯაჭვი მოვქაჩე. მორჩილად გამომყვა გვერდით. დიდხანს მივდიოდით ასე. გზადაგზა ამომხედავდა, აბა, კიდევ თუ მომცემს შაქარსაო. წყაროსთან მივედი და ცივი წყალი პირზე შევისხი, შაქარნატამი მერაბია ხარბად დაეწაფა წყალს. მერე მოვიდა და გვერდით მომიწვა. ცოტა ხანს უხმოდ იწვა. მერე თავი წამოსწია და ცივი დრუნნი ხელზე შემახო. ისეთი თვალებით მიყურებდა, მივხვდი შაქარი მოუნდა. ამოვიღე ჯიბიდან და მივეცი. შაქართან ერთად ჩემი ხელიც ჩაიღო პირში და ძალიან ფრთხილად მომიჭირა კბილები. ალბათ მადლობა მითხრა.

— არაფრის! — ვუთხარი მე. რომ გაათავა, ისევ ამომხედა.

— კიდევ თუ გაქვს? — მკითხა.

— მაქვს, შე სულელო, მთელი ჯიბე მაქვს, ნუ გეშინია, მე არ შევეჭამ, შენთვის მინდა. თუ იცი, მერაბია, სად მიმყავხარ?

— არაფერი არ ვიცი! — მითხრა თვალებით.

— ბათუმის ზოოპარკში უნდა ჩაგაბარო. იცი რა არის ზოოპარკი?

— არა, პირველად მესმის! — გაა-



პარტყუნა ყურები და თავი აქეთ-იქით გაიქნია მერაბიამ.

— ჰოდა, თუ არ იცი, გაიგებ, მიგიყვან, დაგამწყვდევნ რკინის ვალიაში, კარგს გაჭმევენ, კარგს გასმევენ, კვირაობით ბავშვები მოვლენ მშობლებთან ერთად, გიყურებენ, იციანებენ, ისტუნავებენ შენს გარშემო, კამფეტებს შემოგიყრიან ვალიაში, ოღონდ არ მოტყუვდე, კბილი არ მოიტენო, ხანდახან უბრალო ქვას გაახვევენ კარამელში და იმას შემოგიგდებენ, არ უნდა გეწყინოს, ბავშვობაში მეც ვაკეთებდი ამას. ცოტა მოგწყინდება, მარტო იქნები, მაგრამ რას იზამ, შეიძლება მალე მეორე მერაბიაც მოიყვანონ და შემოუშვან შენს ვალიაში. მერე უფრო იოლად წავა შენი საქმე, გინდა ზოოპარკში?

— საქმარი მინდა. — ამომხედა მერაბიამ. მივეცი. ისევ მაღლობა მითხრა.

— რატომ არ გინდა, სულელო, დიდი კაცი გახდები, შენს სანახავად ქვეყანა ივლის, მინისტრავით იცხოვრებ, უბილეთოდ და უსაშვოდ კაცს არ მოუშვებენ შენთან. შენს გვერდით წითელ დაფას ჩამოკიდებენ შენი პორტრეტით და ზედ თეთრი ასოებით დააწერენ:

ეს გახლავთ კავკასიური მურა დათვი, მერაბია. ცხოვრობს აჭარის მთებშიც, ერთი წლისაა. ტყეობაში ცოცხლობს 10-12 წელიწადს, თავისუფლებაში — 15-16 წელს. ივებება ბალახით, ხის ფესვებით, ბოსტნეულით, გარეული ხილით, თაფლით. ნახვის საათებზე პირველიდან ხუთამდე. ახლოს ნუ მიხვალთ. ვალიაში ხელს ნუ შეყობთ, ნუ გააღიზიანებთ.

**ზოოპარკის აღმინისტრაცია.**

რა ჯობია ასეთ ცხოვრებას, ა, რას იტყვი? ტყეში და ღრეში ხეტიალს, აქყოფნა არ გირჩევნია? ღირს ორი-სამი წლის სიცოცხლისათვის ტყეში ბორიალი? რა იცი, ვინ გადაგეკიდება. ტყის დათვად შენ აწი მაინც არ გამოდგები, ისე ხარ გაზრდილი. აქ არც მონადირე შეგაწუნებს, არც ძაღლი და არც მამაძაღლი. მიგდებ ყურს?

მერაბია გაკვირვებული მისმენდა. ისევ მივეცი საქმარი. მერაბია ზურგზე გადაგორდა და ამომხედა.

— ახლავე მოგფხან, დიდი ზანდანი ვინმე ხარ, შაქრისა და ფხანის მეტი არაფერი არ გინდა. — მკერდზე მოფხანე, თვალები დახუჭა და აკრუსუნდა.

— წვალოთ ახლა-მე და შენ, მერაბია, ჩაგაბარებ ზოოპარკს, დაგემშვიდობებდი. მერე შეიძლება ერთი წლის შემდეგ ისევ ჩამოვიდე ბათუმში და გინახულო. მიცნობ, მერაბია?

— გიცნობ, ოღონდ კარგად მომფხანე და გიცნობ. — მთხოვა მერაბიამ.

— გაგიყდება ხალხი, ვალიაში რომ შემოვალ შენთან და შენ რომ ხელების ლოკვას დამიწყებ.

— გაგიყდება, გაგიყდება, — ბურტყუნებდა მერაბია. საათს დაგვხედე, მთელი ერთი საათი გასულიყო.

— აბა, ადექი მერაბია! — ვუთხარი და ფეხზე წამოვდექი. მერაბია ადგა და ისევ ცივ წყაროს დაეწაფა. გული რომ იჭერა, წყაროში შეტოპა და წყალს აღმა აპყვა, მეც წყალში ჩავდექი ვალაპაბებული ჩექმებით და მივყევი, გაღმა გავიდა და წაბლის ნემოს დაუწყო ყნოსვა, მერე რაღაც უცნაურად დაიღმუვლა და დაგორდა, ერთ ხუთ წუთს გორაობდა. ტორებით მიწას დაუწყო ბღღვნა. დრუნჩს რგავდა ამოთხრილ მიწაში და ფრუტუნებდა. დიდხანს იგივე, იკვნესა, იგორავა, იბურდლუნა, ბოლოს დაღლილი მძიმედ დაეშვა მიწაზე, თავი წინა თათებზე დაიდო და ისეთი თვალებით დამიწყო მზერა, ტანში ერუანტელმა დამიარა.

— რა იყო, მერაბია, რა მოხდა? — კვითხე მე. მერაბიამ არ იცოდა რა მოხდა, იგი მძიმედ სუნთქავდა და თვალები სისხლით ჰქონდა სავესე. არავინ არაფერი არ იცრდა, მხოლოდ ტყემ და მერაბიას სისხლმა იცოდა რა მოხდა. ფრთხილად მივედი მერაბიასთან და ყელზე ჩაჭვი შევხსენი, მერაბია არ განძრეულა. ავდექი, ჩაჭვი გვერდზე გადავაგდე და ხელები დავიფერთხე.

**ნოღარ დუშაბადი  
ნუ გიჟინია, დედა**

მერაბია ადგილიდან არ იძროდა, მხოლოდ კვლავ მიიმედ სუნთქავდა.

— წადი, მერაბია, წადი ტყეში! — ვუთხარი მე. — ადექი და წადი. — მერაბიამ არაფერი თქვა. მაშინ ჯიბიდან დარჩენილი შაქარი ამოვიღე და წინ დავუყარე, არც გაუხედია შაქრისაკენ. გამოვბრუნდი, ჩემოდანი ავიღე და შარაზე გავედი. მერაბია უცებ წამოდგა და დამნაშავესავეთ, დარცხვენილი გამომყვა.

— წადი, მერაბია, წადი ტყეში, აღარ მიმყავსარ ზოოპარკში, წადი და შენ თვითონ მიხედე შენს თავს. — მერაბია შეჩერდა, მე ხელი დავუქნიე და წავედი. რომ მოვიხედე, ისევ უკან მომდევდა. გავჩერდი, მომიახლოვდა. წინ ჩავუცუცქდი, ყურებში ხელი მოვკიდე და დრუნჩხუვ ცხვირი მივადე.

— ესეც ასე, ხომ დაგემშვიდობე, წადი ახლა! — ტყისაკენ შევუბრუნე თავი და ზურგზე ხელი დავარტყი. წამოვდექი, თვითონაც წამოდგა და უკანა თათებზე დადგა. ჩემი სიმაღლე იყო, კაცივით უკანა თათებზე შემდგარი.

— ვაღამრევე შენ, მერაბია, კარგი, გადაგეხვევი, ოღონდ ფრთხილად! — ხელები ვავშალე, მერაბია გულში ჩავიკარი და ზურგზე ხელი მოვეუთათუნე, თვითონაც მომითათუნა და ყურში რაღაც მითხრა, ლორწოიანი დრუნჩით. მხრით მოვიწმინდე ყური და მერაბიას ხელი ვკარი.

— წადი ახლა, მერაბია, ნუ ამბატირებ ამხელა მუტრუქს, წადი! — მერაბია ოთხზე ტყავდა და ნელი ნაბიჯით წავიდა, მერე თანდათან მოუმატა, ძუნძულზე გადავიდა და ბოლოს დაოთხილი შევარდა ტყეში, ისე შევარდა, უკანაც არ მოუხედავს. ხუთი წუთი ვიდექი ასე, იქნებ მობრუნდეს-მეთქი, მაგრამ მერაბია არ მობრუნებულა, მხოლოდ ხმელი ტოტების მტვრევა და ლაწანი მესმოდა ტყიდან. ბოლოს ისიც მიწყნარდა. არავინ არ იცოდა, რა მოხდა იმ ერთ წუთში კელენდერეს ლელესთან, არც მე, არც წაბლის ნეშომ, არც მერაბიამ. მხოლოდ მერაბიას სისხლმა და მოშ-

რილე ტყემ იცოდა, რა მოხდა ამ ერთ წუთში ლელესთან...

სამასი მეტრიც არ მექნებოდა გავლილი, რომ უცებ ავტომატის გრძელი ჯერი გავივარე. მუხლები მომეკვეთა.

— ტრა-ტა-ტა-ტა, — განმეორდა ავტომატის ჯერი, მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გაყვივით წამოვხტი და იქითკენ გავვარდი, სიდანაც ავტომატის ხმა მომესმა. წაბლის ტყით დაფარული ფერდობი ავირბინე და ტრიალ მინდორზე გავვარდი, გავიხედ-გამოვიხედე. მინდორის მეორე ბოლოში, ზედ სასაზღვრო ღობის პირას დაოთხილი მესაზღვრე რაღაცას დაეძებდა. სულ მოუთქმელად მივირბინე მასთან, ამოხედა და გამიღიმა. იაშინი იყო, ჩვენი საგუშაგოს მესაზღვრე.

— რა მოხდა, იაშინ? — ვკითხე მე და ფეხზე წამოვყავენე.

— ცარიელ გილზებს ვეძებ! — მითხრა მან და მუხლების ფერთხვა დაიწყო.

— რატომ ისროლე?

— სისტემას ვამოწმებ. ვხედავ, ტყიდან გამოვიდა, ჩემსკენ მოდის, პირდაპირ, მერე წამოდგა ორ ფეხზე და მოდის. შეხედე რამხელაა, კიდევ კარგი დავინახე, თორემ ჩემი ბურღლაც არ იქნებოდა ახლა, შეხედე, შეხედე! — გამახედა მან. სასაზღვრო ღობის ახლოს, ღვარისაგან გათხრილ ხევში, ჩამხობილი ეგდო მერაბია და ღიად დარჩენილ პირიდან სისხლი ჟონავდა.

— ახლა ბიჭები მოვლენ! — თქვა იაშინმა და ისევ გამიღიმა.

— რატომ მოჰკალი, ბიჭო? — ვკითხე მე და თავი ძლივს შევიკავე, რომ სიფათში არ მეღეწა.

— როგორ თუ რატომ მოვკალი, ვხედავ, ვეებერთელა დათვი მოდის...

— ეს სადაური დათვია, შე იდიოტო, ეს ხომ მერაბიაა! — იაშინს ვაოცებისაგან ყბა ჩამოუვარდა და მიწაზე დაჯდა. მეც დავჯექი. სივარეტი ამოვიღე, ერთი იაშინს მივეცი, მეორე მე გავაბოლე. ზევიდან ხმაური მომესმა, ავიხედე, მესაზღვრე ბიჭები მობრუნდნენ. ავდექი.

— ჯაყელო, მე რა ვიცოდი... — წამოდგა ვაფითრებული იაშინი.

— შენ რას ვერჩი, ჩემი ბრალია! — ეუთხარი მე, შემოვტრიალდი და დაბლა დავეშვი.

ბათუმისაკენ მიმავალ ავტობუსში ჩაჯექი და ნახევარ საათში ბათუმში ვიყავი. მატარებელი დამის 12 საათზე გადიოდა. დარჩენილი ხუთი საათი ქალაქში ვიბოროილე. სად წავსულიყავი, რა მექნა, არ ვიცოდი. ძლივს თერთმეტ საათამდე ვაძვლი, ბოლოს მივედი სადგურში, გამცილებელს ვთხოვე ვაგონში ავეშვი — ერთი საათით ადრე. კუბეში შევედი და გაუხდელი დავეგდე ჩემს საწოლზე.

მატარებელი მოულოდნელად დაიძრა და ბიძგი ვეებერთელა ჯაჭვის ქღრიალივით გადაეცა შემადგენლობის ერთი თავიდან მეორეს. შემდეგ კიდევ ერთი ძლიერი ბიძგი და ვაგონები გაბმული ჭრიალითა და ბორბლების ნელი, მაგრამ რიტმული კაკუნით დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ. საწოლზე წამოვჯექი. კუბე ცარიელი იყო და გამიხარდა. კარი გაიღო, კუბეში გამცილებელმა შემოიხედა.

— ახალგაზრდავ, საწოლი არ გნებათ? — მკითხა მან.

— არა! — ეუთხარი მე.

— ბოდიში! — თქვა მან.

— ქალბატონო, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, ნურავის შემოუშვებთ ამ კუბეში. — ვთხოვე მე.

— იძინეთ, ბატონო, მთელი შემადგენლობა თაფისუფალია; ოღონდ კარი ჩაიკეტეთ.

— გამდლობთ!

— სად გაგარჯობით?

— არსად!

— ძილი ნებისა!

— გამდლობთ! — გამცილებელი გავიდა, ისევ წამოვწექი საწოლზე და თვალები ვაგონის ჭერში დიდი ბეჭდის თვალივით ჩასმულ, ლურჯ ნათურას

მივაყარე. მატარებელმა სელას უმატა და ახლა ბორბლების გაბმული გუგუნე მხოლოდ იქ ირღვეოდა, სადაც ლიანდაგები გადაბმულია. შემდეგ მატარებელი ისეთი სისწრაფით წავიდა, რომ ეს არიტმიაც რიტმად იქცა და გეგონებოდათ მატარებელი განუზრებელი დროლის ხმაზე მიჰქრისო. გონება ძალაუნებურად აჰყვა მატარებლის რიტმს და შუბლზე მოწოლილი ვეებერთელა მძიმე ფიქრი გამექცა, ისე გამექცა, რომ ვეღარ ვეწეოდი. დალილობა და მთელი დღის განცდები საფეთქლებს მწვავდა.

რული მომადგა საიდანაც. დაუკითხავად მიბნელებდა აზრს და თვალებს მიხუჭავდა, მათრობელა ძილი მაწვებოდა კეფაში და მივყავდი სადღაც შორს, ჩემთვის უცნობ მხარეში. აშკარად ვგრძნობდი, რომ მისი მორევის თავი აღარ მქონდა. კიდევ ერთხელ გავახილე თვალი და ავხედე ლურჯ ნათურას, იგი ჯერ გათეთრდა, მერე გაყვითლდა, მერე ისევ გალურჯდა და მთელი კუბე ლურჯი გახდა. ლურჯი, როგორც ზღვა, ოღონდ მსუბუქი, ძალიან მსუბუქი და მე თვალდახუჭულმა შევეცურე ამ სილურჯეში.

... იგი, როგორც ათი წლის წინ, ისეთი ლამაზი, თეთრი, ცისფერთვალა და მხრებზე შავმინდაყრილი მოვიდა. ღრუბელივით თეთრი და მსუბუქი კაბა ეცვა, ძალიან გრძელი, ფეხები არ უჩანდა. ასე გეგონებოდათ, ღრუბელზე დგას და თვითონაც ღრუბელიაო. მოვიდა და თავისი თბილი ხელი შუბლზე შემახო.

— გამარჯობა, შვილო!

— გამარჯობა, დედა!

— როგორ ხარ, შვილო?

— არ ვიცი, დედა, ალბათ კარგად ვარ.

— კარგად ხარ?

— ხანდახან კარგად ვარ, ხანდახან ცუდად.

ნოდარ დუმბაძე  
ნუ გაზინია, დედა

— ყველა კაცი ასეა, შვილო, მარტო ცუდი და მარტო კარგი არ არსებობს.

— ალბათ ასეა.

— ხომ არ გიჭირს რამე, შვილო?

— მიჭირს. დედა, როგორ არ მიჭირს!

— მაინც რა გიჭირს, შვილო, ნუ დამიმაღავ.

— რომ არ ვიცი, დედა. რა მიჭირს? ბევრი რამე მიჭირს. ბევრი რამის გავება მიჭირს, მინდა გავვიგო რაღაც, მგონია გავვიგე და უცებ ვხვდები, რომ ვერაფერიც ვერ გავვიგე. მგონია მიყვარს. შემოიყვარდა და უცებ ვხვდები. რომ არ მიყვარს, ან მგონია არ მიყვარს და უცებ ვხვდები, რომ უიმიოდ სიცოცხლე არ შემოძლია. ან მგონია. არ მეშინია, მაგრამ მივალ და თურმე მაშინ ვკვლევები შიშით, ან პირიქით. შიშით ვკვლევები და აღმოჩნდება, რომ საშიში არაფერია. ჰოდა, ყველაფერი ამის გავება მიჭირს, დედა...

— კიდევ დიდხანს გაგიჭირდება, შვილო, ჯერ პატარა ხარ.

— რალა პატარა ვარ, დედა, ოცი წლის ვხდები.

— ოცი წელი ბევრი არ არის, შვილო.

— არც ცოტაა.

— არც ცოტაა... მაგრამ იმდენი არაა, რომ არ გიჭირდეს, კარგია, რომ გიჭირს.

— კარგია?

— კარგია, შვილო!

— შენ არ გიჭირს, დედა?

— მე ახლა აღარ მიჭირს, შენხელა რომ დიყავი, მიჭირდა, ახლა აღარ მიჭირს.

— მერე და, ცუდია რომ არ გიჭირს?

— ცუდია, შვილო!

— არ ვიცი, დედა, არაფერი არ ვიცი, უშენობაც მიჭირს, ძნელია უშენობა.

— ვიცი, რომ ძნელია, და ამიტომ მოვედი.

— ხომ აღარ წახვალ, დედა?

— ჯერ არა, ჯერ უნდა გავვიგო, რას ფიქრობს ჩემი სისხლი, რას აპირებს,

საით მიედინება და რისთვის იღვრება...  
— ვერ გავიგე, რას მეკითხები, დედა?

— შენ უნდა იცოდე უკვე, საით მიდის. რას აპირებს, რა უნდა გამოხვიდე, კაცი თუ პირუტყვი!

— მე ჯერ არ ვიცი, რა უნდა გამოვიდე, მე ჯერ მხოლოდ მინდა!

— რა გინდა, შვილო, ის მითხარი!

— მე მინდა. დედა... მე მინდა ბაზუსავით ვაქვაცი ვიყო...

— ცოტაა, შვილო!

— მე მინდა მამაჩემივით გულწრფელი და ალალი ვიყო...

— ცოტაა!

— ვანიჩკა ბიძისავით პატროსანი ვიყო...

...

— მერაბისავით სიყვარული ვიციდე, მინდა...

...

— ალი ხორავასავით ჭკვიანი მინდა ვიყო...

...

— საქმისათვის შერბინასავით უსმოდ სიკვდილი შემეძლოს.

...

— ჩხარტიშვილივით ძლიერი და ერთგული ვიყო მინდა...

...

— შენსავით სათნო ვიყო მინდა. დედა, ეს ყველაფერი ერთად ვიყო მინდა... ბევრია, დედა?

— ბევრია, შვილო, მოერევი ყველაფერ ამას?

— მოვერიო მინდა!

— ეგ ყველაფერი, რაც მითხარი. სხვა არის შენში, შენ საკუთრად შენი მითხარი, რა გინდა?

— მე, დედა... მე ჯერ სიცოცხლე მინდა, დიდხანს სიცოცხლე მინდა, ყველაფერს ამას რომ მოვერიო, და კიდევ ოცნება მინდა, ბევრი ოცნება მინდა, ოღონდ ახლა ვერ ვამბობ, გესმის? მატარებელი კივის, გვირახში შედის, სიბნელეა, აი, შენც ძლივს გხვდება, გავალთ და გეტყვი, კიდევ რა მინდა...

— დაწყნარდი, შვილო, მე უკვე ვხვდები რა გინდა. მე წავალ ახლა.

— არ წახვიდე, დედა, ნუ დამტოვებ, მაშინ ვილას ვუთხრა, რაც მინდა?

— შენ ოღონდ თქვი და მომსმენი უამრავია, შვილო.

— არ წახვიდე, გეხვეწები, დედა!..

— ჩემი დარჩენა არ შეიძლება, უნდა წავიდე, შვილო!

— აღარ მოხვალ, დედა?

— როგორ არ მოვალ, ყოველთვის მოვალ, როდესაც ვაგიჟირდება, შენ ოღონდ მინატრე და მოვალ.

— ნახვამდის, დედა!

— თავს მოუარე, არ დამღუპო, შვილო!!!

— ნუ გეშინია, დედა! — მან ისევ შემახო შუბლზე თავისი თბილი ხელი და სიზმარით უეცრად გაქრა, გაქრა და უზომო სითბო დამიტოვა, სითბო, რომელიც ათი წლის წინ მაჩუქა ძილის წინ და დღემდე მომყვია, როგორც ჩემი სისხლის მაცოცხლებელი სითბო.

თვალეები გავახილე. ისევ უსაზღვრო სილურჯეში ვცურავდი, მერე სილურჯე თანდათან აიზიდა ვაგონის კედლებიდან, ობობასავით აკრიფა სხივები და ქერში ბექდის თვალისგან ჩასმულ ნათურაში მოკალათდა. ჩემს მოპირდაპირე საწოლზე ვილაც ქალი იჯდა, ზგიდაზე იდაყვდაყრდნობილი და ფანჯრის მიღმა გატეხილ ღამეს გასცქეროდა.

— სადა ვართ, ქალბატონო? — კვითხე და ისევ დავხუჭე თვალები.

— გვირაბიდან გავედით! — თქვა მან.

... გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით, აგუგუნდა საფეთქლებში ასი ათასი ზარი... გვირაბიდან გამოვედით, გვირაბიდან გამოვედით... აკივლდა ასი ათასი მატარებელი, გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით, აკივლდა ხმა, ასი ათასი საყვირი და ბოლოს მაღალ სამრეკლოზე დაკიდულ დიდი ზარის გაბმულ გუგუნად იქცა.

გვირაბიდან გავედით, ბომ, ბომ, ბომ... ღმერთო, ნუთუ ესეც სიზმარია, რატომ მიქციე ყველაფერი სიზმრად, ცხადი მაჩვენე, ღმერთო, ცხადი!

გველნაკბენივით წამოვვარდი საწოლიდან, კუბეში ჩემს გარდა არავინ იყო.

ლურჯი შუქი თანდათან ქრებოდა და ფანჯრიდან განთიადის მკრთალი სხივი შემოდინოდა. მატარებელი კვილით მიჰქროდა აღმოსავლეთისაკენ. დედამიწაზე თენდებოდა.

— ბომ, ბომ, ბომ... გვირაბიდან გავედით, ავთანდილ ჭაყელო, გვირაბიდან გავედით! მაღალ სამრეკლოზე დარჩეული ვეებერთელა ზარივით გუგუნებდა ჩემი გული.





ნიკა კარვის წინ იდგა და თვალუწყვდენ მინდორს გასცქეროდა. სიცხისგან გათანგული უკაცრიელი სტეპი დუმდა. მზე გამადიდებელ შუშაში თავმოყრილ სხივებით თეთრი იყო. ახლოს და შორს, ჰორიზონტამდე ჰაერი ირხეოდა და კანკალებდა.

ზეთწასმულივით ლაპლაპებდა წელზევით შიშველი ტანი. მთელ სხეულზე ოფლის წვეთები მოძრაობდნენ, მიცოცავდნენ სვენებ-სვენებით, ჯიუტად უღიტინებდნენ და აღიზიანებდნენ. ნიკა გრძნობდა, როგორ ეწებებოდა კანი, და ზიზღით ივსებოდა.

— ნიკა, არავენ არ ჩანს? — ჰკითხა საშამ.

— არავენ.

— მგონი, ხვალაც უსაქმოდ ვისხდებით, — კარავში აბუზღუნდა საშამ. მერე კარში გამოჩნდა მისი ქერა თავი, —

ორმოცდახუთია, — ჩაილაპარაკა და ისევ კარავში გაუჩინარდა.

ნიკა კარავში შევიდა. სუნთქვა იქაც ჭირდა. ჯუმა კართან ახლოს, აყირაგებულ ჩემოდანზე შემდგარ პატარა სარკეს ფეხმორთხმით მიჯდომოდა და ისე მონღომებით იპარსავდა წვერს, თითქოს თეატრში წასასვლელად ემზადებო.

„რა უცნაური ვინმეა, — გაიფიქრა ნიკამ, — ჩვენ თვეზე მეტია სამართებელ არ მიგვიკარებია, ეს კი კვირაში სამჯერ იპარსავს“.

საშამ მთვარეულივით დაბორიალობდა კარავში, ხან რას წამოდებოდა, ხან — რას...

სტუდენტთა ბრიგადაში ხუთნი მუშაობდნენ. ავტოსტრადა, რომელზედაც ისინი პატარა ავტოსადგურებს აშენებდნენ, იწყებოდა შორს, დასავლეთით

და პავლოდარამდე გრძელდებოდა. მერე აქედან უხვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთით და სემიპალატინსკამდე აღწევდა.

— მეორე დღე იყო, რაც სამუშაო შემოეღიათ. ახალი სადგურის მშენებლობის დასაწყებად მიწის სათხრელი მანქანა არ ჰქონდათ. ბრიგადირი გიორგი ზლობინი და განი მალიკოვი მანქანის ჩამოსაყვანად წავიდნენ, მაგრამ ჭერაც არ ჩანდნენ.

— ლამის გავვიყედე. — თქვა საშამ. — ასე მგონია, თავში ექვნებიანი ეშმაკების მთელი არმიია ჩასახლებულა.

— მეც ასე მჭირს, — თქვა ნიკამ და ჯუმას შეხედა, „ნეტავ, ჯუმა თუ გრძნობს ასეთ რამეს?“ — გაიფიქრა მან.

ჯუმა წყნარად იჯდა, დინჯად იხეზდა სახეს ოდეკოლონიტ. ნიკამ წვერზე მოისვა ხელი, ნიკაბი აუქავდა. სახეზე თმებმა წიწკნა დაუწყო და ნიკასაც ძალიან მოუნდა გაპარსვა. ჯუმამ საპარსი მოწყობილობა გარეცხა და ისევე ჩემოდანზე დააწყო, მერე ნიკას მიუბრუნდა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ხომ არ გაიპარსავ?

— კი, — სიხარულით დაეთანხმა ნიკა.

— მეც გასაპარსი ვარ, — შეიცხადა საშამ და წვერზე ხელი მოისვა.

ნიკა სარკეს მიუჯდა. სარკეში ჩანდა მისი ქვალი წვერი, უკან — საწოლზე ჩამომჯდარი ჯუმა, ჯუმას იქით — კარვის დაშვებული კალთები.

— ჩვენი სახლის ქვემოთ სალუდეა, — თქვა საშამ, — მთელ ლენინგრადში მაგისტანა ლუდს ვერსად დალუვ. ნეტავ, ახლა იქ დავგვსვა!

ჯუმა ისევე ჩუმად იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა და წიგნს კითხულობდა. ეს არ მოსწონდა ნიკას. „გიორგი და განი უეჭველად რამეს ინატრებდნენ, — ფიქრობდა ნიკა, — ეს კი მთელი დღე ენაწართმეულივით ზის... ეჰ, ამის იმედზე კაცი“...

— როცა მუშაობ, მაშინ ისე ვერ გრძნობ სიცხეს... — თქვა საშამ, მერე

პირსახოცი აიღო, გარეთ გავიდა, შემდეგ პირსახანის ჩხაკუნი და წყლის ლინხინ-ლიშხინი გაისმა. წყლის ხმაზე ნიკას ტყით დაბურული მთები და თოვლიანი მწვერვალები აგონდებოდა. მთის ძირში, ღრმა ხეობაში, მოქუხდა ყინულივით ცივი, ცისფერი მდინარე. ხეობაში გრძლად იწვა უმზეო ჩრდილი. გრილი ნიავი წყლამდე ხრიდა დიდგულას რტოებს და ფოთლებს მძივებდა ეკიდა წყლის ბროლისფერი წვეთები. ეკა ჟაკეტმოსხმული იჯდა მაღალ ლოდზე, მდინარის პირას. ნიკა ქვაზე გაწოლილი სეამდა წყალს. წყალზე სუფთად ისახებოდა თითქოს მოძრავი, ტყით დაბურული მთის კალთები...

საშამ ჩაიდანი წააქცია და ლაზათიანად შეიკურთხა. ნიკა გამოერკვა.

— ეჰ, ერთი ჩვენებური მთის წყარო, — ინატრა ნიკამ.

— ოღონდაც ცივი იყოს და სადაურობას არ ვჩივი, თქვა საშამ, — ეშმაკსაც წაუღია! ჩვეს რეზერვუარში კვერცხი მოიხარშება!

ნიკას ცივი წყალი და ოთხი თვის უნახავი ეკა ენატრებოდა. „ნეტავ, ჯუმას რა ენატრება?“, — გაიფიქრა ნიკამ. ჯუმა არაფერს არ ნატრობდა — იჯდა წყნარად და კითხულობდა. მის ზუზარმაზარ ბეჭებზე და კისერზე მიტოცავდა ოფლის წვეთები, მაგრამ ჯუმა გაუნძრევლად იჯდა, თითქოს ვერაფერს გრძნობდა.

— ორმოცდაექვსია, — თქვა საშამ და სარკის წინ ახლა ის დაჯდა.

ცხელი ქარი სახეს წვადა და ყელს აშრობდა. ერთ საათში შემოდგომის გამხმარ ბალახს დაემსგავსა შროშანები ნატბევარის პირას. ნატბევარი კარავიდან ჩანდა და მარილის ნალექები ჯადოსნურ ფერებს ხატავდნენ სივრცეში.

საშას, როგორც კი პარსვას მორჩა, ნიკამ სთხოვა:

— დაუკარი რამე.

საშას ტკბილი ხმა ჰქონდა და გიტა-

ზაალ ბაბაღუა

ჯუმა

რასაც კარგად უკრავდა. გარეთ ცხელი ჰაერი გიტარის სიმებივით ირხეოდა და კანკალებდა. კარავში ახლა აღარ ცხელოდა და არც სუნთქვა ჰქონდა. საშა მღეროდა... ჯუმას წიგნი გვერდზე გადაედო და საღდაც, შორს იტყირებოდა..

საშას სიმღერაზე ნიკას აგონდებოდა მთვარიანი ღამე, არქეოლოგიური ექსპედიცია და კარავის წინ მკდარი ეკა...

ღრო ნელა, მაგრამ მაინც გავიდა. სიცხე გატყდა. ჰაერმა რხევა შეწყვიტა. ირტიშის სანაპიროდან გრილმა სიომ დაჰბერა და მიძინებული სტები გამოცოცხლდა.

საღამოს, ვახშობამდე, საშა ავად გახდა. ტანზე ლურჯმა ხორკლებმა გამოაყარა და ერთიანად ააძაგა. ერთი საათის მერე კი ტყვილისაგან იკრუნხებოდა.

— ექიმი გვინდა! — თქვა ნიკამ.

— მე წავალ, — უბასუხა ჯუმამ.

— არა, მე წავალ.

„ლებიაქემდე თხუთმეტი კილომეტრია, — ფიქრობდა ნიკა და მიძუნძულედა, — საათნახევარში იქ ვიქნები ნეტავ ექიმი დამიხვედებოდეს!“

სტები ერთფეროვანი სიბნელით იყო სავსე, მხოლოდ გზა ილანდებოდა ოღნავ თეთრად.

ნიკას არ შეეძლო, უმოქმედოდ ეტყირა ამხანაგის ტანჯვისათვის. ახლა კი სჯეროდა—რაღაცას მაინც აკეთებდა მის გადასარჩენად. მერე ჯუმაც შეეცოდა, მაგრამ უცებ უარყო ეს ფიქრი. „ჯუმას რა შეაწუხებს“, გაიფიქრა, სიჩქარეს უმატა. „ასე ველარ გავუძლებ... არა, უნდა გავუძლო“, შეედავა საკუთარ თავს. „მე ორჯერ ნაკლები მაქვს გასარბენი, ვიდრე მართონელს“.

სიჩქარეს კვლავ მოუმატა „არაფერია, გავუძლებ, მთავარია საშა გადაარჩეს“. სტების სიბნელესა და სიწყნარეში შორს ისმოდა მისი არეული ნაბიჯების ხმა...

მხოლოდ საავადმყოფოს წინ შეჩერდა. ერთ ადგილზე იდგა და უგუნველ მთვრალივით ტორტმანებდა. დარაჯი გაკვირვებული შეჰყურებდა.

— წყალი! — ამოიხრიალა ნიკამ.

კაცი მაშინვე შევიდა ოთახში და დოქით წყალი გამოიტანა.

წყალი სულმოუთქმელად დალია ნიკამ და მერე თავზე გადაისხა... შემდეგ ისევ მოიყუდა...

— ექიმი მინდა, — თქვა ბოლოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სულს ძლივითქვამდა. კაცი მაშინვე წავიდა. ნიკა ახლა მიწაზე იწვა და ეჩვენებოდა, ძალიან დიდხანს იწვა აქ და ყველაფერი სიზმარი იყო. მერე ფეხს ხმამ გამოიყვანა ფიქრიდან. წინ ქალიშვილი მიდიოდა, უკან დარაჯი.

— ავადმყოფი სადაა? — ჰკითხა ქალიშვილმა, — რას იტყვივებს?

ნიკამ საჩქაროდ აუხსნა ყველაფერი.

— ახლავე წამოვალ, — თქვა ქალიშვილმა და ოთახში შევიდა. წუთის მერე ისინი მანქანაში ისხდნენ.

ქალიშვილმა ხელჩანთა ნიკას მიაწოდა, მანქანა დაქოქა და ადგილს მოსწყვიტა. მანქანის შუქმა სტების სიბნელე გააპო.

„ნეტავ, როგორაა საშა, — გაიფიქრა ნიკამ, — ასე თუ ვიარეთ, თხუთმეტი წუთში იქ ვიქნებით“.

მთავარ გზაზე გადავიდა თუ არა მანქანა, შორს კაცი გამოჩნდა, უცნაურად მოდიოდა. როცა მიუახლოვდნენ, გაცივებისაგან პირი დაალო და მთელი ხმით იყვირა:

— ჯუმა, ჯუმა!

ქალიშვილმა გაკვირვებით შეხედა ნიკას. ეტყობოდა, ვერაფერი გაიგო: გზაზე კი მანქანის შუქზე კარგად ჩანდა მამაკაცი — ზურგზე ბავშვივით მოკიდებინა კაცი და მიძინებულ მობიჯებდა.

— ავადმყოფი მოჰყავს, ჩემი ამხანაგია, — უთხრა ნიკამ ექიმს...



# საქართველო

რადიარეკლი

## ათასი მწუხარების ჭიშკარი

ნუ შეგშურდებათ ჩემი, რაკილა  
სულ რაღაც ერთი პაისის ფასად  
ძალბიძის შეველო აღსაელის კარი.

ოპიუმის მწველის გამონათქვამი

ეს ამბავი მე არ შემითხზავს — სიკვდილამდე  
ექვსი კვირით აღრე, მთელი ღამის განმავლო-  
ბაში მიაშობდა ყოველივეს ჩემი მეტის მე-  
გობარი, ვაბრალ მისკვიტა და მეც აიტყვისიტყ-  
ვით ჩაეწერე მისი წაამბობი:

„ჭიშკარი“ მდებარეობს კოპერსმიტის ხრამსა  
და მეჩიბუხეთა კვარტალს შორის, ვაზირხანის  
მეჩეთიდან ასი იარღის მანძილზე. შემოიღო  
ყველას ავწერო მისი ადგილმდებარეობა. მავ-  
რამ სანაძლოს ველებ, ვერავინ მიაგნებს, რაც  
უნდა კარგად იცნობდეს ქალაქს. შეიძლება ას-  
ჯერ ჩაუაროთ იმ არემარეს, სადაც ეს ჭიშკა-  
რია და მაინც ვერ შეამჩნიოთ იგი, საპაღლიანი  
სახედარი ვერ ეტყევა კედლებს შორის, ხოლო  
ერთ ალაგას სახლის ფასადა ისეა გამოწყული,  
რომ გამართული ვერ გაივლი. ჩვეულებრივ ამ  
ბუდეს „შევი კვამლის“ ხრამს ეწოდებოდა.  
მისი ადგილობრივი სახელი კი სულ სხვაა.

სინამდვილეში ის ჭიშკარი კი არა, სახლია.  
ხუთი წლის წინათ მოხუც ფუნ-ჩინს, კალკუ-  
ტელ ხარაზს ეკუთვნოდა. ამბობენ: ფუნ-ჩინს  
კალკუტაში ცოლი შემოკვდიოდა სიმთვარელში.  
სწორედ ამიტომ მიუტოვებდა ბაზრის რომი და  
ოპიუმს დასწავებია, მერე იგი ჩრდილოეთს წა-  
სულა და ისეთი ჭიშკარი გაუხსნია, სადაც კაცს  
შეეძლო მყუდროდ და მშვიდად მოეყინა ოპიუ-  
მი: ნუ დაგავიწყდებათ, ეს იყო პუჟკა, ოპიუ-  
მის საუცხოო სახლი და არა ერთი იმ მყარად  
და დახუთულ ჩანდუხანათაგანი, რომლებსაც  
მრავლად შეხვდებით ქალაქში. მოხუცმა თა-  
ვისი საქმე ზედმიწევნით კარგად იცოდა და ჩა-  
ნელის პირობაზე ძალზე სუფთა იყო. ეს ცალ-  
თვალა, პატარა კაცი ხუთ ფუტზე მეტი არ იქ-  
ნებოდა სიმაღლით, თან ორივე შუათითი აკ-  
ლდა. მიუხედავად ამ ნაკლისა მე არ მინახავს  
შევი აბების გაწყობის ესოდენ უბადლო ოსტა-  
ტი. ოპიუმი თითქოს არც ენებდა, რადგან თა-  
ვის წილს დიდს წინდახედულებით ეწეოდა.

ხუთი წელი დაეყავი იქ და ოპიუმის წვეაში.  
ვისაც გუნებავთ, გაეჯიბრებო, მაგრამ ფუნ-  
ჩინთან უიდილო ყოველთვის შეუძლებელი იყო.  
მოხუცი ფულის დიდი ტრფიალი გახლდათ,  
რაც ვერაფრით ამიხსნია. შევიტყე, რომ სიკ-  
ვდილამდე ვეპირიანი თანხა დაუგროვებია, რაც  
მის ძმისწულს ხვდა წილად. მოხუცი კი ჩინე-  
თისავე გაუყენეს გზას. აქ უნდა დავიმარ-  
ხოო, — უთქვამს.

ზემო სართულზე მდებარე ოთახს, სადაც  
რჩეული მუშტრები იკრიბებოდნენ, ფუნ-ჩინი  
ახალი ქინძისთავივით სუფთად ინახავდა. ერთ  
კუთხეში ფუნ-ჩინის ჯოსი ესვენა, ისეთივე გო-  
ნჯი, როგორც მისი პატრონი იყო. ჯოსს ცვირ-  
ქვეშ ყოველთვის უჩნდა ანთებული კვარცხ-  
მაგრამ ჩიბუხების ხაროლვაში მათ სუნს ვერც  
იგრძნობდით. კერპის პირდაპირ ფუნ-ჩინის კუ-  
ბო იდგა. მოხუცმა მას თავისი დანაზოგის დი-  
დი ნაწილი შეაღია. ამიტომ იყო, ფუნ-ჩინი ყო-  
ველ ახალმოსულს თავომწონედ რომ უჩვე-  
ნებდა ხოლმე. შავად მოეღვარე კუბოზე წი-  
თელი და თეთრი წარწერები იყო გამოყვანი-  
ლი. გამიგონია, თითქოს ფუნ-ჩინს იგი ჩინე-  
თიდან ჩამოეტანოს. ვერ გეტყვით ეს მართა-  
ლია თუ არა, მე მხოლოდ ის ვიცი, თუ სადა-  
მომოთხდა პირველი მივიღოდა, უსათუოდ მის  
ძირას ვიგებდი ქილობს. ეს მეტად მყუდრო  
ადგილი იყო და ხევიდან მონაქროლი ნიავიც  
ფანჯრებში უბერავდა დროდადრო.

ოთახში იყო მხოლოდ ქილობები. კუბო,  
ღროთსა და წმენდისაგან მწვანედ, ლურჯად და  
მეწამულად მოლაპლავე ჯოსი. ეს იყო და ეს.  
ფუნ-ჩინს არასოდეს უთქვამს ჩვენთვის, რა-  
ტომ უწოდა ამ ადგილს „ათასი მწუხარების  
ჭიშკარი“. ჩემს ნაცნობ ჩინელოვან მარტო იგი  
ხმარობდა ხოლმე უცნაურ სახელწოდებებს

1 ჯოსი — ჩინური კერპი.

და ნათქვამის შინაარსს თავად უნდა ჩაეწვდომოდით. ისე, ჩინელთა გამოთქმები უმოთარესად ხატოვანია. კალკუტა ამაში დაგარწმუნებთ.

არაფერი ისე არ იმონებს თეთრკანიანს, როგორც შავი კვამლი. ყვეთელკანიანი სხვაგვარადაა ნაქსოვი. ოპიუმის მასზე თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენს, თეთრკანიანებს კი საკმაოდ ვნებს. მაგრამ კაციცაა და კაციცა! ზოგიერთზე იგი ისევე მოქმედებს, როგორც ახლებელთზე თამბაქოს პირველი ნაფხი. ადამიანი ერთხანს თვლემს თითქოსდა ჩვეულებრივი ძილით, მეორე დღეს კი ჭანსალია და შრომის უნარის მქონეა. მეც ასეთი ვახლდით თავდაპირველად, მაგრამ ხუთი წლის მანძილზე ჰიშკარში მუდმივმა სიარულმა სრულიად შემიცვალა.

ერთი მოხუცი მამია მყავდა, აგრის გზის პირას სახლობდა. მან ცოტა რამ მიანდერძა: თვიური შემოსავალი სამოცი რუპიის რაოდენობით. მაგრამ რა არის სამოცი რუპია? მახსოვს, როცა კალკუტის სატყეო სარეწაოში ვმუშაობდი, თვიურად სამასი რუპიის ვარდა, პატარა გამორჩენაც მქონდა. ვიხსენებ ამას და ასე გონიანი, თითქოს ეს ასეული წლები წინ იყო.

ამ სამუშაოზე დიდხანს არ გავჩერებულვარ. „შავი კვამლი“ ვერ ეწყობა სხვა საქმიანობას. იგი ჩემზე თითქმის არ მოქმედებს, მაგრამ სხვებსაც თუკი აღარ შემეძლია დღიური სარჩოსათვის ვარჯი. ბოლოს და ბოლოს სამოცი რუპიის მეტი ხომ არა მინდა რა! სანამ სული უდგა, მოხუცი ფუნ-ჩინი თვით იღებდა ამ ფულს. ნახევარს იტოვებდა, დანარჩენს მე მაძლევდა. ეს უშინოვნელო თანხაც კი მყოფნიდა, ისე ცოტას ვეპაღი. „ჰიშკარში“ ყოველთვის ისე იყო ჩემთვის: ძილი და მოწვევა შემეძლო, როცა კი მოვისურვებდი, დღე იქნებოდა ოთხ დამე. ასე რომ არაფრის დარდი არ მაწუხებდა. ვიცოდი, მოხუცს დიდი გამორჩენა ჰქონდა ჩემგან. ეს არ მთარღვებდა. ჩემი სამყარო უფლო ყოველთაგან აღარ შემოამდიოდა, დანარჩენს კი ყველაფერს ქვეყნად დაკარგული ჰქონდა ფასი.

„ჰიშკარის“ მუშტრები თავდაპირველად ათნი ვიყავით: მე, ორი ბაბუ, ისინი სამსახურიდან დაუთხოვთ და ფულს ვერ იხდიდნენ, ფუნ-ჩინის მძისწული, ბაზრის დოვაკრე ქალი (როგორცდ რომ ახერხებდა მფულის შეუნას), ერთი უსაქმური ინგლისელი, თუ არ ცდებოდა ვინმე მაკ... იგი უსომოდ ეწეოდა, მაგრამ მგონი არაფერს იხდიდა. ამბობდნენ, რომ კალკუტაში, ევროპოლისას სასამართლო პროცესზე გამოიხსნა ფუნ-ჩინის.. ვინმე ევრაზიელი მადრასიდან, მეტრისის ქალი; ჩრდილოეთიდან ვადმოსული ორი მამაკაცი; მათივე სიტყვით, სპარსელები ან ავღანელები რომ უნდა ყოფილიყვნენ.

ვერ გეტყვია, რა შემთხვევა იმ ორ ანარკულულ ბაბუს, მოვაკრე ქალმა კი ექვსი თვის შემდეგ განუტევა სული „ჰიშკარში“. მისი სამაჟურები და სხვა სამაჟურები ალბათ ფუნ-

ჩინმა მისიყუთრა. ინგლისელი მაგარ სხემი  
ლესაჲც ეტანეოთრა, ამიტომ ისიც მალე  
მართა საიქოს. ერთ-ერთი სპარსი დიდი ხანია,  
რაც მოკლეს მეჩეთის მახლობელ დიდ ქასთან.  
გვამი შიგ ჩაადგეს და პოლიციამ დახურა ქა  
სიმყარლის გამო.

დავჩიოთ მოლოდ ხუთნი. მე, ჩინელი, ევრაზიელი, მეორე სპარსი და მეტრისი ქალი. იგი ფუნ-ჩინთან ცხოვრობდა და ჩვენ მას მემსაპიბს ვუწოდებდით. მემსაპიბი ახლა მეტად მობერებულა. ისიც ახალგაზრდა ჩანდა „ჰიშკარის“ ვახსნის პირველ ხანებში, მაგრამ ჩვენ ყველას ხომ ამ „ჰიშკარში“ მოგვილო ბოლოა? მეტად ძნელია დროის შეგრძნება და გეჩვენება, თითქოს ასეთელმა წლებმა განგლო. ესეცაა, დრო ჩვენთვის აღარაფერს ნიშნავს.

მე კვლავ ყოველთვიურად ვიღებ ჩემს სამოც რუპიას. დიდი ხანი გავიდა მას შემდგომ, რაც სამსართომოცდათი რუპია და უფრო მეტიც შემიძლიადა კალკუტის დიდ სატყეო სარეწაოდან. იმ დროს მე მდამიო ქალი მყავდა ცოლად. იგი უკვე აღარაა ცოცხალი, ამბობდნენ, „შავი კვამლისადმი“ ჩემი დაუოკებელი ლტოლვა ვახდაო მისი სიყვდილის მიზეზი. შეიძლება ეს ასეცაა, მაგრამ ბევრმა წყალობა ჩაიარა და მოგონებდაც არ დრის. როცა „ჰიშკარში“ ახალბედა ვიყავი, ხანდახან მაწუხებდა ხოლმე ჩემი მდგომარეობა, მაგრამ რაც მოხდა მოხდა. ყოველივე გათავებულა. ვიღებ კვლავინდებურად ჩემს სამოც რუპიას, ცაში ვარსკვლავებზე არ ვებოტინები და ვარ მშვიდად და წყნარად. მაგონდება, როგორ მივეჩვიე ოპიუმს: ეს მოხდა კალკუტაში. პირველად საკუთარ სახლში მოეწიე. ცნობისმოყვარეობამ წამძლია. ამ საქმეში დრმად არ შემეიტობავს, მაგრამ ცოლი მაინც ამას ვადაჟყვა.

შემდეგ როგორცაღ ვავიციან ფუნ-ჩინი და მისი წყალობით მოვხვდი „ჰიშკარში“. ნუ დაგავიწყდებათ, ფუნ-ჩინის დროს სახლი საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო და სრულიადც არ ზავდა იმ ჩანდუხანებს, სადაც ზანგები იყრიან თავს. არა, იქ სიწყნარე და სიუფრობეც სუფევდა. „ჰიშკარში“ სხვებზე დიდობდნენ. მაგრამ ჩვენთვის მუდამ მზად იყო ქილობი და კუთხეში მდგარ კუბოსავით შავი და წითელი ურჩხულებით მოქარგული, მატყლის ბალიში.

მესამე ჩიბუხის დამთავრებისას ეს ურჩხულები ამოძრავებოდნენ და შვერავებოდნენ ერთმანეთს. უბრალოდ დამეგობს განმავლობაში ეტმზრება მათ ბრძოლას. ურჩხულთა მოძრაობა იყო ნიშანი, რომლითაც ვსომავდი ოპიუმის გავლენას. ახლა თორმეტი ჩიბუხე მქირდება, ისინი რომ ადგილიდან ადგებრა. ამასთან ურჩხულები ქილობებივით დაიფლეთა და დაწვრილანდა და ფუნ-ჩინიც აღარაა ცოცხალი: ორი წლის წინათ მოკლეს; სახსოვრად უცნაურად დაზღაზნილი არსებებით მოხატული გერცხლის ჩიბუხი.



დამიტოვა. მანამდე სპილენძის თავით და მწვანე ნეფრიტის მუნღშტეით ვაწყობილ, ბამბუკის დიდ ჩიბუხს ვხმარობდი. ის ტროსტუხ უღნავ მსხვილი იყო და ძლიერ ტუბილი მოსაწევი. ბამბუკი კვამლს იწოვს, ვერცხლი კი იმჟვართლება და ამიტომ სწორად მიხდებოდა ფუნჩინისეული ჩიბუხის წმენდა. ეს ზედმეტ საზარუნავს მიჩენდა, მაგრამ ჩიბუხს მაინც ვინახავდი მოხუცის სამახსოვროდ. მართალია, მან ბლომად ფული დამცინელა, სამაგიეროდ ყოველთვის მაძლევდა სუფთა ქილობებს, ბალიშებსა და საუკეთესო ობიექტს, როგორც ძნელად თუ იშვიათად.

ფუნჩინი მოკვდა თუ არა, „ჰიშვარს“ მისი ძმისწული დაეპატრონა და „სამი სამფლობელოს ტაძარი უწოდა“, მაგრამ ჩვენ, ძველები ამ სადგომს ძველებურად „ათასი მწუხარების ჰიშვარად“ ვიხსენებთ. ძმისწული ვერ გამოდგა კარგი მეურნე. საქმეებში მგონი მემსაპიბი ეხმარება. აღდრე ეს ქალი მოხუცთან ცხოვრობდა, ახლა მასთან ვადანიაცვლა. მათ „ჰიშვარი“ ყველა ჭურის ნაძირალებით, ზანგებითა და სხვა მისთანებით ვავსეს. ამიტომ „შავი კვამლი“ ისეთივე სასიამოვნო აღარაა, როგორც წინათ. არაერთგზის აღმომიჩენია ჩიბუხის ნაწიჭი — მიხუტო ხომ ამას არასგზით არ დაუშვებდა! ოთახი აღარ სუფთავდება, ქილობები დიფლითა და კიდევები მოერდება, კუბო კი მოხუცითურთ ჩინეთში წაიღეს, თან ორი უნცია ობიექტი ჩაატანეს, ვინიცობა ფუნჩინის გზაში მოწევა მოესურვოს.

ჯოსის ცხვირქვეშ ძველებურად უკვე აღაპ მოსჩანს გაჩახჩახებულა კვარების თანავარსკვლავედი. ეს ცუდი ნიშანია, ისეთივე სარწმუნო, როგორც სიკვდილი. აღარავინ უჯლის და თავიდან ფეხებამდე ვაზინთულია. ვიცი, ეს მემსაპიბის საქმეა. ერთხელ ფუნჩინმა დაამბრა ეკრპისთვის მოოქროვილი ქალღლები დაწინო. მემსაპიბმა დაუშალა. ფულს ტუფილად ნუ ფლანგავ, კვარი დაუდგე, ჯოსი ვანსხეავენს მაინც ვერ შენიშნავსო. მემსაპიბი ზედმეტ ხარკებს ერიდება და ახლა ეკრპს წებონარევი კვარები უნთია. ეს კვარები გვიანობამდე იწივს და ოთახში საზარელი სუნი ვიტყვლებდა. ჭუჭყსე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. საქმე კარგად ვერ წავა, თუ სახლის პატრონები ასე განაგრძობენ. მე ვხედავ, ჯოსი ვაჯრობს. ზანდანან, გვიან დამით იგი ათასგვარი უცნაური ფერებით ნათდება, როგორც ეს ფუნჩინის დროს სჩვეოდა. ეკრპი თვალებს ქჩავეს და ფეხებს ეშვასავით აბარტყუნებს.

ვერ გეტყვი, რატომ არ ვტოვებ ამ ადგილს და არ ვეწევი ოპიუმს ჩემს პატარა მყუდრო ოთახში, ბაზრის ახლოს რომ მიჭირავს. შესაძლოა, ცინ-ლინმა ამისათვის მომიკლას კიდევ. იგი ხომ გამუღმებთი დღეულობის ჩემგან საოცრუ-

ბიას. გარდა ამისა ვადასვლას ათასი დღეც ვაძლავებოდა უნდა. „ჰიშვარსაც“ ძალიან შეეწევი, თუმცა ვეღარაფერი შეილია. პირვანდელა ლახათ სულ დავარჯა. მაინც მენახება მისი შიტოვება.

აჰ, ამ „ჰიშვარში“ ქილობებზე იმდენი ვარდაცვალებული მინახავს, რომ ღია ცის ქვეშ სიკვდილისა მეშინია. მრავალი ისეთი რაღაც მახსოვს, რაც სხვებს ეუცნაურებთ, თუმცა როცა „შავ კვამლში“ ვაჩვენებ, საკვირველი აღარაფერი რჩება, ვარდა „შავი კვამლისა“.

ფუნჩინი ხალხს დავიკრებებით არჩევდა და არავის უშვებდა ისეთს, არეგ-დარევის შემოტანა რომ შეეძლო სიკვდილის წინა ზიარებით ან სხვა ამგვარი რაიმით.

ცინ-ლინი სულ სხვა კაცია. ყველგან ვაპყვირის, რომ მისი სახლი უპირველესია, არ კი ცდილობს კაცს რიგიანი პირობები შეუქმნას და აღურხაური მოსპოს. „ჰიშვარს“ ახლა მხოლოდ ზანგებს შორისა აქვს სახელი გავარდნილი. ფუნჩინის ძმისწული ვერ ბედავს თეთრკანიანთა ან მეტისთა მიღებას. ჩვენ, ძველ ბინადართ, მე, მემსაპიბსა და მეორე ევრაზიელს კი გვერიდება, თუმცა არაფრით არ მოგვეცემს სესხად თუნდაც ერთ ჩიბუხს.

ვგონებ, ამ დღეებში მოკვდები აჰ, ამ „ჰიშვარში“. სპარსი და მდრასელი ძალზე მოტეხილები არიან: ჩიბუხის ანთებაშიაც ბიჭებს იშველიებენ. მე კი ყველაფერს ჩემით ვაბერჩებ. როგორც ვხედავ, ისინი დამასწრებენ სიკვდილს, მაგრამ არა მგონია მემსაპიბსა ან ცინ-ლინს გადავაცრო. ქალი მამაკაცზე გაცილებით იოლად იწყობა „შავ კვამლს“. ცინ-ლინი კი თუმცა იაფფასიან ობიექტს ეწევა, ძნელად დასაჯანბნია. საკმაოდ ურევია ბიძის მავარი სისხლი.

მახსენდება მრვაჭერ ქალის სიკვდილი: მან ორი დღით ადრე იჯრძნო აღსასრულის ეამი და წინასწარ გამზადებულ სუფთა ქილობსა და კარგად გატერი რბილ ბალიშზე მიიცივლა. მისი ჩიბუხი ფუნჩინმა ჯოსის თავთან დაჰკიდა. მოხუცს ყოველთვის უყვარდა ეს ქალი, მაგრამ სამაჟულები მაინც ააძრო. მეც ვისურვებდი ამგვარ სიკვდილს, სიკვდილს სუფთა, გრილ ქილობზე — საუცხოო ობიექტით საესე ჩიბუხით. როცა ეივარძნო, რომ ჩემმა საათმა დაჰკრა, ყოველივე ამას მოვთხოვ ცინ-ლინს. მოვთხოვ სუფთა, გრილ ქილობსა და ძვირფას ობიექტს. ჩემი ყოველთვიური შემოსავლით კი ისარგებლოს სანამდევ სურდეს.

შემდეგ მივრჩებულად წამოვყვები გულადმა, გავუჩრდები და უკანასკნელად დავაშტერდები წითელისა და შავი ურჩხულების სასტიკ შერყინებას, მერმე კი...

დევანებით ამას თავი, ჩემთვის ამქვეყნიად აღარაფერს არა აქვს ფასი; ერთს ვითხოვ მხოლოდ: ნულა ჩაჰყრის ცინ-ლინი ნამწეს ობიექტში.

გენესი უილიამსი

# მ ი ნ ი ს ს ა მ ხ ე ც ე

კიბსა

დასასრული

სურათი მუხვსა

(ეკრანზე: სკოლის ფალავანი).

ტო მი. ამრიგად, მეორე დღეს ჯიმი მოვიყვანე სადილად. შორიასლო ვიცნობდი ჯიმს საშუალო სკოლიდან. სკოლის ფალავანი იყო. მშვენიერი ხასიათის ბიჭი, როგორც ნამდვილ ირლანდიელს შეეფერება, ხალისიანი, კოხტა და სუფთა, როგორც ქანდაკება. ყველას უყვარდა, ყველა მას შეჰხაროდა. კალათბურთში — პირველი მოთამაშე იყო, სადისკუსიო კლუბს ის ხელმძღვანელობდა. უფროსი კლასელების წარმომადგენლად ითვლებოდა, სიმღერის გუნდში მონაწილეობდა და მუდამ მამაკაცის მთავარ პარტიას ასრულებდა ოპერეტაში, რასაც ჩვენი სკოლა ყოველწლიურად დგამდა ხოლმე. სულ დახტოდა, დარბოდა — დინჯად მოსიარულე კაციშვილს არ უნახავს. გვეგონებოდა — ჰა და ჰა, დასძლევს მიწის მიზიდულობას და ჰაერში აიჭრებაო. ისე ლალად გაიქროლა მისმა ბავშვობამ, უსათუოდ იფიქრებდი — ოცდაათი წელი რომ შეუსრულდება, ნამდვილად თეთრ სახლში მოხვდებაო. მაგრამ სოლდანის სასწავლებელი რომ დაამთავრა, ეტყობა მერე უფრო გაუძნელდა დაბრკოლებების გადალახვა. მისი ლალი ქროლვა შესამჩნევად შენელდა. და სკოლის დამთავრებიდან ექვსი წლის შემდეგ მისი თანამდებობა ბევრით არაფრით ჯობდა ჩემსას.

(ეკრანზე — ექსპედიტორი)

ჯიმი ერთადერთი კაცი იყო მაღაზიაში, ვისთანაც მე ვმეგობრობდი. სიამოვნებას ჰგვრიდა იმის შეგნება, რომ მე მისი წარსული დიდების მოწმე ვიყავი: როგორ იგებდა ხოლმე კალათბურთის მატჩებს, როგორ ლებულობდა ვერცხლის თასს დისკუსიებში...



იცოდა ერთი ჩემი საიდუმლოს ამბავი: როცა მალაზიაში მუშტარი შეთხელდებოდა, ცალკე ოთახში ჩავიკეტებოდი და ლექსებსა ვწერდი. შექსპირს მეძახდა ხოლმე, იუმორით მეკიდებოდა, მაშინ, როდესაც სხვა ნოქრები ამრეზით მიცქერდნენ. მაგრამ მერე და მერე სხვებსაც გადაედო მისი სიკეთე და სიძულელი თანდათანობით გაუნელდათ. ასლა უკვე გაელიმბოდათ ხოლმე ჩემს დანახვაზე, როგორც უცნაური ძაღლის დანახვა მიბგერის ხალხს ღიმილს. ვიცოდი, რომ ჯიმი და ლაურა სკოლიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს, რამდენჯერ გამოუთქვამს ჩემს დას აღფრთოვანება ჯიმის ხმით. ეს კი აღარ ვიცოდი, ამჟამად თუ ასსოვდა ჯიმს ლაურა. სკოლაში იგი შეუმჩნეველი გოგო იყო. ჯიმს კი ყველა იცნობდა. კიდევ რომ ხსოვებოდა, ის მაინც არ ეცოდინებოდა, რომ ჩემი და იყო. სადილზე რომ დავბატიქე, გაიცინა და მითხრა: „ჰეი, შექსპირ, ვერც კი წარმომედგინა, შენ თუ ახლობლები გყავდა“. ასლად უნდა გავგო მას, რომ...

(სცენა უფრო და უფრო ნათდება. ეკრანზე წარწერა: „მოახლოებული ნაბიჯების ხმა“. პარასკევი. გაზაფხულის მიწურული. ნაშუადღევის ხუთი საათი. სწორედ ის დრო, რაზედაც პოეტს უთქვამს „ცა ლექსებითაა გადაჭრელებული“. უინგფილდების ბინა სასიამოვნო ღიმილის ფერით განათებულია. ამანდას ძალღონე არ დაუშურებია სტუმრის დასახვედრად. შედეგი საოცარია: ვარდისფერი აბრეშუმის ტორშერი გამოსაჩენ ადგილზე დგას; ფერადი ქაღალდის ფანარი მარჯვენდ ფარავს ჭერზე უშნოდ გამოშვერილ ელექტრო-გაყვანილობას; ფანჯრებზე თეთრი ფარფაშა ფარდები ჩამოუშვიათ, სკამებსა და სავარძელზე ჩითი გადაუფარებიათ, სოფაზე ორი ახალი ბალიში დევს. იატაკზე რაღაც კოლოფები და აბრეშუმის ქაღალდებია მიმოფანტული. სცენის შუაში ლაურა დგას, ხელები მალა აუწევია, იქვე ამანდა ჩაცუქქულა, ახალ კაბას უსწორებს. ჭრელი კაბაა, ძველ მოდაზე შეკერილი. თმის ვარცხნილობაც შეუცვლია ლაურას, ახლა უფრო მსუბუქად ადგას თმა და უფრო უხდება კიდევ. რაღაც არამიწიერი სილამაზის იერი დასდები; თითქოს მინის ნაჭერს მზის სხივი მოხვედროდეს და წამიერი ელვარება მიეცეს).

ამანდა. (ნერვიულად). რას კანკალებ?

ლაურა. დედა, შენ თვითონ მანერვიულებ ასე.

ამანდა. მე რას განერვიულებ?

ლაურა. ისეთი ფუსფუსი ასტეხე! ასე გეგონება დიდი რამე მოხდაო!

ამანდა. შენი ვერაფერი გამიგია, ლაურა. ერთთავად შენ გამოჯდომომა გავინილა?! და მე თუ მოვინდომე რამე, მაშინვე დუდლუნს მოჰყვები ხოლმე (წამოდგება). აბა, სარკეში ჩაიხედე. თუმცა, არა. ერთი წუთით მადროვე! რაღაც აზრი მომივიდა.

ლაურა. რა იყო, დედა?

(ამანდა პუდრის ორ ბუმბულას გამოიტანს, ცხვირსახოცში შეახვევს და მკერდზე დააბნებს ლაურას).

ლაურა. რას აკეთებ, დედა?

ამანდა. ამას „მხიარულ მატყუარებს“ ეძახიან ხოლმე.

ლაურა. ტყუილია, ამას არ გავიჩერებ.

ამანდა. გაიჩერებ!

ლაურა. რად მინდა?

ამანდა. კი ნუ გეწყინება და ყავარივით მკერდი გაქვს.

ლაურა. შენ ისე იქცევი, გეგონება მახეს ვაგებდეთ.

ამანდა. ყველა ლამაზი გოგო მახეს, ლამაზი მახე, მამაკაცებმა წინასწარ იციან ეს.

(ეკრანზე წარწერა: „ლამაზი მახე“).

აბა, ჩაიხედე სარკეში, ქალიშვილო! შენს დღეში არ ყოფილხარ ასეთი ლამაზი. ასლა კი ჩემს თავსაც უნდა მიხვედო. შენ თვითონ გაიკვირდება, ისე მოირთვება დედაშენი! (მხიარული ღიმილით გადის).



(ლაურა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდება დიდ სარკეს და დიდის ამბით ათვალის რებს საკუთარ გამოსახულებას. სუსტი ნიაჯი შეარხვეს ფანჯარაზე ფარდებს, თან კენესისმავგვარი ბგერაც მოისმის, თითქოს ვიღაცამ ამოიხვნეშათ).

ა მ ა ნ დ ა. (კულისებიდან). ჯერ კიდევ არ დაბნელებულა.

(ლაურა მძიმედ შემობრუნდება სარკესთან, შეწუხებული სახე აქვს. ეკრანზე წარწერა: „ეს ჩემი დაა! აბა, დაუკარით მის პატივსაცემად!“ მუსიკა).

ა მ ა ნ დ ა. (სიცილით კულისებიდან). ახლა ნახე, ახლა შემხედე!

ლ ა უ რ ა. რა ამბავში ხარ, დედა?

ა მ ა ნ დ ა. ნუ ხარ სულწასული, მოითმინე და ნახავ! რაღაც გამოვქექე ჩვენს ძველ სკივრში. ბოლოს და ბოლოს, არც იმდენად შეცვლილა მოდები... (პორტიერს გადასწევს). შეხედე, რა დედა გყავს! (ქალიშვილობის კაბა ჩაუცვამს — ყვითელი ვუალის კაბაა, ზედ აბრეშუმის ცისფერი ქაშარი არტყია. ხელში ნარგიზების თაიგული უჭირავს, თითქოს მისი ქალიშვილობის ლეგენდა გაცოცხლდო. აგზნებულად) ეს კაბა მეცვა კოტილიონს რომ გცეკვავდი, სანეტქილში ორჯერ მივიღე პრიზი კვუტოკისათვის. ერთხელ ჯეკსონშიაც მეცვა, გუბერნატორის საგაზაფხულო ბალზე... ნახე, როგორ დაესრილებდი დარბაზში, ლაურა! (კაბის კალთას წამოიწვეს და სარკის წინ მანქვა-გრეხას მოჰყვება). კვირაობით ვიცვამდი ხოლმე, როცა ყმაწვილ კაცებს ველოდი სტუმრად. იმ დღესაც ეს კაბა მეცვა, როცა მამაშენი გავიცანი... მთელი ის გაზაფხული ციებით ვიყავი ავად. ჰაერმა დამცადა — ტუნესიდან მისისიპის დელტაში ჩამოვედი... მალე დავსუსტდი... არადა არ გამომინელდა სიცხე. სერიოზული, რა თქმა უნდა, არაფერი ყოფილა. თაებრუ მეხვეოდა, ძილიც მოუსვენარი მქონდა. არადა, მოწვევა მოწვევაზე მოდიოდა ვინ არ მეპატიებოდა... უღიზიანდნენ მართავენდნენ წვეულებებს მთელს დელტაში... „სიცხე გაქვს, ლოკინიდან ნუ ადგები!“ — დედა მეუბნებოდა ხოლმე. მაგრამ ვინ დამაკავებდა... ქინაქინს გადავყლაპავდი და ხელად გავვარდებოდი — წვეულება გინდა, მეჯლისი გინდა... ნამუაღდეგს ქალაქგარეთ ცხენებით სეირნობა!.. რა პიკნიკები მასსოვს!.. ჰოი, რა დრო მიტარებია მასში!.. ირგვლივ შინდი ჰყავოდა... ნარგიზები ზომ, ნულარ იკითხავ — სულ ნარგიზი და ნარგიზი! მეც ჰკუას ვვარგავდი იმ გაზაფხულზე ნარგიზებისათვის. დედაჩემი მეტყვოდა ხოლმე: „სად უნდა წაიღო, გენაცვალე, ამდენი ნარგიზი, ადვილი აღარ არის!“ მაინც მომქონდა. მოვკრავდი თუ არა თვალს, ვიყვირებდი... „გააჩერეთ! გააჩერეთ! ნარგიზი!“ ციბრუტივით დავატრიალებდი ყმაწვილ კაცებს, ნარგიზებს ვაკრფინებდი. ბოლოს და ბოლოს, ხუმრობაც დაიწყეს — ამაღდა და მისი ნარგიზებიო! ადვილი აღარ დარჩა სახლში, თავისუფალ ვაზას ვეღარ იპოვინდი... საითაც გაიხედავდი, სულ ნარგიზები იყო. ვაზები აღარ არის? კარგი, ბატონო, ხელში დავიჭერ! და ამასობაში... (ქმრის სურათთან შეჩერდება. მუსიკა)... მამაშენს შევხვდი ციება... ნარგიზები... და მერე ეს ბიჭი... (ვარდისფერ ლამპას აანთებს) წვიმას მაინც მოასწრებდნენ (სტენის სიღრმეში გავა და ნარგიზის თაიგულს ვაზით მაგიდაზე დავდებ). ცოტაოდენი ფული მიგვიცა შენს ძმას, ტაქსით მოიყვანს მისტერ ო'კონორის.

ლ ა უ რ ა. (სახე შეეცვლება). რა თქვი, რა გვარია?

ა მ ა ნ დ ა. ო'კონორი.

ლ ა უ რ ა. სახელი?

ა მ ა ნ დ ა. სახელი აღარ მასსოვს... ჰო, დაცა... ჯიმი!

(ლაურა ოდნავ გადაირწვევა და სკამს მთავლებს ხელს)

(ეკრანზე წარწერა: „არა, ჯიმი არ იქნება!“)

ლ ა უ რ ა. (მიკნავებული ხმით). არა, ჯიმი არ იქნება.

ა მ ა ნ დ ა. კი, როგორ არა, ნამდვილად ჯიმი! ვისაც კი ვიცნობ ჯიმს, ყველა ერთმანეთზე უკეთესია.

(ავისმომასწავებელი მუსიკა)

ლ ა უ რ ა. ნამდვილად ჯიმი ო'კონორია? ხომ არ გეშლება?

ამანდა. ნამდვილად რატომ მეკითხები?

ლაურა. ის ჯიშ ო' კონორია, ტომთან ერთად რომ სწავლობდა სკოლაში?

ამანდა. ტომს ეგ არ უთქვამს. მე მგონი მაღაზიაში გაიცნო.

ლაურა. ჩვენს სკოლაშიც იყო ერთი ჯიშ ო' კონორი (თავს ძალას ატანს). თუ ის გამოდგა, მაშინ მე არ გამოვალ, ნუ გეწყინება.

ამანდა. ნეტა რას სულელობ!

ლაურა. გასსოვს, შენ რომ მკითხე ერთხელ, ვინმე თუ მოგწონსო? მე კიდევ ამ ბიჭის სურათი გაჩვენე.

ამანდა. ყოველწლიურ კრებულში რომ სურათი მაჩვენე?

ლაურა. ჰო.

ამანდა. გიყვარდა, მერე, ის ბიჭი?

ლაურა. არ ვიცი, დედა. ოღონდ, თუ მართლა ის ბიჭია, მე ვერ გამოვალ.

ამანდა. არა, ის არ იქნება, მაგრამ კიდევ რომ გამოდგეს, უსათუოდ უნდა გამოხვიდე და სუფრას მიუჯდე. მაგის ნებას არ მოგცემ.

ლაურა. უნდა მომცე, დედა.

ამანდა. არავითარი სურვილი არა მაქვს, შენს სისულელეებს აყვავე, ლაურა. ისედაც ბევრი გადამხდა შენი ძმისა და შენ გამო! დაჯექი ახლა და, მანამ ისინი მოვიდოდნენ, დამშვიდდი. ტომს გასაღების წაღება დაგიწყინია, ასე რომ კარი შენ უნდა გაუღო, როცა მოვლენ.

ლაურა. (შეშინებულია). არა, დედა!.. კარი შენ გაუღე.

ამანდა. (დაუდევრად). მე სამზარეულოში ვიქნები. საქმე მაქვს.

ლაურა. დედა, გეხვეწები, შენ გაუღე კარი. მე ნუ გამაღებინებ.

ამანდა. (სამზარეულოსკენ მიდის). მე თვეზის საკმაში უნდა მოვამზადო. რა სისულელეა! ერთი სტუმრის გამო ამდენი ფაცხა-ფუცხი გაგონილა!

(კარს გაიკეტავს. ლაურა მართო დარჩება).

(წარწერა ეკრანზე: „შიში“).

(ლაურა ამოიხენწმუნებს, ლამპას გამოთიშავს, სავარძლის ძვიდფეხე ჩამოჯდება გახევებული, ხელს ხელზე გადააჭდობს).

(წარწერა ეკრანზე: „კარის გაღება“)

(ტომი და ჯიშ კიბეს მოადგებიან და ამოდიან. ისმის მოახლოებული ფეხის ხმა. ლაურა დაფეთებული წამოვარდება. პორტიერისკენ გავარდება. ისმის ზარის ხმა. ლაურას სუნთქვა ეკვრის. ხელებს ყელზე იტაცებს. დოლებს ნელი გუგუნი).

ამანდა. (კულისებიდან). ლაურა, გენაცვალე, კარი გააღე! (ლაურა კარებს მიაშტერდება, ადგილიდან არ იძვრის).

ჯიშ. მგონი, ერთი ფეხით მოვასწარით წვიმას.

ტომი. აჰა! (ნერვიულად რეკავს. ჯიშ უსტვენს და ჯიბეებში სივარეტს ეძებს).

ამანდა. (საზვასმული მხიარულებით). ლაურა, შენი ძმა და მისტერ ო' კონორი მოვიდნენ! კარს არ გაუღებ, გენაცვალე?

(ლაურა სამზარეულოსკენ გაემართება)

ლაურა. (სუნთქვა ეკვრის). დედა... შენ გაუღე კარი.

(ამანდა სამზარეულოდან გამოვა და გაცოფებული შეუბღვერს ლაურას. ხელს კარისკენ გაიშვერს მედიდურად).

ლაურა. დედა, შენი ჭირიმე!

ამანდა. (კბილეში გამოსცრის) რა მოგივიდა, შე ჩერჩეტო?!

ლაურა. (განწირულებით). დედა, შენ გაუღე რა, გენაცვალე.

ამანდა. მე შენ უკვე გითხარი, ლაურა, შენს სისულელეებს არ აყვავები-მეთქი. რაღა ახლა გამოშტერდი და გამოლენდი?!

ლაურა. დედა, გეხვეწები, შენი ჭირიმე!

ამანდა. არა! შენ უნდა გაადო! მე არ შემძლია.  
ლაურა. (განწირული ხმით). არც მე შემძლია.  
ამანდა. რატომ არ შეგიძლია?

ლაურა. გული მიღონდება.

ამანდა. მეც ლამის გული შემიღონდეს... შენი სისულელის გამო. რატომ არ შეგიძლება, რომ ნორმალური ადამიანები იყოთ შენ და შენი ძმა. მომკლა თქვენმა გაუთავებელმა ხუმტურებმა. (ტომი კვლავ რჩევას, ამჟამად დიდხანს არ აიღებს ხელს ზარის ღილაკიდან). რა სისულელეა, რომ არ ვიცის იქნებ ამისხნა მაინც!.. (აღერსიანი ხმით გაძახებს). ახლავე! ამ წუთში!.. რამ დაგაფეთა, კარის გაღებას რა უნდა?! მიდი, გააღე!

ლაურა. ო, ო, აღარ შემძლია!.. (წინა ოთახში გავარდება, გრამაფონთან მივარდება, გამწარებით ქოქავს და უკრავს).

ამანდა. ლაურა უინგფილდ, ჩქარა! კარი გააღე!

ლაურა. ახლავე... ახლავე, დედა!

(გრამაფონის წრიპინი, რაც „დარდანელას“ მოტივის მოგვაგონებს, დაძაბულ ატმოსფეროს გაარბილებს, ლაურას თითქოს ძალა დაუბრუნდა. კარისკენ გასრილდება და გააღებს).

ტომი. ლაურა, ჯიმი გაიცანი. ჯიმ, ეს ჩემი დაა — ლაურა.

ჯიმი. (ოთახში შემოდის). არც კი ვიცოდი, შექსპირს და თუ ჰყავდა.

ლაურა. (გახვეებულია, კანკალით გამობრუნდება კარიდან). გამა... გამარჯობა!

ჯიმი. (გულიანად გაუწყდის ხელს). გამარჯობათ!  
(ლაურა გაუბედავად ჩამოართმევს ხელს)

ჯიმი. რა ცივი ხელი გაქვთ, ლაურა!

ლაურა. ჰო, დიას... გრამაფონის ტარს ვატრიალებდი...

ჯიმი. კლასიკურ მუსიკას უკრავდით, ალბათ... აბა, ერთი გაზურგებული სვინკი დაუკარით, მაშინვე გაგითბებათ ხელი!

ლაურა. ბოდინს ვისდი... გრამაფონს უნდა მივხედო.

(დაბნეულად მობრუნდება და წინა ოთახისკენ წავა. გრამაფონთან წამით შეჩერდება, მერ სუნთქვა შეეკვრის და დაფეთებული შევლივით გავარდება).

ჯიმი. (ღიმილით) რა მოუვიდა?

ტომი. ა?.. ლაურას?.. ლაურა... საშინელი მორცხვია.

ჯიმი. მართლა? ახლა სანთლით რომ ეძებო, მორცხვ ქალიშვილს ვერ ნახავ... შენ, მგონი, ერთხელაც არ დაგცდენია, და მყავსო.

ტომი. ახლა ხომ გაიგე. ერთი და მყავს. აგერ, „პოსტ დისპეჩი“ გვაქვს, არ გინდა?

ჯიმი. რატომაც არა.

ტომი. რა განყოფილება? კომიკსი?

ჯიმი. სპორტი იყოს! (ათვალღერებს) დიზი დინი ძველებურად ველარ თამაშობს!

ტომი. (უგულოდ). მართლა? (სიგარეტს მოუკიდებს და კიბისკენ გასწევს).

ჯიმი. სად მიდიხარ?

ტომი. აივანზე გავალ.

ჯიმი. (მას მიჰყვება). იცი რა, შექსპირ... რაღაცა უნდა მოგყიდო.

ტომი. რა უნდა მომყიდო?

ჯიმი. ჩემს მაგივრად იმეცადინე... ფული წინასწარა მაქვს გადახდილი.

ტომი. რაო?

ჯ ი მ ი. მჭევრმეტყველების სკოლაში... ჩვენ — არც შენ და არც მე მაღაზიის-  
თვის არა ვართ გაჩენილები.

ტ ო მ ი. მაღლობელი ვარ, სასიამოვნო ამბავი გავიგე. მაგრამ მჭევრმეტყველება  
რა თავში ვისალო?

ჯ ი მ ი. გამოგადგება... იქნებ სადმე ადმინისტრაციულ სამუშაოზე მოეწყო.

ტ ო მ ი. თ-ის!

ჯ ი მ ი. მართალს გეუბნები! იცი, მე როგორ გამომადლა!

(ეკრანზე: ადმინისტრატორი საწერ მაგიდასთან)

ტ ო მ ი. რაში მაინც?

ჯ ი მ ი. ყველაფერში! აბა, ერთი დაფიქრდი, რა განსხვავებაა მე და შენსა და  
იმ ხალხს შორის, გამგეობაში რომ სხედან? შენ გგონია, მეტი ჭკუა აქვთ?... არაფე-  
რიც!.. მეტი უნარი აქვთ? შენც არ მომიკვდე! მაშ, რა?. ერთი პატარა რაღაც...

ტ ო მ ი. რა არის მერე ის პატარა რაღაც?

ჯ ი მ ი. მთავარია, თავის დაჭერის უნარი, სხვადასხვა ჯურის ხალხთან ურთი-  
ერთობა; საკუთარი ღირსების შენარჩუნება ყოველგვარ პირობებში.

ა მ ა ნ დ ა. (კულისებიდან). ტომ!

ტ ო მ ი. რა იყო, დედა!

ა მ ა ნ დ ა. თქვენ მოხვედით — შენ და მისტერ ო'კონორი?

ტ ო მ ი. პო, დედა.

ა მ ა ნ დ ა. არ მოიწყინოთ მანდ.

ტ ო მ ი. არა, დედა.

ა მ ა ნ დ ა. აბა, ჰკითხე მისტერ ო'კონორს, იქნებ ხელის დაბანა უნდოდეს.

ჯ ი მ ი. აბ, არა, არა... მაღლობელი ვარ... ხელი მაღაზიაში დავიბანე. ტომ...

ტ ო მ ი. რა იყო?

ჯ ი მ ი. მისტერ მენდოზა მელაპარაკა შენზე.

ტ ო მ ი. რა მინდაო?

ჯ ი მ ი. შენ მაინც რა გგონია?

ტ ო მ ი. რა ვიცი, აბა...

ჯ ი მ ი. მაღაზიიდან გამოგდებას გიპირებენ, თუ არ გამოიღვიძე.

ტ ო მ ი. ვიღვიძებ და ეგ არის...

ჯ ი მ ი. შენ კი არაფერი გეტყობა და.

ტ ო მ ი. შინაგანად მეტყობა.

(ეკრანზე: ხომალდი, ზედ ისევე მგობრების ალამია აღმართული).

სულ შევიცვლები, ასე მაქვს განზრახული (მოაჯირს გადაეყრდნობა. ლაპარაკობს  
შეკავებული მგზნებარებით. კინოების რეკლამების ელვარე შუქი ქუჩიდან იჭრება და  
სახეზე ეცემა. მოგზაურსა ჰვავს). ცოტა კიდევ და მთლიანად მივეცემი მომავალს, საცა  
აღარც მისტერ მენდოზას სასხენებელი იქნება, არც მაღაზიისა და არც მჭევრმეტყვე-  
ლების საღამო სასწავლებლისა.

ჯ ი მ ი. ნეტა რას მიედ-მოედები!

ტ ო მ ი. თავი მომაბუზრეს ამ კინოებმა.

ჯ ი მ ი. კინოებმა?

ტ ო მ ი. პო, კინოებმა! აბა, გახედე... (ქუჩისკენ გაიშვერს ხელს). მთელი ვს დი-  
დებული ხალხი... რა რომანტიკული თავგადასავალი გინდა, რომ მაგათთვის ხელმისაწ-  
ვდომი არ იყოს... ყველაფერს ებღაუჭებიან, ყველაფერს თქვლევფენ! ხომ იცო, როგორ  
ხდება ხოლმე?! მარტო პოლიიუდის გმირებისათვის არსებობს რომანტიკა ამერიკაში,  
სხვებისათვის არა, დანარჩენები სხედან ჩაბნელებულ ოთახში გაუნძრევლად და სხვის  
რომანტიკას შეჰყურებენ!.. ასეა, მანამ ომი დაიწყებოდა! მერე კი იცოცხლე, ყველა-  
სათვის ხელმისაწვდომი ხდება რომანტიკა. ყველასათვის, მარტო გეიბლისათვის კი არა!



გამოდის ხალხი ბნელი ოთახიდან და ახლა უკვე თვითონვე ეწაფება რომანტიკას. აბა, ჰერი! ახლა ჩვენი ჯერიც დადგა — აგერ, სამხრეთის ზღვის კუნძულები!.. სამონადირეო ექსპედიციები... შორეული ვეზოტიკური ქვეყნები!.. მაგრამ მოთმინება აღარ მყოფნის, აღარ შემიძლია ამდენი ცდა. მომბეზრდა სხვისი რომანტიკის ცქერა, მე თვითონ შენატრება რომანტიკა. უნდა წავიდე.

ქ ი მ ი. (უნდობლად). უნდა წახვიდე?

ტ ო მ ი. ჰო.

ქ ი მ ი. როდის?

ტ ო მ ი. სულ მალე.

ქ ი მ ი. სად? სად უნდა წახვიდე?

(ტომი ჩაფიქრებულია, მუსიკის მოტივი თითქოს მის მაგივრად უპასუხებს შევითხვავე. ტომი ჯიბეებში რაღაცას ეძებს).

ტ ო მ ი. შეგნით თითქოს რაღაცა მიდულს. ვიცი, რომ გარეგნულად ძილმორეულ კაცსა ვგავარ, მაგრამ შეგნით... თითქოს რაღაც დულს შეგნით!.. ფეხსაცმელს რომ ავიღებ ხელში, ჟრუანტელი დამივლის ხოლმე ტანში — მაშინვე იმას გავიფიქრებ, რა მოკლავა წუთისოფელი და მე კი რას ვაკეთებ, რაზე ვკარგავ დროს. იქნებ კარგად არ მესმოდეს ცხოვრების აზრი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ფეხსაცმელები არ არის... მოგზაურს ფეხზე ჩასაცმელად სჭირდება ფეხსაცმელი, ეს არის და ეს! (რაღაც ქალაღლს აწოილებს ჯიბიდან). აბა, შეხედე...

ქ ი მ ი. ეს რაა?

ტ ო მ ი. საწვევრო ბილეთი.

ქ ი მ ი. (კითხულობს). „საგაჭრო ფლოტის მენჯდაურთა კავშირი“.

ტ ო მ ი. ამას წინათ გადავიხადე ამ თვის საწვევრო და სამაგიეროდ ელექტრონის ფული არ შემიტანია.

ქ ი მ ი. შუქს რომ გამოვირთავენ, მაშინ იხანებ.

ტ ო მ ი. მაშინ აქ აღარ ვიქნები.

ქ ი მ ი. მერე დედა?

ტ ო მ ი. მე მამას ვგავარ. მასავით ძაღლის გაგდებული ვარ! ერთი შეხედე, როგორ იტყანება! თექვსმეტი წელიწადია შინიდან წასულია.

ქ ი მ ი. ნუ ყბედობ, ერთი. დედაშენი რას იტყვის ამაზე?

ტ ო მ ი. ჩუ!.. აქეთ მოდის! დედაჩემისთვის არ ვამიმხვლია.

ა მ ა ნ დ ა. (პორტიერს გადასწევს). სად ხართ? სად დაიკარგეთ?

ტ ო მ ი. აიგანზე გამოვედით, დედა.

(ოთახში შემოდის. ამანდა მათკენ გასწევს. მის მორთულობას რომ დაინახავს, ტომს ელდა ეცემა. ის კი არა და ჯიმიც სახტად დარჩა. იგი პირისპირ პირველად ხვდება იმ სიკისკაცსა და სიკეკლუცეს, რითაც სამხრეთელი ქალიშვილები არიან განთქმული, და მიუხედავად იმისა, რომ მჭევრმეტყველების საღამოს სკოლაში დადის, ასეთი შესვლით მანაც გაკვირვებულია. თვითონაც ცდის გალანტურ მოქცევას, მაგრამ ამანდას მხიარული კისკისი და საამური ლაპარაკი ყველაფერს გააქარწყლებს. ტომი დაბნეულია. პირველი დაბნეულობის შემდეგ ჯიმი ასერსებს სათანადო თავაზიანობით. მოიქცეს — ხუმრობს, იცინის, ეტყობა მისი გული მოიგო დიასახლისმა).

(გვრანზე: ამანდა ქალიშვილობაში).

ა მ ა ნ დ ა. (გველუცად იღიმის, კულულებს არხვეს). აჰ, ეს არის მისტერ ო'კონორი. გაცნობის ცერემონიები არაფერი საჭირო არ არის. თქვენზე იმდენი რამე უამბნია ჩემს ბიჭს. ბოლოს აედექი და ვუთხარი — ტომ, გენაცვალე, ერთხელ მანაც რატომ არ მოიწვევ ვასშამად ამ ყველაფრით შემკულ კაცს-მეთქი. იმდენს აქებ და აღიდებ, რომ ნახვა მომინდა-მეთქი. გაკვირვებული ვარ პირდაპირ, რატომ უნდა იყოს ჩემი

შვილი ასეთი მუდო. არაფერი სამხრეთული არა სცხია. დაბრძანდით, ბატონო, აქ ცოტა არ იყოს ცხელა, ტომ, დია იყოს კარი. წელან ისეთმა საამურმა ნიავმა დაუბერა. ნეტა ჩადგა თუ რა მოუვიდა? ცხელა, წარმოგიდგენიათ! ჯერ საფხული არც კი დამდგარა. ნამდვილი საფხული რომ მოვა, ალბათ, სულ დავიხრუკებით... აბა, სუფრასთან მიბრძანდით. მსუბუქად ვივარდებით. ასეთ დროს ყველაფერი მსუბუქი ჯობს — საჭმელიცა და ჩასაცმელიც. ზამთარში ისე იყინება და სქელდება ხოლმე სისხლი, რომ გაზაფხულზე, პირველ ხანებში, განსაკუთრებული შეგუება ხდება საჭირო ამინდთან... წელიწადის ყოველ დროს ასე უნდა ხოლმე... მაგრამ, წელს ისე ერთბაშად დადგა გაზაფხული. ვეღარ მოვასწარი შეგუება. ერთბაშად ჩამოცხა... ზამთრის შემდეგ პირდაპირ საფხული დაიწყო!... ხელად სკივრს ვეცი, ეს თხელი კაბა გამოვძებნე... ვინ იცის, როდინდელია! ადამიანინდელი იქნება! მაგრამ ისე კი სასიამოვნოა: გრილი და კარგი...

ტომი. დედა...

ამანდა. რა იყო, გენაცვალე?

ტომი. აკი ვახშამიო?!

ამანდა. შენს დას ჰკითხე, მზად თუა. დღეს იმას მიენდო ვახშმის მომზადება. ბიჭები დავიმშვიეთ-თქვა, უთხარი. (ჯიმს) გაიცანი თ ჩემი ლაურა?

ჯიმი. იცით რა...

ამანდა. ჰო, მართლა, კარი ხომ ლაურამ გაგიღოთ. გაგიცვნიათ ერთმანეთი და ეგ არის. ახლა იშვიათად შეხედები ქალს — ლამაზიც იყოს და კარგი დიასახლისიც. მადლობა ღმერთს, ჩემი ლაურა კარგი შესახედავიც არის და კარგი დიასახლისიც. მე, მაგალითად, არ გამომიდის დიასახლისობა. არც არასდროს არ გამომიდოდა. თანაც იმდენი მსახური გვყავდა ხოლმე სამხრეთში. ეპ, მორჩა, ახლა სადღა იმისთანა ცხოვრება! წავიდა, დავემშვიდობა. თურმე რას მიმზადებდა მომავალი და მე სულ არ ვიყავი მომზადებული. ჩემი თაყვანისმცემლები სულ პლანტატორების შვილები იყვნენ. რას ვიფიქრებდი, რომ რომელიმე მათგანს არ მიეთხოვებოდი, მდიდარი ოჯახი არ მექნებოდა, ურისკვე მსახურებით არ ვიქნებოდი გარშემორტყმული. მაგრამ კაცი ბჭობდაო, ხომ გაგიგონიათ. პლანტატორს აღარ მიეთხოვდი. სხვას გავყევი ცოლად. სატელეფონო კომპანიაში მუშაობდა ჩემი ქმარი!... ეგერ, ის კაცი, თავაზიანად რომ გვიღიმის! (სურათზე მიუთითებს). როგორც ტელეფონისტს შეეფერება, შორ მანძილზე შეგუკვარდი!... ახლა მოგზაურობს... არც კი ვიცი, სად. თუმცა ვის რაში აინტერესებს ჩემი ამბავი, ჩემი მწუხარება!... თქვენი ამბავი მიაბებთ, ბატონო. იმედია, არაფერი მწუხარება არ გექნებათ! ტომ!

ტომი. (შემობრუნდება). რა იყო, დედა?

ამანდა. ვახშამი მზად არის?

ტომი. ვახშამი, მე მგონი, უკვე სუფრაზეა.

ამანდა. აბა, ერთი ვნახო (კეკლუცად წამოდგება, პორტიერს გადასწევს და სახადილო ოთახში შეიხედავს). უპ, რა კონტად გაუწყვია! შენი და სადღა?

ტომი. ლაურა უქეიფოდაა. ჯობს, არ გამოვიდეთ, ასე ამბობს.

ამანდა. რა სისულელეა!.. ლაურა!.. ლაურა!

ლაურა. (კულისებიდან. მიკნავებული ხმით). აქა ვარ, დედა.

ამანდა. გამოდი, გივარდებით. მანამ შენ არ გამოხვალ, არც ჩვენ მივუსხდებით სუფრას! მიბრძანდით, მისტერ ო'კონორ, აგერ აქ დაბრძანდით. მე... ლაურა! ლაურა უინფილი! რატომ გვალოდინებ, გენაცვალე? მანამ არ მოხვალ, პირს არაფერს დავაკარებთ.

(უკანა კარი ნელა გაიღება და შემოდის ლაურა. ლამის გული შეუღონდეს, ტუჩები უთრთის, თვალები ფართოდ დაუღია და რაღაცისთვის გაუშტერებია. ბარბაცით მიუახლოვდება მაგიდას).

(ეკრანზე წარწერა: „შიში“)

(გარეთ ერთბაშად გრიგალი ამოვარდება. ფანჯრებზე ფარდები გამოიბერება. ჩაში ლურჯი ბინდი ჩამოწვა, ისმის ნაღვლიანი ბუტბუტი... ლაურა უცებ წაიბორძიკებს და სკამს მოავლებს ხელს, სუსტი კენესა აღმოხდება).

ტომი. ლაურა!

ამანდა. ლაურა!

(გარეთ მეხი გავარდა. ეკრანზე წარწერა: „აჰ!“).

(ამანდა შეშინებულია)

რა მოგივიდა, ლაურა, ცუდადა ხარ, გენაცვალე? ტომ, მიეშველე, მეორე ოთახში გაიყვანე, ჩემთ კარგო. იმ ოთახში შედი, ლაურა... სავარძელზე დაისვენე. აბა! (სტუმარს მიმართავს) მთელი დღე ცხელ ღუმელთან ტრიალებდა და გული შეუღონდა!.. რამდენჯერ ვუთხარი, ამ საღამოს ცხელა-მეთქი, მაგრამ...

(ტომი შემობრუნდება. ლაურა სავარძელზე მისვენებულია) უკეთ არის?

ტომი. ჰო.

ამანდა. ეს რაა? წვიმა წამოვიდა? რა გრილი წვიმა მოდის! (შეშფოთებით შესცქერის სტუმარს). აბა, ვივასშმით, ტომ... ვილოცოთ და... (ტომი გამოლენჩებული თვალებით შეპყრებს დედას). ტომ, გენაცვალე, შენ წარმოთქვი ლოცვა!

ტომი. ოჰ.. თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენე, უფალო... (თავს ჩაქინდრავენ. ამანდა ნერვიულობს, ჩუმრუმად გახედავს ჯიშს. ლაურა მეორე ოთახში სავარძელზე გაწოლილა, ხელები ტუჩებზე მრუფარებია, რომ ყელში მომღვარი ქვითინი შეიკავოს) დმერთო, წმიდა იყოს...

(სცენა ბნელდება).

#### სურათი მთავრი

(წარწერა ეკრანზე — „სამახსოვროდ“)

(გავიდა ნახევარი საათი. სასადილო ოთახში, რომელიც ახლა პორტიერით არის დაფარული, ეს-ესაა სადილი დუშთავრებით. ფარდის ახდისას ლაურას კვლავ სავარძელზე მოკურნხულსა ვხედავთ, ფეხებზე ჩამჯდარა, თავი ნაცრისფერ ბალიშზე მიუსვენებია, თვალები ფართოდ გაუღია, გამომეტყველებაში რაღაც იდუმალება იგრძნობა. ახალი ტორშერისაგან, რომელსაც ვარდისფერი აბრეშუმი აქვს გადაკრული, რბილი, სასიამოვნო შუქი ეფინება და რაღაც ზეციური, არაამქვეყნიური სილამაზის იერს აძლევს. გარედან წვიმის თანაბარი ხმა ისმის, მაგრამ ეტყობა მალე იკლებს წვიმა და მოქმედების დაწყების ცოტა ხნის შემდეგ სულაც შეწყდება. მთვარე ამოდის და მისი შუქი მკრთალად ანათებს ქუჩას. აიხლება თუ არა ფარდა, ორივე ოთახში ერთს კი გაიღებებს სინათლე და ჩაქრება).

ჯიმი. პეი, რა მოგივიდათ, ბატონო ნათურა!

(ამანდას ნერვიული სიცილი წასკდება. ეკრანზე წარწერა: „კომუნალური მომსახურების შეწყვეტა ფულის გადაუხდელობის გამო“).

ამანდა. აბა, თუ გამოიცნობთ, სად იქნებოდა მისე, როცა სინათლე ჩაქრა? ჰა, მისტერ ო'კონორ?

ჯიმი. ვერ გეტყვით, ქალბატონო. სად იქნებოდა?

ამანდა. სიბნელეში! (ჯიმი იცინის, უფრო თავაზიანობის გამო). ადგილიდან ნურავინ გაინძრევით. ახლავე სანთლებს ავანთებ. ჩვენი იღბალი, რომ მაგიდაზე გვაქვს სანთლები! ასანთი სად არის? ასანთი ვის გექნებათ, ჯენტლმენებო?

ჯიმი. აგერ, ასანთი.

ამანდა. მადლობელი ვარ, სერ.

ჯიმი. არაფრის, ქალბატონო.

ამანდა. ეტყობა, დამცველი გადაიწვა. მისტერ ო'კონორ, იქნებ თქვენ შეგიძლიათ დამცველის გამოცვლა! მე არაფერი გამეგება ამეებისა და ტომი ხომ სულ წყალწალღებულია ტექნიკის საქმეებში.

(წამოდგომისა და სკამების ხმაური. ლაპარაკი ახლა სამზარეულოდან მოისმის).

ფრთხილად, არაფერს წამოედოთ. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სტუმარს კისერი მოვატეხინოთ. კარგი მასპინძლობა არ გამორგვივა!

ჯიმი. ჰა-ჰა-ჰა! სადა გაქვთ დამცველის კოლოფი?

ამანდა. ზედ ღუმელის თავზე, ცოტა უფრო მარჯვნივ. ხედავთ რამეს?

ჯიმი. ახლავე ყველაფერს გავაკეთებ.

ამანდა. ისეთი რამეა ეს ელექტრობა, რომ ვერაფერს გაუგებ კაცი. ბენიამინ ფრანკლინი იყო, მგონი, არა, ფრანი რომ გაუშვა და ელექტრობა მიიღო? ირგვლივ ყველაფერი იდუმალებით არის მოცული ჩვენს სამყაროში, ასავალ-დასავალს ვერ გავუგებ. ზოგი ამტიკებს, მეცნიერება თანდათანობით ფარდასა ხდის ამ იდუმალებასაო. მე რომ მკითხოთ, პირიქით — რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო სქელი საბურველი ეფინება. ნახეთ, მისტერ ო'კონორ?

ჯიმი. ვნახე, ქალბატონო. დამცველის ბრალი არ არის.

ამანდა. ტომ!

ტომი. რა იყო, დედა?

ამანდა. ამას წინათ რომ ელექტრონის ქვითარი მოგვცი... აი, შეხსენება რომ მოგვივიდა!...

ტომი. ჰო... ვიცი.

(წარწერა ეკრანზე: „ჰა-ჰა“!)

ამანდა. იქნებ არ გადაგისდია?!

ტომი. ჰო... როგორღაც...

ამანდა. გადაგავიწყდა!... განა არა, მაშინვე ვიფიქრე!

ჯიმი. ალბათ ლექსი დაწერა შექსპირმა იმ ქვითარზე, მისის უინგფილდ!

ამანდა. მეც რომ ვერ ვისწავლე ჭკუა! მაგის იმედით ჩემმა მტერმა იარა! რა ძვირი გვოჯდება ხოლმე ამ ქვეყნად ყოველგვარი დაუდევრობა!

ჯიმი. რა იცით, იქნებ იმ ლექსმა ათლოლარიანი ჯილდო მიიღოს.

ამანდა. ვიხსდეთ ახლა ასე ბნელში, თითქოს მეცხრამეტე საუკუნეში ვიყოთ, მანამ ედისონი ელექტრონათურას გამოიგონებდა.

ჯიმი. მე პირადად სანთელს არაფერი მიჩვენია.

ამანდა. რომანტიკოსი ყოფილხართ. მაგრამ ეს სულაც არ ამართლებს ტომს. კიდევ კარგი, სადილი მოვასწარით. მადლობის მეტი რა გვეთქმის! იმ ხალხის მიმართ — გვადროვებს, მანამ სადილს მოვრჩებოდით, და მარადიული წყევლიადაი მერე ჩამოუშვეს. არა, მისტერ ო'კონორ?

ჯიმი. ჰა-ჰა-ჰა!

ამანდა. ტომ, სამაგიეროდ თეფშების დარეცხვა მიშველეთ, ეს იყოს ჯარიმა შენი დაუდევრობისათვის.

ჯიმი. მეც მოგეშველებით, ქალბატონო.

ამანდა. არაფრის დიდებით!

ჯიმი. მინდა, მეც გამოვდგე რამეში!

ამანდა. რამეში გამოვდგეო! (წამლერებით) თქვენ ამბობთ მაგას, მისტერ ო'კონორ?! თქვენ ისეთი სიამოვნება მოგვანიჭეთ დღეს, რომ აგერ რამდენი წელიწადია არავისგან, არავისგან არ მახსოვს!

ჯიმი. ოჰ, რასა ბრძანებთ, მისის უინგფილდ!

ამანდა. არ გეგონოთ, ვაჭარბებდე! არც ერთი ბეწოთი!.. მაგრამ ლაურა სულ მარტოკა მივატოვეთ! იქნებ, თქვენ გახვიდეთ, გამოვლაპარაკოთ.. აგერ ეს ძველი შან-

დალი წაიღეთ, „ციური სასუფეველის“ ტაძრიდან არის წამოდებული. ზედვე ეტყობა, ცოტათი გადნა კიდევ, ტაძარს რომ ხანძარი გაუჩნდა. მესი დაეცა ერთ გაზაფხულში. მისი ეს დრო იყო, როცა ჯიპის ჯოუნზმა ხელახლა იწყო გამოსვლა. ის ამტკიცებდა სწორედ — ხანძარი დემრთმა მოუვლინა, მღვდლები დასაჯა ამითი, რადგან კარტის თამაშს იყენებ გადაყოლილებიო.

ჯ ი მ ი. ჰა-ჰა-ჰა!

ამანდა. იქნებ ცოტა ღვინოც დაალევინოთ ლაურას — თქვენ დაგიჯერებთ. მე მგონი, ღვინო მოუხდება. თრივე ჭიქას როგორ დიჭერთ?

ჯ ი მ ი. დავიჭერ, როგორ არა. — მე ხომ სუპერმანი ვარ!

ამანდა. აბა, თომას, შენ წინსაფარი აიკარი!

(სამზარეულოს კარი მიიხურება და ამანდას მხიარული სიცილი აღარ ისმის. სანთლის მკრთალი შუქი პორტიერს უახლოვდება. ლაურა ნერვიულად წამოჯდება, როცა ჯიმი მასთან შევა. ჯერ სუნთქვაშეკრულია, ძლივს ისმის მისი სიტყვები. ცდილობს დასძლიოს უცხო კაცთან მარტო დარჩენის შიში).

ეკრანზე წარწერა: „თქვენ ალბათ სულ არ გახსოვართ!“ პირველ სიტყვებს კანკალით წარმოთქვამს ლაურა, სუნთქვა ეკვრის, თითქოს ეს არის დახვეული კიბე ამირბინა და შემოვარდაო. მერე კი, თანდათანობით დაამშვიდებს ჯიმის ალერსიანი მოპყრობა. ერთი შეხედვით უმინიშნელოა ეს სურათი, მაგრამ ლაურას სულიერი ცხოვრებისათვის კულმინაციას წარმოადგენს).

ჯ ი მ ი. შეიძლება, ლაურა?

ლაურა. (მიკნავეებული ხმით). მობრძანდით (ჩაახველებს, ყელს ჩაიწმენდს).

ჯ ი მ ი. როგორა ხართ? არ მომჯობინდით?

ლაურა. დიახ, გმადლობთ.

ჯ ი მ ი. აგერ, ცოტაოდენი ღვინო მოგიტანეთ (ხაზგასმული თავაწიანობით გაუწვდის ჭიქას).

ლაურა. გმადლობთ.

ჯ ი მ ი. დალიეთ... ოღონდ არ დათვრეთ (გულიანად იცინის. ლაურა გაუბედავად მორცხვად ჩამოართმევს ჭიქას. დარცხვენით გაიცინებს). შანდალი სად დავდგა?

ლაურა. ო... სადმე... სულერთია.

ჯ ი მ ი. აგერ რომ დავდგა, იატაკზე? თქვენ ხომ არ გამიჯავრდებით?

ლაურა. არა, რასა ბრძანებთ!

ჯ ი მ ი. ქვეშ გაზეუს დავუფენ, რომ პირდაპირ იატაკზე არ ჩამოიღვენოთ. მეც იატაკზე მოვირთხამ ფეხს. თქვენ ხომ არ გეწყინებთ?

ლაურა. რასა ბრძანებთ!

ჯ ი მ ი. იქნებ ბალიში მომაწოდოთ!

ლაურა. რა მოგაწოდოთ?

ჯ ი მ ი. ბალიში.

ლაურა. ახლავე... (სწრაფად მიაწვდის ერთ ბალიშს).

ჯ ი მ ი. თქვენა? თქვენ არ დაჯდებით იატაკზე?

ლაურა. დიახ. რატომაც არა!

ჯ ი მ ი. მაშ, რაღას უცდით...

ლაურა. ახლავე..

ჯ ი მ ი. ბალიშიც მოიტანეთ.

(ლაურა ბალიშს აიღებს და პირდაპირ დაუჯდება ჯიმს, შანდლის მეორე მხარეს. ჯიმი ფეხს მორთხამს და ალერსით უღიმის ლაურას). ხეირიანად ვერც კი გხედავთ მანდო.

ლაურა. მე კი გხედავთ.

ჯ ი მ ი. ჰო, მე სინათლეზე ვარ... ეგ რა სამართალია!

(ლაურა უფრო ახლოს მიხწევს ბალიშს). ასე! ახლა გხედავთ! კარგად მოეწყვეთ!  
ლა უ რ ა. დიას.

ჯ ი მ ი. მეც კარგად მოვეწყვე. ძროხასავით. კვეცი არ გინდათ?

ლა უ რ ა. არა, გამადლობთ.

ჯ ი მ ი. მაშინ, მე მომეცით ნება (ჩაფიქრებით შემოხსნის კევეს ქაღალდს და მალ-  
ლა ასწევს). კაცი რომ დაუფიქრდეს, რა ფული მოხვეჭა იმ ვაჟბატონმა, ვინც პირვე-  
ლად ეს საღებო რეზინი მოიგონა. ხომ საოცარია! ახლა მაგათი შენობა ნახე ჩიკაგოში!  
ერთ ნახვად ღირს... შარშანწინ ვნახე, „საუკუნის პროგრესზე“ ვიყავი. თქვენ ყოფილ-  
ხართ „საუკუნის პროგრესზე“?

ლა უ რ ა. არა.

ჯ ი მ ი. განსაცვიფრებელი გამოუენა იყო. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მეც-  
ნიერების დარბაზმა მოახდინა. მაშინვე ნათლად წარმოიდგენ, როგორი იქნება ხვა-  
ლინდელი ამერიკა. დღევანდელზე გაცილებით უკეთესი! (პაუზა. ჯიმი ლაურას უღიმის).  
მორცხვიათ, ტომი მუუბნება თქვენზე. მართალია, ლაურა?

ლა უ რ ა. რა ვიცი... რა მოგახსენოთ.

ჯ ი მ ი. მე რომ ვუკვირდები, თქვენ თანამედროვე ქალიშვილებს არა ჰგავხართ. მე  
პირადად სწორედ ასეთი ქალიშვილები მომწონს. იმედი მაქვს არ მიწყენთ, ასე გუ-  
ლახდილად რომ გელაპარაკებით.

ლა უ რ ა. (სწრაფად უპასუხებს, რომ ამით თავისი დაბნეულობა დაჰფაროს).  
იქნებ მეც მომცეთ კვეცი... თუ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო (ჩაახველებს და ხმას  
ჩაიწმენდს). მისტერ ო' კონორ, ისე მღერით?

ჯ ი მ ი. ვინა? მე?

ლა უ რ ა. დიას. ახლაც მახსოვს. რა ლამაზი ხმა გქონდათ.

ჯ ი მ ი. როდის მოგისმენიათ?

(პაუზის დროს კულისებიდან სიმღერა მოისმის. მამაკაცი მღერის).

დაქროლე ქარო, დაუბერე,  
მთელი ქვეყანა მოსაგლეღი მაქვს.  
ჯერ სატრფო უნდა მოვინახულო,  
ჯერ სატრფოს უნდა ჩავეკონო,  
ათასი მილი გადამატარე.

ჯ ი მ ი. მაშ, მოგისმენიათ ჩემი სიმღერა?

ლა უ რ ა. ო! რამდენჯერ!.. თქვენ კი, მგონი, სულაც არ გახსოვართ.

ჯ ი მ ი. (დაფიქრდება, გაიღიმებს). მეც ისე მომეჩვენა, თითქოს სადღაც მენახოთ.  
დავინახეთ თუ არა კარბში, მაშინვე გამკრა თავში. ის კი არადა, თითქოს თქვენი სა-  
ხელიც მომაგონდა. მაგრამ ნამდვილი სახელი კი არაა, შერქმეული. ამიტომაც აღარ  
მოგმართეთ სახელით.

ლა უ რ ა. „ცისფერი ვარდი“ ხომ არა?

ჯ ი მ ი. (შეხტება. გაიცინებს). ცისფერი ვარდი! ღმერთო ჩემო! სწორედ „ცის-  
ფერი ვარდი“ მადგა ენაზე! საოცარია მესხიერება, არა! რატომღაც სკოლასთან ვერ და-  
გაკავშირეთ. არადა, სწორედ სკოლიდან კი მახსოვს. ის კი ვერ წარმომედგინა, რომ  
შექსპირის და იყავით. მაპატიეთ!

ლა უ რ ა. ვიცოდი, არ გეხსოვებოდით... მაშინაც კი არ მიცნობდით ხეირიანად.

ჯ ი მ ი. როგორ არა, აკი ერთმანეთში ვლაპარაკობდით კიდევ!

ლა უ რ ა. კი, როგორ არა... ვლაპარაკობდით.

ჯ ი მ ი. თქვენ როდის მიცანით?

ლა უ რ ა. როგორც კი დავინახეთ!

ჯ ი მ ი. ოთახში შემოსვლისთანავე?

ლ ა უ რ ა. ასენა თუ არა ტომში თქვენს სახელი, მაშინვე მივხვდი, რომ თქვენ  
იქნებოდით. მახსოვდა, რომ სკოლაში თქვენ ერთმანეთს იცნობდით. ასე რომ... გავაძღ  
თუ არა კარი... ხელაღვე გიცანით.

ჯ ი მ ი. რატომ მაშინვე არ მითხარით არაფერი?

ლ ა უ რ ა. (სუნთქვა ეკერის). ვერ მოვახერხე... ერთბაშად სახტად დავრჩი!..

ჯ ი მ ი. რატომ მერე?.. სასაცილოა პირდაპირ!

ლ ა უ რ ა. მართალია... მაგრამ...

ჯ ი მ ი. ზოგიერთი საგანი ალბათ საერთოდ კი გვქონდა.

ლ ა უ რ ა. დიას, როგორ არა.

ჯ ი მ ი. მაინც რომელი?

ლ ა უ რ ა. ვალოზის, გაკვეთილი... გუნდი.

ჯ ი მ ი. აპა!

ლ ა უ რ ა. გასასვლელში ვისხედით ხოლმე: ერთ მხარეს — თქვენ, მეორე მხა-  
რეს — მე.

ჯ ი მ ი. აპა.

ლ ა უ რ ა. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ჯ ი მ ი. ახლა გამახსენდა — თქვენ მუდამ იგვიანებდით ხოლმე.

ლ ა უ რ ა. დიას... ძალიან მიჭირდა იმოღონა კიბეზე ამოსვლა. ცალ ფეხსაცმელზე  
სქელი ქუსლი მერტყა... გრუხუნი გაუდიოდა.

ჯ ი მ ი. ერთხელაც არ გამიგონია არავითარი გრუხუნი.

ლ ა უ რ ა. (მოგონებაზე სახე შეეჭმუნება). ჩემთვის კი... მეხის გრიალივით  
იყო.

ჯ ი მ ი. აპ! რას ამბობთ! ერთხელაც არ შემინიშნავს.

ლ ა უ რ ა. მე რომ შემოვიდოდი, უკვე ყველანი იხდნენ. ყველას წინ უნდა ჩამე-  
არა — ჩემი სკამი სულ ბოლო მწკრივში იდგა. ჩავეილიდი ჩემი ფეხსაცმლის გრუხუ-  
ნით... ყველა მე შემომტყეროდა.

ჯ ი მ ი. ასეთი ეჭვიანობა ვის გაუგონია!

ლ ა უ რ ა. ვიცი, მაგრამ რა ვუყო... სიმღერა რომ დაიწყებოდა, გულზე მომეშ-  
ვებოდა ხოლმე.

ჯ ი მ ი. ჰო, მახსოვს. ყველაფერი მომაგონდა. ცისფერ ვარდს ვეძახდით... ოღონდ  
რატომ, ვგ არ მაგონდება.

ლ ა უ რ ა. ერთხელ ავად გავხდი, მიოკარდიის ინფარქტით და კარგა ხანს გავა-  
დინე სკოლა. როცა მოვრჩი და მოვედი, თქვენა მკითხეთ, სად იყავით. მიოკარდიის ინ-  
ფარქტი-მეთქი, მე გითხარით. თქვენ კი ვარდი მოგეყურათ. და მას შემდეგ სულ ცის-  
ფერ ვარდს ვეძახდით ხოლმე.

ჯ ი მ ი. ხომ არ გწყინდათ მერე?

ლ ა უ რ ა. არა... პირიქით, მომწონდა კიდევ... ნაცნობები ხომ თითქმის სულ არ  
მყავდა...

ჯ ი მ ი. ჰო, სულ მარტო დადიოდით, თქვენთვის.

ლ ა უ რ ა. მეგობრებში ბედი არა მწყალობდა.

ჯ ი მ ი. რატომ მერე?

ლ ა უ რ ა. რა ვიცი, ასე წაეწყო.

ჯ ი მ ი. მაგის გამო ხომ არ...

ლ ა უ რ ა. ჰო... ეგეც მიშლიდა ხელს.

ჯ ი მ ი. ყურადღებაც არ უნდა მიგეციათ.

ლ ა უ რ ა. ვიცი, მაგრამ მაინც...

ჯ ი მ ი. სულ მორცხვობის ბრალია, მეტი არაფერი...

ლ ა უ რ ა. ვცადე დამეძლია, მაგრამ ვერ მოვახერხე...

ჯ ი მ ი. თავს ვერ მოფრინეთ?

ლ ა უ რ ა. ვერა, ვერასდიდებით!

ჯ ი მ ი. მორცხვობა ისეთი რამეა, თანდათანობით უნდა დაძლიოთ.

ლ ა უ რ ა. (ნალღლიანად). ვიცი... განა არ ვიცი...

ჯ ი მ ი. დრო არის საჭირო.

ლ ა უ რ ა. ვიცი...

ჯ ი მ ი. ხალხი არც ისე საშინელია, ახლოს რომ გაიცინო. ეს არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეთ. თანაც, ყველას თავისი უბედურება სჭირს, განა მართო თქვენ. თქვენ კი გგონიათ, თითქოს მართო თქვენა გქონდეთ საფიქრალი. იმიტომაც გაგიტყდათ გული. მიიხედ-მოიხედეთ მარცხ, დააკვირდით, რამდენი ვინმეა გულგატეხილი და იმედგაცრუებული. რაღა შორს მივიღოვარ, მეც აგერ, ისეთი იმედი მქონდა, სკოლის დამთავრების შემდეგ, ამ დროისათვის, ექვსი წლის განმავლობაში რას არ მივაღწევ-მეთქი... არ გახსოვთ, რა ქების წერილი იყო ჩემზე „ჩირაღდანში“?

ლ ა უ რ ა. მახსოვს, დიან. (წამოდგება, მაგიდას მიუახლოვდება).

ჯ ი მ ი. რასაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი, ყველაფერი გაუმართლებსო. (ლაურა მობრუნდება, ყოველწლიური კრებული მოაქვს). ღმერთო ჩემო, ეს ხომ „ჩირაღდანია!“ (სასოებით გამოართმევს წიგნს. ფურცლავენ და ერთმანეთს უღიმიან. ლაურა მის გვერდით მოიკალათებს, წიგნის ფურცელას განაგრძობენ. ჯიმის ალერსიანმა მოპყრობამ ლაურას მორცხვობა თანდათანობით გააქარწყლა).

ლ ა უ რ ა. აგერ, თქვენ — „ბენზანის მგობრებში“.

ჯ ი მ ი. (ნალღლიანად). ამ ოპერეტაში ბარიტონის პარტია მქონდა.

ლ ა უ რ ა. (სხაპასხუპით) რა დიდებულად მღეროდით.

ჯ ი მ ი. (დაიმორცხვებს), ოპ...

ლ ა უ რ ა. ნამდვილად... ისე კარგად... დიდებულად...

ჯ ი მ ი. თქვენ მომისმინეთ?

ლ ა უ რ ა. სამჯერვე!

ჯ ი მ ი. მართლა?

ლ ა უ რ ა. ნამდვილად.

ჯ ი მ ი. სამივე წარმოდგენა ნახეთ?

ლ ა უ რ ა. (თავს დახრის). დიან.

ჯ ი მ ი. რატომ მერე?

ლ ა უ რ ა. მინდოდა... ავტოგრაფი მეთხოვა... პროგრამაზე წამიწერეთ-მეთქი.

ჯ ი მ ი. რატომ არ მითხარით მერე?

ლ ა უ რ ა. ვერ მოვახერხე... მუდამ იმდენი მეგობრები გეხვიათ...

ჯ ი მ ი. უნდა მოსულიყავით და...

ლ ა უ რ ა. მომერიდა... ვაი თუ იფიქროს...

ჯ ი მ ი. რა უნდა მეფიქრა?

ლ ა უ რ ა. რა ვიცი, როგორ გითხრათ...

ჯ ი მ ი. (სიამოვნებით მოიგონებს). მართლაც არ მაძლევდნენ გოგოები მაშინ გასაქანს!

ლ ა უ რ ა. ყველას თქვენი სახელი ეკერა პირზე!

ჯ ი მ ი. ჰო...

ლ ა უ რ ა. ისე მეგობრულად ეპყრობოდით... ყველას...

ჯ ი მ ი. გამანებივრეს... გამაფუჭეს სკოლაში.

ლ ა უ რ ა. ყველას... ისე უყვარდით...

ჯ ი მ ი. თქვენც?

ლ ა უ რ ა. ჰ-ო, მეც, რა თქმა უნდა... (ნაზად დაკეცავს წიგნს, რომელიც კალთაში უდევს).

ჯ ი მ ი. ახლა მაინც მომეცით ის პროგრამა, ლაურა. (ლაურა მიაწოდებს პროგრამას. ჯიმი თავის გვარს წააწერს). აჰა... სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ლაურა. უჰ... რა სიურპრიზია!

ჯ ი მ ი. ახლა უკვე აღარაფერი ფასი აქვს ჩემს ხელმოწერას... თუმცა, ვინ იცის — იქნებ ოდესმე მოემატოს ფასი! გულისგატეხა და იმედის გაცრეება სულ სხვაა. სულით დაცემა კი — მტრისას! გულგატეხილი კი ვარ, მაგრამ სულით არ დავცემულვარ. ჯერ ოცდასამი წლისა ვარ. თქვენ რამდენი წლისა ხართ, ლაურა?

ლაურა. იენისში ოცდაოთხი შემისრულდება.

ჯ ი მ ი. რა მოხდა მერე, რა დიდი ხანი ვგ არის!

ლაურა. ვიცი, მაგრამ...

ჯ ი მ ი. სკოლა დაამთავრეთ?

ლაურა. (უჭირს თქმა). არა.

ჯ ი მ ი. მიატოვეთ?

ლაურა. გამოსაშვებ გამოცდებზე ჩავიჭერი (წამოდგება. კრებულსა და პროგრამას თავის ადგილზე დადებს. ხმა რაძაბული გაუხდება). ემილი... ემილი მაიზენ-ბახი როგორ არის?

ჯ ი მ ი. რომელი? ძეხვიჭამია გერმანელი?

ლაურა. ასე რატომ უწოდებთ?

ჯ ი მ ი. ძეხვიჭამია გერმანელია.

ლაურა. მაშ... აღარ ხვდებით ერთმანეთს?

ჯ ი მ ი. თვალითაც აღარ მინახავს, რაც სკოლა დავამთავრეთ.

ლაურა. აკი ქრონიკაში გამოაცხადეს, დანიშნულები არიანო!!

ჯ ი მ ი. ვიცი, მაგრამ ასეთი პროპაგანდით ვერ გამომიჭერენ.

ლაურა. მაშ... ტყუილი იყო?

ჯ ი მ ი. მართო ემილის ოპტიმისტური აზრით იყო მართალი.

ლაურა. ოჰ...

(წარწერა ეკრანზე: „სკოლიდან გამოსვლის შემდეგ რას აკეთებდით?“).

(ჯიმი სიგარეტს მოუკიდებს და არხეინად გადააწვება სავარძელს, ნიდაყვებს სახელურებზე დააყრდნობს, ისეთი ალერსითა და მომხიბლაობით უღიმის ლაურას, რომ გოგონას სახე გაუბრწყინდება, შინაგანი შუქი გაანათებს. ერთხანს მაგიდასთანვე შეჩერდება, მერე კი მინის რადაც სათამაშოს წაავლებს ხელს, რათა თავისი დაბნეულობა დაფაროს, და მობრუნდება).

ჯ ი მ ი. (რამდენჯერმე ჩაფიქრებით მოქაჩავს სიგარეტს). სკოლიდან გამოსვლის შემდეგ რას აკეთებდით? (ლაურამ, ეტყობა, ვერ გაიგონა) ჰა? (ლაურა თავს ასწვევს). სკოლიდან გამოსვლის შემდეგ რას აკეთებდით-მეთქი, მე გკითხეთ?

ლაურა. არაფერს ისეთს.

ჯ ი მ ი. რამეს ხომ გააკეთებდით ამ ექვს წელიწადში!

ლაურა. რა თქმა უნდა.

ჯ ი მ ი. მაინც?

ლაურა. საქმის წარმოებას ვსწავლობდი სავატრო კოლეჯში...

ჯ ი მ ი. მერე? კარგად შეისწავლეთ?

ლაურა. არა... არც ისე... იძულებული გავხდი მიმეტოვებინა... გულს მირევდა ხოლმე...

(ჯიმი ალერსიანად იღიმება)

ჯ ი მ ი. ახლა რას აკეთებთ?

ლაურა. არაფერს... ბევრს არაფერს. ო, არ იფიქროთ, თითქოს უსაქმიოდ ვიჯ-

დე და ხელს არ ვანძრევდე! იმდენი დრო მიაქვს ჩემს მინის კოლექციას. მინას სიფრთხილით მოვლა სჭირდება.

ჯ ი მ ი. მინის რასაო, რა სთქვით?

ლ ა უ რ ა. მინის კოლექციას... შე ხომ... (ჩაახველებს, ხმას ჩაიწმენდს, და ისევ დარცხვენით მობრუნდება).

ჯ ი მ ი. (მოულოდნელად). თქვენი უბედურება იცით, რა უნდა იყოს, რომ ვაკვირდები? არასრულყოფილების კომპლექსი! იცით, რა არის ეს? როცა ადამიანი დაბალი შეხედულებისაა თავზე! იმაზე ნაკლები წარმოდგენა აქვს, ვიდრე სინამდვილეში არის! მე თვითონვე ვიყავი ასე და ვიცი... თუმცა მე იოლი ფორმით მქონდა, თქვენ უფრო მძიმედ უნდა გქონდეთ. იმიტომაც დავიწყე ორატორობის შესწავლა, ხმა დავიმუშავე, მერე იმასაც მივხვდი, რომ ტექნიკური მეცნიერებისადმი მიდრეკილება მქონდა. მანამდე კი ვერც წარმომედგინა, რისიმე განსაკუთრებული უნარი თუ გამაჩნდა. საგანგებოდ არ შემისწავლია ეს საგანი, მაგრამ ერთი მეგობარი მყავს და ის მეუბნება — პროფესიონალი ექიმაც კი ვერ ჩაატარებს შენსავით ფსიქონალიზის სეანსსო. ვიცი, რომ აჭარბებს, მაგრამ ფსიქოლოგიისა მართლაც გამეგება რაღაც. (რეზინის კვებს გამოიღებს). მაპატიეთ, მაგრამ ცოტას რომ დავეგეზავ და არომბატი წაუვა, მერე გადავაგდებ ხოლმე. აგერ, ამ ქალაქში გავახვევ, თორემ ფეხსაცმელს მიეწებება... აი, ეს უნდა იყოს თქვენი მთავარი უბედურება. რწმენის უქონლობა საკუთარი თავის მიმართ. თქვენივე თავისა არა გჯერათ. თქვენი ლაპარაკიდან დავასკენი ასე... და ისედაც შეგატყვევთ. თუნდაც ფეხსაცმლის გრუსუნის ამბავი. ისე საშინლად რომ გტანჯავდათ სკოლაში. ოთახში შესვლისაც კი გეშინოდათ. რა მოჰყვა მერე ამას? სკოლა მიატოვეთ, სწავლას დაანებეთ თავი იმ გრუსუნის გამო, რაც ფაქტიურად არავის არასოდეს არ შეუმჩნევია. რა მოხდა — უმნიშვნელო ფიზიკური დეფექტი გაქვთ! საგანგებოდ თუ არ დააკვირდა კაცი, ვერც კი შეამჩნევს! თქვენ კი იმდენს ფიქრობთ ამასზე, რომ გაახვიადეთ! იცით, რას გირჩევთ? ეს იქნება მტკიცე რჩევა — წარმოიდგინეთ, რომ ზოგ რამეში თქვენ სხვებზე უფრო მაღლა დგახართ.

ლ ა უ რ ა. მაინც რაში?

ჯ ი მ ი. ცოტა მიიხედ-მოიხედეთ! ვერა ხედავთ, როგორი ხალხი ცხოვრობს თქვენს ირგვლივ?! ქვეყანა ჩვეულებრივი ხალხით არის სავსე! ყველა ერთნაირად იბადება და ბოლოს ერთნაირადვე ისიცება. აბა, რომელ მათგანს აქვს თქვენზე მეტი ღირსება? ან ჩემზე მეტი? ან ვინზე მეტი?.. რა ბრძანებაა!.. ზოგს მეტი აქვს, ზოგს ნაკლები. მაგრამ ყველა რაღაცათი ჯობს მეორეს. ზოგი, რა თქმა უნდა, ბევრი რამითაც ჯობს. (თავისდა უნებურად სარკეში იყურება). მთავარია, ეს უპირატესობა აღმოაჩინო! აგერ, ჩემი მაგალითი ავიღოთ. (სარკეში ყელსაბამს გაისწორებს). მე ელექტრო-დინამიკითა ვარ გატაცებული. საღამოს სკოლაში დავდივარ, რადიო-საქმეს ვსწავლობ. თან მაღაზიაშიც კარგა დიდი საქმე მბარია. ამას გარდა, მჭევრმეტყველების კურსსაც გავდივარ.

ლ ა უ რ ა: უჰ!

ჯ ი მ ი. ეს იმიტომ, რომ ვგრძნობ, ტელევიზიას აქვს დიდი მომავალი. (ლაურასკენ შეტრიალდება). გადავწყვიტე, წინასწარ მოვემზადო. მყარ ნიადაგზე დავდგე. როცა ფართოდ დაინერგება ტელევიზია, მზად ვიყო. მერე ყველაფერი თავისით დაიძრება. (თვალები გაუბრწყინდება). ცოდნა! ფული! ძალაუფლება!.. აი, რაზეა დაფუძნებული დემოკრატია (ენერგიულად და მგზნებარედ წარმოთქვამს ამას. ლაურას გადაავიწყდა მორცხვობა და აღფრთოვანებით შეჰყურებს. ჯიმი ერთბაშად გაიცინებს). თქვენ ალბათ ფიქრობთ, რამოდენა წარმოდგენა ჰქონია თავის თავსეო!

ლ ა უ რ ა. ა-არა. მე...

ჯ ი მ ი. თქვენ?.. თქვენ რა გაინტერესებთ ყველაზე უფრო?

ლ ა უ რ ა. მე... აკი გითხარით... მინის კოლექცია მაქვს-მეთქი..

(სამზარეულოდან ქალის კისკისი მოისმის, გეგონება, პატარა გოგონა იცინის)  
ჯ ი მ ი. კარგად ვერ მიგიხვდით. რომელ მინას გულისხმობთ?

ლ ა უ რ ა. მინის პატარა სათამაშოები... სამკაულები... მინის პატარა მსეცები... სულ პაწაწინა მსეცები... დედაჩემი მინის სამსეცეს ეძახის! აგერ, თუ გაინტერესებთ!.. ეს თითქმის ყველაზე უძველესია. ცამეტი წლისა იქნება. (მუსიკა: „მინის სამსეცე“.  
ჯ ი მ ი ხელს გაუწვდის). აჰ... ფრთხილად... სული რომ შეუბეროთ, გატყდება...

ჯ ი მ ი. სულაც არ გამოგართმევთ... ისეთი მოუქნელი ვარ...

ლ ა უ რ ა. გამომართვით... თქვენ განდობთ. (ხელის გულზე დაუდებს). აჰა, ხომ ხედავთ, როგორ ნაზად გიჭირავთ! აბა, სინათლეზე გახედეთ. სინათლე უყვარს! ხედავთ, როგორ აელვარდა!

ჯ ი მ ი. მართლაც ელვარებს.

ლ ა უ რ ა. არ მინდა მიკერძოება გამომივიდეს, მაგრამ ეს ყველაზე უფრო მიყვარს.

ჯ ი მ ი. მაინც, რისი გამოსახულებაა?

ლ ა უ რ ა. შუბლზე ერთადერთი რქა ვერ შენიშნეთ?

ჯ ი მ ი. აჰ, მარტორქაა?

ლ ა უ რ ა. აჰა!

ჯ ი მ ი. მარტორქები ხომ გადაშენდნენ!

ლ ა უ რ ა. ვიცი.

ჯ ი მ ი. საწყალი! ალბათ როგორ მოწყვნილი იქნება მარტოკა.

ლ ა უ რ ა. (გაიღიმებს). იქნებ მოიწყინა კიდეც, მაგრამ ერთხელაც არ დაუწუწუნია. ურქო ცხენებთან ერთად დევს თაროზე... და ეტყობა, კარგად ეწყობიან ერთმანეთს.

ჯ ი მ ი. თქვენ საიდან იცით?

ლ ა უ რ ა. (მხიარულად). ერთხელაც არ შემინიშნავს, ეჩხუბოთ.

ჯ ი მ ი. (სიცილით). არ უჩხუბნიათ? კარგი ნიშანია! სად დაედო?

ლ ა უ რ ა. მაგიდაზე დადეთ. ზოგჯერ უყვართ ხოლმე ადგილის შეცვლა.

ჯ ი მ ი. (ხელებს ვაშლის). ერთი შეხედეთ, რამოდენა ჩრდილი მქონია.

ლ ა უ რ ა. უჰ, უჰ, მთელი ჭერი დაფარა!

ჯ ი მ ი. (კართან მივა). ეტყობა, შეწყდა წვიმა. (კარს გამოაღებს) მუსიკა საიდან მოდის?

ლ ა უ რ ა. ქუჩის გადამიდან — „პარადისის“ საცეკვაო დარბაზიდან.

ჯ ი მ ი. რა იქნება, რომ ცოტა წავიცეკვოთ, მისს უინგფილდ?

ლ ა უ რ ა. ო. მე ხომ...

ჯ ი მ ი. თუ მთელი პროგრამა ამოიწურა! აბა, ვნახოთ! (ხელის გულს ვაშლის, თითქმის პროგრამას დაჰყურებდეს). ჰო, ამოწურულა! (ვალსს უკრავენ) აჰა, ვალსი დაუკრეს! (ჯერ მარტო დატრიალდება, მერე ლაურას გაუწვდის ხელებს).

ლ ა უ რ ა. (სუნთქვა ეკვრის). არ ვიცი ცეკვა.

ჯ ი მ ი. აჰა, იგივე კომპლექსი, წელან რომ გეუბნებოდით!

ლ ა უ რ ა. ჩემს დღეში არ მიცეკვია.

ჯ ი მ ი. ახლა სცადეთ.

ლ ა უ რ ა. უცებ ფეხი რომ დაგადგათ?!

ჯ ი მ ი. არა უშავს, მე ხომ მინა არა ვარ!

ლ ა უ რ ა. მაინც... როგორ უნდა დავიწყოთ?

ჯ ი მ ი. მე მომეყვით. ცოტა უფრო მაგრად მომხვიეთ ხელი.

ლ ა უ რ ა. ასე?

ჯ ი მ ი. ოდნავ ზევით. ასე. მთავარია, არ დაიძაბოთ... ლაღად, თავისუფლად!

ლ ა უ რ ა. (სუნთქვა ეკვრის, იცინის). ადვილი სათქმელია „თავისუფლად!“

ჯ ი მ ი. აბა!

ლა უ რ ა. ალბათ, ადგილიდანაც ვერ დამძრავთ.

ჯ ი მ ი. გინდა, სანაძლელს ჩამოვიდეთ. (აიყოლიებს, დაატრიალებს).

ლა უ რ ა. ღმერთო ჩემო, მართლა არ დამძარი!

ჯ ი მ ი. თქვენ თვითონ, ლაურა, თქვენ თვითონ მომყევით.

ლა უ რ ა. მე...

ჯ ი მ ი. ასე! ასე!

ლა უ რ ა. აკი ვცდილობ?

ჯ ი მ ი. ლალა! თავისუფლად!

ლა უ რ ა. ვიცი, მაგრამ არ...

ჯ ი მ ი. წელში გასწორდით!.. ახლა უკეთესად გამოგივიადათ.

ლა უ რ ა. მართლა?

ჯ ი მ ი. გაცილებით... გაცილებით უფრო უკეთესად. (უხერხული მოძრაობით ტრიალებენ ოთახში).

ლა უ რ ა. უი, ძალიან ჩქარია.

ჯ ი მ ი. ჰა-ჰა-ჰა!

ლა უ რ ა. ო, ღმერთო ჩემო!

ჯ ი მ ი. ჰა-ჰა-ჰა!

(უცებ მაგიდას დაეჯახებიან. ჯიმი შეჩერდება)

რას დავეჯახეთ?

ლა უ რ ა. მაგიდას.

ჯ ი მ ი. გადმოვარდა რამე? მომეჩვენა, თითქოს...

ლა უ რ ა. გადმოვარდა.

ჯ ი მ ი. რქიანი ცხენი ხომ არ გადმოვარდა? ღმერთმა ნუ ქნას...

ლა უ რ ა. სწორედ ის გადმოვარდა.

ჯ ი მ ი. გატყდა?

ლა უ რ ა. ახლა ნამდვილ ცხენს დაემსგავსა.

ჯ ი მ ი. რქა მოემტვრა?..

ლა უ რ ა. ჰო... არა უშავს. იქნებ ერჩინოს კიდევ ასე!..

ჯ ი მ ი. თავის დღეში არ მაპატიებთ, ალბათ — აკი გამორჩეულად გიყვარდათ!

ლა უ რ ა. არა, გამორჩევით არავინ მიყვარს. რა დიდი ტრაგედია ეს არის. მინის გატყვას რა დიდი რამე უნდა. რაც არ უნდა ფრთხილად იყო, მაინც გატყდება. ქუჩაში მანქანები რომ დადიან, აქ თართები ირყევა და ფიგურები იატაკზე ცვივა ხოლმე.

ჯ ი მ ი. მე მაინც ძალიან მწყინს, რომ ჩემი მიზეზით მოხდა.

ლა უ რ ა. (სიცილით). უცებ წარმოვიდგინე — ოპერაცია გაუკეთეს-მეთქი. ამა-ხინჯებდა რქა და მოკვეთეს... (იცინიან). ახლა უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს სხვა ცხენებთან...

ჯ ი მ ი. ჰა-ჰა-ჰა, ეს მართლაც კარგი რამე მოიგონეთ! (უცებ სერიოზულ ტონზე გადავა). ძალიან სასიამოვნოა, რომ იუმორის გრძნობა გქონიათ. იცით, რა უნდა გითხრათ, თქვენ, განსხვავებული ხართ, სხვებს არა ჰგავხართ! ყველასაგან განსხვავებული, ვისაც კი შევხვედრივარ (ხმა დაურბილდება, ბორძიკით ლაპარაკობს). ხომ არ გწყინთ, ასე რომ გელაპარაკებით? (ლაურა ისე აიღეწება, რომ ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებს). მე ის მინდა გითხრათ, რომ სხვებსა სჯობიხართ (ლაურა მორცხვად დახრის თავს, გვერდზე იყურება). თქვენ რომ გიყურებთ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს... ვერ გამომიტყვამს... საერთოდ ენაწყლიანი ვარ, მაგრამ... ახლა ვეღარ მომიხერხებია ჩემი სათქმელის გამოთქმა. (ლაურა გულზე მიიღებს ხელს, ჩაახველებს, გატყეხილ მარტორქას შეატრიალებს ხელში). უთქვამს თუ არა ვინმეს თქვენთვის, რომ ლამაზი ხართ? (ამ სიტყვებს კიდევ უფრო აღერსიანად ეტყვის). (პაუზა, მუსიკა, ლაურა ნელ-ნელა



ასწევს თავს, გაკვირვებით შეჰყურებს, თავს გააქნევს). იცით, რა ლამაზი ხართ! სხვაგან განსხვავებული სილამაზისა. და რაკი სხვებს არა ჰგავხართ, ეს კიდევ მეტ მომხიბლობას განიჭებთ. (ახლა უფრო დაბალი, ჩაბრინწული ხმით ლაპარაკობს. ლაურა მიტრიალდება, ახალი, ჯერ განუცდელი ემოციებისაგან ლამის გული შეუღონდეს). ნეტა, ჩემი და იყოთ! მაშინ უფრო ადვილად ჩაგინერგავდით საკუთარი თავის რწმენას. თქვენ ყველასაგან განსხვავებული ხართ, მაგრამ ამისი კი არ უნდა გრცხვენოდეთ. რადგან იმ სხვებს არაფერი თავისებურება, არაფერი ორიგინალური არ გააჩნიათ. სულ ერთნაირია ასიათასობით ადამიანი, თქვენ კი ერთადერთი ხართ მათ შორის! ისინი მთელი დედამიწის ზურგზე არიან მოფენილი. თქვენ კი მარტო აქა ხართ. ისინი ბალახივით არიან მოდებული, თქვენ კი... თქვენ... ცისფერი ვარდი ხართ.

(ეკრანზე გამოსახულება — ცისფერი ვარდები).

(მუსიკა იცვლება)

ლ ა უ რ ა. მაგრამ ცისფერი ვარდები რომ არ არსებობს...

ჯ ი მ ი. სულერთია... თქვენ მაინც... ლამაზი ხართ!

ლ ა უ რ ა. რა მაქვს ლამაზი?

ჯ ი მ ი. ყველაფერი... დამერწმუნეთ! თვალები... თმა... ხელები (ხელზე ხელს წაავლებს). არ იფიქროთ, თითქოს ეს ფუჭი ქათინაურები იყოს, რაკი თქვენი სტუმარი ვარ, თავაზიანობის ვალს ვიხდოდე! ამაზე ადვილი რა იქნებოდა! ისეთ რამეს გადაკეთებდი, ისეთი ქათინაურებით აგავსებდი! მაგრამ არა. ახლა მე გულწრფელად გელაპარაკებთ. შეგატყვევთ, რომ არასრულყოფილების კომპლექსი გაქვთ, რაც ადამიანებთან ნორმალურ ურთიერთობას გიშლით... ვინმემ ხომ უნდა შთავაგონოთ საკუთარი თავის რწმენა... ვინმემ ხომ უნდა გაგრძობინოთ, რომ ამ სიმორცხვის, სირცხვილისაგან ყოველ წუთში წამოწითლების ნაცვლად, თავის ამაყად დაჭერა გმართებ... ვინმემ ხომ უნდა... ხომ უნდა... გაკოცოთ, ლაურა!

(ხელს ნელ-ნელა ზევით ააცურებს, მხრებზე მოსდებს. მუსიკა სულ უფრო და უფრო მღვლელოვან გახდება. უკვებ თავისკენ მიიზიდავს ლაურას და ტურნებში აკოცებს. ხელს რომ გაუშვებს, ლაურა საგარეოში ჩაიკეცება — თვალები უციმციმებს, გოგნებულაია. ჯიმი შეტრიალდება, ჯიბეში სიგარეტს ეძებს. ეკრანზე წარწერა — „სახსოვრად!“)

პიჟონი! (სიგარეტს მოუკიდებს. ლაურას თვალს არიდებს).

(სამზარეულოდან კვლავ ამანდას კისკისი მოისმის, თითქოს პატარა გოგონა იცინოდეს. ლაურა ნელ-ნელა წამოდება, თითებს გაშლის. ხელში კვლავ რქამომტკრეული მინის მარტორქა უჭირავს. ნაზი, დაბნეული გამომეტყველებით დასცქერის).

პიჟონი! ეს რა ვქენი!.. ძალიან შევტოპე!.. სიგარეტს არა სწევ, ლაურა? (ლაურა ახედავს, გაუღიმებს, შეკითხვა არც კი გაუგონია. ჯიმი გვერდზე მოუჯდება ფრთხილად. გოგონა უხმოდ შეჰყურებს, მოლოდინით. ჯიმი იგრძნობს ამ სიტუაციის მთელ უხერხულობას, გრძნობს, რა განცდებს მოუცავს ახლა ლაურას არსება, დაბნეულად ჩაახველებს და ოდნავ გაიწევს, დაშორდება. აღერსიანად მიმართავს) პიტნის კამფეტი ხომ არ გინდა? (ლაურას, ეტყობა, ისევ არ ესმის-მისი. თვალები კიდევ უფრო გაუბრწყინდება). სიცოცხლის წყაროს ეძახიან... რა არ მიყრია ამ ჯიბეში, საწყობი გეგონება... (პირში ჩაიდებს პიტნის კამფეტს. მაშინვე გადაყლაპავს და გადაწყვეტს, მთელი სიმართლე უთხრას. ლაპარაკობს დინჯად და ფრთხილად). ლაურა, შენნაირი და რომ მყავდეს, მეც ტომივით მოვიტყეოდი. ბიჭებს მოვიწვევდი ხოლმე სახლში... გაგაცნობდი... კარგ ბიჭებს. ისეთებს, ვისაც... მისი დაფასება შეეძლებოდათ. ოღონდ ტომს ახლა შეცდომა მოუვიდა... კარგად ვერ შემარჩია მე... იქნება არ უნდა გელაპარაკებოდე ახლა ამას, თქვენ იქნებ ისე დამაბატიყეთ, უბრალოდ... სხვა რამე არც გიფიქრიათ... ასეც რომ იყოს, ამითი არაფერი დაშავებულა. ოღონდ მთელი უბედურება ის არის, რომ მე სულ სხვა დღეში ვარ. არა მაქვს ამისი უფლება... არ შემიძლია თქვენი ნომერი ჩავიწერო და და-

ვირეო მერე. უფლება არა მაქვს იმ კვირაშიაც გამოვიარო, პაემანი დაგინიშნო... გა-  
დავწყვიტე, პირდაპირ გითხრა, რათა გაუგებარი არაფერი დარჩეს, გული არ გატკინო...

(პაუზა. ნელა, ძალიან ნელა, ლაურას გამომეტყველება იცვლება. ჯიმს ნელა მოა-  
შორებს თვალებს და მინის სათამაშოს დახედავს ხელზე. სამწარეულოდან ისევ მოისმის  
ამანდას მხიარული კისკისი).

ლ ა უ რ ა. (მივანებული ხმით). მეტს... მეტს აღარ გამოვიღი?

ჯ ი მ ი. არა, ლაურა... არ შემიძლია. (სავარძლიდან წამოდგება). მგონი უკვე  
გითხარი, ლაურა, მე თავისუფალი არა ვარ. საცოლო მყავს... კარგა ხანია... ბეტი ჰქვია.  
შენსავით შინგამოკეტილი გოგოა... ირლანდიელი კათოლიკი... და ბევრი რამ საერთო  
აღმოგვანდა. შარშან ზაფხულს გავიცანი, როცა სამდინარო გემით ალტონისკენ მივ-  
დიოდით, ექსკურსიაზე. ნახვისთანავე შეგვიყვარდა ერთმანეთი.

(ეკრანზე წარწერა: „სიყვარული“ ლაურა წინ წაბარბაცდა ცოტათი და სავარძელს  
მოეღალატა. მაგრამ ჯიმისთვის აღარ სცალია, საკუთარ ფიქრებშია ჩაფლული).  
ერთიანად გამომცვალა სიყვარულმა. თითქოს ხელახლა დავიბადე.

(ლაურა წინ გადაიხრება, კვლავ სავარძლის სახელურს ჩაფრენია, ცდილობს მო-  
ერიოს მღელვარებას. ჯიმს უკვე აღარ ახსოვს იგი). მართლაც რომ ყოვლისშემძლე  
ყოფილა სიყვარული!... მთელი ქვეყნიერება შეუძლია შესცვალოს, ლაურა!

(ლაურა ცოტათი დამშვიდდა, სავარძლის ზურგს გადააწვა. ჯიმი ისევ შენიშნავს  
ლაურას).

მამიდა გაუხდა ბეტის ავად და დეპეშით გამოიძახეს სენტრეილიაში... ასე რომ,  
როცა ტომმა მომიპატიჟა სადილად, მეც რაღა თქმა უნდა, დავეთანხმე... რას ვიფიქრებ-  
დი, რომ შენ... რომ ტომი... რომ მე... (დაიბნევა)... ფუჰ! მართლაც რომ პიჟონი ვარ!  
(ისევ სავარძელზე დაეშვება).

(ის ღვთაებრივი სხივი, რაც შინაგანად ანათებდა ლაურას, თანდათან ჩაქრა. ახლა  
განუახლებული სევდაა მის სახეზე აღბეჭდილი. ჯიმი უხერხულად გახედავს).

ნეტა, შენც იტყოდე რამეს, ლაურა... (ლაურა ათრთოლებულ ტურებს მოიკვნეტს  
და მერე მამაცურად გაიღიმებს. კვლავ გაშლის თითებს და გატეხილ სათამაშოს დაჰყუ-  
რებს. მერე ნაზად აიღებს ჯიმის ხელს, ზევით აწვეს, ფრთხილად დაუდებს ხელის  
გულზე მინის მარტორქას და ხელს კვლავ მოუშუქავს).

რასა შერებს? მაჩუქე, ლაურა? (ლაურა თავს დაუქნევს) რატომ?

ლ ა უ რ ა. სახსოვრად... (ბარბაცით მივა გრამფონთან და დაქოქავს).

(წარწერა ეკრანზე: „ასე უკულმა დატრიალდა საქმე!“ ან გამოსახულება: სტუმარი  
მხიარულად უქნევს ხელს დიასახლისს, ეთხოვება).

(სასტუმრო ოთახში სახეგაბრწყინებული ამანდა შემოვარდება. ხელში ძველებური  
გრაფინი უჭირავს, პუნშით სავსე. მეორე ხელში ასევე ძველებური, მოთქროვილი ლან-  
გარი. ზედ — ნუშის ნამცხვარი).

ა მ ა ნ დ ა. იფ! იფ! იფ! ძლივს არ გააგრილა ჰაერი ამ წვიმამ! ცოტაოდენი ჩა-  
სატკბარუნებელი მოგიმზადეთ, ბავშვებო. (მხიარულად მიმართავს სტუმარს). ჯიმი, ეს  
სიმღერა თუ გაგიგონათ:

ლიმონათი, ლიმონათი,  
ყველასათვის მარგებელი...  
ბავშვისათვის, მეომრისთვის,  
შინაბერა ქალისთვისაც  
ყელის გამაგრილებელი.

ჯ ი მ ი. (უხერხულად). ჰა! არა... პირველად მესმის.

ა მ ა ნ დ ა. რა მოგივიდა, ლაურა? რა სერიოზული სახე გაქვს!

ჯ ი მ ი. სერიოზული საუბარი გვექონდა.

ა მ ა ნ დ ა. მით უკეთესი! უკეთ გაცივობდით ერთმანეთს.

ჯ ი მ ი. (დაბნეულად). ჰა-ჰა! დიახ, რა თქმა უნდა.

ა მ ა ნ დ ა. ახლანდელი ახალგაზრდობა უფრო სერიოზულები ხართ, ჩვენი თაობა ასე არ იყო. ისეთი მხიარული გოგო ვიყავი!

ჯ ი მ ი. არც შეცვლილხართ, მისის უინგფილდ.

ა მ ა ნ დ ა. დღეს ახალგაზრდული ენერჯის მოზღვავებასა ვგრძნობ. სულ თქვენი საქმეა, მისტერ ო'კონორ (თავს აქნევს, კისკისებს, ლიმონათს ასხამს). ოი, ნაკურთხი წყალი შემეშხეფა!

ჯ ი მ ი. აქ მომეცით... მე...

ა მ ა ნ დ ა. (გრანინს მაგიდაზე დადგამს). ესეც ასე... ცოტაოდენი ალუბალი აღმომამჩნდა. პირდაპირ ჩავუძახე, კურკიან ყველაფრიანად.

ჯ ი მ ი. რატომ შეწუხდით, მისის უინგფილდ!

ა მ ა ნ დ ა. რასა ბრძანებთ! რის შეწუხებმა! იმდენი სიამოვნება განვიცადე! არ გესმოდათ მაინც, რამდენი მოხვდა თქვენს გამო ტომს? ალბათ, ყურები გამოვიჭედეთ! ამისთანა კაცი თუ გყავდათ მაღაზიაში, რატომ აქამდე არ გაგვაცანი-მეთქი! უფრო ადრე უნდა მოეყვანეთ, გაცილებით უფრო ადრე! ახლა, რაკი ერთხელ მოგიცდათ ფეხი, მუდამ სასურველი სტუმარი იქნებით, ხშირად გვეწვიეთ ხოლმე. ათასში ერთხელ კი არა, ხშირ-ხშირად მოგვინახულებთ. ისე მხიარულად გაეცატრებთ დროს! წინასწარვე წარმომიდგენია, რა კარგი იქნება. იფ, რა გრილმა ნიავმა წამოუქროლა! მთვარეც რა ლამაზია ამაღამ! აბა, წაეცუნცურუკდი. კარგად ვიცი, სად არის ჩემი ადგილი, როცა ახალგაზრდებს... სერიოზული საუბარი აქვთ ერთმანეთში.

ჯ ი მ ი. არა, მისის უინგფილდ, ნუ შეწუხებდით, აქვე იყავით, მე თვითონ მივიღივარ ახლა.

ა მ ა ნ დ ა. მიდისხართ? მეხუმრებით თუ რა?! რა დროს წასვლაა, მისტერ ო'კონორ, ახლახან დაღამდა.

ჯ ი მ ი. ჰო, მაგრამ, ხომ იცით...

ა მ ა ნ დ ა. შესმის, გასაგებია — სამსახურის კაცი ხართ, ახალგაზრდა მომუშავე, სათანადო რეჟიმი უნდა დაიცვათ. კარგი, ამაღამ ადრე გავიშვებთ, ოღონდ იმ პირობით, რომ მეორედ როცა მოხვალთ, უფრო დიდ ხანს დარჩებით. როდის ხართ უფრო თავისუფალი? მოსამსახურე ხალხისთვის ალბათ შაბათ საღამო უფრო მოსაპერხებელია.

ჯ ი მ ი. მე ორჯერ მიწვევს ტაბელის გადაბრუნება, მისის უინგფილდ: ერთი დილით და მეორე — ღამით!

ა მ ა ნ დ ა. დიდი საქმის კაცი ყოფილხართ! ღამითაც მუშაობთ?

ჯ ი მ ი. არა, ქალბატონო, მუშაობით არ ვმუშაობ — ბეტის ვხვდები!

(ნელი ნაბიჯით გაემართება და ქუდს აიღებს. „პარადისის“ საცეკვაო დარბაზიდან უფრო ნაზი ვალსის ხმები მოისმის).

ა მ ა ნ დ ა. ბეტი? ბეტი! ბეტი ვინდაა?

(ცაზე საშინელი გრუნუნის ხმა)

ჯ ი მ ი. გოგონაა ერთი... ერთმანეთს ვხვდებით ხოლმე!

(მომხიბლავად იღიმება. ცა თითქოს ჩამოინგრა. წარწერა ეკრანზე: „ცა ჩამოინგრა“).

ა მ ა ნ დ ა. ა-აჰ!.. სერიოზული რომანია, მისტერ ო'კონორ?

ჯ ი მ ი. იენისის მეორე კვირა-დღეს ვაპირებთ დაქორწინებას.

ა მ ა ნ დ ა. ო-ოჰ, რა სასიამოვნოა! ტომს ერთი სიტყვაც არ დასცდენია, დანიშნული თუ გყავდათ.

ჯ ი მ ი. მაღაზიაში ჯერ არ გახმაურებულა ჩვენი ნიშნობის ამბავი. ხომ მოგესვენებათ, როგორ ხდება ხოლმე — აღარ მოგასვენებენ, აგიკლებენ, რომეოს დაგიძახებ-

ბენ და რა ვიცი. (ოვალურ სარკესთან მივა, ქუდს იხურავს. გულმოდგინედ ასწორებს ქუდის ცასა და ფარფლს). დიდებული სადამო იყო, მისის უინგფილდ. ახლა კი მივხვდი, რას ნიშნავს სამხრეთული სტუმართმოყვარეობა.

ამან და. რასა ბრძანებთ, სათქმელადაც არა ღირს.

ჯიმი. მეშინია, ისე არ გამომივიდეს — უცებ წამოხტა და გავარდაო. მაგრამ ბეტის შევპირდი, უბაზის სადგურზე უნდა შევხვდე. მანამ ჩემი დაფხავებული მანქანით სადგურამდე მივალწვედე, მატარებელიც ჩამოვდგება. ზოგმა ქალმა გაკაპახება იცის თუ ალოდინე.

ამან და. ვიცი, როგორ არა... ქალების მატარებლობას ვინ გაუძლებს! (ხელს გაუწვდის ჯიმს). ნახვამდის, მისტერ ო'კონორ. ბედნიერებას გისურვებთ... წარმატებას... ყოველივე სიკეთეს! ლაურაც ასევე მოხარული იქნება თქვენი ბედნიერებისა... ხომ ლაურა?

ლაურა. რა თქმა უნდა.

ჯიმი. (ხელს ართმევს ლაურას). ნახვამდის, ლაურა. თვალის ჩინივით გაგუფრთხილდები ამ მარტორქას. ჩემს კეთილ რჩევას ნუ დაივიწყებთ. (მხიარულად გასძახებს) ნახვამდის, შექსპირ! კიდევ და კიდევ მადლობას მოგახსენებთ, ქალბატონო... ღამე მშვიდობისა! (გაიღიმებს და უდარდელი გამომეტყველებით გადის).

(ამანდა ვაუკაცურად ინარჩუნებს სახეზე კეთილ ღიმილს, კარამდე მიაცილებს სტუმარს. როცა შემობრუნდება, არეული და განადგურებული ჩანს. ლაურა და ის თვალს ვერ უსწორებენ ერთმანეთს. ლაურა გრამოფონთან მივა და დაქოქვას იწყებს).

ამან და. (მისუსტებული ხმით). სულ უკუღმა დატრიალდა საქმე. სწორედ რომ გრამოფონის დროა! ნახე?! ჩვენი სტუმარი დანიშნული გამოდგა! ტომ!

ტომი. (კულისებიდან). რაო, დედა?

ამან და. ერთი წუთით მოდი. სასაცილო რაღაცა უნდა გითხრა.

ტომი. (შემოდის. ლიმონათი და ნუშის ნამცხვარი შემოაქვს) უკვე წავიდა ჩვენი სტუმარი?

ამან და. ადრინადა გამოგვეთხოვა. ეს რა მხიარული ოინი გვიყავი!

ტომი. რა მოხდა?

ამან და. რატომ არ გვითხარი, დანიშნული თუ იყო?

ტომი. ჯიმი? დანიშნული?

ამან და. საკუთარი პირით გვითხრა.

ტომი. პირველად მესმის.

ამან და. საოცარი ამბავია!

ტომი. რა არის საოცარი?

ამან და. აკი ჩემი საუკეთესო მეგობარიო?

ტომი. არის კიდევ... მაგრამ ეგ არ ვიცოდი.

ამან და. მერე, საოცარი არ არის განა, რომ შენი საუკეთესო მეგობრის ამბავი არ იცოდე?!

ტომი. მალაზიაში ჩემი საქმე მაქვს, ცნობებს კი არ ვაგროვებ!

ამან და. შენთვის ხომ ყველაფერი სულერთია! სიზმარში ხარ, ილუზიებით იკვებები! (ტომი კარისკენ გასწვებს). სად მიდიხარ?

ტომი. კინოში.

ამან და. ასე უნდა! ჯერ გაგვასულელე და მერე კინოში წაბრძანდი. ამდენი ფაცა-ფუცი, ამდენი სამზადისი, ამდენი ხარჯი! ახალი ტორშერი, ნოხი, ლაურას კაბა!... რისთვის მერე? სხვა საცოლე რომ დაულოცოთ? წადი, კინოში წადი! ჩვენთვის თავს ნუ შეიწუხებ. რაში უნდა გენადვლებოდეს ქმრისგან მიტოვებული დედა, შინგამომჯდარი ხეობარი და?! ოღონდ შენ მუ მოიკლებ სიამოვნებას და ჯანდაბას ყველა და ყველაფერი! წადი, რაღას უდგეხარ. წადი, კინოში წადი!

ტომი. წავალ! აკი მივდივარ! რასაც მეტს მიკიჟინებ თავეკრძობას, მით უფრო ჩქარა წავალ... ოღონდ კინოში კი არა!

ამანდა. წადი! ასე გიქნია, მთვარეზე წასულხარ, საკუთარი თავის მეტი რომ არაფერი გახსოვს.

(ტომი ჭიქას იატაკზე დაანარცხებს, კიბეზე გავარდება, კარს გაიჯახუნებს. ლაურა იკივლებს — მას კარი მოხვდა).

საკეკვაო დარბაზიდან მუსიკის ხმა მოდის. ტომი გამწარებით ჩასჭიდებს ხელს ნოჯირს, თავს მალლა ასწვევს, ცივ მთვარეს შეხედავს, რომლის თეთრი სხივები ქუჩას ეფინება. ეკრანზე წარწერა: „მშვიდობით“... ტომის მონოლოგი იმ პანტომიმის ფონზე წარმოითქმება, რასაც ჩვენ ბინაში ვხედავთ: თითქოს ეს ბინა ხმაგაუმტარი გამჭვირვალე მინით იყოს შემოფარგლული. ლაურა სავარძელზე მოკრუნჩხულა და ამანდა, ეტყობა, მის დამშვიდებას ცდილობს. ახლა, როცა ხმა არ გვემის დედისა, მაყურებლის თვალში მას თითქოს სულელური საქციელი გასცლია და ღირსეული, ტრაგიკული მომხიბვლელობა შესძენია. ლაურას თავისი შავი თმა გადმოჰფენია სახეზე, მხოლოდ ტომის მონოლოგის დასასრულს გადაიყრის თმას და დედას გაუღიმებს. ამანდას მოძრაობა ნელი და გრაციოზულია, როცა იგი შვილს ამშვიდებს. სათქმელს რომ დამთავრებს, ამანდა ერთი წუთით მამის სურათს შეხედავს და მაშინვე გავა, პორტიერს მიეფარება. ტომის მონოლოგის დასასრულს ლაურა სანთლებს შეუბერავს და ჩააქრობს, ამით მთავრდება კიდევ პიესა).

ტომი. არა, მთვარეზე არ წავსულვარ, გაცილებით უფრო შორს წავედი, რადგან დრო ყველაზე დიდი მანძილია ორ ადგილს შორის... დიდ ხანს აღარ გაუვლია იმ ამბების შემდეგ, რაც მოხდა, და მე სამსახურიდან დამითხოვეს, რადგან ფეხსაცმლის ყუთის ხუფზე ლექსი დავწერე. მივატოვე სენტ-ლუისი და წავედი. უკანასკნელად ჩავიარე ეზოს კიბე და მამის კვალს დავადექი, ვცდილობდი მოძრაობაში შემეძინა ის, რაც სივრცეში დავკარგე... ბევრი ვიმოგზაურე. ქალაქები ისე იხვეტებოდნენ ჩემს ირგვლივ, როგორც ჩამოცვენილი ფოთლები, რომელთაც ფერი კი ცოცხლად შერჩენიათ, მაგრამ ტოტებიდან უკვე მოგლეჯილები არიან. მინდოდა სადმე შეეჩერებულიყავი, მაგრამ თითქოს რაღაც მდევდა და ერთ ადგილას არ მაჩერებდა. უცებ მომწვდებოდა ხოლმე, მოულოდნელად. ზოგჯერ ეს თითქოს ნაცნობი მელოდია იყო... ზოგჯერ — გამჭვირვალე ნინის ნატეხი... ანდა რომელიღაც უცხო ქალაქში ხარ, მიყალიბ და მით ქუჩაში მართოდმარტო. პარფიუმერიის მაღაზიის განათებულ ვიტრინას ჩაუვლი. ვიტრინა გამოტენილია ფერად-ფერადი მინის პაწაწინა ბოთლებით, თითქოს ცისარტყელა დაემსხვროთ და მოებნით... უცებ ჩემი და წამაღლებს ხელს მხარზე. ხელად მიგბრუნდები და თვალბეში ჩახედავ... ო, ლაურა, ლაურა! ვცადე გაგქცეოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე, უფრო ერთგული გამოვდექი, ვიდრე მეგონა და ვცდილობდი! მაშინვე ჯიბეზე ვიტაცებ ხელს, სიგარეტს ამოვიღებ, ქურჩის მეორე მხარეს გადავალ, კინოში ან ბარში შევვარდები, რამეს გადავკრავ, ვინმეს გამოველაპარაკები — ვცდილობ სწრაფად ჩავაქრო მოგონებათა სანთელი..

(ლაურა სანთლებზე დაიხრება)

ახლა ხომ ელვა ანათებს ქვეყნიერებას. ჩააქრე ეგ შენი სანთლები, ლაურა... და მშვიდობით (ლაურა სანთლებს ჩააქრობს. სცენა ბნელდება.)



## ვლადიმერ სკოროპოვოვი

### გარკაღ იმოსლავს მათი სხელი

1941 წლის 21 ივნისს, განთიადისას, დასავლეთის საზღვარზე სოკალის რაიონში ფაშისტებს ერთ-ერთი პირველთაგანი შეეგება ცივის საგანგებო სამხედრო ოლქის მეხუთე არმია, კერძოდ, 124-ე მსროლელი დივიზია. მათ გამირობაზე „დიდი სამამულო ომის ისტორიის“ მეორე ტომში, მეოცე გვერდზე წერია: „წითელი არმიის ცალკეული ქვედანაყოფები, რომლებმაც მოწინააღმდეგის საარტილერიო და საავიაციო მოზადების პერიოდში შესძლეს საზღვართან უშუალო სიახლოვეს მდებარე ნაგებობათა დაკავება; თავს იცავდნენ რამდენიმე დღეამის განმავლობაში, ხოლო ზოგან თვეზე მეტსაც. ადგილობრივ მცხოვრებთა ნაამბობიდან ჩანს, რომ მეხუთე არმიის 124-ე მსროლელი დივიზიის საბჭოთა მებრძოლებმა ერთ-ერთ ხანგრძლივ საცეცხლე წერტთან შესძლეს მტრის შეკავება სამი კვირის განმავლობაში, მეორეგან კი — 28 ივლისამდე. ამ ხანგრძლივი საცეცხლე წერტების ვმირული გარნიზონის გასანადგურებლად პიტლერებმა გამოიყენეს მომწამვლელი ნივთიერებანი“. ეს გმირობა ნახსენებია სხვა ლიტერატურაშიც. ასე მაგალითად, ივანე ქრისტეფორეს ძე ბაგრატიანი, ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალი, რომელსაც ომის პირველ დღეებში სამხრეთ დასავლეთის ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის თანამდებობა ეჭირა, წერს: „ომის პირველმაცე საათებმა დაგვანახა, რომ ჯერ ბრძოლის უნახავი მე-

ხუთე და მეექვსე არმიის მებრძოლებისა და მეოთხეების მოსაზობა შეიძლება, მაგრამ ვერ აიძულებ მათ უკან დაიხიონ... გასათიარი შეუპოვრობა გამოიჩინეს 87-ე და 124-ე დივიზიის პოლკებმა, რომელთა წინააღმდეგ მოიწვედა მტრის მთავარი ძალები“.

აი, თითქმის ყველაფერი ის, რაც დაიწერა ამ შენაერთის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა გმირობაზე. მათ თავიანთი საბრძოლო დროშა უკანობი დიდებით შემოსეს.

მიმდინარე წელს უკრაინაში გამოცემლობა „კამინარი“ გამოუშვებს ამ დივიზიის ყოფილი პოლიტმუშაკის ვლადიმერ სკოროპოვატოვის წიგნს — „მარად იცოცხლებს მათი სახელი“. მასში მოთხრობილია, თუ რა გმირულად იცავდნენ საბჭოთა მიწის თვითთულ გოჭს 124-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლები ომის პირველ დღეებში (დივიზიაში თვრამეტე ეროვნების ჯარისკაცი იყო, მათ შორის რუსები, უკრაინელები, ქართველები და სხვ.). წიგნში პირველად ქვეყნდება რიგი ფაქტებისა და იმ მებრძოლთა სახელები, რომლებმაც ბოლომდე მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ჩვენი ეურნალის ამ ნომერში ვებუცდათ ცალკეულ ნაწივეტებს ამ წიგნიდან. წიგნის ავტორს იმედი აქვს, რომ ქართველი მკითხველები დაეხმარებიან დაღუპულ მებრძოლთა მშობლების მოძებნაში, ზოგი ფრიად მნიშვნელოვანი ამბის გარკვევაში.

### ლევანდა — თხმულეზა, რომელიც საუკუნეებს გაუძლეავს

781-ე მსროლელი პოლკის მეთაური კონსტანტინე თედორეს ძე საველიევი სამსახურბოროე ქალაქებს კითხულობდა, როცა მასთან კაბინეტში პოლკის შტაბის მორივე გამოცხადდა: — ამხანაგო პოლკოვნიკო, — მოახსენა მან, — ამხანაგი ვესიოლი გობხოვთ საველე ტელეფონთან.

პოლკის მეთაური სწრაფად წამოძვდა და მეზობელ ოთახისაკენ გასწია, სადაც მორიგეს სოკალის სასაზღვრო ნაწილების კომენდატურასთან პირდაპირი კავშირის აპარატურა ედგა. საველიევა ყურმილი აიღო და, აღფეროვი გისმენთო თქვა თუ არა, მას მე-4 სასაზღვრო ნაწილის კომენდატურის კაპიტან ივანე ბართლომეს ძე ბერ-

შადსკის ხმა მოესმა. იგი ხმამაღლა და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა:

— ივანე ივანოვი, გამარჯობათ. გვეწვევით, ჩაი დავლით. ოღონდ ნუ დაყოვნებთ, სამოვარი საცაა ადუღდება.

— მადლობელი ვარ მოწვევისათვის. ახლავე წამოველა. — ოცა დაყოვნებთ უბასუხა საველითა და ყურმილი დაჰკიდეთ.

ასეთმა საუბარმა შეფიქრებინა პოლკის მეთაური. «გვეწვევით, ჩაი დავლით», — დათქმული პაროლი იყო საველიცესა და ბერშადსკის შორის იმ შემთხვევისათვის, როცა აუცილებლად საჭირო იქნებოდა, როგვის მივლით ერთობლივი გადარჩევითობა. მაგრამ რატომ სთქვა ბერშადსკიმ «სამოვარი საცაა ადუღდება». ხანამ მანქანა ტარტაკოვიდან სოკალისკენ მიჰქროდა, ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა კონსტანტინე თევდორეს ძეს.

მოხდა კი ასეთი რამ: 21 ივნისის საღამოს 9 საათზე მე-4 სასაზღვრო კომენდანტურის ერთერთ უბანზე დაკავებულ იქნა გერმანელი ჯარისკაცი ალფრედ ლისკოფი, რომელმაც მდინარე დასავლეთის ბუგი გადმოსცურა. კომენდანტურის შტაბში იგი დაკითხა კაპიტანმა ბერშადსკიმ.

— ომი!.. ომი!.. — ამბობდა ავღლებული გერმანელი ჯარისკაცი. და თავის სიმართლეში რომ დაერწმუნებინა მესაზღვრეები, მომუქული ხელი მადლა ასწია. — როტფრონტი! ტელმანი! მან თქვა, რომ ბავარიელი მუშაა, დურგალი. დღეს მისი ასეული მეთაურს ობერლეიტენანტი მუხომ ჯარისკაცებისათვის განუცხადებია: ფიურერის ბრძანებით, 22 ივნისს, დღის 4 საათზე ომს ვიწყებთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგო. ალფრედმა, კომუნისტმა, ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულმა, გადმოსცურა მდინარე, რათა ეცნობებინა რუსი კომუნისტებისათვის ფაშისტების ვერაგული განზრახვა.

საველიცი სოკალში მაშინ მივიდა, როცა უკვე ბინდებოდა. მიწურულზე იყო წლის ყველაზე გრძელი დღე და იწყებოდა ყველაზე ხანმოკლე ღამე. კომენდანტურაში მას შეეგება ბერშადსკი. მან უამბო საველიცეს მომხდარ შემთხვევაზე. უთხრა, რომ ალფრედ ლისკოფი უკვე დაკითხულია და გაგზავნილია ვლადიმერ-ვოლინსკიში, 90-ე სასაზღვრო ჯგუფის შტაბში, მაიორ ბიკოვსკისთან. კაპიტანმა თქვა, რომ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და ბრძანა — სასაზღვრო-სადარჯო გადაეყვანათ საზღვრის დაცვის გაძლიერებულ ვარიანტზე. თავის მხრივ, იგი სთხოვდა საველიცეს მოეხსენებინა ყველაფერი 124-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის — ვენერალ-მაიორ სუმსისათვის და გაცემა ბრძანება, ქვედანაყოფებს ღამით დაკავებინათ ხანგრძლივი საცეცხლე წერტები და ბატალიონის თავდაცვითი რაიონები. საველიცი დათახნმა ბერშადსკის. გადაწყვიტეს, ყველიცი ეს ეცნობებინათ 622-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მაიორ შალვა დიმიტრის ძე ქარცხიას-

თვისაც, რომლის შტაბი დისლოცირებული რაიონულ ცენტრ პირიციში.

საველიცი დაეშვიდობა ბერშადსკის. კაპიტანი თავის სასაზღვრო სადარჯოზე გაემგზავრა, პოლკოვნიკი კი სარტაკოვისკი გაეშურა.

შუალამისთვის 481-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებმა პოლკოვნიკ საველიცის ბრძანებით წინ წაიწიეს, საზღვრისკენ. უკუნი ღამე იდგა. ზოგან სიბნელეს სჭრიდა ელექტრონის შუქის კონები. პოლკოვნიკმა საველიცივმა, შეცდომაში რომ შეეყვანა დასავლეთ ბუგის მიღმა მდგარი გეომატელები, — ბრძანა: არ ჩაეჭოთ განათება ზოგიერთ სამშენებლო მოედანზე. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ ანგუსზე წამოვიგო მოწინააღმდეგე. 48-ე მოტორიზებული კორპუსის. მეთაური 21 ივნისს, ღამით ბერლინს აცნობებდა: «სოკალი არ არის შექმნილი. რუსები უშუქო ავებენ თავიანთ ხანგრძლივ საცეცხლე წერტებს. ისინი, მგონი, ვერაფერს ხვდებიან».

იმ დროს, როცა პიტლერელი გენერალი ალტაიციმ აცნობებდა ბერლინს ამ ამბავს, მისი არტილერიისტები საბრძოლო იარაღს უკვე აცლიდნენ შალითებს.

ტანკისტები ტანკებს შესანიღბ ბადებებს აცლიდნენ, მფრინავები კი აღმოსავლეთში გაფრენის წინ მოტორებს ათობდნენ. ერთი სიტყვით. ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ «სამხრეთის» არმიის ჯგუფის შტაბისაგან მიღებულ დასტურ-პაროლისთანავე: «თქმულმა გმირებზე ვოტანი. ნეკარი-სა», დაერტყათ ჩვენი ჯარებისათვის, ვლადიმერ-ვოლინსკის სამხრეთით რომ იყენენ განლაგებული. მთავარი დარტყმისათვის «სამხრეთი» არმიის ჯგუფს თავმჯობილი ტყვედა ექმნა ქვეითი დივიზია და 600-მდე ტანკი. ყველაფერი ეს მიმართული იყო მე-5 საბჭოთა არმიის წინააღმდეგ.

იმ მოკლე და უქანასკნელ ღამეს არავის არ ეძინა. წითელარმიელთა იარაღებს სინჯავდნენ, ათვალერბდნენ სროლის სექტორებს. ყოველივე ამას აკეთებდნენ მშვილდ, გულმოდგენად, ჩუმად — ფუსფუსის გარეშე; მეთაურები უკვე მერამდენად სინჯავდნენ თითებში ჯიბეში ჩადებულ სამაზილიზაციო პაკეტს, რომლის გახსნა შეიძლებოდა მხოლოდ საბრძოლო განგავის გამოცხადებისას.

დრო კი გარდუვალად მისწრაფდა საბრძოლო ქარიშხალთან შესახვედრად. აი ლაქაშების ბნელი ზოლის მიღმა ოღნავ ვანთდა ცა. უქანასკნელ სიზმრებს ხედავენ ფრინველები. მდინარის ძილნასავამი ტალღები ოღნავ ტლამუნობენ. ეს ყველაზე მაცთური წამბა იმათთვის, ვინც საზღვრის გადალახვას ლამობს. ყოველ წუთს მოსალოდნელია დაირღვეს მოჩვენებითი მყუდროება სავანგაშო ხმაურით, ავტომატის მკვეთრი კაცანით; რას იზამ, ასეთთა საზღვარი!



სინქრუმის საზღვარზე დრო და დრო არღვევდა დასავლეთი ბუგის გაღმა ნაპირზე მოტორების ყრუ ხმაური, ლითონის ჯახანი, ხოლო შემდეგ ცა გაივსო საავიაციო მოტორების მძლავრი გულუნით. მტრის ათობით გამანადგურებელმა და ბომბდამშენმა, ქიმზე ანთებული წითელი და ყვითელი ნათურა — შუქნიშნებით გამალეებით გადმოლახა საზღვარი. მებრძოლები შეშფოთებით აღვიწყებდნენ თვალყურს ყოველივე ამას; იარაღისკენ მიუწვევდა გული, მაგრამ ცეცხლის გახსნა არ შეიძლებოდა. ჭრტ ერთი, არ იყო საამისო ბრძანება, მეორეც, და რაც მთავარია, თვითუღოს გულში იმედის ნაპერწკალი კვლიდა, ეს იქნებ ომი კი არა, პროვოკაციაა საზღვრის ამ უხანაშო. დილის ოთხ საათზე მოწინააღმდეგე მძიერი საარტილერიო ცეცხლი გახსნა. ათასობით ყუმბარა დაუშინეს ჩვენს სასაზღვრო სადარაჯოებს, აგრეთვე სასაზღვრო ხანგრძლივ საცეცხლე წერტებს და თავდაცვის იმ კვანძებს, რომელიც ქვეითი ჯარის ქვედანაყოფებს ეჭირა. გადაიფრინეს „ჰესერსშიტებს“ და, სანამ გაიქცეოდა უჩვეულო ბრძანება „პაერი“ — სოკალის, პოტუციას, ვულის, პოტორიცას, სკომოროხის შტაბებსა და კაზარმებს, ტარტაკოვში, პორიცკში, გოროხოვში განლაგებულ არმიის პოლკებს და სხვა ავდილებს ბომბები დააყარეს.

თითვე დასათვლელი ადამიანები ვადაურჩინენ საზღვარზე ომის პირველ დღეს, ისინი, ვინც მოწყვნი იყვნენ სოკალის რაიონში საზღვარზე ომის პირველი საათებისა, მაგრამ საბედნიეროდ, არიან ასეთებიც:

„არტსროლის დაწყებამდე მე შევედი ხანგრძლივ საცეცხლე წერტში, სადაც იყვნენ არტილერისტები ლეიტენანტ-კუზმენკოს ბატარეიდან — იგონებს 481-ე მსროლელი პოლკის ერთ-ერთი ასეული მეთაური ს. ლომაკო, „ასეთი რკინა-ბეტონის ხანგრძლივი დროის საცეცხლე წერტები განლაგებული იყვნენ ჩვენი ბატალიონის თავდაცვითი რაიონის ზოლში. ვერ მოვასწარით თითო პაპირისის მოწვევა, რომ ატყდა სროლა. ამბრაზურის ქუჭრუტანებიდან შეიძლება გვეთვალთვალა მდამოსათვის. დრო და დრო ყუმბარები წვეზოდნენ ხანგრძლივი საცეცხლე წერტის ახლოს. იმ წუთებში გარშემო ყველაფერმა შეიცვალა სახე, სხვა მნიშვნელობა შეიძინა, გახდა მკაცრი და შეშფოთებული — სოკალი, რომელიც უკვე ცეცხლში იყო ვახვეული, დასავლეთი ბუგიც, დენის ალში რომ ბოლავდა და ყველაგვით მოქარული ველიც, ახლა ომის ასპარეზი რომ ხდებოდა.

გაბოიცივალნენ ადამიანებიც, ხანგრძლივი საცეცხლე წერტში რომ იმყოფებოდნენ. მათი სახეები მკაცრი გახდა და ჩანდა, რომ თვითუღოს შეგნებულ ქჷონდა უცხად გაჩაღებული ომის, ამ მრისხანე მომენტის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა.

მე გიმნასტრის ჯიბიდან ამოვიღე სამობილი-

ზაციო პაკეტი და ვავსენი. სიმარტლე რომ ვთქვა, ველავდი, ბრძანება რამდენჯერმე ჩავეკითხე ჩუმად.

— რა არის ნათქვამი ბრძანებაში, ამხანავო ლეიტენანტო, თუ კი საიდუმლოება არ არის...

— მკითხა ერთმა წითელარმიელმა.

— პოლკის მეთაური, — ვთქვი მე, — ვიბრძანებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საზღვრის დამრღვევების წინააღმდეგ ვავსნათ ცეცხლს; თუ ქვეითი ჯარის ქვედანაყოფებს მათ მიერ დაკავებული თავდაცვის ადგილებიდან გამოდევნიან, ხანგრძლივი საცეცხლე წერტის გარნიზონები უნდა დარჩნენ ადგილებზე და ანადგურონ მტერი.

ხანგრძლივი საცეცხლე წერტის გარნიზონმა ბრძანება დიდი ყურადღებით მოისმინა, მცირე ხნის სინქრუმის შემდეგ უმცროსმა პოლტხელმძღვანელმა ალექსი კოსტაკოვმა მოამბარათა:

— ამხანავო ლეიტენანტო! შეგძლიათ დღარწმუნოთ პოლკის მეთაური, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ბრძანებას. შეიძლება დავიღუბოთ, მაგრამ ფაშისტურ ქვეწარმავალს მოვსპობთ...

მცირე ხანს დაფიქრდა, მერე მუშტი მალე ასწია და ხმადალა წამოიძახა: — სიკვდილი ფაშისტებს! გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს! — და „ინტერნაციონალი“ წამოიწყო. მას მხარი აუბა ყველამ, ვინც იქ იმყოფებოდა.

124-ე მსროლელი დივიზიის ვეტერანის ს. ლომაკოს ეს მოგონება ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ 1941 წლის 22 ივნისს გაღამწყვეტ ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ არა მხოლოდ ორი არმია, არამედ ორი სამყარო, ორი იდეოლოგია; ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ, რომ გამოიწვევდნენ პანიკას, აიძულებდნენ მესაზღვრეებს და საბჭოთა არმიის მებრძოლებს კამბიტულაციას; მაგრამ მტერმა არტილერიული მომზადების შემდეგ დაიწყო თუ არა მდინარეზე გადმოსვლა, ჩვენმა სასაზღვრო სადარაჯოებმა და არმიის ქვედანაყოფებმა დაუაბიჯებელ სტუმრებს ყველა სახის იარაღიდან დაუშინეს ცეცხლი.

ომის პირველივე საათიდან განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები გაიმართა დასავლეთ ბუგზე გადებული ხიდისათვის, რომელიც სოკალის ორივე ნაწილს აერთებდა.

ჰიტლერელებს დავეგმილი ჰქონდათ, ჩქარტემში გადაესროლათ ამ ხიდზე სატანკო ჭაფუფი, რომელშიც 600-მდე საბრძოლო მანქანა შედიოდა. მათ ევალებოდათ, ბრძოლაში ჩაუბმეულად გაჭრილიყვნენ საბჭოთა ჯარების ღრმა ზურგში, იქ გაბაგრებულიყვნენ და უზრუნველყოთ „სამხრეთის“ არმიის მთავარი ძალების წინსვლა. ჰიტლერელებს ეწადათ სოკალის

**ვლადიმერ სპოროვოვატოვი**  
მარად იცოცხლებს მათი სახელი



კლდის გამოყენება. ისინი ლუკის და როვნოს უმიზნებდნენ.

სოკალის ხიდის აღმოსავლეთ ნაწილს იცავდა მე-14 სასაზღვრო სადარაჯოს პირადი შემაღ-  
კენლობა, უფროსი ლეიტენანტის ა. ვ. საჩიკოვის  
მეთაურობით. მესაზღვრეები მამაცურად მოქ-  
მედებდნენ, ზედიზედ იგერიებდნენ მოწინააღმ-  
დეების შეტევებს, მაგრამ მტრის ტანკები დე-  
სანტიფორტ მანქანა შეიჭრა ქალაქის აღმოსავლეთ  
ნაწილში. სადარაჯოს გადარჩენილი მებრძოლები  
და მათ შორის მძიმედ დაჭრილი საჩიკოვი იძუ-  
ლებული გახდნენ დაეტოვებინათ დაკავებული  
პოზიციები.

ძალიან არასახარბიელოდ წარმოართებოდა სა-  
ქმე, ამ კრიტიკულ მომენტში რომ არ ჩაედინა  
გმირობა მე-4 სასაზღვრო კომენდატურის სამ-  
ხედრო ფერმალს, კომუნისტ ვლადიმერ კარ-  
პენჩუკს. იმ დროს, როცა ხიდზე გადმოდიოდა  
ათობით მტრის მანქანა, კარპენჩუკი ფარულად  
მიიპარა ხიდთან, ჯერ ამოირჩია მიზანი, შემ-  
დეგ ფაშისტური ტანკის ქვეშ შეაგდო ზენზინით  
დასველებული და ანთებული თავისი სანიღბო  
მოსასხამი, შემდეგ თვითონაც შეუვარდა ტანკს  
მუხლებიანი ქვეშ.

წამი და, ირგვლივ ყველაფერი შეარყია მძლავ-  
რი აფეთქების ხმამ. ტანკების კოლონასთან  
ერთად წყალში ჩავარდა ხიდის საყრდენები. ეს  
შოხდა დაახლოებით 9 საათზე. სოკალის გადა-  
სასვლელი განადგურებულ იქნა, ახლა მტერს  
დასპირდებოდა ახალი გადასასვლელის გაყეთ-  
ება. ეს დიდ დროს მოითხოვდა. დრო კი ესო-  
დნენ ძვირფასი იყო სწრაფი შეტევისათვის.

ძალიან რთულ ვითარებაში მოუხდა მოქმე-  
დება მტრის ტანკებს და ქვეითებს, რომლებიც  
სოკალის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრნენ. აქ  
ისინი ალყაში მოემწყვდნენ, ვინაიდან ქალაქი-  
დან ყველა გასასვლელი ბლოკირებული იყო  
მესაზღვრეების პოლკის სკოლის კურსანტების  
პირი.

ყველა ქვედანაყოფს მეთაურობდა ივანე  
ბარლომეს ძე ბერშაძე. დახეულ გიმნასტურ-  
ში ჩაცმული, გასისხლიანებული, ბოლისაგან გა-  
შვებული და დაძაბული უშიშარი კაპიტანი  
ყოველთვის იქ განიდებოდა, სადაც ყველაზე  
უფრო პირად, სადაც წყდებოდა ბრძოლის ბე-  
ლი. ის პირველი მიდიოდა შეტევაზე, ხანაც ხე-  
ლჩართულ ბრძოლაში ებმებოდა. განთიადზე,  
აქ, სოკალში, არტილერიული სროლის შედე-  
გად დაიღუპა მისი ოჯახი...

სოკალიდან ტარტაკოვის მიმართულებით  
თავდაცვაზე იდგნენ კურსანტების ქვედანაყო-  
ფები. ფაშისტებმა რამდენჯერმე მოიტანეს მათ-  
ზე იერიში, მაგრამ კურსანტებმა ყოველთვის  
კუდილთ ქვა ასროლდნენ: ჩვენი მებრძოლები  
სალ კლდისავეით იდგნენ. ზოგი მათგანი ყველაზე  
სამასუხისმგებლო წამს გრანატის კონთ ხელ-  
ში უფარებოდა ტანკს და აფეთქებდა მას. იღ-  
უბეობდნენ მამაცი ბიჭები, მაგრამ ცოცხლად

დაარჩენილები უკან ერთი ნაბიჯითაც არ ეხიზნე-  
ნენ და განაგრძობდნენ უთანასწორო ბრძოლას  
იმ კვირას, ნაშუადღევსათვის. ბოლით შენი-  
ღულ ბრძოლის ველზე დამსხვრეული ეკვლი 9  
ტანკი, მტერმა ასამდე ჯარისკაცი და ოციდერი  
დაკარგა, მაგრამ კურსანტთა ჯებირის გარღვევა  
და ტარტაკოვისკენ გაქრა მანქანა ვერ მოახერხა.

რამდენიმე კურსანტი მაშინ გრანატებით ხელ-  
ში შეუვარდა მტრის ტანკების მუხლებებს, მა-  
გრამ სამწუხაროდ, მხოლოდ სამის გვაიბა ცნი-  
ბილი იმათგან. ერთი ვასილი ენაიციეია —  
პოლკის უმცროს მეთაურთა სკოლის ალკის პა-  
სუხისმგებელი მდივანი. ჯარში ვაწვევამდე, მა-  
მამისივით, ისიც ღონბასის შახტებში მუშაობდა.  
მეორე, ვინც ასე შესწირა თავი საქულველ  
მტერს, გახლდათ კურსანტი გიორგი ზამბახიძე.  
ზამბახიძე კახთიდან იყო, ჯარში ვაწვევამდე  
დაათავსა ათწლელი, ამხანაგებს იგი უყვარდათ  
მამაციობისათვის, მხიარული ხასიათის გამო,  
მშვენიერი ქართული ხალხური სიმღერების გა-  
მო, რომელთაც ის მღეროდა, მესამე — სერჯან-  
ტი სმირონევი იყო, მას პატივისცემით მწერალს  
ეძახებდნენ. ნაიბთ, განათლებულ ბიჭს უყვარდა  
ლიტერატურა და ხელოვნება, მებრძოლები კი-  
თხულობდნენ მის მოთხრობებს დივიზიის გა-  
ზეთში „წინ სამშობლოსათვის“ რომ იბეჭდე-  
ბოდა.

აი ყველაფერი ის, რაც ცნობილია 1941 წელს  
22 ივნისს სოკალთან ფაშისტების წინააღმდეგ  
პირველი ბრძოლის ვეზირებზე.

ცოცხა სხვანაირი ვითარება შეიქმნა მეზობელ  
მე-12 სასაზღვრო-სადარაჯოზე. ჯერ კიდევ დი-  
ლით წითელარმიელთა ფორმაში გამოწყობილმა  
ფაშისტებმა ისარგებლეს ჩვენების დაბნეულო-  
ბით და სწრაფი ნახტომით ხელთ იგდეს სარკი-  
ნიჭო ხიდი მე. დასავლეთის ბუეზე რომო-  
შის მახლობლად, მაგრამ აქაც ისინი ჩვენების  
მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მესაზღვ-  
რე-მებრძოლებმა ბოლომდე მოიხადეს თავი-  
ანთი ვალი. ყველანი დაიღუპნენ ბრძოლაში,  
მაგრამ ერთხანს მაინც შესძლეს მტრის შეჩე-  
რება.

შეჩერებულ იქნა მტრის ტანკები და ქვეითე-  
ბი პორიციკის მისაღვრებთანაც. როგორც კო-  
მუნისტ ვლადიმერ კარპენჩუკი, ისე კურსან-  
ტი კომკავშირლები ვასილი ენაიციეია, გიორგი  
ზამბახიძე, სმირონევი და სხვები, ემორჩილნენ სწა-  
ლიოდნენ არა დიდებისა და ანგარებისათვის, გა-  
მარჯვების რწმენა — აი ეს იყო მთავარი მათ-  
თვის. ეს სწამდათ, სჯეროდათ.

პიტლერელებმა მხოლოდ 12 საათისათვის შე-  
სძლეს სოკალის სამხრეთით ახალი ხიდის გადუ-  
ბა, დაიწყეს ტანკების გადაყვანა, რომლებიც  
ახლა უკვე სოკალის შემოკლით მიდიოდნენ არა  
ისეთი რიხით, როგორცაც ადრე მათი პარტ-  
ნიორები. იძულებითი პაუზა, პიტლერელებმა  
რომ მოაწყეს, მომგებიანი იყო ჩვენებისათვის.

ბავიდან ბავეს გადაეცემოდა გმირობის ამ-

ბავი ჩვენი მებრძოლებსა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ისეთი წყნარი, თავმდაბალი, შეუმჩინეველი ჩანდნენ. ახლა ძნელია იმის დადგენა, ვინ იყო ავტორი იმ ხელნაწერი ფურცლებისა, ბრძოლის დროს ხელიდან ხელში რომ გადადიოდა; თვითმულ ამ ფურცელზე ზევით, ფანქრით ეწერა: „ფაშისტებს — ქარციხას პოლიციაგან.“ ხოლო უფრო ქვეითი გამოყენილი იყო: „ჩვენ გვეზიზღებიან ფაშისტები“.

სასკოლო რეჟულიდან ამოხვეული ეს ფურცლები გულგრილად არავის სტოვებდა.

პორიციის დამცველების ძალთა პარალიზება რომ მოეხდინა, პიტლერელთა სარდლობამ მაიორ შ. ქარციხას პოლიცია ზურგში გადმოსხა საპაერო დესანტი. საბჭოთა მებრძოლები ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ. ათობით ტანკი უტევედა მათ პოზიციებს, ავიაცია ბარბაროსულად ბომბავდა პატარა ქალაქს. ყველაფერი იწვოდა, კვამლი ფარავდა შუხს, მაგრამ ჩვევები მედგარად და მტკიცედ იბრძოდნენ. ბევრისთვის მავალითი იყო პოლიცის მეთაური, კომუნისტი შალვა დიმიტრის ძე ქარციხა. მაიორს კვლავ და კვლავ მიჰყავდა თავის მებრძოლები შეტევაზე. ასეთი ნახეს იგი მებრძოლებმა უკანასკნელად: მარჯვენა ხელი შეხვეული ჰქონდა, ბინტიდან სისხლი მოყვანავდა, მარცხენაით კი ტანკსაწინააღმდეგო ვრანაბა ეჭირა, მაგრამ წინაგაჭრილი მაიორი ყოველმხრიდან ალყაშემორტყმული აღმოჩნდა პიტლერელების მიერ. როცა მტერმა მიიწილა მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება, მან გრანატით აიფეთქა თავი და გარს შემოხვეული ფაშისტები გაქვლიტა.

22 ივნისს, საღამოსათვის პოლკმა გაანადგურა მოწინააღმდეგე და ალყას თავი დაადგინა. მაგრამ სამწუხაროდ, ცოცხლადარჩენილებმა არ იცოდნენ, რომ მათი მეთაური არ დაღუპულა მაშინ. მძიმედ დაჭრილი ქარციხა მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა გონს და იგი ფაშისტებმა შეიპყრეს. როგორ არ აწამა იგი მტერმა, მაგრამ მაინც არ უღალატა თავის პარტიას, თავის ხალხს. იგი ტყვეობაში იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. 1948 წ. თბილისში გამოვიდა მ. ქოჩიაშვილის წიგნი — „ქართველი პარ-

ტიზანები პოლანდიაში“ (აქანყება კონსულატის ქსელზე). წიგნში დაწვრილებით არის მოხსენიებული იმაზე, რომ შ. ქარციხა ტყვეობაში იმდროინდელი პატრიოტი იყო.

22 ივნისის ნაშუადღევსათვის პიტლერელთა სარდლობამ მე-5 და მე-6 არმიის წინააღმდეგ მარტო 200-მდე ტანკი გამოიყვანა. მძიმე ვითარება შეიქმნა. ჩვენები იძულებული ვახდენდნენ ბრძოლებით დაეხიათ უკან.

მწარე და მტკივნეული იყო ცეცხლში ვახვეული სოკალისა და ტარტაოვის დატოვება, იმის ყურება, თუ როგორ ნადგურდებოდა სახალხო დოვლათი. პოლკთან ერთად, რომელშიც ახლა კაპიტან ბერშადსკის მესაზღვრეები და სოკალის სახალხო რაზმელებიც იყვნენ, უკან იხევდნენ ყველანი, ვისაც არ სურდა ფაშისტთა უღელქვეშ ყოფნა. უკანდახეულნი სოფელ პერესპაა მახლობლად, ტყეში, მოულოდნელ და საზარელ სურათს წააწყდნენ: ხეებზე რამდენიმე ათეული ქალი და ბავშვი ეკიდა... ესენი 481-ე მსროლელი პოლიცის მეთაურთა ცოლშვილი იყვნენ; ისინი დილაუთენია ფეხით გაუდგნენ გზას აღმოსავლეთისაკენ და აქ უპრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების ზაფანგში მოექცნენ. საბჭოთა წესწყობილების სიძულვილით გატოვებულმა ნაძირალებმა ჩაიდინეს ეს არახული ბოროტება.

სამინელი შესახებდავნი იყვენ ის მეთაურები, რომელთა ცოლშვილს ასე უმოწყალოდ გაუსწორდნენ. სამომ საფლავთან, სადაც დამარხეს თავიანთი ახლობლები, ისინი იჩიებდნენ, ჰკოწინდნენ მიწას. შემდეგ სწრაფად დგებოდნენ და მიდიოდნენ, თან ვიღაცას მუშტით ემუქრებოდნენ. და საერთოდ იყო ისე, როგორც პოეტმა თქვა: „ეს მწუხარება კიდევ უფრო გაგვამბოროტებს“.

სასაზღვრო მიწაზე გვირულად იბრძოდნენ მე-5 არმიის სხვა შენაერთებიც. 87-ე მსროლელი დივიზია მტკიცედ ინარჩუნებდა სასაზღვრო ქალაქ უსტილუვს, აგრეთვე კონტრდარტყმას აყენებდა წინ გაჭრილ მტრის ჯარს.

ასეთი იყო პირველი დღე საბჭოთა მიწის საზღვარზე კრიტინოპოლიდან უსტილუვამდე.

## საბჭოთა მიწა-წყლის დამცველნი

ომის იმ პირველ დამეს გენერალ სუშჩის დივიზიის პოლკებს ეჭირათ თავდაცვის ხაზი ბარანი პერეტოვის, ბობოატიანის, სტოიანოვის ფრონტზე. პირველი ორი დასახლებული პუნქტი — სოკალის რაიონში იყო და მეთაურები რუყეებზე რომ აზუსტებდნენ ადგილ-მდებარეო-

ბას, ეუბნებოდნენ წითელარმიელებს: „არა უშავს, ჩვენ ჯერ კიდევ სახლში ვართ, თუმცა ცოტა კი შეგვევიწროვეს“. სტოიანოვი მეზობელ რადეხოვსკის რაიონში მდებარეობს. მის საოცარ ბედზე იმ დამეს უკვე იცოდა და შეშფოთებული იყო მთელი ქვეყანა.

პირველ ცნობაში, რომელიც მოსკოვის რადიომ ვადმოსცა, ნათქვამი იყო, რომ ჩვენებმა

### ვლადიმერ სპროზოგაბოვი

მარად იცოცხლებს მათი სანალი

1 მაიორი შ. ქარციხა დაიბადა ქუთაისში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე იღებდა მონაწილეობას გაფიცებებში. რევოლუციის შემდეგ მრავალი წელი მსახურობდა წითელ არმიას. ამჟამად ქარციხას ოჯახი ცხოვრობს თბილისში.

მძიმე, სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად უკუაგდეს მტერი.

მოკლე ზაფხულის დამე, მაგრამ უფრო მოკლე ჩანს იგი საომარ ვითარებაში.

დაძაბული ფრონტული ღდის შემდეგ მებრძოლები ფეხზე ველარ დგებოდნენ დალილობისაგან, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ემზადებოდნენ მომავალი ბრძოლისათვის, ემზადებოდნენ, შური ეძიათ ფაშისტებზე. მრავალი კიბეზა, მოსაზრება აფორიაქებდათ მაშინ ჩვენებს. დაიხ, ომი დიწყო. ეს ცხადი იყო, მაგრამ როგორი იქნება მისი მასშტაბი, რა ძირითადი მიმართულებით წარმართავს მტერი თავის ძალებს, გაოცხადებულა თუ არა ქვეყანაში მობილზაცია?

საბჭოთა მეომრებისათვის მძიმე ასატანი იყო, რომ ფაშისტებმა რამდენადმე შეეფიროვეს ჩემი დივიზიის ნაწილები, რომ ბრძოლაში მრავალი კარგი ამხანაგი დაიღუპა.

ყველა ამ კითხვას პასუხობდნენ პოლიტმუშაკები, ყველა კომუნისტი, თანამდებობის მიუხედავად; ვინც ომში ყოფილა, იცის, თუ რა მნიშვნელოვანია პარტიის წარმომადგენლის გამანხვევებელი სიტყვა, კომუნისტის სიტყვა იმ მომენტში, როცა ნაწილი რთულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მართალი, პარტიული სიტყვა და პირადი მაგალითი იმისა, ვინც პარტიის სახელით ლაპარაკობდა, ამხნვევდა ჯარისკაცებს, რაზმავდა მათ, აძლიერებდა მათ საბრძოლო აქტივობას და წინსვლის სწრაფვას.

როცა გენერალ სუშინის დივიზიის პოლკები საარტილერიო მომზადების შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდნენ, მტერი ჭიუტ წინაღმდეგობას უწყევდა მათ, მაგრამ ჩვენი ქვეითები სისხლით რწყებდნენ მიწის თვითეულ გოჯს და წინ მიიწევდნენ. ფაშისტებმა უკან დაიხიეს. ჩვენებმა გაანთავისუფლეს სტოიანოვი, სოფელი სკიოვი და პერსლა.

როცა 124-ე მსროელი დივიზიის ვეტერანები იგონებენ ამ თუმცა პატარა, მაგრამ მაინც გამარჯვებას, ისინი ყოველთვის გაიხსენებენ ხოლმე სტალინგრადს. მოხდა ისე, რომ დასავლეთ უკრაინის პატარა ქალაქ სტოიანოვი დაუნათესავდა ვოლგის ლეგენდარულ ქალაქს. სტოიანოვანი 1941 წლის 23 ივნისს გერმანელთა მეექვსე საველე არმიის ნაწილები პირველად გახდნენ იძულებული უკან დაეხიათ. იგივე მეექვსე საველე არმია, რომელიც 1943 წელს ალყაშემორტყმული აღმოჩნდა სტალინგრადთან, იძულებული გახდა დანებებოდა ჩვენებს. განა სიმბოლური არ არის ის ამბავიც, რომ 1942 წლის 19 ნოემბერს, სტალინგრადთან ჩვენების შეტევის პირველ დღეს, მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ სსრკ თავდაცვის სახკომის ი. ბ. სტალინის ბრძანებით 124-ე მსროელი დივიზია გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის, მისი პირადი შე-

მადგენლობის გმირობისათვის, 50-ე გვარდიულ მსროელ დივიზიად გადაკეთდა!

24 ივნისს დიდი ბრძოლები გაიმართა გომბორგის ხოვისთვის: პიტლერელები რამდენიმეჯერ გადავიდნენ შეტევაზე, რათა შტურმით აეღოთ ქალაქი. ყოველი შეტევის წინ ისინი ქალაქს ბარბაროსულად ბომბავდნენ, არტილერიის ცეცხლს უშენდნენ, მაგრამ ჩვენი მებრძოლები მტკიცედ იდგნენ და უკუაგდებდნენ მტრის შეშეტევას. ქალაქის თავდაცვაში აქტიურად მონაწილეობდა მოსახლეობა.

საღამოს, მასველი ძალების დახმარებით, პიტლერელებმა შეძლეს ქალაქისათვის ალყის შემორტყმა. ჩვენებმა გარღვევეს რკალი და შეუერთდნენ თავის ნაწილს. ამ ბრძოლაში საბრძოლვისი უკვდავო თავის სახელი ქართველმა მებრძოლმა, თბილისელმა ბეჟან ბესიაშვილმა.

როცა ქვედანაყოფი ალყის რკალს არღვევდა, მას მოულოდნელად გზა გადაუტარა მტრის საცეცხლე წერტმა. ქვედანაყოფის მეთაურმა ბესიაშვილმა გადაწყვიტა მისი უვნებელიყოფა. მან უბრძანა ჯარისკაცებს ჩასანგრებულ იყვენენ, თვითონ კი ნელ-ნელა გაცოცდა წინ. როგორ არ ცდილობდა მტრის შეტევიამ ფრკვევი მხიციელო იგი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. საცეცხლე წერტს რომ მიიღწია, ბესიაშვილი ცდილობდა ჯერ გრანატებით ჩაეხშო, მაგრამ რაკი ეს ვერ შეძლო, უცებ მთელი ტანით გადაეფარა მას. ამასობაში ჩვენი ქვედანაყოფი წინ გაიქრა და გაანადგურა მტერი.

ამრიგად, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ქართველმა მებრძოლმა ბესიაშვილმა გზა გაუხანა ჩვენებს. ეს გმირობა მან ჩაიღინა ყველას თვალწინ. ბესიაშვილის ვაჟაკობამ ჩვენი მებრძოლები ააღელვა და გააოგნა. იმ წუთს მან შეძლო გმირობის ისეთ სიმადლებე ასვლა, სადაც უკვდავად არსებობს სიცოცხლის სასლვარი — იყვედა მარადისობა და უკვდავება. არ გადაევა ქარბებთ, თუ ვიტყვი, რომ ბეჟან ბესიაშვილი იყო სამამულელომის პირველი მატროსოველითაგანი.

ღამის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოჩენილია ლეიტენანტ დავით სტეპანაშვილის ასეულები. ამ ბრძოლაში ასეულის მეთაური ორჯერ დაიჭრა, მაგრამ მაინც რჩებოდა ბრძოლის ველზე.

არის სოკალის რაიონში სოფელი ლუჩიცა. ცოტა ვინმე თუ იცის, რომ ამ სოფელთან არის დაჯავშირებული პირველი ჩვენი გამარჯვება. ჩვენებმა მოულოდნელი თავდასხმით ფლანგებზე გარღვევეს მტრის თავდაცვა, ფაშისტებმა უწყსრიგოდ იწყეს უკან დახევა, ნაწილი კი ტყვედ ჩავარდა.

და აი, დილთ სოფელ ლუჩიცას ქუჩებში ჩვენს მეზადრავებს მიჰყავდათ გერმანელ ტყვეთა კოლონები. მათ საყურებლად გამოვიდა დიდი და პატარა. პირველ რიგში თავჩაქინდრული ოფიცრები მოაბიჯებდნენ, მათ საბრძოლო



რიხი დაკარგავდათ. უკან მოლასლანებდნენ ჯარისკაცები. რამდენიმე პიტლერელი დამტერული რუსული ენით იძახოდა: „ომი საჭირო არ არის, სახლში გვინდა“. ჩვენი მებადრაგებები ადგილობრივ მცხოვრებთ ეუბნებოდნენ: „მოხედეთ არხზე მავრად. ჰოდა, ახლა გააკვირიან „ომი არ არის საჭიროა“. გუშინ კი გვესროდნენ და მერე როგორ! თქვენს სახლებსაც ცეცხლს უკიდებდნენ.“

დღეს დღე სცვლიდა, პიტლერელთა ურდო უკვე როვენი ოლქის ტერიტორიაზე მოიწვედა. გებელსი ომის მალე დათმავრებაზე გააკვიროდა, ვოლინის ოლქის რაიონებში კი ჯერ ისევ მიმდინარეობდა ბრძოლა... შემავფოთებული ცნობები მიდიოდა მესამე რეიხის დედაქალაქში.

ჯერ კიდევ 26 ივნისს, ქვეითი ჯარების გენერალური შტაბის მეთაურმა თავის დღიურში: „სამხრეთის“ არმიის ჯგუფები ნელა მიიწვევენ წინ. სამწუხაროდ, ბევრია დანაკარგი. მტერი, რომელიც იბრძვის „სამხრეთის“ არმიის ჯგუფების წინააღმდეგ, მტაცედ, ენერგიულად მოქმედებს.“

უწდოდა თუ არა, გერმანულმა გენერალმა თაკვის ჩანაწერებში მაღალი შეფასება მისცა მე-5 საბჭოთა არმიის მოქმედებას, მათ შორის გენერალ სუშჩის დივიზიას, რომელმაც თავის უმაღალით მამაკობითა და სიმტკიცით შესამჩნევად შეაფერხა მტრის წინსვლა.

ბერლინში ვერ გაეგათ, რა ხდებოდა ვლადიმირ-ვოლინსკში, რატომ ფერხდებოდა გერმანელთა წინსვლა, და სასტაცად წყრებოდნენ.

გაიკა ბრძანება, რადაც არ უნდა დასჯდომოდით, გაეტეხათ საბჭოთა არმიის წინააღმდეგობა.

27 ივნისს პიტლერელთა სარდლობამ თავი მოუყარა ქვეითი ჯარის, ტანკებისა და არტილერიის მნიშვნელოვან ძალებს. მტერმა შეძლო ფლანგებიდან მოეველო გენერალ სუშჩის დივიზიისათვის და ხელი შეეშალა მისთვის ზურგიდან სურსათ-სანოვაგით მომარაგებაში.

ალყაში მოქცეული გენერალ სუშჩის დივიზიის პოლკები თავგანწირვით იბრძოდნენ...

ვასილევის ქვედანაყოფს დღეში რამდენიმე შემოტევის მოგერიება უწევდა. ერთ-ერთი შეტევის დროს მტრის ტანკები შეეცადნენ გაერღვიათ ბატალიონის მარჯვენა ფლანგების თავდაცვა. ორი ტანკი მაშინვე ააფეთქეს. ორმა შესძლო სანგრისკენ გაქრა. მაშინ მათ შესახვედრად გრანატებით ხელში აღიმართნენ მეგობრული ინაური და კვირიკაშვილი. ისინი მეგობრები იყვნენ და ომშიც ერთად იბრძოდნენ. ქართველმა მეგობრულმა ააფეთქეს მესამე ტანკი. მაგრამ მტრის ტყვიამფრქვევმა მოცელა ისინი. მეოთხე ტანკი განაგრძობდა წინსვლას, კიდევ წამი და იგი დაიწყებდა ჩვენი სანგრების „დაუთოებას“. პოლკოვნიკმა საველიანგმა, რომლის თვალწინ მიმდინარეობდა ეს ბრძოლა, გადაწყვიტა თვითონ მოესპო ეს შეჯავშნული ურჩხული. მან ხელი დასტაცა გრანატას, მოიქნია

და ტანკის ქვეშ ისროლა იგი. ჰაერი შეარყია აფეთქების ხმამ. ტანკი ადგილზე დატრიალდა და მერე გაქცადა. მაგრამ პოლკოვნიკმა ვერ მოასწრო თავი საფარში შეეფარებინა. იგი მიმედ დაიჭრა, აწველად მოსული ჯარისკაცებისთვის მოასწრო ეთქვა: — ბარტილელი ვსილივეს გადაეცით. მოსპეთ ფანსტელები!..

სოკალის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგეს თითქმის სამ კვირას უმკლავდებოდა გარნიზონი, რომელსაც შემდეგი კონსტანტინე სატურაძე მეთაურობდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ჰყვებიან, რომ ფანსტეების მიერ ყოველი მხრივ ბლოკირებული საბჭოთა გარნიზონი იბრძოდა უკანასკნელ ყუმბარამდე, ხოლო შემდეგ, რაკი არ მოისურვა დანებებოდა მტერს, ააფეთქა დოტი. ყველანი დაიღუპნენ, მაგრამ სიკვდილის წინ მეგობრულმა ამბრაშურიდან გამოფინეს წითელი დროშა, რომელიც რამდენიმე ხანს ფრიალებდა ველზე, მერე მტრის ტყვიებმა დაფლითა იგი.

...იწურებოდა ომის მერვე დღე, ხოლო 124-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები, საბრძოლო ბრძანების ერთგულნი, განაგრძობდნენ გმირულ ბრძოლებს მტრის ზურგში. მაგრამ ამასთან სულ უფრო და უფრო რთული ვითარება იქმნებოდა ჩვენი დივიზიისათვისაც. არ ჰქონდათ კავშირი კორპუსისა და არმიის შტაბებთან, ბრძოლებში იღვოდა ანეულებისა და ბატალიონების რიცხვი. ბევრი იყო დაჭრილი, იგრძნობოდა საბრძოლო საკუთრებისა და სურსათის ნაკლებობა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო გადაწყვეტი ზომების მიღება.

და აი, 29 ივნისს გენერალ-მაიორმა სუშჩიმ მოიწვია ნაწილების მეთაურთა თათბირი. ამ თათბირზე გადაწყდა, როგორმე გაერღვიათ მტრის ალყა და შეერთებოდნენ დანარჩენ ჩვენს ნაწილებს.

გენერალმა სუშჩიმ ამაღლევებელი სიტყვით მიმართა მეთაურებს და მოუწოდა მათ, მოეკრიბათ მთელი თავიანთი ძალ-ღონე ალყის გასარღვევად.

30 ივნისს, ღამით, პოლკოვნიკ ნოვიკოვის მეგობრები თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს, ღამემ მეგობრული სამსახური გაუწვია მათ. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედნენ წინ ჩვენი მეგობრები და მალე დივიზიის მეთაურს, გენერალ მაიორს სუშჩის პოლკოვნიკმა ლაიკუნურად ამცნო: „ალყის რკალი გარღვეულია, დივიზიის ნაწილებს ვხე ხსნილი აქვთ.“

...30 ივნისის დილით დივიზიის ნაწილები გამოვიდნენ ალყიდან. ისინი გულისტკივლით ემშვიდობებოდნენ ყუმბარებითა და ბომბებით გადახრილ მეგობრობ აზნაანებებს საფლავებს.

ამ მიწაზე გუშაგებივით იღვანენ დანახშირებულ, შებოლილი ხეები და თითქოს ჩურჩულდებდნენ: „გაუქმებთ, გაუქმებთ, გაუქმებთ!“

# ენობა

## ნაგზარ ნაკეთალი

### მეგობრობა გზად და სილად

(ინტერნაციონალიზმის მოძიებები სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში)

სიმონ ჩიქოვანის სამწერლო ასპარეზზე ვა-  
მოსვლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის დამყარების პირველ წლებს განეკუთვნება.  
მშობლიურ საქართველოში ახალი ცხოვრების  
დაწყებას მომავალი დიდი პოეტის სულ ახალ-  
გაზრდა შეეგება. 1921 წლის თებერვალში იგი  
მხოლოდ 18 წლისა იყო.

1923-1924 წლებიდან მოყოლებული სიმონ  
ჩიქოვანის ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭ-  
დება ქართულ პერიოდულ პრესაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-  
ციის გამარჯვების პირველ წლებს ხასიათდებო-  
და სირთულითა და წინააღმდეგობებით. ძველ  
სამყაროს საუკუნოებრივი გადმონაშთები ად-  
მოფხვრა გარკვეულ დროსა და ენერჯიას მი-  
ითხოვდა. არც ქართული მწერლობა იყო ბედ-  
ნიერი გამონაკლისი. ქართული საბჭოთა ლიტე-  
რატურის საფუძვლისამყარებლები ძველის  
რღვევისა და ახლის შენების მიჯნაზე იდგნენ,  
ახალი ცხოვრების მრავალმხრივ პროცესებს  
ყველა მათგანი ვერ აღიქვამდა სათანადოდ და  
უმტყენეულოდ.

ეს იყო პერიოდი, როცა ქართულ საზოგადო-  
ებრივ სინამდვილეში მკვიდრდებოდა პროლე-  
ტარული მწერლობა, როცა წინა პლანზე დგე-  
ბოდა აღმავალი დღეების რეალისტურად ანახ-  
ვის ტენდენცია. მაგრამ ამ პერიოდში ჯერ კე-  
დევ თვალნათლივ შეიმჩნეოდა სიმბოლიზმის,  
ესტეტიზმის, დეკადენტობის თუ სხვა შედა-  
რებით ძლიერი ან უსუსური ლიტერატურული  
მემართლების არაჯანსაღი, არასასურველი,  
მიუღებელი გავლენა.

სიმონ ჩიქოვანმა, სამეგრელოს ლაშაში ბუნე-  
ბისა და კეთილი ადამიანების წარმსლელი ზე-  
გავლენით აღზრდილმა, წრფელი ზრახვებითა

და ოცნებებით შემოაბიჯა ქართულ პოეზიაში.  
მაგრამ დიდი შემოქმედებითი ვიზი დასაწყისში  
მან მკვეთრად განიცადა ფუტურისმის დაგვი-  
ნებული გავლენა. ახალგაზრდა პოეტმა ბუნდო-  
ვნებითა და სიტყვების ეონგლიორობით შექმ-  
ნილი ლექსებით „სილუ“, „ცირა“ თუ „სანაპი-  
რო სიმღერა-„ხაბო“ ხარკი გადაუხადა მას-  
ვით დაბნეულ ფუტურისტ თანამოკალმეებს,  
პოეტური ნაწარმოებები შექმნა თითქოსდა  
ერთგვარი ძალდატანებით. ეს არც იყო გასაკე-  
რი ან გასაკიცხი. მაშინ, 1924-1925 წლებში, ს.  
ჩიქოვანზე რვა-ათი წლით უფროსი, უკვე სა-  
ხელმძღვანელო და მისთვის მისაბაძად ქცეული  
პოეტებიც: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი,  
ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლუ ნადირაძე,  
შალვა აფხაძე და სხვები მთლიანად არ იყე-  
ნენ განთავისუფლებულნი სიმბოლიზმის მავნე  
გავლენისაგან. ეს იყო გადმონაშთების უკუგდე-  
ბისა და პოეტური დაღვინების რთული პრო-  
ცესი.

მაგრამ ჯერ კიდევ 1924 წელს, როცა ახალ-  
გაზრდა შემოქმედი არ გაუბოდა სიტყვისა და  
აზრის ბუნდოვანებას, მას შეეძლო დაენახა დი-  
დი ქალაქის თანამედროვე სურათები და ახლე-  
ბური თვალთაყვერით აღექვა:

ქუჩამ დაგხვრა ეხერების კრელ რეკლამებით  
არის ძახლი მოედნებზე — ძირს რომიანკო  
და შემოიტანს ფარაჯებში ვმირი რეკლამენტს..  
პროლეტარებში ლენინივით დგება ტრიბუნი!

(„მოსკოვი ოქტომბერში“, 1924 წ.).

1 სიმონ ჩიქოვანი — „ლექსები. პოემა“,  
წიგნი პირველი, გვ. 62-63, თბილისი, 1933 წ.

სიმონ ჩიქოვანის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ სწრაფად განთავისუფლდა ფუტურისმის ტყვეობისაგან. ეს იყო სრულიად ბუნებრივი და რეალური მოვლენა, რადგან ქართული პოეზია, ქართველი კაცის ბუნება ძნელად ეგუებოდა ამა თუ იმ არაჯანსაღ მიმდინარეობას. ლექსის რიტმისა და ფორმის თანადროული პროგრესისაკენ მტკიცედ მიმავალ ქართულ მწერლობას შესწევდა უნარი სიმბოლიზმისა თუ ფუტურისმისაგან აეღო ის რაციონალური საწყისი, რაც მომავალ წინსვლას მოზმარდებოდა, მაგრამ ამავე დროს დარჩენილიყო ცხოვრებისა და ეპოქალური მოვლენების რეალისტური ასახვის საფუძველზე.

სიმონ ჩიქოვანამაც დროულად გაართვა თავი მომავალ რღვევს კრახს. ეს იყო სოციალისტური ცხოვრების ატმოსფერული ზეგავლენით გადადგმული სწორი ნაბიჯი, აღმავალი ცხოვრებისათვის მხარის გასწორებისაკენ ლტოლვა და უტყუარი სურვილი.

მართალია, ახალგაზრდა პოეტის ადრეული ლექსები „არარეალისტური მიმდინარეობის გავლენით იწერებოდა. მაგრამ სულ მალე იგი განთავისუფლდა ფუტურისმის ტყვეობისაგან და ახალი პოეტური სტილის ძიებაში თანდათან ამადლდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გაგებაში<sup>1</sup>.

სიმონ ჩიქოვანმა ცხლად შეივარძლა ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხის დიდი მნიშვნელობა. დრომ თაეისი გაიტანა. პოეტის თვალთა წინ მძლავრად შლიდა ფრთებს სოციალისტური მშენებლობა. ფაბრიკებით, ქარხნებით, გზებით, არხებით, ელექტროსადგურებით იფარებოდა წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა. სოციალიზმის ურყევი საფუძველს ჩაყრასთან ერთად იგრძნობოდა მწერლობის უჩვეულო აღორძინებაც. პოეზიას ახალი, საპატიო და სპასუხისმგებლო მიზნები დაესახა, რაც მშრომელი ხალხისა და სოციალისტური კულტურის სამსახურად გაცხიხატა. სიმონ ჩიქოვანი მთლიანად და საბოლოოდ აღმოჩნდა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელი ხალხის მხარეზე: ამ აზრის კეშმარტ დამადასტურებლად შეიძლება მოვიტანოთ ციტატები, ან უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, გულწრფელი სტრიქონები მისი სხვადასხვა ლექსებიდან, რომელთაც ერთი საერთო დრო და თარიღი აერთიანებთ: „ტფილისი; 1927 წელი“:

1) მე გავიარე გზები, რომელიც ქონდა კომუნიზმს ჩემთვის შემქმნილი... მე ფუტურისმი, ბრძოლა, კვილი რევოლუციის ძარღვების ნაშთი; ძირს ჩამოსული მგოსნის კიბიდან შემქმნელ მუშების სიღრმეში გავჩნდი.<sup>2</sup>

(„გაბაასება ახალ მკითხველთან“).

2) დედავ. მერწუნე, სამშობლოში მე ვარ მართალი, მაგრამ ჩემს სიტყვას, ჯერ სახალხოდ არ იჭერებენ.<sup>3</sup>

(„სოფელი მაგონდება ქალქში“).

3) მიეციო თქვენ თავს, თქვენ ანგარიში როგორ გოშველათ საბჭოთა ხანამ; გვაჩვენეთ პურიც, ცხოველის ჭიში და დაეხმარეთ ახალ ქვეყანას.<sup>4</sup>

(„მოსავლეს დღესასწაული“).

4) ძველი გრძნობების დავაძროთ ფესვი და გადავფეროთ ცხოვრების ლექსი. მოკალაქენო, ქუჩები შეექმნათ, ახალი გეგმა ავწონოთ მიხსლით. დავარტუთ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი ხისხლი.<sup>5</sup>

(„მოწოდება“).

5) ეხლა დავდექი მწერლის სახელით და ვადგენ აზრებს ბრძოლით დარღვეულს. მე თვითონ მესმის ჩემი ძახილი და ჩუმი ფთქვაც ჩემი ძარღვების. განვილო ქვარტლისგან აზრი დაღლილი დაითვლის ამ წლებს, რიცხვით ათამდე; ახეთი დროა დღეს გადავილი პეტერბურგიდან — ლენინგრადამდე... გზები მე უკან არ მეგულება და ვარ პოეტი დღევანდლობის.<sup>6</sup>

(„ოქტომბრიდან ოცდაშვიდამდე“).

ეს იყო მართლაც გულწრფელი და ცხოვრებისეული სიმართლით განათებული აღსარება. ამ პერიოდიდან მოვიდებულო, ს. ჩიქოვანი მყარად იდგა სოციალისტური რეალიზმის პლატფორმაზე და თავისი ძლიერი, შთამაგონებელი სიმღერით თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა

2 ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, წიგნი პირველი, გვ. 33, თბილისი, 1933 წ.

3 იგივე, გვერდი 39;

4 იგივე, გვერდი 41;

5 იგივე, გვერდი 52.

6 ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, წიგნი პირველი, გვ. 69-70, თბილისი, 1933 წ.

**ნუზარ წარბთელი**  
მიმოგორება გზად და ხიდად

1 ვ. ვიხტო. „თანამედროვენი“, გვ. 279, თბილისი, 1969 წ.

შორამელი ხალხის წინსვლისა და იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

როგორც ცნობილია, ქვეყნის კულტურული თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს განაღობილი გარდაქმნისა დაწყებასთან ერთად კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უდიდესი ყურადღება დაუთმო ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაჭრას, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთების გავლევასა და მასების ინტერნაციონალურ აღზრდას, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გააღებას. ჯერ კიდევ 1913 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაწერალ ისტორიულ წერილში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ ვლადიმერ ილიას ჰეღუნინი ამბობდა: „ბურჟუაზიული ნაციონალიზმში და პროლეტარული ინტერნაციონალიზმში — აი ორი, ურთიერთისაგან შეურიგებლად მტრული ლოზუნგი... მარქსიზმი შეურიგებელია ნაციონალიზმისადმი, რაგინდ „სამართლიანი“, „ფაქიზი, დახვეწილი და ცივილიზებულიც არ უნდა იყოს იგი. ყოველგვარი ნაციონალიზმის წევლად მარქსიზმი აყენებს ინტერნაციონალიზმს, ყველა ერის შედუღებას უძალეს ერთობად, რომელიც ჩვენს თვალწინ იზრდება რკინიგზის თვითებულ ვერსთან, თვითებულ საერთაშორისო ტრენტთან, თვითებულ (თავისი ეკონომიური საქმიანობით შემდეგ კი აგრეთვე თავისი იდეებით, თავისი მისწრაფებებით საერთაშორისო) მუშათა კავშირთან ერთად“.1 პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის მითითებას ინტერნაციონალიზმისა და ყველა ერის წარმომადგენელთა ურღვევი შეკავშირების შესახებ ფრთები შეასახა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე შეუწელებული ყურადღებით მოეკიდა ამ სასიცოცხლო პრობლემის მაღალ დონეზე გადაწყვეტას, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არსებული საფუძვლების განმტკიცება-გაღრმავებას. ყოველდღიური მხარდაჭერისა და გულმოდგინე მზრუნველობის შედეგად დაკვიდრდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, გამოიკვეთა ყველა ეროვნების წარმომადგენელთა თვითმყოფადი სახე, სულიერი პოტენცია და შემოქმედებითი ენერჯია, ცხოვრების თანამგზავრად იქცა სხვა მომხმ ხალხების ტრადიციებისა და მონაპოვრებისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობა.

რევოლუციამდე ოდნავადაც ვერავინ წარმოიდგენდა ერების ძმობის ასეთ მასშტაბებს.

1 ვ. ი. ლენინი. „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“, გვ. 13, 23, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1954 წ.

ეროვნული შედლი და ბოროტად ფეხგადგმული ნაციონალიზმი ირგვლივ მტრობას ეწეოდა. შური და უნდობლობა ახშობდა ადამიანთა კეთილ დამოკიდებულებას.

...შურმა წაიღო განძი უხვი და გადმოგვაყარეს ქარებმა მტერი. ქაობის სენი მოედო მამულს, გახდა უშწიო კოლხეთის მხარე. ჩვენი ტურფები ვაჭარმა შემდეგ გემით მიპყვარა ბოსფორის კარებს. („ოქროს საწმისი“).

საუკუნეების მანძილზე შიში, შფოთი და ვარამი იყო ხალხის თანამგზავრი, ვერაფერ სიამედის ეღარ ხედავდა მონღოლების, სპარსელებისა თუ თათრის ცხენთა ფლოქვებით დატოროლი მიწა. გმირულად მეგრძობი დამკერდში დამკერი წინაპრის კენესა დღემდე მოაქვთ ჩვენამდე ეპითაღმწერლების მიერ შემონახულ ფურცლებს. მაგრამ უკვდავი იყო ხალხი. შეუღლებელი იყო მისი გათელვა და დამონება. ხალხის დიდება არქსმა საუკუნეებმა მოიტანეს დღემდე. ეს დიდება წარსული მატონის ყოველი პყვარიდან გამოსქვივის და თანამედროვე ხალხის ცხოვრების არნახულ აღზევებას ეხმარება:

აგღია ისრის რამდენი ღერი, ზედ დაფრიალებს ლეჩაქი თახლი, მაინც ფურცლებში ვიღაცა მღერის, რომ უჩინარად აღიღოს ხალხი.<sup>2</sup>

(„წიგნი ეპითა აღმწერლისა: თათართა შემოსევა“).

რევოლუციამ და დიდ რუს ხალხთან იმურობა, უანგარო ინტერნაციონალურმა კავშირმა გადაარჩინა საქართველო სულიერი და ფიზიკური განადგურებას. ეს ჭეშმარიტი ძმობა ათეული წლებისა და საუკუნეების მანძილზე რქედებოდა.

სიმონ ჩიქოვანს შესანიშნავად ესმის ამ კავშირის დიდი ისტორიული მნიშვნელობა და თავისი ლექსით თუ სიტყვით გულითადად უძღერის მას. 1936-1945 წლებით დთარღებულ ნარკვევში „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია“ პოეტი ფართოდ, სიყვარულითა და სიმპათიით მიმოიხილავს პოემას „ბელი ქართლისა“ და ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“. ერეკლე II ბრძნული გადაწყვეტილების შესახებ ს. ჩიქოვანი შთამბეჭდავად წერს: „ერეკლეს ნაზრევი და გულის გადაწყვეტილებათა დიდი მინაარსი თავად ცხოვრებამ ვამართლა, ღრმად

2 ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 242. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960 წ.

დადასტურა, მეფის ღვთიური ზრუნვა ხალხის საკეთილდღეოდ დაავიკრვინა.<sup>1</sup>

რუსეთისადმი, რუსი ხალხისადმი ღრმა პატივისცემა და ამაღლებული სიყვარული ს. ჩიქოვანს მთელი ცხოვრების მანძილზე შთაგონებდასავით დაჰყევბოდა. არაერთი და ორი ლექსი, პოემის პუქარები, ლიტერატურული ნარკვევი თუ პირადი წერილი ეძღვნა ამ უღარესად აქტუალურ საკითხს.

პოეტის ამგვარი ცხოვრებისეული სიყვარულის პირველსათავე და ვრცელი სიმღერის საუკეთესო დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ მეტად კარგი და საყურადღებო ლექსი „გზა საბჭოეთში“, რომელიც მოსკოვში დაწერა 1927 წელს და ადრეულ გამოცემებშიც იყო ცნობილი სათაურით „კავკასიონიდან მხარგრავადღე“. ეს ლექსი თვით სიმონ ჩიქოვანს მიაჩნდა თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსად, ზმირად უზრუნდებოდა მას, ზრუნველი ხელითა და ახლებური თვლით ასწორებდა. ლექსი ყველა ეტაპზე პოეტურად იყო. „პოეტის ფართოდ გაგრცელებულ კრებულებში (განსაკუთრებით რუსულ კრებულებში) ამ პერიოდის ლექსებიდან ზმირად შეაქვეთ „გზა საბჭოეთში“, ლექსი, რომელიც საქმარის წარმოდგენას იძლევა ახალგაზრდა პოეტის იდეურ მოწოდებობაზე და მხატვრულ ოსტატობაზე.“<sup>2</sup> ლექსი საუცხოო რიტმით, სტილითა და ძლიერი სახეებითაა შესრულებული, სასიამოვნოდ იკითხება და შთამბეჭდავია დასაწყისიდან ბოლო სტრიქონამდე:

თითქო გვაღვაში ლიანდაგზე გალობს  
ბუღბუღი,  
მივკრი მინდორზე, ხმას იმაღლებს გული  
მდერალი  
საბჭოთა ქვეყნის გაშლილ სივრცეს  
დახარბებული,  
გაშლილ მინდორზე გადაჰყვივს რკინის  
მერანი.  
მიპქრის, მიმაფრენს მოელვარე წყება  
ბორბალების,  
მგონია, მხარვე სანატრელო, კიდევ მელოდი,  
თითქო წამომყვენ მე მთებიდან დიდი  
ორბები  
— და შენს ძმობაზე საქართველოს მობე-  
შიც ვმღეროდი...  
დიდო ქვეყანავ, მოყვასი ხარ ჩემი მა-  
შულის...<sup>3</sup>

ეს მეტრისმეტად მახლობლური, მშობლიური სიყვარული პოეტის კრედიო და მისწრაფება იყო. ამ თემას იგი არაერთხელ შეხებია. 1937

1. ს. ჩიქოვანი. „რჩეული წერილები“, გვ. 154, თბილისი, 1963 წ.  
2. გ. მარკველაშვილი. „სიმონ ჩიქოვანი“, გვ. 7, თბილისი, 1959 წ.  
3. ს. ჩიქოვანი. „თხზულებანი“, გვ. 134-135, თბილისი, 1965 წ.

წელს შ. რუსთაველისადმი მიძღვნილ „ნარკვევში“ „სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის სიმღერა“ სიმონ ჩიქოვანი წერდა: „მოყვასის სიყვარული არა მარტო გულის კარნახით იზადება აღმართა ყოფაში, არამედ თვით სიბრძნე გვესწავლის ანთამართა შორის მძიური სიახლოვისა და მეგობრობის განსტკიცების აუცილებლობას... განსაკუთრებული სწავლის მეშვეობით მიღებული სიბრძნე ხალხს სჭირია მეგობრობის განსამტკიცებლად და სულიერი სიფაჯის აღსადგენად.“<sup>4</sup>

ერთგვარ გავრცელებად იმ ღრმა მეგობრული გრძობისა და, სიახლოვისა შრომისმოყვარე რუსი ხალხისადმი, რომელიც იგრძნობოდა ლექსის „გზა საბჭოეთში“ კითხვისას, ვხვდებით 1927 წელსვე დაწერილ ორ ლექსში, რომელთაც აქვე ერთნაირი სათაური „მოსკოვი“. ვრცელი გზის გავლის შემდეგ პოეტი დიდი მოკრძალებით შედის საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქში, ძვირფასი საჩუქარებით მიაქვს წრფელი გული და უზადო აღტაცება ბორკილანისნოი შრომის შემდეგ აღმქუხარებული ახალი სიცოცხლის მიმართ. ლექსში იგრძნობა სიხარული იმის გამო, რომ თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და ხალხს უკვე ხედავს სასურველ შედეგებს:

გადარეკილა ველებიხკენ ბნელი წყვდიადო  
და ბალახებზე განართხულა ავეწენებულო,  
დილით მოვიდა. გული მოამაქვს კაბიტა-  
ლივით...  
თითქო გაშლილა აზროვნების დიდი  
ბრძოლები  
მოედნებიდან მოედნებზე გადატანილი.  
ხალხი მოძრაობს და სიცოცხლე ირგვლივ  
მქუხარებს.  
მთელი ქალაქი დატვირთულა შრომის.  
ნაყოფით.<sup>5</sup>

რუს ხალხთან მარადიული ძმობის ხაზგასმით პოეტი საუკუნეებს ეხმინება. იგი ნამდვილი ოსტატის ხელით ძერწავს მეგობრობის სურათებს, შეიძლება ეს სურათი შორეული წარსულიდან იყოს აღებული, მაგრამ ისე დამაჯერებლად უკავშირებს დღევანდელობას, რომ მკითხველი აღტაცებული რჩება.

ხალხთა უნაგარო ძმობისა და მეგობრობის დიდი გრძობით შთაგონებულ პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ უზადლო ოსტატობითაა დახატული რუსი, ქართველი და უკ-

4. ს. ჩიქოვანი. „რჩეული წერილები“, გვ. 30-31, თბილისი, 1963 წ.  
5. ს. ჩიქოვანი. „ლექსები და პოემა“, წიგნი პირველი, გვ. 104, 106, თბილისი, 1933 წ.

ნუზბარ წერითელი  
მიგობრობა გზად და ხილად

რანიელი ხალხების საუკუნოვანი ურთიერთობის სათავეები.

ტყეობიდან გამოქცეული დავით გურამიშვილი რუს გლეხაკაც შეეკვლა. იგი შვილისა და ძმის თანასწორად მიიღეს, გაათბეს, ასვეს, ავამა, ცხოვრების იმიღი მისცეს. დავითის გულთბილი მასანძელი იყო რუსი ხალხის მშრომელი ფენის წარმომადგენელი, ხალხს კი ყოველთვის ერთი ვარამი და იარა აწუნებდა. რუსი ვაჟაკი ოდნავადაც არ ჰვავდა იმ ქედმალა ბობოლეებს, რომლებთანაც დავით გურამიშვილის სააიყვანო ვახტანგ მეფე ამოადცილობდა საერთო ენის მოძებნას. მან დავითს საკუთარი, ერთადერთი ჯუბა ჩააცვა, დახეული პერანგის ნაცვლად, არ დაიშურა არაფრის გატანება, რაც კი ებადა. ს. ჩიქოვანის რწმენით, შორეული წარსლის ეს თვალსაჩინო ეპიზოდი დღემდე ხალხის გულისთვის არ ცილდება და დიდი მეგობრობის მატთანში ჩაუჭრობელ ვარსკვლავით კიაფობს:

**შენ რუსის ლუკამა გაგათობ,  
ძმური სიამით ღელავდი.  
სუფრით აუვავდა ვულისთქმა,  
რომ მიაღწია ჩვენამდი.1**

რუსი ხალხის საუკეთესო შვილები, საბჭოთა კავშირის ყველა ერის წარმომადგენლებთან ერთად, თავდადებით იბრძოდნენ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. მათი სისხლის ფასად წალეკვას გადარჩა მთელი ევროპა, მათი საფლავებით მოიფინა დედამიწის ნახევარი. ასე ჰპოვა სამო საშარე ურალელმა გრიგოლ კუნავინმა მომე პოლონეთში. პოეტ კარვად გრინობს ამ ინტერნაციონალური თავდადების დიდ მნიშვნელობას, ესმის, რომ მილიონობით კუნავინის მსგავსმა ვაჟაკმა „დაუშკვიდრა სისხლით სოფელს ნეტარება“. გრიგოლ კუნავინმა „ურალის ვარსკვლავების ხომლი“ პოლონეთს გადააფრქვია, ხელი შეუწყო ძმობისა და მშვიდობის განმტკიცებას:

**უკვდავება ორ მხარეში გერაკო.  
წინ გაგვასწარ და მყობადში ირიცხები  
და, ურალის ფესვმავარო ნერაკო, 1  
მშვიდობის და ძმობის გზაზე მიმძღვები.2**

სიმონ ჩიქოვანს სხვა ეროვნების წარმომადგენელი ბევრი ახლობელი მეგობარი ჰყავდა.

ულრმესი სიყვარულით დაწერილ ნარკვევში „ტიციან ტაბიძის ლექსების წიგნი“ ს. ჩიქოვანი აღნიშნავს: „ჩვენ მრავალი საერთო მეგობარი გყავდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ერევანში და მრავალი დღე გაგვიტა-

1 ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 465, თბილისი, 1960 წ.  
2 იქვე, გვ. 407.

რგება მათთან ერთად საუბარში და პოეტიკურ პაექრობაში“.3 ერთ-ერთი ასეთი უძვირფასეს მეგობარი სიმონ ჩიქოვანისათვის იყო ცნობილი რუსი პოეტი ნიკოლოზ ზაბოლოცი. ნ. ზაბოლოცის გარდაცვალებამ მწუხარებით აღავსო ს. ჩიქოვანი. გამოჩენილი რუსი შემოქმედის ხსოვნისადმი მიძღვნილ მეტისმეტად თბილ და ამღელვებელ წერილში „ნიკოლოზ ზაბოლოცი“ ავტორი წერს, რომ მისი დეარგვით „დიდი დანაკლისი განიცადა რუსულმა და ქართულმა საბჭოთა პოეზიამ“. ს. ჩიქოვანი იგონებს ნ. ზაბოლოცისთან შეხვედრებს, ერთად ყოფნის დაუფიქრად დღეებს, ლენინგრადსა და მინსკში საფუძველდაყრილ მეგობრობას. ეს არის დიდი შინაგანი სითბოთი და მეგობრული გულისტკივლით დაწერილი ნარკვევი, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ლიტერატურული ურთიერთობის შესანიშნავი ფურცელი.

„...ჩვენს შორის გაიბა ახლომეგობრული და საქმიანი კავშირი. აგრე მგონია, ამ ოცდაორი წლის განმავლობაში მისმა პოეტურმა და ოჯახურმა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ გაიარა და მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჩვენს შორის წამოწყებული მეგობრული საუბარი არ შეწყვეტილა. თითქმის მისი სამუშაო მაგიდა ძლიერ ახლო იდგა ჩემს ფანჯარასთან და მე უშუალოდ ვუთვალთვალედი საყვარელი პოეტის შთაგონებულ მუშაობას...“4

ს. ჩიქოვანი იგონებს ნ. ზაბოლოცის უანგარო სიყვარულს ქართული კულტურისადმი, ქართული მწერლობისადმი. „—ერთხელ, კერძო საუბარში განმიცხადა: „ჩემი ოცნებაა შესანიშნავი ქართული პოეზია მილიონებს ვავაცნო“. მართლაც იგი ძალღონეს არ იშურებდა, რათა ეს კეთილშობილური ამოცანა ჯეროვნად შეესრულებინა და ამით თავისი სახელი ქართულ პოეზიასთან სამუდამოდ დაეკავშირებინა. იგი შთაგონებით მუშაობდა თავის პატარა ბინაში, შეცნებების დროს ფანჯრიდან იყურებოდა და დაბოვილილ გზაზე თითქო ქართველი მეგობრები გამოჩენას ელოდა.“5

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსი მეგობრებიც წმინდა სიყვარულით პასუხობდნენ სიმონ ჩიქოვანს. ქართველი პოეტი რუსეთში ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობდა. 1940 წელს დიდი რუსი პოეტი ბორის პასტერნაკი წერდა ტიციან ტაბიძის მეუღლეს ნინო მყავშვილს: „სიმონმა აქ საღამო გამართა და დიდი წარმატებაც ჰქონდა... ამას წინათ სიმონ-

3 ს. ჩიქოვანი. „ჩვეული წერილები“, გვ. 460, თბილისი, 1963 წ.  
4 ს. ჩიქოვანი. „ჩვეული ნაწერები“ გვ. 485, თბილისი, 1963 წ.  
5 იგივე, გვერდი 489.

გოლცევიან შევხვდები. უთხარით, რომ იგი, სიმონი, აქ ახლა მოდისაა.<sup>1</sup>

ზორის პასტერნაკი ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის უახლოესი, განუშორებელი მეგობარი იყო. მათი უდროო დაკარგვის შემდეგ დიდმა რუსმა პოეტმა გულწრფელი სიყვარულით თითქმის სიმონ ჩიქოვანსა და გიორგი ლეონიძეზე გადაიტანა. 1945 წლის ბოლოს ზორის პასტერნაკი წერდა სიმონ ჩიქოვანს და პოეტის მეუღლეს მარიკას: „ტფილისში უკანასკნელად ყოფნისას ძალზე დაგიახლოვდით, არ დაგზავლათ: თქვენ ჩემი აღიარება დიდი ხანია მპოვით. ჩვენი მეგობრობა თანდათან მტკიცდებოდა, მაგრამ ყოველთვის მიჭირდა, ჩემი გრძნობები გამოვხატა ისეთი ხალისითა და აღტაცებით, როგორც ჩვენს წრეში სჩვევიათ... მიხარია, რომ თქვენი ნამდვილი, ხალისი მხატვარი ხართ. ჩვენ ყოველთვის მხარში უნდა ვედგეთ ერთმანეთს... იცოდეთ: ამქვეყნად ცოტა რამ გაახარებს ჩემს გულს ისე, როგორც თქვენი და მარიკას დამსახურებული წარმატება და ბედნიერება გაახარებს.“<sup>2</sup>

ძნელია მოიძებნოს მეგობრობის დამადასტურებელი უკეთესი პეკარები, ისინი ერთხელ კიდევ ვიჩივებენ, თუ როგორი სიფაქიზით, როგორი შინაგანი თრთოლითა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სიმონ ჩიქოვანი ხალხთა მეგობრობისა და „სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა განუწყვეტელი დაახლოების სასიცოცხლო პრობლემას.“

ეს დიდი მეგობრობა და სულები სიახლოვე, ჩვენის აზრით, ნათლად გამოსკვივის სიმონ ჩიქოვანის პატრიოტიზმში.

1917 წლის აპრილ-მაისში გამატყვევებულ წერილში „მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის“ ვ. ი. ლენინი ნათითებდა: „რუსი ხალხის რესპუბლიკა სხვა ერებს თუ ეროვნებებს უნდა იზიდავდეს არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით საერთო სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ყველა ქვეყნის მუშების ერთიანობა და ძმური კავშირი ვერ ურიგდება ვერც პირდაპირ და ვერც არაპირდაპირ ძალდატანებას სხვა ეროვნებათა მიმართ.“<sup>3</sup> ვ. ი. ლენინის იდეები ცხოვრებაში განახორციელა საბჭოთა კავშირმა, კომუნისტურმა პარტიამ.

სიმონ ჩიქოვანის საყვარელი მამული ხალხთა ძმურ ოჯახში აყვავდა და გაძლიერდა. უანგარო დახმარებამ და მიზნების ერთიანობამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის კულტურული და სამეურნეო ცხოვრების არნახულ წინსვლას.

<sup>1</sup> ბ. პასტერნაკი. „წერილები ქართველ მეგობრებს“. ჟურნალი „ცისკარია“, №10, 1969 წ. გვ. 145.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი. ობზ. გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 557.

ასეთი მონოლითური მეგობრობა და ერთიანობა საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველყოფილ გრძნობით აესებს სიმონ ჩიქოვანის მდიდარ ენობრივ ენას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ისინი განუყოფელი არიან. საბჭოთა პატრიოტიზმი — საყოველთაო-სახალხო პატრიოტიზმი კი არ თიშავს, არამედ უფრო მტკიცედ ადუღაბებს ერებსა და ეროვნებებს. იგი გამოხატავს ყველაზე მოწინავე კლასის — პროლეტარიატის დამოკიდებულებას თავისი სამშობლოსადმი და შეიცავს მტკიცედ ჩამოყალიბებულ წმინდა გრძნობებს.

სწორედ ასეთი თვალსაზრისითაა საინტერესო ჩვენთვის ს. ჩიქოვანის ბევრი ლექსი და განსაკუთრებით კი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლის სათაურია „შინ მინაწერი“ და რომლითაც სრულდება მეტისმეტად საინტერესო, კეთილშობილური ინტერნაციონალური გრძნობებითა და მოტივებით განათებული ციკლი სოციალისტური გერმანიის შესახებ საერთო სათაურით „გოეთეს ცაცხვებთან“. ჩვენ საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ დამახასიათებელ ნაწყვეტებს ამ ლექსიდან, სადაც კარგად ჩანს სიმონ ჩიქოვანის ქეშმარიტად მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობები. აქ პოეტის ცინცხალი პატრიოტიზმი ისე ნათლად და ისეთი ძლიერი რეგისტრით ვლინდება, რომ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტად მიგვიჩნია:

...და ყურს ვუვადებ ჩემს თბილისში  
ქოროხის თუ დნეპრის ქოროხს...  
თვალმა მითებით წრე შეღობა,  
ძმური გრძნობა გულმა კეოსოს,  
მცირე ეზო რას მეყოფა,  
მე მეზობელს ვუღებ ეზოს...  
...ძმური გრძნობის განტოტებამ  
მრავალ სახლში მარგო წილი,  
შინ დნეპრის ხმა მაგონდება  
და შორს გზაზე — უშბის ჩრდილი.  
მე მუდმივად მტყვართან ვსახლობ,  
ცა-ფირუხის მადგას ქერი,  
თხუთმეტი ძმა ცნოვრობს ახლო  
და შინ ქართულ ხმაზე ვმღერო.<sup>4</sup>

სიმონ ჩიქოვანი ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის ქეშმარიტი მქადაგებელი იყო. იგი სიმწრით და სინანულით იგონებდა იმ დროს, როცა ძმა ძმის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, როდესაც უმიზნოდ იღუპებოდნენ მეგობრობისა და სიკეთისათვის მოწოდებული ადამიანები. მენშევიკების, დამნაქებისა და მუსკატელეების უღლე-

<sup>4</sup> ს. ჩიქოვანი. თხზულებანი, ტომი II, გვ. 213-214. თბილისი, 1965.

**წიგნის წარმთელი**  
მიმდებრობა გზაზე და ხივად

ურმა პარპაშმა ეროვნული შუღლი კიდევ უფრო გაამძაფრა. სისხლიანი შეტაკება და ცხოვრების უკუღმართობისგან დაბნეული ადამიანების ყელტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გ. ი. ლენინი თავის სიტყვაში მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სტრომაზე 1921 წლის 28 თებერვალს ამბობდა: „სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეიძლება არ აველეღვებინეთ...“ აქვე დიდი ბელადი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ცნობებით თბილისში დაწყებულია საბჭოთა ხელისუფლება „...და იმას, რაც ჩვენ შევძელით დასავლეთისათვის გვეჩვენებინა — სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, იქ ეროვნულ ჩაგვრას ადგილი არა აქვს, — ამას ჩვენ ვუჩვენებთ აღმოსავლეთსაც.“<sup>1</sup>

ეს იყო ნამდვილად ცხოვრებისეული წინასწარმეტყველება. ეროვნული საკითხის გადაჭრა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე გახდა საგრძნობი. მისი მძალდონეზე აყვანისათვის კი მართლაც განუზომელი იყო პარტიის ყურადღება, პირადად დიდი ლენინის ყურადღება. წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიულთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ — იგი წერდა: „მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოეთქვა იმედი, რომ მათი მკიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.“<sup>2</sup>

იმ დიდ ეროვნულ და ინტერნაციონალურ მძორაობაში, რომელიც დაიწყო ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მწერლობაშიც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა. უკვე 20-იან — 30-იან წლებში ქართველი მწერლები სიყვარულთა წერდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის სისხლისაყვებ ცხოვრება შესახებ. დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდის ლექსშიც „მე საიათნოვას შვილი არა ვარ“ სიმონ ჩიქოვანი შესანიშნავად გამოხატავდა მეგობრობისაყენ დაუთკებელ ღტოლვას:

მსურს არუთინას მანგით ვიდეღვო,  
სამი ხმით გული სამაჯუხის დაჭურა.  
მე თხუთმეტ ხმაზე მინდა ვიმღერო,  
და ის სამი ხმაც გულზე მაჩნია.<sup>3</sup>

სომხეთისა და აზერბაიჯანისადმი ძმური, უსაზღვრო სიყვარული სიმონ ჩიქოვანმა შთამბეჭდავად გვიჩვენა იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ლექსებით: „მგზავრობა სომხეთში“, „სომხეთის მთებში“, „სეიანის გზაზე“, „სეი-

ნის ტბა“, „ნახანი“, „ფერმაში“, „დაბურენა“, „ბეირთული მეფეტკრე“, „ქალწული კოშკი“, „ყუარღში“, პოემათ „გაჩის დიდური“ და სხვა. პარტიის, მთავრობისა და ხალხის საერთო მონღომების შედეგად წარმატებით დაგვირგვინდა ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის სასიცოცხლო და სამარადეამო საქმე. უკვე 1931 წელს შესანიშნავად წერდა ტიცინ ტაბიძე ნათელი პოლიტიკური გეზის მქონე წერილში „საბჭოთა მწერლობა ინტერნაციონალური კავშირია“. „ერთი უღრესი მიღწევა საბჭოთა ხელისუფლებისა საქართველოში, რომელიც უნდა გავიხსენოთ ათი წლისთაზე — ეს არის მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდა ეროვნული საკითხის ლენინისეული გადაწყვეტის ნიადაგზე, რასაც ერთადერთს შეეძლო დაეცემა ამიერკავკასიაში ეროვნული მშვიდობიანობა და შეექმნა საწინდარი ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის.“<sup>4</sup>

სიმონ ჩიქოვანს ჰქონდა ჭეშმარიტი ინტერნაციონალური სურვილი ყველასთან ყოფილიყო მეგობრულად, გაეფართოებინა მოძმეთა წრე, ეთქვა ისეთი ხარისხის სიმღერა, რომ გამხდარიყო ყველასათვის საერთო და ხელმისაწვდომი. იგი ხალხთა მეგობრობის ცხადზე ცხად გამოხატულებად თვლიდა მოძმე რესპუბლიკების უანგარო ეკონომიურ დახმარებას, მხარში ეგობრება და ვაჟაკობა ხელის ვაწოდებას. ეკონომიურმა ერთიანობამ და ერთი ხალხის მიღწეების მეორის საკუთრებად მიღება ზღაპრად კი სინამდვილედ აქცია. ზღვები ზღვებს შეუერთდა. უდაბნოები აყვავდა, კაშხლებმა ქვეყანა დაუარა:

წარსულშიც მყავს მოძმე მგონი,  
ყველა მიწვევდ, არ იქნება იოლი.  
მოძმემ გასჭრა ვოლგა-დონი  
და თბილისთან მოაქროლა იორი,  
ძმა ხელს მიწვდის დნეპრის არხით,  
მელოდება და კაშხლთან ვეყრება...<sup>5</sup>

აღნიშნულ ლექსში „მეგობრები“ სიმონ ჩიქოვანი გულწრფელ სიყვარულს უთვლის ყველა მოძმესა და მეგობარს, რომლებიც ყოველდღიურად ავსებენ მის სულიერ სამყაროსა და გარემოს: „თქვენს გარეშე არ მისერია ანეციე“. პოეტი იმდენ გამოთქავს, რომ შეძლებს ყველას გაუწიოს მეგობრობა: „და მივადწევი მწამს, თვითველ კარამდი“.

აღბათ ძნელია მოიძებნოს მეორე პოეტი, რომელსაც ასე მთელი ხმითა და გულით ემღეროს მოძმე უკანონისათვის, ექადაგებინოს, საუკუნო ძმობა და სიახლოვე. პოემა „სიმღერა

1 გ. ი. ლენინი. თხზ., გამოცემა მე-4, ტომი 32, გვ. 175-177.

2 იქვე, გვ. 397.

3 ს. ჩიქოვანი. თხზულებანი, ტომი 11, გვ. 144-145, თბილისი, 1965 წ.

4 ტ. ტაბიძე. თხზულებანი სამ ტომად, ტომი 11, გვ. 278, თბილისი, 1966 წ.

5 ს. ჩიქოვანი. თხზულებანი, ტომი 11, გვ. 160, თბილისი, 1965 წ.



დავით გურამიშვილზე“ და ბევრი ლექსი ამ აზრის კარგი დადასტურებაა.

სიმონ ჩიქოვანს შეეძლო მისი დიდი წინამორბედის დავით გურამიშვილის მსგავსად ეთქვა: „უკრაინამ ამაღლრა მე“.

დავით გურამიშვილი უკრაინელი და ქართველი ხალხის უზაღო ძმობის სიმბოლოა. წერილში „დავითიანი და სარწყავის და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა“ სიმონ ჩიქოვანი წერდა: „დავით გურამიშვილი დიდი ჰუმანისტია, მის პოეტურ ბუნებაში ნათლად მოჩანს ისტორიული ვახვეები იმ დიდმა მეგობრობისა, რომლებიც საბჭოთა ხალხებმა დაამკვიდრეს ჩვენს ქვეყანაში“.<sup>1</sup> თვით დავით გურამიშვილი მოწინავე პიროვნება იყო თავისი დროისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალზე ინტერნაციონალისტურად განწყობილი. ამ აზრს არა ერთხელ უსვამს ხაზს ს. ჩიქოვანი:

...უკრაინაში გადარგი ლექსი  
და მოაშენე ქართული ბაღი...  
რუსთან იყავ თუ უკრაინელთან,  
მათ შეუბრძვიდ ქირში და ლხინში.<sup>2</sup>

საკვარელ მამულზე ყოველდღიური ფიჭრით დაღლილი დ. გურამიშვილი მონადირეობით ცდილობდა მხარში ამოდგომოდა და დახმარებოდა უკრაინელ მშრომელ ხალხს. „დავითიანზე“ სისტემატურ მუშაობასთან ერთად იგი სარწყავისა და წისქვილის შექმნაზე ოცნებობდა: „გასაოცარია, რომ ეს თითქმის უსინათლო, ოთხმო-დაროი წლის მოხუცი მოწადინებული ყოფი-ლა, თავისი განზრახვა სისრულეში მოყვანა და მის მიერ გამოგონებული მანქანები აემუშავე-ბინა, ყანის სარწყავი და წისქვილი უკრაინე-ლი სოფლის ყოფაცხოვრებაში შეეტანა, მშრო-მელი ხალხისათვის შრომა შეეჩვეულებინა და შედავითი მიეცა“.<sup>3</sup> ამ იდეისათვის ტანჯვა ავაღმყოფ პოეტს მხოლოდ მეგობრობისა და მამულია სიყვარულის გრძნობა უმსუბუქებდა:

მდინარის წყალს ამაღლებდი,  
რომ ხორილთან შეგხვედროდა საქართველო.  
შენ წამალი გიპოვია,  
მხენელს და მთხვეელს შედავითი მიანიჭე...  
მოინდომე შევლა სოფლის...<sup>4</sup>

უკრაინელ ხალხთან ძმობას ს. ჩიქოვანმა სა-უცხოო ლექსებით უმღერა. ასეთი ლექსებია: „უტკვავება“, „გოგრაჩაშვილის საფლავზე თქმე-“

1 ს. ჩიქოვანი. „რჩეული წერილები“, გვ. 82, თბილისი, 1963 წ.  
2 ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 491, 502, თბილისი, 1960.  
3 ს. ჩიქოვანი. „რჩეული წერილები“, გვ. 60, თბილისი, 1963 წ.  
4 ს. ჩიქოვანი. თხზულებანი, ტომი 1, გვ. 406, თბილისი, 1963 წ.

ლი“. „ზუბოვკაში“, „შენ ხარ ქართული ლექსის ტრფიალი“. „ტყის სიმღერა“ (ლესია უკრაინე-კას) და სხვ.

ლესია უკრაინკა — დიდი უკრაინელი პოეტი ქალი, იგივე იყო საქართველოსთვის, რაც დავით გურამიშვილი უკრაინისათვის. ძმობისა და მეგობრობის ამ ბუმბერაზმა სიმბოლოებმა ერთმანეთს გადააჭაბვა ორი ხალხი. ლესია უკრაინკასათვის მეორე სამშობლოდ იქცა საქართველო და ახლა „სურამშია სული უხვი“, ეს არის ლესია უკრაინკას უცვლადი სული, რომელმაც „ხმა ჩაჩერგა უკრაინის საქართველოს ბუნე-ბაში“.

სიმონ ჩიქოვანის მრავალი ლექსი შესრულე-ბულია მაღალი ოსტატობითა და უხვი პოეტუ-რი ფერებით. მისი უშუალო მეგობრული გრძნო-ბები თუ ცხოვრებისეული მოვლენების მაღალი ინტერნაციონალური თვალთახედვით შეცნობა-დამყარებულია სწორ პარტიულ პოზიციაზე. ინტერნაციონალიზმის ცხოვრებისეული პრობ-ლემას ს. ჩიქოვანისათვის გადაჭრილი და გამო-ყენებულია შემოქმედების ერთ-ერთ დერძად. „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომლის ეპი-ლოგიაა „ამერე მინაწერი“, ხალხთა მეგობ-რობის უზაღო ხობით მთავრდება. აქ ნათლა-დაა ნაჩვენები რუსეთის, უკრაინისა და საქარ-თველოს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის, ძმური განწყობილებისა და მარადიული კავში-რის აუცილებლობა:

რუსეთის და უკრაინის გული  
ძმური გრძნობით საქართველოს დანათის  
მაში, გავტვხით მეგობრულად პური  
და გრძნობები შევადღულთ მარადის.<sup>5</sup>

დიდი სამამულო ომის დროს ერთობლივად დაღვრილმა სისხლმა და გადატანილმა ბრძოლის სიმძიმემ კიდევ უფრო შეადუღაბა ხალხთა მე-გობრობა. უკრაინაში მოგზაურობისას პოეტმა ნახა საბჭოთა კავშირის გმირის გოგრაჩაშვილის სამარე კივებში, ფართოდ გადაშლილი დნებრის პირას. ს. ჩიქოვანს მტკივნეულად მოხვდა ეს ამბავი, მაგრამ სულიერი ტკივილი გაუქარვა იმ გარემოებამ, რომ ქართველი გმირი ხალხთა მეგობრობასა და საერთო საქმეს შეეწირა:

შენ უკრაინამ მკერდში ჩაგიკრა,  
კივის მკერდზე წივხარ ქართველი,  
თვალის სინათლე კი არ ჩაგიკრა,  
ძმობისთვის დაწვი წყვილი სანთელი.<sup>6</sup>

5 ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 547, თბილისი, 1960 წ.

6 ს. ჩიქოვანი. თხზულებანი, ტომი II, გვ. 136, თბილისი, 1965 წ.

ნუგზარ წიკრიძე  
მეგობრობა გზად და ზიდად

სიმონ ჩიქოვანმა სამამულო ომზე მრავალი ლექსი შექმნა, რომელთაც ნათელ ზოლად გასდევთ პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობა. ასეთებია „მოსკოველი მეგობრებისადმი“, „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, „მიტოვებული სახლ-კარია“, „საფლავის ქვასთან“, „საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკაიას“, „ყუბანის ველზე“, „ლექსაშელის სიკვდილი“ და მრავალი სხვა.

იმ ქარიშხლიან დღეებში, როდესაც ვერაგი მტერი მოსკოვის კარიბჭესთან იდგა, როცა ჩვენს დიად სამშობლოს საფრთხე ემუქრებოდა, ერთიანი პატრიოტული შემართებით ავიღო ხალხს სიმონ ჩიქოვანის პოეზიაც მატებდა რწმენას. მისი შესანიშნავი ლექსი „მოსკოველი მეგობრებისადმი“ ინტერნაციონალური ძმობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იყო. საბჭოთა ხალხისათვის, რუსი ხალხისათვის იმ მძიმე წუთებში მოსკოვისაკენ მიჭროდა პოეტის გულისთქმა, რომელსაც ახალი სიყვარული ავსებდა პუშკინისა და რუსთაველის „წრფელი გრძნობა და საამო ხმები“. მხოლოდ ქეშმარიტი მეგობრული გრძნობით შთაგონებულ კაცს შეეძლო ეთქვა ამგვარი სტრიქონები:

**ვერა, ვერ შესძლოს დაძლევა კრულმა,  
კრემლთან დაიმხვრა მტარვალთა ძვლები,  
ჩვენ შეგავერთა პარტიის გულმა  
და განუყრელად დავრჩებით ძმები!**

ეს საბრძოლო თანამეგობრობა და ერთიანობა განუყრელად მოჰყვებოდა საუკუნეებს. ჯერ კიდევ პოეტის დიდი წინამორბედი დავით გუარამიშვილი გულდაგულ იბრძოდა რუსეთის ლაშქარში ოდერთან და კვისტრინთან, მისი მარჯვენაც იღებდა მონაწილეობას პრუსიის „კოროლი“ ტახტის შერყევად. პატრიოტი პოეტი ამით თითქოს საკუთარ მამულსაც იცავდა ვერაგი მტრების ხელყოფისაგან და ამტკიცებდა ქაბთულა სულის სიძლიერეს:

**რუსულ ლაშქარში ძმურად იბრძოდი,  
არ შეარცხვინე ქართული ხმალი.<sup>2</sup>**

(„სიმღერა დავით გუარამიშვილზე“)

სიმონ ჩიქოვანი შთაგონებით უძღვრის სამშობლოს თუ დედას, შრომას თუ შენებას, წარსულს თუ ბუნებას და ყველგან იგრძნობა ღრმად ზოგადსაკაცობრიო სულით შთაგონებული კაცისა, რომელიც ვერ ეტევა ვიწრო ჩარჩოებში, უარყოფს ყოველგვარ კარჩაკეტილობას და წერს ხალხზე სიყვარულს ხალხისთვის.

პოეტმა მისთვის ჩვეული შთაგონებით იმოუხატრა პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ მოახურობის შედეგად

შექმნა ლექსების ორი დიდებული კრებული „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებისა“. ჩიქოვანი ხედავს, რომ ომის შემდგომი პრილობისაგან განუყრნებული პოლონეთი მტკიცედ მიიბიჯებს მშვიდობისა და სოციალიზმის გზაზე. საბჭოთა ქვეყნიდან მოსული სტუმარი, ცნობილი პოეტი და მოქალაქე, პოლონელმა მეგობრებმა სიყვარულით მიიღეს და მასთან ერთად გატეხეს ალალი „ძმობის პური“.

**პოლონეთის გზაზე ვდგვარ  
და გავტეხე ძმობის პური...  
გზა მშვიდობას გაუთბია  
გუშინ სისხლით რომ გაბოხეს...  
და მგონია, ყველა სახლი  
მოზრუნდა და კარებს ვვიღებს.<sup>3</sup>**

ს. ჩიქოვანის ლექსები „პოლონეთის გზაზე“, „პუშკინი და მიცკევიჩი“, „გროცლავში საბჭოთა ოფიცრების სასლალოზე“ და მრავალი სხვა სწორედ ალალი მეგობრობისა და უშუალობის გრძნობით შეიქმნა.

პოლონეთისა და გერმანიის გზებზე მოგზაურობისას პოეტს განუყრელი მეგობრული დაყვებოდა მშვიდობაზე ფიქრი. მან ბერლინში ნახა საბჭოთა დედის ქანდაკება, ნახა გამათავისუფლებელი საბჭოთა მეომრის ცნობილი ძეგლი ბავშვით ხელში, ნახა ახალგაზრდობის ფესტივალი „და მშვიდობის დიდ კრებაზე“ ქაბთუქური სისარულიც იგრძნო: ნახა „ყოფილი ბუნავი სისხლიანი პიტლურის“ და „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“, ნახა გერმანელი ხალხის უდიდესი შვილის გოეთეს საფლავთან „საბჭოთა მეომრის დარგული ყვავილი“. საფლად მოგზაურობისას პოეტი შეხვდა მხვეინდელ-მთესველ გერმანელ გლეხებს, რომლებიც ანებს უმატებენ „მშვიდობის აქმეს“, რომ ამით მშვიდობისმოყვარე პოეტს წარსულის გამო აღძრული ეჭვიანი ფიქრები გაუქარწყლონ. მშვიდობის, მეგობრობისა და პროგრესის ჭარბმა შეგრძნებამ პოეტს ათქმევინა ძლიერი სიმღერა მშვიდობაზე, რადგან მან კარგად იცის, რომ მშვიდობა საერთოა ყველასათვის. იგი არის კაცობრიობის სასუქი იმედი და დღესდღეობით ყველაზე უფრო მტკად ინტერნაციონალური და დამაკავშირებელი გრძნობა მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებისათვის. ამ ფიქრით ანთებული პოეტი ლექსში „საბჭოთა მეომარი ბერლინში“ წერს:

**სამშობლოს შუქი გარშემო გაკრავს.  
მახვილის ვადას მარჯვენა ბლუქავს,  
არწევ მომავლის უთვალავ აკვანს  
და წერ სახალხოდ მშვიდობის გუქარს.<sup>4</sup>**

3 ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 402, თბილისი, 1960 წ.

4 ს. ჩიქოვანი. თხზულებანი, ტომი II, გვ. 200, თბილისი, 1965 წ.

1. ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 47, თბილისი, 1960 წ.

2. იგივე, გვერდი 503.



სიმონ ჩიქოვანის რწმენითა და მართებულო ინტერნაციონალური გავებით, სახელმწიფოების, რესპუბლიკების, კაცობრიობის მოწინავე ადამიანების საუკეთესო დამაკავშირებელი და დამაბალოებელი ხილია ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურა, მეცნიერება, რადგან ერის სახეს და სახელს სწორედ ის ადამიანები ქმნიდნენ, რომელნიც ყოველგვარ პირადულსა და კუთხურ შეზღუდულობაზე მაღლა იდგნენ და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ქადაგებდნენ. ისინი დღესაც ეხმარებიან ხალხს მშვიდობისა და პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე, ხელს უწყობენ მშორად შრომასა და შენებას:

...მშვიდობის და შრომის გზაზე  
ისევ ვაფრებ მიცქვირის და პუშკინს.<sup>1</sup>

(„პუშკინი და მიცქვიჩი“).

ამგვარი ამაღლებული გრძნობა ყველგან დაჰყვება სიმონ ჩიქოვანს, იქნება ეს ლენინგრადი—დიდებული ნებისპირა ქალაქი თუ ერევნისკენ მიმავალი გზა, ვაიმარი თუ ვროცლავი, თბილისი თუ კიევი. მას სჯერა, რომ სხვადასხვა ქვეყნის წინსვლის არსებობა, ამ ქვეყნის სახელოვან შვილთა მიღწევები საერთოა კაცობრიობისათვის, ჩირადანაივით უნათებს გზას მიმავალ თაობებს:

...და ვისლიდან რუსეთისკენ ვაფენილა  
კოპერნიკის შერჩეული ვარსკვლავები,<sup>2</sup>

(„მოსავლის დღესასწაული კრაკოვში“).

სიმონ ჩიქოვანის ძარავალფეროვან შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია კაცობრიობის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახეს. პოეტური მოღვაწეობის ყველა ეტაპზე მიმართავდა ამ დიად თემას პოეტა, საოუთო ზრუნვითა და პასუხისმგებლობით ცდილობდა შეექმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძვლისამყარელის შემოქმედებითი პორტრეტი.

პოეტის რწმენით ლენინი მშრომელი ხალხის ყველა საუკეთესო ოცნების გამოხატულებად არის ქცეული. ლენინის საქმე და სახელი საერთოა მსოფლიოს მშრომელი კლასისათვის. ინტერნაციონალიზმიც და მომავალი წინსვლაც მისით იწყება. მისი ნაზრევი, ერთი მიზნის მიხედვით რაზმავს კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს. 1930 წელს დაწერილ ლექსში „ოცდაერთი იანვარი“, როდესაც პოეტმა კიდევ ერთხელ მწარე გულსტიკივლით გაიხსენა ვ. ი. ლენინის გარდაცვალება დღეები, ასეთ სტრიქონებს ვიკოფხულობთ:

„ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე სევდას ვაგერცელდა დარდი განურჩევლად ეროვნებისა...“<sup>3</sup> ამ ნათლად ჩანს ვ. ი. ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული საყოველთაო-სახალხო დარდი, კეთილი ნების ადამიანების ინტერნაციონალური გრძნობის ერთიანობა და ის საერთო ტკივილი. რომელმაც ქარიშხალივით გადაუარა ხუთავე კონტინენტს.

ლექსში „ლენინის სახლი სოფელ პორთონოში“ პოეტი შთამბეჭდავად მოგვითხრობს, თუ როგორ ცხოვრობდა და შრომობდა დიდი ბელადი ტატრის მთების მყუდრო სოფელში. პატარა ძელურ სახლში ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი, აქ წერდა, კითხულობდა, ქმნიდა, ელოდებოდა წერილებს მშობლიური რუსეთიდან „და არჩევდა სახლში ფარულ ფოსტას“. აქ გადიოდა დიდი ისტორიის უბნის მონაკვეთი, აქედან ემატებოდასხივი მომავალ გარიერაჟს, აქედან სწედელობდა ფიქრი მთელი მსოფლიოს ჩაკრულ ადამიანებს. იმ თავდადებულმა შრომამ ყველასათვის ცნობილი ნაყოფი გამოიღო:

და ლენინის აზრი დათესილი  
დღეს აუტრებს პოლონეთის ჭეჭილს.<sup>4</sup>

საყურადღებო და ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სიმონ ჩიქოვანის უმდიდრეს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ხალხთა უბნდვევი მეგობრობის, ამობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თემას. ეს ნაკარნახევი იყო როგორც აღმავალი სოციალისტური ცხოვრების, ისე ქართული მწერლობის საუკუნოებრივი ტრადიციების მიერ, რადგან ქართული მწერლობა ყოველთვის იყო კაცობრივად, მეგობრობის მოსურნე და დღევანდელი გავებით ინტერნაციონალური.

სიმონ ჩიქოვანი არის საქართველოში ერთ-ერთი უპირველესი პოეტი, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცების საპატიო საქმეში, რომელმაც სამაგალითო თანმიმდევრობით, ოსტატობით, გულწრფელობითა და სიყვარულით უმღერა ადამიანთა შორის მშვიდობის და სიკეთეს, ამობის და სიახლოვეს, შრომის და შენებას.

სიმონ ჩიქოვანის მიმართ შეიძლება ითქვას შოთა რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „გული მისცეს ვულისათვის, სიყვარული გზად და ხილად“, რადგან მეგობრობა მისთვის გულიც იყო, სიყვარულიც, გზაც, ხილიც, სიცოცხლეც და კაცური არსობის პურიც.

<sup>3</sup> ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, წიგნი 1, გვ. 85, 86, თბილისი, 1933 წ.

<sup>4</sup> ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 418 თბილისი, 1960 წ.

1. ს. ჩიქოვანი. „ლექსები, პოემა“, გვ. 404, თბილისი, 1960 წ.

2 იქვე, გვ. 439.

ბაკაი განჯაღლი

# რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ფორმირების საკითხი

საბჭოთა პერიოდში რუსთაველის ქმნილების შესწავლას მკვიდრი ნიადაგი შეექმნა. პოეტის ორმა იუბილემ (1937 და 1966 წ. წ.), რომლებიც მთელი ქართველი ხალხის მიერ იქნა მოწყობილი, რუსთაველის, როგორც კემწარბრბად უნივერსალური გენიოსის, მსოფლიო მასშტაბით საბოლოო კანონიზაციას შეუწყვეს ხელი. გამოვიდა ახალი გამოცემები პოემისა. ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის განხორციელება კი, ამომწურავი კომენტარებითა და შენიშვნებით — მომავლის საქმეა.

ჩვენმა წერილმა ეგებ მცირეოდენი წვლილი მაინც შეიტანოს ვეფხისტყაოსნის ავტორის მხატვრულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესწავლისა და ზოგადი მისი სტროფის უკეთ გაგების სფეროში.

1

რუსთაველის პოემაში არის რამდენიმე სტროფი, რომელთა აზრის სწორ გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოეტის მსოფლმხედველობის, მისი ფილოსოფიურ-რელიგიური კრედოს, სამყაროს, როგორც თავისებური მხატვრული მოდელის ასახვისა და, ბოლოს, წყაროებისადმი პოეტის დამოკიდებულების დასახსიატებლად. საკითხების ეს კომპლექსი უნდა იქმნას გათვალისწინებული პოემის ცალკეული ტაეებებისა თუ სტროფების სწორი წაკითხვისა და გასწორების დროსაც. მეტიც: ყოველგვარი თვითნებობა ამ სფეროში უნდა გამორიცხული იქნას და კონტროლი უფლება უნდა მიენიჭოს რუსთაველის ეპოქის იმ მეგობრებს, რომელთაც ვეფხისტყაოსნის ავტორი იცნობდა, აგრეთვე სტილურ ფორმულებსა და ლიტერატურულ რემინისცენციებს, რომელთა პირველწყაროების

პოვნა შეიძლება და რომელთა ანალოგებს ან გამოძახილს აგრეთვე სხვა (სინქრონულად ახლო მდგომ) პოეტურ ნაწარმოებებშიაც ვხვდებით. გენიალური ქმნილების სტრუქტურული ინგრედიენტები უთვალავი — და ზოგჯერ უხილავი — ძაფებითაა დაკავშირებული წარმომშობი ეპოქის ლიტერატურასთან, როგორც მთლიან სისტემასთან.

ამასთან, რუსთაველოლოგიის თანამედროვე დონე გვიკარანხებს უდავო პოსტულატად მივიჩნით რამდენიმე ფუნდამენტური მნიშვნელობის დებულება. აი ისინიც:

ყოველგვარი ლიტერატურა ეპოქის გარკვეულ მონაკვეთში, ამათუ იმ სოციალურ-პოლიტიკური ფორმაციის წიაღშია აღმოცენებული და იგი უკუპროეცირებულია ამ ფორმაციაზე. ყერბოდ, რუსთაველი ქართული განვითარებული ფეოდალიზმის კულტურის უდიდესი წარმომადგენელია, თუმცა ამ კულტურის ზღუდეები მისთვის ვიწროა, — გენიოსი წინ უსწრებს თავის დროს. მიუხედავად ამისა, სრულიად გაუგებარი (და ამასთან დასაგმობი) იქნებოდა, თუ იგი თავისი ეპოქის ტენდენციებს, რეალურ გარემომყაროს და ქართველი ხალხის საუკეთესო მისწრაფებებსა და რელიგიურ-ფილოსოფიურ მრწამსს არ ასახავდა მხატვრულად. რუსთაველის დროს კი ქართველი ერის ყველა დიდი შვილი ქრისტიანი იყო, მათ შორის, რასაკვირველია, უდიადესიც: ვეფხისტყაოსნის ავტორი!

ამიტომ: რუსთაველი არ შეიძლება მიჩნეული იქნას (წარსულში კი ამგვარი ცდები იყო) „ათეისტად“, „წარმართად“, „ურჯულად“, „განდგო-



მილად“, „ერეტიკოსად“, „მამპალიანად“, „მანქეველად“. „პანთეისტად“, „სტოიციტად“ და ა. შ. მომავალში ყოველგვარი ცდა ამ მიმართულებით (ე. ი. ერთგვარი გაღვანისაცია უსაფუძვლო პიპოტეზისა). — წყლის ნაყვა იქნება და მეტი არაფერია.

რუსთაველი — XII საუკუნის ქართველი ქრისტიანია. უბედურება ის იქნებოდა — ასე რომ არ ყოფილიყო!

საშუალო საუკუნეების საქართველოში ქრისტიანული რელიგიის წინაშე პირდაპირი თუ შენიღბული დალატი იყო გზა არა მარტო პროზელიტობისა, არამედ საერთოდ სახელმწიფოებრივი და ეროვნული დალატისაც. ეს უნდა გავიგოთ. ქრისტიანობა, ყველაზე ჰუმანური და პროგრესული რელიგია სხვა რელიგიათა შორის (ამაზე არა ერთგზის მიუთითებენ მარქსი და ენგელსი), ქართველი ხალხისათვის ეროვნული თავდაცვის დროშასაც წარმოადგენდა აგრესიულად განწყობილ მუსლიმურ იმპერიათა გარემოცვაში. საქართველოს სწორედ ამიტომ არ გაუწყვეტია იდეოლოგიური კავშირი ბიზანტიასთან V-XV საუკუნეების მანძილზე. XII საუკუნეში ქართველი ხალხის ყველაზე დიდი შვილი — ამ ხალხის სარწმუნოებას არ უღალატებდა.

აქ ქართულ წინადადებაზე თვით არაბმა აბო თბილელმა აღიარა ქრისტიანობა VIII საუკუნეში! მით უფრო თამარის მეხოტბე არ იქნებოდა „ურჯულ“ ან „განდგომილი“.

რუსთაველის რელიგიური მრწამსი ქრისტიანის მრწამსია, გამდიდრებული ქართული თეოლოგიური ლიტერატურიდან მიღებული ცოდნით და მისი მხატვრულად გამოყენებით. თუ ასეა, მაშინ იგი არ შეიძლება იყოს ერეტიკოსი, არც პანთეისტი, რომლისთვისაც ღმერთი ბუნებაშია გაღობილი, რუსთაველი არ ყოფილა არ მოქალაქე იმეოთა ფილოსოფიური ან რელიგიური დოკმის მიმდევარი, რომელსაც XI-XII სს. ქართული თეოლოგიური აზროვნება თავგამოდებით ებრძოდა (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი...). რუსთაველი, მიუხედავად მისი უნივერსალობისა, ვერ მოსწყდებოდა თავის ეპოქას. პირიქით — იგი ამ ეპოქის კულტურის საუკეთესო მიღწევათა დონეზე დგას, გამოხატავს ჩვენი ხალხის ყველა არსებით ფილოსოფიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ შეხედულებებს, რუსთაველი ამ შეხედულებათა და მისწრაფებათა სუბსტრატს იძლევა, ისიც მხატვრულ ასპექტში, — რუსთაველი რომელიმე სისტემის ილუსტრატორი არ ყოფილა.

ამიტომ, ოდესღაც ასე გავრცელებული ტენ-

დენცია ჩვენი დიდი პოეტის მოღვრნიანობა ერეტიკოსობისა და ქრისტიანობიდან განსწორების მიმართულებით — ამეამდ არა თუ მიუღებელია, არამედ პრინციპულად დასაგმობიც. აგრეთვე რუსთაველის გამოცხადება ეკლექტიკოსად (თითქოს მასში „სინკრეტულად“ იყოს შეზავებული „პანთეიზმი“, „ქრისტიანობის ელემენტები“, „მანიქეიზმი“, „არეოპაგიატიკა“ და ა. შ.) — აგრეთვე გაუმართლებელია. იგი სრულიად არ ასახავს ფაქტიურ ვითარებას: რუსთაველი ფილოსოფიურ-რელიგიურ იდეათა „მოზაიკის“ ოსტატი არ ყოფილა. მაშინ ის რუსთაველი არ იქნებოდა.

რუსთაველის ქრისტიანობა გამდიდრებულია უმთავრესად არეოპაგიტული მოძღვრებით, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ქრისტიანობის შემავალი და ორგანიული, განუყოფელი ნაწილი გახდა უკვე VII საუკუნედან. ეფესისტყაოსნის ავტორი ისევე აზროვნებს, როგორც იმდროინდელი ყველა სხვა ქართველი პოეტი (შაველი, ჩაბრჭაბაძე...) და მთელი ქრისტიანული მსოფლიო (დასავლეთის პოეზიაში ყველაზე დიდი სახელი ამგვარი აზროვნებისა — დანტეა): რუსთაველის „რომელ მან“ სამყაროს შემქმნელი ქრისტიანული ღმერთია, ის „ერთი“ ღმერთი, რომელშიაც წინასწარ იგულისხმება მისი სამება (სამგვაროება ანუ ტრინიტეტი — მამა, ძე და სულიწმინდა): ეს ერთი სამება იგივე „უხილავი ძალია“, სამპიროვანი, რომლის ერთი წევრიც (მეორე პირი) ქრისტეა. ეს ღმერთი მნათობა მიღმა, ემპირიუმში „ჩაეგარდმო არსთა“ ანუ ანგელოზებს მაღლა „ზის“ და იგი „საზღვრებს დაუსაზღვრებს“ ამ უკანასკნელთ (რუსთაველი: „ეინ არს ძალი უხილავი... ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი და მერთად“). ვინც ასე აზროვნებდა, იგი „განდგომილი“ ან „ურჯულ“ კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტი ქრისტიანი.

ჩვენი ეს დებულებანი ვრცელად ქვემოთ იქნება დასაბუთებული.

ქრისტიანობას არ შეუშლია ხელი კათოლიციზმის დედაბოძის ნეტარი ავგუსტინეს (IV-V ს.) ადვოკატისთვის, ფრანჩესკო პეტრარკასათვის (XIV ს.), რომელიც ავინიონის აბატი ანუ მღვდელი იყო, ლაურასადმი მიძღვნილი სატრფიალო სონეტები („კანცონიერე“). ამიტომ დარჩა იგი იტალიის რენესანსული ლიტერატურის მთავარ ბურჯად ამ ლიტერატურის განვითარების სამივე ეტაპზე (XIV, XV და

**აპაკი ბაყრაელი**

რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი



XVI -ს. ს.) ევროპული აღორძინების ეპოქაში არც ერთი ათეისტ-იპოტეტი არ ამალღებულა „ქანცონიერეს“ ავტორის სიღიადემდე. ასეთი ათეისტი პოეტი — უცნობია.

საერთოდ —ევროპული რენესანსი ქრისტიანობის ბაზაზეა დამყარებული. „ადამიანი-სა და ბუნების ხელაზღაპრად ჩენას“ (ბურკჰარდტი) ეს იდეოლოგიური ბაზისი არ მოუხსნია. ქრისტიანობამ შეიწოვა ანტიკური იდეალები და არა პირიქით. რენესანსის საერთო სურათს ცალკეული გადახვევანი სრულიადაც არ სცვლიან. აგრეთვე ასევეტობის, პაპობის ან ობსკურანტობის კრიტიკას ქრისტიანობის გაუქმება არ დაუსახავს მიზნად.

ამ მოკლე შესავლის დასაბრუნს უნდა აღვნიშნოთ წყაროებისადმი რუსთაველის დამოკიდებულების, მისი მხატვრული მეთოდის ერთი თავისებურება. ეს უფრო ნათელს გახდის ჩვენი მსჯელობის ხასიათსაც.

რუსთაველი ან პირდაპირ ასახელებს ავტორს (რომელიმე „ბრძენს“, „წინასწარმეტყველს“ ან „მოციქულს“...), ან კიდევ კონკრეტულ ნაწარმებს, საიდანაც მოაქვს ყველაზე ცნობილი გამოთქმა. რუსთაველი ყოველთვის ლაბიდარულად გადმოსცემს მთელი ნაწარმოების დედაზრს ტიპური და შერჩეული სენტენციის ან რომელიმე რელიგიური თუ ფილოსოფიური დებულების მოტანით. ეს გარემოება ადრეც იყო შემჩნეული. რუსთაველი ამ მხრივაც არ წარმოადგენს გამონაკლისს მისი ეპოქის სხვა პოეტებს შორის (შაველი, ჩახრუხაძე...). ამასთან, რომელიმე ძეგლის ციტირებისას რუსთაველის ტაეპში (ან სტროფში) ყოველთვის არეკლილია თვითონ ძეგლის რომელიმე პასაჟის ერთი ან რამდენიმე ლექსიკური ერთეული (პირდაპირ ან სახეცვლილად). არ მოიპოვება არც ერთი შემთხვევა, რომ პოეტი ამ კანონიდან უხვევდეს. ეს შეკუმშვა დამოუწყებელი პასაჟის ვრცელი შინაარსისა ერთ ან რამდენიმე ტაეპად — რუსთაველის გასაოცარი სტილის დამახასიათებელი თვისებაა. მოკლედ: რუსთაველის დამოკიდებულება წყაროებისადმი ინტენსიურია და არა ექსტენსიური (გავრცობითი). იგი ქმნიდა, როგორც დიდი პოეტი და არა როგორც კომენტატორი.

ყოველივე ზემოთ თქმული უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, თუ იგი ჩვენი მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობის დაჯერებას მოისურვებს.

თავდაპირველად მოვიტანოთ რამდენიმე, საყოველთაოდ ცნობილ მაგალითებს, რომლებიც უდაოდ არიან აღიარებული რუსთაველოლოგიაში.

პოემის 791 სტროფში ნათქვამია:

წაგვიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ?

„სიყვარული აღგვამალღებს“, ვით ეყვანნი, ამას ეღერენ.

ეს ადგილი პირდაპირი პერიფრაზია პავლე მოციქულის შემდეგი სიტყვებისა (წყაროზე პირველად მიუთითეს ვახტანგ VI და კ. კეკელიძემ):

„ხოლო კერპთ-ნაზორევთა მათესს ვიცით, რამეთუ ყოველთა მეცნიერებაჲ გვაქუს; მეცნიერებაჲ განალღებს, ხოლო სიყვარული აღაშენებს“ (I კორინთ. 8, 1).

კორინთელთადმი მოციქულის ეპისტოლეს მოტანილ მუხლიდან მომდინარეობს რუსთაველის კიდევ ორი ტაეპი:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“ (790)

„არას გარგებს სწავლულებს, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“ (902).

იმავე ეპისტოლედან მომდინარეობს, რუსთაველის ტაეპი (რახედაც აგრეთვე კ. კეკელიძემ მიუთითა):

„ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომა“ (1544)

შდრ:

„სიყვარული სულ გრძელ არს...“ (I კორინთ. 13, 4)

„სიყვარული არსადა დავარდების, განა თუ წინასწარმეტყულებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი დავესცხრენ, ვინა თუ მეცნიერებანი განქარდენ“ (I კორინთ. 13, 8). და ა. შ.

მკითხველი ხედავს, რომ რუსთაველს გულდამსიჟ უკითხავს ახალი კლტქმა („წაგვიკითხავს?“ — ეს შეკითხვა თვითონ პოეტს აქვს); იგი კორინთელთადმი I ეპისტოლეს რამდენიმე მუხლის შინაარსს მოკლედ და შედეგებულად გადმოგვცემს, ოდნავ სახეცვლილი ლექსიკური ვარიაციებით (რუსთ.: „სიყვარული აღგვამალღებს“ — მოციქ. „სიყ-

ვარულ ალაშენებს“). იქვე ეპისტოლეს ვრცელი ადგილი მართოდენ „მეცნიერების“ (ე. ი. ცოდნის, სწავლულების) უსარგებლობაზე რუსთაველთან აგრეთვე ვაღმოცემულია მოკლე (რუსთ. „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს...“ შეად. მოციქ.: „არას გარგებს სწავლულება, თუ... და სხვ. ასევე: მოძღვრება სიყვარულის ხანგრძლივობაზე, რომელსაც დასახელებული ეპისტოლეს რამდენიმე მუხლი ეძღვნება, რუსთაველს ლაბიდარულად აქვს ვაღმოცემული: „ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდობა“. შდრ. „სიყვარული სულ ვრძელ არს...“ და „სიყვარული არასადა ვაღარდებს...“).

რუსთაველი მოხიზლულია პავლეს ეპისტოლეს. იმ მუხლებით, რომელიც მთელმა ქრისტიანულმა მსოფლიომ ზემირად იცოდა.

მეორე მაგალითი.

ავთანდილის ანდერძში ნათქვამია (789, 3-4):

მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან  
სწავლა-თქმულსა:

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა,  
მერე სულსა“.

მეორე ადგილას:

რადგან თავია სიცრუე ყოვლისა  
უბედობისა (790, 1).

ამ გამოთქმათა წყარო ძველ-ქართულ აპოფთეგმების კრებულში იქნა მიგნებული (პ. ინგოროყვა), მიეწერება პლატონს და ასე გამოიყურება:

„შური და ტყუილი და ორპირობა თავა ყოვლისა უბედურებისა“.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ბერძენი ფილოსოფოსის სიტყვები ზოგიერთების მიერ მიჩნეული არაა მის ნამდვილ სენტენციად. ზოგის აზრით, პლატონს რუსთაველი თითქოს ჰაბეულებს უმთავრესად როგორც საყოველთაოდ აღიარებულ ბრძენსა და ავტორიტეტს, სხვა კი კატეგორიულად აცხადებს—რუსთაველის მიერ ციტირებული სიტყვები „რასაკვირველია“ (?) პლატონს არ ეკუთვნისო.

მორის ბოურა (C. M. Bowra) წიგნში „შთაგონება და პოეზია“ (Inspiration and Poetry, London, 1955) ამბობს, რომ რუსთაველს ზუსტად მოაქვს ციტატა (იხ. მორის ბოურა. „ვეფხისტყაოსანი“ თბ., 1966, გვ. 4: „...პლატონის მარჯვე ციტირება...“), მაგრამ თუ რომელი ტრაქტატიდან — ამას არ აღნიშნავს.

რუსთაველის უშუალო წყარო, რა თქმა უნდა, ძველ-ქართული აპოფთეგმების კრებულია, მაგრამ შეიძლება ამ კრებულში თვითონ პლა-

ტონის ნამდვილი გამოთქმა მოხვედრილი? ამიტომ საჭიროა უდიდესი ელინელის არამარტრად მდინემ დიდად პოპულარული დიალოგის ცოდნა, რომ ნაუცბათევი დასკვნა არ გამოვიტანოთ. ვინ იცის — მომავალში შეიძლება მართლაც მოიძებნოს ქართული თარგმანის უშუალო წყარო, რაც მგონი გარკვეულ უხერხულობას შექმნის.

რუსთაველის მიერ პლატონის დამოწმება სრულიად ორგანულია პოეტის დროის მხატვრული, ფილოსოფიური და ისტორიოგრაფიული ძეგლების ფონზე. ქართველი მხატვრები ხშირად ასხენებენ პლატონს სხვა დიდ ბერძენ ფილოსოფოსებთან ერთად (სოკრატე, არისტოტელე და სხვ.). მაგრამ რუსთაველი არც ერთხელ არ ასხენეს ბერძენული ოლიმპოს დემოთებს—იგი, როგორც ქრისტიანი პოეტი, რადიკალურადაა გამიჯნული ანტიკური წარმართობისაგან. მაგრამ „წარმართი“ პლატონი მისთვის ისეთივე დიდი ბრძენია, როგორც ქართველი მემკვიდრეებისა და მუხობტეებისათვის. მაგ. „ქართლის ცხოვრება“-ში ნათქვამია:

„ვითარცა იტყვცა დღეთა ბერძენთა  
ხედვისა პლატონ: „კეთილ კეთილ-  
თათჳს არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი  
ბოროტისათჳს ბოროტ“ (ქ. ცხ-ა, ს. ყაუხ-  
ჩიშვილის რედ. თბ., 1959, ტ. II, გვ. 53.  
შდრ. იოანე პეტრიწი, შრომები. II, გვ. 32-35).

ან კიდევ ერთი ადგილი მათიანედან „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“:

„...სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა  
შორის“ (ქ. ცხ-ა, II, გვ. 3).

შდრ. ჩახრუხაძე:

- I, 4: უმბროს, პლატონ, სიტყვა და მატონ.
- II, 23, 15. პლატონის ენა, დავითის ქნარო.
- VIII, 54: პლატონს მუსიკი მწყობრ შენახმეველ.

აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ „სოკრატეს, პლატონის და არისტოტელეს გამოხატულებას, როგორც ქრისტიანობის წინამორბედებისა, ხშირად ევლესიის კარიბჭეშიაც კი ათავსებდნენ“ (კ. კეკელიძე, ქ. ლ. ისტ., II, გვ. 269).

პეტრიწონის მონასტრის სატრაპეზოს კედელზე კი უცნობ მხატვარს 1643 წელს მოუხატავს ქრისტეს გენეალოგიურ ხესთან ერთად „სოკრა-

#### აპაპი ბაწერელია

რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი

ტე, არისტოტელე, დიოგენე, ბერძნული კომედიის მამა არისტოფანე და სხვები, რასაკვირველია, უნიმზოდ\*.

3.

ამის შემდეგ მოკლედ შევეხებით იმ სტროფებს, რომელთაც უფრო ღრმად შევეყვართ რუსთაველის რელიგიური მრწამსის სფეროში და რომელნიც, წინა\*\* მაგალითების მსგავსად, აგრეთვე ნათელყოფენ წყაროებისადმი პოეტის დამოკიდებულების ხასიათს.

1492-ე სტროფში რუსთაველი ახსენებს „ბრძენ დივნოსს“:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოსს  
გააცხადებს:  
ღმერთი კარგსა მოავლინებს და  
ბოროტსა არ დაბადებს.

ე. შანიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემაში (1966) პირველი ტაეპი ასე იკითხება:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენ დივნოსს  
გააცხადებს.

ორივე შემთხვევაში იგულისხმება „დიონოსე“.

ყველაზე ადრე ვახტანგ VI აღნიშნა, რომ ეს „დივნოს“ — ფსევდო-დიონისე არეოპაგე-ლია:

„ამ საქმესა: აქ დიონისე არეოპაგელს მოწმობს: დიონისე იტყვის ღთს ყველა კათოლიკე დატყუალებიაო. მაგრამ თუ კაცი აეს იქს იმის ბრალიაო. შესავლათაცა უთქვამს და თავისი სიბრძენე გამოუჩენია ეს წიგნიც. წამიკითხავსო...“ (გვ. ტნა).

ვახტანგ VI მართალია: რუსთაველს ზედმიწევნით კარგად ჰქონდა შესწავლილი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის „წიგნი“ (წიგნები), ქართულად თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ XI ს-ში. მაგრამ სანამ ამ წყაროდან მოვიტანდეთ პარალელებს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ფაქტი, ჩვეულებრივ იგნორირებული რუსთველოლოგიაში (არავინ მას არ აღნიშნავს):

პოემის უორდროისიუელ თარგმანში (1912) ამ სტროფიდან დაკავშირებით ოლივერ უორდროი კომენტარში მიუთითებს (თბილ. გამოც. 1966, გვ. 329): Cf. Migne, Poitrologia, vol. CXXii., De divinis nominibus, cap. iv., 1141. C «non igilur ex Deo malum», 1142. C «malum instabile est».

ოლივერ უორდროისათვის საეჭვო არაა, რომ „დივნოს“ — ფსევდო-დიონისე არეოპაგელია.

\* ა. ურტუშაძე, ქართული კულტურის კვრატულგარეთში, 1969, გვ. 54.

უეპველია — ოლივერ უორდროის არეოპაგელის ტრაქტატის „საღმრთოთა სახელთაჲთა (ადე დივნის ნომინიბუს“) სათანადო ადგილები აპოენინა ვახტანგ VI-ის კომენტარში. ვახტანგის გამოცემის შენიშვნები მისთვის ცნობილი ყოფილა, რაც კარგად ჩანს ინგლისური თარგმანისათვის დართულ მიბლიოგრაფიულნი (იქვე, გვ. 365: «(0) King Wakhtang: Preface to Tiflis edition of 1713 (?)».

ამრიგად, რუსთაველოლოგიაში პოეტის სტროფში („ამ საქმესა დაფარულსა...“) ასახული არეოპაგითული მოძღვრება ბოროტისა და კეთილის შესახებ დოკუმენტური მითითებით პირველად გვხვდება უორდროისეული თარგმანის (1912) შენიშვნებში. ეს ოლივერ უორდროის დამსახურებაა და დავიწყებული არ უნდა იქნას.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი (ბერძნულად და მისი ლათინური თარგმანი) დაბეჭდილია მინის ცნობილ „პატროლოგიაში“, რომლის ტომსაც ოლივერ უორდროი უთითებს. აქედან მოჰყავს მას ორი ფრაზა ფსევდო-დიონისეს ტრაქტატიდან „საღმრთოთა სახელთათვის“ (ოლივერ უორდროი, რასაკვირველია, არ იცნობდა XI ს.-ში ქართულად თარგმნილ იმავე ძეგლს, რომლითაც რუსთაველი სარგებლობდა):

1. „ნონ იგიტურ ექს დეო მალუმ“ — „ღმერთისაგან არაა ბოროტი“

და  
2. „მალუმ ინსტაბილე ესტ“ — „ბოროტი არა მტკიცე არს“.

რუსთაველს არა მარტო ღრმად აქვს შესწავლილი (ეფრემ მცირეს თარგმანების მეშვეობით) ფსევდო-დიონისეს თხზულებანი, კერძოდ, მისი მოძღვრება ბოროტი<sup>1</sup> და კეთილის შესახებ. არამედ მას ამ დიონისეს კონკრეტული დებულებანიც აქვს ნაგულისხმევი „დივნოსის განცხადება“-ში.

კეთილისა და ბოროტის შესახებ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ვრცლად მსჯელობს განსაკუთრებით ტრაქტატიში „საღმრთოთა სახელთათჳს“\*\*.

რუსთაველის სტროფი ლაკონურად გადმოსცემს, როგორც მის ავტორს<sup>1</sup> სჩვევია, ფსევდო-დიონისეს ტრაქტატის მთელი თავის დედაპირს. კეთილისა და ბოროტის გამოჭენა, კეთილის ღვათებრიობისა და მისი მარადიულობის (შდრ.

\*\* იხ. პეტრე ბერიელი: (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. ეფრემ მცირის თარგმანი. სამსონ ენტიპაშვილის რედაქციით. თბ., 1961, გვ. 29-58, თავი დ.).

რუსთ.: „არსება მისი გრძელია“) კონსტატაცია, ხოლო ბოროტის ხანმოკლეობისა და ბოლოს მისი არსად და არასოდეს არსებობისა, — ასეთია დედააზრი ტრაქტატისა „საღმრთოთა სახელთათვის“, კერძოდ, თხზულების მეოთხე თავისა: „სახიერებისათვის, ნათლისათვის, კეთილისათვის, ტრფიალებისათვის, განკვირვებისათვის, შურისათვის და ვითარმედ ბოროტი არცა არს არს, არცა არსისგან, არცა არსთა შორის“ („შრომები“, 29-38).

კეთილის დასაბუთებას ეძღვნება ტრაქტატის მეოთხე თავის 7-10 პარაგრაფები. უკანასკნელ (მე-10) პარაგრაფში ფსევდო-დიონისე ამბობს: „და რაათა შემოკლებულად ვთქუთ: ყოველნი არსნი კეთილისაგან არიან სახიერებისა და ყოველნი არა არსნი ზეშთაარსებისა კეთილისა შინა არიან და სახიერებასა. და იგი არს ყოველთა დასაბამ და დასასრულ ზეშთადასაბამისა და ზეშთადასასრულისა“. (გვ. 38).

მოკლედ ამასვე ამბობს რუსთაველიც:

„ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია“.

ბოროტის გავებასა და მის სრულ ნეგაციას კი ეხება ტრაქტატის §§ 18-34 („შრომები“, 43-57).

ფსევდო-დიონისე ასაბუთებს, რომ ბოროტი არა თუ ღმერთში, ეშმაკშიც არაა. ამიტომ ყოველგვარი ბოროტება, არა თუ „ნაკლოვანებაა“, არსებითად იგი ეფემერულია — წარმოვლი და არა მტკიცე; მეტიც: იგი საერთოდ არაა. ფსევდო-დიონისე დაასკვნის უკანასკნელ პარაგრაფში (§34. გვ. 57):

„არასადმე არს არს ბოროტი, არცა არსთა შორის არს ბოროტი, რამეთუ არა-სადა არს ბოროტი... ხოლო ბოროტ-ყოფა არა ძალისაა არს, არამედ უძლურებისაა და ეშმაკთა, რომელი — იგი არიან, კეთილისაგან არიან და კეთილ არს არსება მათი“.

რუსთაველი არ ღებულობს ბოროტის ამ მისტიკურ და უქილურეს ნეგაციას (ამაზე ცოტა ქვემოთ), მაგრამ მისთვის უშუაველ ქეშმარიტებას შეადგენს ფსევდო-დიონისეს შეხედულება, რომ

„ვიანაცა არა ღმრთისა მიერ არს ბოროტი, არცა ღმრთისა შორის არს ბოროტი და ბოროტი არა საღმრთო არს“ (შრომები, გვ. 49. შდრ. ეიკალოვიჩის თარგმანი: «Итак, значит, не в боге зло, и зло не божественно: И не от бога происходит зло» (Псевдо-Дионисий Ареопагит. О божественных име-

нах. Перевод Игумена Геннадия (Енкаловича), Буенос-Айрес, 1957, გვ. 64).

და ბოლოს:

„და ბოროტი დაუღვრომელ არს“ („შრომები“, 51)

რუს.: «Однако зло не постоянно» (გვ. 66).

ესაა სწორედ ოლივერ უორდროპის მიერ ფსევდო-დიონისეს ტრაქტატის ლათინური თარგმანიდან მოტანილი ციტატა: „მაღლემ ინსტამბილემ ესტ“, რომელსაც აგრეთვე იმოწმებს ვ. ნოზაძე (თუმცა უორდროპის კომენტარზე არ უთითებს). იგი წერს:

„რასაკვირველია, ბოროტს ხანგრძლივობა არა აქვს; ბოროტს აქვს მხოლოდ სიმოკლე.“

ფატმანი განთავისუფლებულ ნესტანს შეხვედრისას — ეტყვის: „ღმერთო რა გმსახურო. გამინათლდა რათვან ბნელი! ცვან სიმოკლე ბოროტისა... (1435).

სწორედ იგივე აზრი აქვს გამოთქმული დიონისე არეოპაგელს, ბოროტის სიმოკლის გამო, როდესაც ამბობს (725. ა): ბოროტება მყარი არ არისთ. ანუ ეფერმე მცირეს ნათარგმნით:

„და ბოროტი დაუღვრომელ არს“, რაც ლათინურად არის ნათქვამი სიტყვით — „მაღლემ ინსტამბილემ ესტ.“ ესე იგი: ბოროტება არ არის ხანგრძლივი; იგი არის მერყევი, მოკლე.

მასადამე, ფატმანი იმასვე იმეორებს, რაც დიონისე არეოპაგელს უთქვამს\*.

ღმრთისაგან მოდის ყოველი კეთილი, იგი თვითონაა დაუსაბამო კეთილობა — „სახიერება“, რასაც ბოროტი მოკლებულია. ამ აზრს რუსთაველი ხშირად იმეორებს. აი სხვების მიერაც არა ერთხელ მოტანილი მაგალითი, რომელიც ჩვენ აქ გვიანტერესებს ფრაზეოლოგიურადაც:

იტყვის: „ღმერთო, რა გმსახურო, გამინათლდა რათვან ბნელი! ცვან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (1435). მთელს პოემაში, აგრეთვე ეს მოტივი ქდერს: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია (1361, 4)

რამდენიმე ტაპის ფარგლებში ანტითეზების

\* ვიქტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება. პარიზი, 1963, გვ. 141.

აპაკი გაუჩინელია  
რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური  
აზროვნების ზოგიერთი საკითხი

(„ბოროტისა“ და „კეთილის“) ასეთი მიჯრით განლაგება განმარტავს ანალოგიურ განლაგებას 1492-ე სტროფის მე-2 ტაქტში:

ღმერთი კ ა რ ვ ა (კეთილს) მოაგლინებს  
და ბოროტსა არ დაბადებს.

„ქარგი“ — „კეთილის“ ლექსიკონი ვარიაციაა. ეს რუსთაველის სტილის თვისებაა (შდრ. რუსთაველის „სიყვარული აღგვამაღლებს“ და პავლე მოციქულის „სიყვარული აღაშენებს“). რუსთაველი მუდამ ანალოტიურად უსტრ სტილისტურ დუბლიკატს რომ ქმნიდა — იგი დიდი პოეტი და სტილისტი არ იქნებოდა!

და მაინც: ერთი და იგივე აზრი მეტწილად ერთი და იგივე სიტყვებითაა გამოთქმული ფსევდო-დიონისესთან და რუსთაველთან — პირველთან ვერცხლად, ხოლო მეორესთან — მოკლედ. ვეფხისტყაოსნის ავტორი ნვეულებრივ მთელი ტრაქტატების ძირითად დებულებათა სუბსტრატს იძლევა.

ეს თვისება, ვიმეორებთ, ნიშნავს არამარტო რუსთაველის მხატვრული აზროვნებისა, არამედ მისი პოეტისაც.

#### 4.

მთელი რივი მკვლევარები ფსევდო-დიონისეს აზრს ბოროტისა და კეთილის შესახებ რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად აცხადებენ. ამ მკვლევართა შეზღუდულებანი კარგად ცნობილია და მათი მიმოხილვის საჭიროება არცაა.

მაგრამ, მიუხედავად ფსევდო-დიონისეარეობაგელისაგან რუსთაველის დიდად დამოკიდებულებისა (და ამის სხვა მაგალითებს ქვემოთ კიდევ მივუთითებთ), ვეფხისტყაოსნის ავტორი მთლიანად მის ადებტად არ ჩაითვლება. ამიტომ ამთავიფივე გვიჩნდა აღნიშვნით. თუ რა პუნქტებში ხედებიან და სად სცილდებიან ისინი ერთმანეთს.

რუსთაველისათვის ზედმიწევნით ცნობილია ფსევდო-დიონისიური დამახიათება ღვთაებისა „და აღდებით“ და „უარყოფითი“ ნიშნებით. ამიტომ, რომ იგი ხშირად ერთ ტაქტში აერთებს ღვთაების როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ატრიბუტებს, მაგ.:

„ეინ არს ძალი უხილავი, შემეწე ყოვლა მიწერიად!“

„უხილავი“ — ნეგატიური თვისებაა უხილავისა (ე. წ. ანთატიკა), „შემეწე“ კი — პოზიტიური ატრიბუტი მისი (ე. წ. კატატიკა).

რუსთაველის მთელი რივი ასეთი განსაზღვრებანი ღვთაებისა მეტწილად ფსევდო-დიონისე არეობაგელის („ბრძენი დიონისი“), V ს.) თეოლოგიურ დებულებათა წრეში ექცევიან. ამისგანვე მომდინარეობს პოემაში ზემოთ აღნიშ-

ნული იდეა სიკეთის ხანგრძლივობისა და ბოროტის ხანმოკლეობისა (პირველის გრძელობისა“ და მეორის საბოლოო „დაძლევისა“). ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტებია.

მანანა გვიგინიშვილმა თავის შესანიშნავ ნაბეჭევეში (იხ. ძვ. ქართ. მწერლობის საკითხები. წ. III) საბოლოოდ დაასაბუთა, რომ რუსთაველის „ერთობისა ერთისა“ („ერთობისა ერთისა, მის უყვამოსა ეამისა“) ღვთაების სამეხასთან ერთად გულისხმობს მის მეორე პირს ქრისტეს და რომ „მზიანი დამე“ და „უყვამო ყამიცი“ მაცხოვარს აღნიშნავს. რუსთაველის ტრინიტარისტობის უარყოფა ამიერიდან განვიღო ეტაპად უნდა ჩაივალოს რუსთაველოლოგიაში (ამაზე უფრო ვერცხლად — ქვემოთ).

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: რუსთაველი — მოზროვნე — ეკლექტიკოსი არ ყოფილა. „ვეფხისტყაოსნისა“ ქრისტიანული აგენტი სრულიად ხმავს და აქარწყლებს ყველა სხვა მოჩვენებობისა და „უცხო“ აგენტებს („ათეისტობას“, „პანთეისტობას“, „ერეტიკობას“, „მანიქეველობას“, „ურწმუნობას“, „განდგომილობას“, „სტოიციტობას“ და სხვა „ისტობას“). დომინანტის პრინციპიერტეულება არამარტო პოემის სტრუქტურულ ელემენტებზე, არამედ პოეტის მხატვრული აზროვნების სფეროზედაც.

ისევ უნდა ვავიმეოროთ შესავალში თქმული: თამარის ეპოქაში ეროვნული სარწმუნოების წინაშე დალატი პირდაპირი ვა იყო არამარტო რელიგიური პროზელატიზმის, არამედ პოლიტიკური რწენვატობისაც. ასეთ შემთხვევაში ქართველი ხალხი რუსთაველის პოემას მართლაც „მეორე სახარებად“ არ მიიჩნევდა.

მაგრამ აქ ერთი კორექტივი.

ფსევდო-დიონისესთან (მაგ. ტრაქტატში „სლმობითა მიხელთოს“) ბოროტის ნეგაცია ბოლომდე მიყვანით — ბოროტი არამარტო „და აღდგომელია“, „ნაკლულევიანებაა“, შემთხვევითი თვისებაა საღმრთო ნერვისა (ე. წ. „სამბეხეკოს“), არამედ არსად და არაფერში (თვით ეშმაკშიც) იგი არაა საერთოდ (იხ. ზემოთ) — ამონაწერები დიონისე არეობაგელის ტრაქტატიდან ამ საკითხზე). ღმერთს უფრო ახასიათებს ის, რაც ის არ არის („უხილავია“, ე. ი. მისი ბილვა არ შეიძლება: „უცნაურიია“, ე. ი. შეუცნობელი; „უთქმელია“, ე. ი. მისი გამოთქმა არ შეიძლება და ა. შ.), ვიდრე ის, რაც იგი არის (მაგ. რომ ის „კეთილია“, „შემეწე“, „სახიერი“, „არსი“, „ცხოველმყოფელი“, „ბრძენი“; თვითონა „ცხოვრება“; იგი



„ზრდის და სციის“, „განახლება“, „შეერთებას და განატობას“, „დაამყარებს და აღმოაცენებს“ და ა. შ.), ე. ი. ეფრემ მცირის თარგმანით რომ გამოთქვათ — უზუნაისი „არა რაა-ი გი არს, არამედ რაა-ი გი არა არს“ („ზეცისა მღვდელმთავრობისათჳს“\*, საბოლოოდ ღმერთი ყველა „გარძნობადზე“ თეი ბ.ჭ.შ.) მცირისეული თარგმანი ტერმინისა. თავი ბ.ჭ.შ.) და ტნობიერი ვითარების შემოთაა. არ არსებობს „ზეშთა არსის“ ამომწურავი პრედიკატები — ღვთაების არც წარმოდგენა შეიძლება, არც დახასიათება, არც განსაზღვრა, ე. ი. მისი „ცოდნა“ არ შეიძლება. ამრიგად, ფსევდო-დო-ლიონისთან კატაფატაკურ ღმერთის-მეტრეველებმაზე (ეფრემ მცირით — „წართქუშითი ღმრთის-მეტრეველებმა“) ამაღლებულია აპოფატაკურით ღმრთისმეტრეველება (ეფრემ მცირით „უკუთქუშითი ღმრთის-მეტრეველებმა“). ყველაფერზე აღმატებულობისა და ძლიერების გამო, ღმერთი, რომელიც „ძალთა დამბადებელ შემძლებელია“, თვითონ არის „ძალი უთქმელი და უცნაური და მოუგონებელი“, „ძალმყოფელი ძლიერება“, „ყოველთა უზეშთაისი“. იგი „ძლიერებას უძლურ ყოფს“, ხოლო „უძლურებას ძლიერად“, მაგრამ ენერგიის გამოვლენის ყველა ასპექტი იგი ყველაფერზე მაღლა და გარშეუწერელია. ღმერთის ენერგია განფენილია ბუნებაში, სამყაროში მოლიანად, მაგრამ იგი მეტია, ვიდრე ბუნება და სამყარო: „მისი არს ყოფაა ზოლო თვით იგი არა ყოფაა არს“, „მას აქუს ყოფაა, არა თუ იგი აქუს ყოფასა“. (იხ. ტრაქტატი „საიდუმლოდ ღმრთისმეტრეველებისათჳს“). ღმერთი არსებითად გონებისათვის მიუწვდომელი უნივერსია, ზემოთ ჩამოთვლილ ატრიბუტებს მოკლებულია, იგი მისტიკური „არაფერი“ ანუ „არცაა“, რადგან „არცა რას შინა არს ატცა რაა აქუს მათჯანი“ (იქვე, თავი დ.). ასეთი ვაგება რადიკალურად გამოირცხვენს პანთეიზმს\*\*. უდიდესი მის-

ტიკოსი ქრისტიანის პანთეისტად მიჩნევა და გზით რუსთაველის გამოცხადება მის მიმდევრად — სრული ვაგებობაა. ფსევდო-დო-ლიონისეს ქრისტიანულ თეიზმსა და პანთეიზმს შორის ღრმა უფსკურულია. ფსევდო-დო-ლიონისე და რუსთაველი პანთეისტები არ ყოფილან არც ერთი წამით.

ზოგი მეკლდეარი შეადგინა იმ ვარემოებაში, რომ ფსევდო-ლიონისესთან აპოფატაკას მინიჭებული აქვს უპირატესობა კატაფატაკასთან შედარებით. ღმერთის დახასიათება საერთოდ არაფრით არ შეიძლება, ყველა განსაზღვრა უმწეოა, მაგრამ ეს თვითონ კატაფატაკის ვაუჭქმებას სრულიად არ ნიშნავს. ავიწყდება, რომ ფსევდო-ლიონისეს აზრით, აპოფატაკურ განსაზღვრებებისათვის უპირატესობის მინიჭება სწორედ ღმერთის არსებობასთან ერთად მის უნივერსალობაზე მითითებას გულისხმობს: ღმერთის არც „მოკლება“ შეიძლება, არც „მატება“ (მიძვება). ფსევდო-ლიონისე პირდაპირ წერს: „...ფრიად რაა მე უპირატესობით ზეშთა მყოფ არს იგი მოკლებათა და უზეშთაეს ყოველთა მატებთა და კლებათა“ („საიდუმლოდ ღმრთის-მეტრეველებისათჳს“, თავი ა. შ. 3). იოანე მოციქულის „ჩანთელი (რომელიც) ბნელსა შინა ჩანს“ ანუ ღმრ-

თეობაიტიკაში ნეოპლატონური მეტაფიზიკის ანარქლის ვარდა არაფერს არ ზედავენ და გვერდს უვლიან თვითონ ძირითად ბირთვს ფსევდო-ლიონისეს მოძღვრებისა. იგი წერს: «Весьма понятно, при таких условиях обычные заявления о «пантеизме» и «эманатизме» Дионисия Siebert (Die Metaphisik und Ethik des pseudo-Dionisius Areopagitica, Iena, 1894) легкомысленно приписывает Дионисию «динамиче Pantheismus», повторяя выражение Zeller'a, справедливо отнесенное к системе Плотина» (В. Н. Лосский. Отрицательное богословие в учении Дионисия Ареопагита. «Seminarium Kondavianum», III, 1929, Prague, стр. 137, შენიშვნა. ჩვენს შრომაში — ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან — ამ საკითხზე ვრცლად ვეძინება საუბარი. დანტეს „პანთეიზმიც“ სერიოზულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამანადგურებელი კრიტიკის საგნადაა ქცეული სწორედ არეობაიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

**აპაკი გაჟარელი**  
 რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზომიერითი საკითხი

\* შტრ. რუსული თარგმანი: «...не то, что Он есть, но что Он не есть» (Святого Дионисия Ареопагита о небесной иерархии. М., 1843, стр. 8).

\*\* ჩვენ ძალიან შორს წავეყვანა ფსევდო-ლიონისეს პანთეისტად მიჩნევის ისტორიის მომხილვა. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ არც ერთი სერიოზული სპეციალისტი არეობაიტიკისასეთ (აბსოლუტურად ყალბ) ვაგებას არ იზიარებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ფსევდო-ლიონისე არეობაეგლის შესახებ ერთ-ერთი შენიშვნა ნარკვევის ანტორის ე. ნ. ლოკისი შეხედულება იმ ისტორიკოსებზე, რომელნიც

თი — დონისესთან იქცევა „არცად“, ე. ი. აპო-  
 ფატის უმაღლეს საფეხურზე უნივერსი ქრე-  
 ბა, როგორც ჩვეულებრივი გონებისათვის,  
 უნივერსალ მისაწვდომი და სახილველი. ჩვენს  
 გონებს შეუძლია შეადგინოს ამ „არცა“-ში მხო-  
 ლოდ როგორც „ნისლში“ („გნოფონ“);  
 სადაც „ღმრთის მკვიდრობა არს“ და სადაც  
 რისამე „მოგონება“ და რაიმე „სიტყვა-  
 ბა“ (ე. ი. სპირიტუალური დეტალების ატრიბუტ-  
 ბის აღნიშვნისა) — სავსებით მოხსნდება. ამ-  
 რიგად, ფსევდო-დონისესთან ეს აღმართ-  
 ვლა აღმინანის გონებისა მთავრდება მისტი-  
 კურ ნისლში მოხვედრით: „ვინაჲთ გან  
 რაოდენ აღმართვიხილვიდეთ“ და  
 „რაჲმას ზეშთაგონებისასა მას  
 ნისლსა შევიდოდეთ, არაღრა მცო-  
 რედ სიტყუაობასა არამედ ყო-  
 ლითურთსა უტყუებასა და მო-  
 გონებლობასა ეპპოვებთ“ (იქვე,  
 თავი გ. „ეთარამედ არიან წართქუმითნი ღმრ-  
 თის-მეტყუელებად ანუ რანი არიან უუთქუმითნი-  
 ნი“). ფსევდო-დონისეს მიხედვით, ნისლში  
 შედწმული გონების მიერ დეტალების „ჩვერ  
 მხილველობა“ და „უმეცრებითა  
 ხილვა“ (ე. ი. უხილველობა) სწორედ სრულ-  
 ყოფილი გზა უზეშთაგონის ნამდვილი ხილვისა  
 და ცნობისა: „ამას ზეშთა ნისლსა ში-  
 გან ქმნად ვილოცოთ ჩუენცა და  
 ვერ მხედველობითა უმეცრებითა  
 ხილვად და ცნობად უზეშთაგონისა  
 ხილვისა და ცნობისასა თუთ მით  
 არა ხილვითა და არცა ცნობითა.  
 რამეთუ ეს არს ნამდვილევ ხილ-  
 ვად და ცნობად“ (იქვე, თავი ბ). ამიტომაც,  
 რომ ამ განყენებული აპოფატის მწვერვალზე  
 „ერთი“ და „სამება“ ანუ „ღმერთი“  
 „არცა ძალ არს, არცა ნათელ, არ-  
 ცხ ცხობა არს, არცა არსება,  
 არცა საუკუნე, არცა უამ... არცა  
 ქელოვნება; არცა ქეშმარიტება.  
 არს, არცა მეუფება, არცა სიბრ-  
 ძნე, არცა ერთ, არცა ერთობა,  
 არცა ღმრთება, გინა სახიერება“  
 (იქვე) და ასე დაუსრულებელი „არცა“.

მაგრამ დიდ უმეცრებას გამო-  
 ვიჩენდით, თუ ფსევდო-დონისეს  
 ამ „არცაში“ დეტალების არსებო-  
 ბის უარყოფას ვიგულისხმებდით.  
 დონისეს თეოსოფურ-მისტიკური ნეგაცია  
 (რომელიც შესანიშნავად თავსდება მის სპექ-  
 ლატურ — თეოლოგიურ სისტემაში), შეიძლება  
 ითქვას; მსოფლიო მასშტაბით განუმეორებელი  
 აპოლოგია ტრანსცენდენტური ღმერთისა, ამ  
 უნივერსთან მიხედვით გზა მოჭრილი არაა.  
 პირიქით: ყველაფერი ღმერთისაგა-  
 ნაა გამოსული და ღმერთს უნდა  
 დაუბრუნდეს, ყველა არსების სი-

ცოცხლის მიზანი ღმერთთან „მე-  
 სგავსებაშია“. აღამიანს შეუძლია ღმერ-  
 თამდებ ამაღლება. მის საიდუმლოთა მიხედვით  
 მასთან „გაერთიანება“. ეს კი რჩეულია ხელ-  
 რია და შესაძლებელია რამდენიმე საფეხურის  
 გავლით: ყოველგვარი „გზრობადის“ დათრგუ-  
 ნით ანუ განწმენდით („ქათარონი“);  
 გონების აზრისაგან სრული დაცარიელების  
 („უაზრონი“) შემწეობით ნამდვილი სუ-  
 ლიერი ნათელხილვის მოპოვებით ანუ  
 განათლებით („ფოტისმოს“). დეტა-  
 ლების მისტიკური შეცნობით ანუ სრულყოფი-  
 ფით („ტელეოზისი“)\*, ლოცვისა და ექს-  
 ტაზის რითი (დონისეს იგონება მოსეს  
 ექსტაზს, როგორც მაგალითს). ესაა გზა თეო-  
 სონ აღამიანის გაღმერთებისა, ეფრემ მცირით  
 „გაღმერთობისა“ („თეოზისი“): „ხო-  
 ლო განმდღრთობაა არს ღმრთისა  
 მიმართ, რაოდენ დასატევენელ არს.  
 მსგავსებად ეერთობა“ („საეკლესიო მღვდლო-  
 მთავრობისათვის“, თავი ა. 3.). ასევე უნივერსალ-  
 მისტიკა ამაზე „შორს არ წასულა (მაგრამ ეს ისე არ  
 უნდა გაივლით, თითქოს აღამიანი თვითონ შეიძ-  
 ლება უნივერსალ მოგვეცინოს, ფსევდო-დო-  
 ნისეს სიტყვები ასეთ გავგზას გამოიჩინებს,  
 — დონისეს მხედველობაში აქვს დეტალებზე „ნა-  
 თელთან“ თანაზიარობა, და არა აღამიანის მარ-  
 თლა ღმერთად (სამებად) ქცევა.

რუსთაველი კი რჩება ამ ქვეყნად. „რტურა  
 საბაღნაროში“, „კაცთათვის მოცემულ ქვეყანა-  
 ში“, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივ ეშმაკის  
 წილნაზიარობაა. ქრისტიანულ-ასეკტურ კვე-  
 ტიზმს (სიმშვიდეა და მორჩილებას) რუსთავე-  
 ლი უარყოფს. თუ პოეტის ქმნილებაში ზეცის  
 მხატვრული მოდელი, დანტეს-მსგავსად, მთლი-  
 ანად ფსევდო-დონისეს „ზეციური იერარქიის“  
 მიხედვითაა აგებული (ამ საკითხს ეძღვნება ჩვე-  
 ნი ვრცელი ნაშრომი); სამაგიეროდ ამ ქვეყნად  
 იგი კეთილთან ერთად ხედავს ბოროტს, და ან-  
 ტაგონისტურ საწყისთა გამოყენებას და პოლარი-  
 ზაციის არსებობის დაშვების დროს რუსთავე-  
 ლი აქტიური ბრძოლის მქადაგებელია. აქედან  
 მომდინარეობს რუსთაველის პრინციპულად ან-  
 ტიცივიტისტური, შეურიგებელი და მრისხანე  
 ეთიკა:

კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლხვირითა და-  
 საკრალად!

ჩვენი ქრისტიანი პოეტისათვის კრავისებური  
 თემინერება — უცხოა. ეს მის ჰუმანიზმს არა-  
 ფერს აცლებს.

ისიც მოვიგონოთ, რომ ჰუმანიტ დანტეს  
 „ჯოჯოხეთში“ იღდა ისკარიოტელი, აგრეთვე  
 იულიუს კეისრის მკვლელები ბრუტოსი და კა-

\* შტრ. Hans-Georg Beck. Kirche und Theo-  
 logische Literatur im Bisantinischen Reich.  
 München. MCMLIX, p. 349.

სიოს ლიტეფერის ხახაში არიან მოქცეული: ორი გიგანტი — რუსთაველი და დანტე — ერთნაირად სჯიან ცრუსა და მოლაღატს! ერთ სიტყვით — რუსთაველი მისტიკოსი არ ყოფილა\*.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. კეკელიძემ ჯერ კიდევ 1941 წელს პირველად მიუთითა, რომ რუსთაველის პოემაში ღვთაების დასახვა-სიათებლად გამოყენებულ უარყოფითი ატრიბუტები მოწმობენ იმას, რომ „აქ წარმოდგენილია ... ფსევდო-დიონისეებური აპოფატეკური წარმოდგენა ღვთაებისა, რაც ჩვეულებრივია ქრისტიანულ თეოლოგიაში“, ხოლო დაღვთიანი განსაზღვრებანი ღმერთისა ჩვენი პოეტის ქმნილებაში მიუთითებენ იმაზე, რომ „აქ მოცემულია პოზიტიური ატრიბუტები ღვთაებისა — კატაფატეკა ქრისტიანული თეოლოგიისა“. (ქ. ლ. ისტ. 12, 1941, გვ. 187. იქვეა მოტანილი ჩვენი შიგნით დასახლებული მავალი-თები).

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოს, რომ იმავე კ. კეკელიძემ 1924 წელს ჩაუყარა საფუძველი რუსთაველის მსოფლმხედველობის მეცნიერულად შესწავლის საქმეს. შემდეგ ძიებანი (ისევ კ. კეკელიძე, შემდეგ კ. ეკაშვილი, ვ. ნოზაძე, ი. ლოლაშვილი, მანანა გვიგინიშვილი და სხვ.) არსებითად აფართოებენ, აღრმავებენ და აზუსტებენ კონკრეტული ფუნდამენტურ დებულებებს ეფესოსტაოსის ავტორის ქრისტიანობაზე და კერძოდ, მის პოემაში წარმოდგენილ აპოფატეკისა და კატაფატეკის შესახებ. ყოველგვარი გადახვევა ამ დებულებიდან „ორიგინალურ კონცეფციებს“ კი დაჰბადებს, მაგრამ ქეშმარიტებასთან მათ არავითარი კავშირი არ ექნებათ (როგორც წარსულშია არ კქონდათ მათ რაიმე კავშირი სინმართლესთან). გასაოცარი ისაა მხოლოდ, რომ ამ ქეშმარიტების მიღებას 45 წელიწადი დასჭირდა და ვინ იცის, ეგებ ზოგისთვის იგი დღესაც საცილობელია. მაგრამ ამ შემთხვევაში კ. კეკელიძის თეოლოგიური ერუდიცია პასუხს არ აგებს.

რომ მკითხველისათვის ეს ფაქტი საყვებით ნათელი გახდეს, მოვიტანო სთაინადო ამონაწერს (კ. კეკელიძის სიტყვებს) მთლიანად:

„პოეტი ქვეყნისა და აღმნიანის არსებობის პრინციპად აღიარებს ტრანსცენდენტურ არსებას—ღმერთს, იმ ღმერთს,

რომელიც, მისი სიტყვით, არის არა მარტო უცნაური და უთქმელი“ (809, 917, 1250), „სურთავან მოუსმენელი“ (1250) „ძალი უხილავი“ (792), „უუჟამო ეამითა“ (836)!, არამედ აგრეთვე „ერითა“ (2,836), „ცხოველი“ (872), „უცვლადი“ (792), „უფალი უფლებათა“ (809), „მართლისა მბჭობელი“ (1432), „შემქმნელი სამყაროსი“ (1), „ხმელთა და ცათა“ (809), „ქვენათ-ზენასი“ (809), კერძოდ აღმნიანისა (792), „კეთილის მოვლინებელი და ბოროტის არ დამბადი“ (113, 1492, 1509), „უხვი“ (931), „სახიერი“ (576), „მფარველი“ (84, 1046). „გამკითხველი“ (865), „შემნდობი შეტოდებულთა“ (470), „მოწყალე“ (811, 1250), „ჭირთა მომალხენელი“ (1250), „ნუგეშინის მცემი“ (931), „მფლობელი ვულის-თქმითა, მომცემი პატიეთა და კეთილთა“ (809), „მზრდელი-ყოვლისა“ (929), „ტეხილ-მწყალბელი და მხელი“ (112, 113), „შემწე ყოველთა მიწიერთა (792)2.

სათანადო შენიშვნებში ნათქვამია: „1. აქ წარმოდგინილია პლატონისებური ნეგატიური ან ფსევდო-დიონისეებური აპოფატეკური წარმოდგენა ღვთაებისა, რაც ჩვეულებრივია ქრისტიანულ თეოლოგიაში. 2. აქ კი მოცემულია პოზიტიური ატრიბუტები ღვთაებისა — კატაფატეკა ქრისტიანული თეოლოგიისა“ (ქ. ლ. ისტ. 12, 1941. გვ. 187). აქვე აღვნიშნავთ, რომ კ. ეკაშვილმა, მ. გვიგინიშვილმა და სხვებმა მართებულად მიუთითეს, რომ „უუჟამო ეამი“ — ქრისტეა და ის აპოფატეკურ განსაზღვრებათა წრეში არ უნდა ყოფილიყო შეტანილი.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოპლერება, როგორც ცნობილია, ქრისტიანობამ უკვე VII საუკუნიდან შეისისხლობოცა. ეფრემ მცირეს თარგმანებმა იგი უადრესად პოპულარული გახადეს ქართულ განათლებულ წრეებში XI საუკუნიდან. ამიტომ შემთხვევითი არაა მისი დიდი გავლენის შეჭრა XII ს-ის ქართულ საერთო პოეზიაშიც. რუსთაველი ეკუთვნის იმ ლიტერატურულ სკოლას, რომელსაც შავაული და ჩახრუხაძე ეკუთვნოდნენ, ეს ორი უკანასკნელი რუსთაველის წინამორბედნი არიან არამარტო პოეტის, არამედ ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების სფეროშიც. შემთხვევითი როდია, რომ ჩახრუხაძე რამდენჯერმე ასხენებს დიონისეს (არეოპაგელს). იგი პირველ ქებაშივე პირველად სწორედ დიონისეზე მიუთითებს:

ააკი გაწარმონია  
რუსთაველი რეზბარულ-ფილოსოფიური  
აზროვნების ზოგიერთი საკითხი

\* შტრ. კ. კეკელიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რეზბარისანი („ეტიუდები“, IV, 1957, გვ. 38—39).

1. მო, ფილოსოფოსნო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაჭებდეთ გულის კმეირსა

2. დიონისით გან, ვით ენოსითგან, სრულნი ქებანი ამ მძლეთ ძლიერსა.

რა თქვა უნდა, ჩაბრუნებადისათვის დიონისე არის I საუკუნის ის ათინელი ბრძენი, რომელიც ახალი აღთქმის თანახმად პავლე მოციქულმა მოაქცია ქრისტიანობაზე (საქმე, 17) და მისი სახელით ცნობილი თეოლოგიური ტრაქტატები ( V ს.) ამ ათინელის თხზულებად მიიჩნია. ის შეხედულება კი, თითქოს ჩაბრუნებამ ამ თხზულებათა ავტორად პეტრე იბერიელს (V ს.) სთვლიდა — აბსოლუტურად უსაფუძვლოა და კ. კეკელიძე სრულიად მართალი იყო როცა წერდა:

„დიონისეს პირველ ადგილზე დაყენება აიხსნება არა იმით, რომ ის პეტრე იბერიელია ჩაბრუნების შეგნებით, არამედ იმით, რომ ის ქრისტიანი ბრძენია, რომელიც საქართველოში იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა; მის შემდეგ ხობტაში წარმართი ფილოსოფოსები არიან ჩამოთვლილნი: სოკრატე, პომპიოსი, პლატონი და არისტოტელი“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, 20 ივნისი, გვ. 4).

ჩაბრუნებამ კიდევ ახსენებს ამ დიონისეს თქმულ მარცვლიან შაირში:

„შენთვის კმა არისტოტელი, დიონოს წიგნთა შესხმანი.

შეიძლებოდა კიდევ არა ერთი მაგალითის მოტანა, მაგრამ ამჟამად ესეც კმარა. თანაც — სპეციალურ ლიტერატურაში ეს მაგალითები არა ერთხელაა მოტანილი.

5.

დაეუბრუნდეთ ისევ იმ სტროფს (792. 2-3), სადაც „ძალი უხილავი“-ს შესახებ შემდეგია ნათქვამი:

ვინ არს ძალი უხილავი, შემწე ყოვლთა მიწიერთად

ვინ საზღვარსა და უსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად.

ავთანდილის ანდერძის „უხილავი ძალი“ რომ ქრისტიანული ღმერთია, ეს კარგად ნება ძველი და ახალი აღთქმის (ბიბლია) დეითა და ამაზე ვრცლად საუბარი არცაა საჭირო. ამასთან, რომ უზენაესი „შემწეა“, ესეც ანბანურ კემარტებდადა ცნობილი ქრისტოლოგიაში. ყოველივე ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. „სასარგებოა მხოლოდ — ეს „ძალი უხილავი“ და ყოვლთა მიწიერთად შემწე“ ანუ ქრისტიანული ღმერთი ვის „დაუსაზღვრებს საზღვრებს“. ქართულ „ძველ აღთქმაში“ ნათქვამია: (2 მოსე, სჯულ., 11, 2) „რამაჲს მიმოიყუანა ნათესავნი იგი, ვითარ-იგი მიმოდათესნა ძენი აღაშისნი, და ამტკიცნა საზღვარნი იგი თესლებსინი მსგავსად რიცხუთა მათ ანგელოზთა ღმერთისათა“.

რუსულ ბიბლიაში (რომელიც ებრაულიდანაა თარგმნილი) ეს ადგილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

«Когда Всевышний давал уделы народам и разделял сынов человеческих, тогда поставил пределы народов по числу сынов Израелевих». (Библия или книги Священного писания Ветхого и Нового завета. В русском переводе. Москва, 1956, глава 32, 2).

შენიშვნაში თქმულია: «В греческом переводе: по числу Ангелов Воиних» (198).

მაშასადამე, ქართული თარგმანის ზემოთ მოტანილი ადგილი დამოკიდებულია ბიბლიის ბერძნული თარგმანიდან და არა ებრაული ორიგინალიდან („მსგავსად რიცხუთა მათ ანგელოზთა ღმერთისათა“ მომდინარეობს ბერძნულ თარგმანიდან და არა ძველი აღთქმის ებრაულ დედნიდან).

ებრაულ ორიგინალს მისდევს მარტინ ლუთერის გერმანული თარგმანი\*.

\* «8. Da der Allerhöchste die Völker zertheilte, und zerstreute der Menschen Kinder, da setzte er die Grenzen der Volker nach der Zahl der Kinder Israel» (2. Mose, 11, 8).

დასასრული იქნება



მოთარ ჩხიქია

## «ჩრდილოეთის ციალი»

მძაფრი ვნებები ნდომებია პოეზიასა, მძაფრი სიყვარული, მძაფრი სიძულელი; მძაფრი ბიოგრაფიაცა ნდომებია პოეზიასა, მძაფრი შეჯახებანი, მწვავე განცდანი თუ ხილვანი ამა სოფლის ორომტრიალისა, ისე ღაღადისი ვერ მიგვანებია ღაღადისსა, ლოცვა ლოცვასა, საგალობელი საგალობელსა; ვედრება ვერ გამოსულა ისე მზურვალე, გულმზურვალე, სასოებითი, ვერც აღმადრენას მინიჭებია ძალი აღმადრენისა... ასე ჩაეფქვრებელიყავით, ასე ჩავეგონებინეთ, ასე წაგვეკითხა. და როცა გვესმოდა პირველი ლექსები ღაღად სულაბერიძისა, ლექსები შედრებულ სიყვარულისა, გამოგონილი სევდისა, გამოგონილი აღტაცებისა, თვითონ რომ გვიკითხავდა ცოტა შეკანკალებულს, ცოტა შემდრებულს, ცოტა მიბაძული ხმითა, გვიჭირდა დაგვეჭირა გამოწაშული ჭეშმარიტი პოეზიისა და ყურს ვუგდებდით სინანულითა; სინანულითა-მეთქი, რადგან გარეგნულად ბევრი არაფერი ავლდა იმა ლექსებსა ან არც არაფერი ავლდა გარეგნულად იმ პირველ ლექსებსა, თავისებური ელფერიც მოპყოლოდა, როგორც თავისებური, მიმზიდველი. ქარს რომ მოედევნება ტყემლის ყვავილი ან ქარის შემდეგ უმოწყალოდ რომ ჰყრია იმერეთის გზებზედა. პოეტური მიკარგავც იცოდა, ხამუშხამუშად მოგვევინებოდა ლექსებზედა, ჩამოვდებოდა ბოლოდა მერხზე და გაჰყურებდა ჩაფიქრებული ნაძალადვისა თუ კუჭის მთებსა.

ჰო, პოეტური ელფერიც მოსდევდა, მიკარგავც იცოდა-მეთქი პოეტური, მაგრამ ვერა

ჰყოფნიდა პატარა ცხოვრება დიდი ფიქრისთვისა, დიდი განცდისთვისა, ბევრი ვერაფერი ამოკერიდა პატარა ბიოგრაფიიდანა, თავისი ბიოგრაფიიდანა...

და უცებ, უცერად ემწარა ცხოვრება... უცერად მოვარდა დიდი ომი, ახალგაზრდა პოეტისათვის მოვარდა უცერად, მოვარდა მძინვარი და შორს გაიტაცა ტყემლების მომღერალი, მომღერალი ალუჩებისა, მაშინვე გაიტაცა («ღეღა»), გაიტაცა ძალიან შორსა, შორსა და შორსა, ატარა, აბრძოლა, ათრია, დაფენჩხა, ტყეობაც მოსწია («უცედავი სული») და სასჯელიც განუშხადა ტყეობისთვისა; არაფერი მოაკლო თუ მაინც მოაკლო («რაც დამაკელი»), არაფერი შეარჩინა, ასე ბაღდაში, ვააშიშვლა ყინვაყინაშთა, აგემა ღალატი («ათი ნაბიჯი სიცოცხლე», «მრულდ სარკე»), ერთგულუბაც აგემა («მეგობარს»), რაღა არ აგემა, — დაახგრებინა ფილა სიმწარისა («უსამართლობა»), განაცდევინა ძალი სიცოცხლისა და შეარჩინა სიცოცხლე, ჰო, არ შეარჩინა არაფერი სიცოცხლის გარდა და შერჩენილი სიცოცხლის მომღერლად იქცა პოეტი, პოეტი იგი. გამოგონილი სევდისა და გამოგონილი აღტაცების ხმაზე რომ გალობდა ყმაწვილობაში. აღარა ჰქონდა რა გამოსაგონი თუ მისაბაძი, — პირთადის აღვსებულსა საკუთარი განცდებითა, საკუთარი ფიქრებითა და ხმაც საკუთარი ამოსდევნება ამ სიმღერასა. საკუთარი, თავისებური, გამებებულს, შეუვლი, ჩადინჯებულს: «შენც ხარ დედამიწა, თერთო ციმბირო, შენც გინდა კაცი...»

ჰო «შენც ხარ დედამიწა, თერთო ციმბირო,

შენც გინდა კაცი...“ ლადო სულაბერიძის ბოლო წიგნიდანაა. ამ წიგნისათვის „ჩრდილები მღერაან“ დაურქმევია, ნაწილებადაც დაუყვია წიგნი, ნაწილებსათვისაც თავთავის სახელი მიუცია და ახალი ლექსებისათვის ძველი წიგნებიდან გამოჩაგრებნიც მიუმატებია. ძველი წიგნებიდანაო, ვამბობ, მაგრამ აქ ის ლექსები მაინც არ შემოგვეყრება, ჩვენ რომ გვეცითხავდა ვანსაფლის ქამსა; აქ სხვა ფიქრებია და სხვა განცდანი, სხვა ხელოვნება, სხვა ისტორია, დახვეწილი, გამოკვეთილი, სხვა წვდომა ადამიანის სულისა, ვნებათა სხვაგვარი ანალიზია, სხვაგვარი თქმა, სხვაგვარი ქღერა, მკრძნობიერი, ამბულღვები. საქაო ნიშუშების განოტანა შეიძლება სამავალითოდა, მთლიანი ლექსებისაცა, ცალკეული სტროფებისაცა, განყოფილებისაცა, მთელი განყოფილებისაც, თუნდაც იმ განყოფილებისა „ჩრდილოეთის ცილი“ რომ დაურქმევია.

სხვისი რა მოვასენთო, მაგრამ მე ასე მგონია, სწორედ ამ რკალოთ მკაფიოდ გამოკვეთილი ის ძლიერი სული, ძლიერი ნებისყოფა, რამაც მიანიჭა ჰუმანიტი პოეტური ამღვლვარება ლადო სულაბერიძის პოეზიასა, რამაც გამოაშუქა თავისებურება მისი პოეტური ხელოვნებისა. „შენც ხარ დედამიწე, თეთრი ციმბირ, შენც გინდა კაცი...“ ამ ნაწილიდანაა, „ჩრდილოეთის ცილიდანაა“, — სხვაგვარი ნაოქვამია, სხვაგვარი ამოძახილი, ამოძახილი მრავალნაცილი ადამიანისა, დაბრძენებული ადამიანისა, არის სიცოცხლისას რომ ჩასწვდენია, აზრს სიცოცხლისას რომ მიმხვდარა და გაუღვია ბედისწერა დედამიწისა ამ უსასრულო სამყაროში, თუმცა ამისი ამოკითხვა სხვაგანაც შეიძლება, ბევრგანაც შეიძლება, მაგრამ აქ სხვა რამეა საულისსმომ და მეტად საულისსმომ რამეც არის; ჰოდა, საულისსმომ სწორედ ის არის, ამ დადინჯებულ, დამშვიდებულ აზრიან განსჯას რომ მოსდევნებია, წინაც უძღვის და მოსდევნებია რეფრენიეთა; — „ციმბირი, მე მაქვს მზით საესე გორები...“ საულისსმომ და დამაფიქრელი ეს ჩაუწყებელი სინანული, ეს ფარული სევდა (სიამაყეცა ფარული, ჩუმი), — ესაა სწორედ ტრაგიკული განცდის უაღრესად თავისებური გამოხატულება, უაღრესად თავისებური, უაღრესად პოეტური.

განწყობილებსა და განცდის ამ თავისებურებაში, რაც ცხადია, მთელს რკალს გაჰყოლია თავიომდრისა, ინტონაციაც თავისებურია, — აბა დააკვირდით: „მე მაქვს მზით სავკე სამშობლო, ციმბირი...“ „მომაქვს იმერეთი, კახეთი და საინგილო, ის რომ არა, აქ ვერ ვივრიკენებდა“. ჰო, დააკვირდით-მეთქი, ოღონდ ეს მაინც ნაწყვეტებია, თავისებური, თავისებური მკაფიოდა, ნათლადა, გამორჩეულადა. ოღონდ მაინც ნაწყვეტებია, მთლიანი სტროფი ამგვარადა ქღერს:

ჩემი ბიჭები თოვლს დაეძებენ მთებში,  
გაოცდებიან ახელა თოვლის ხილით,  
მე მას გაგვაზანი, გაყინულ მთვარის თელსით,  
რომ გაუგრილდეთ თბილისში ცხელი ძილი.

ამგვარადა და განსხვავებულადა, როცა სეველის, სინანულის, სიამაყის, შემსართების, გაძღვების, ამტანობის განცდა ამოსდევს ერთდროულადა თითქმის ყოველ შეხებას სიმშველა, და ეს დაჭერილია თუ მიგნებულია პირველივე ლექსის სათაურში — „ციმბირი.“ — აქედან იწყება გამოწვევა, აქვე გამოიკვეთება, გამოინჯეთერა სახეიდაა შეპირისპირება კაცისა და ბუნების სტიქიისა, შეპირისპირება და ჰილილი, მხნეობა გადაჩენილი სიცოცხლისა, იმედოვნება, იმედოვნება დღემცხარალი, რამეთუ მართალია ციმბირი ციმბირია, მაგრამ ისიც მართალია, ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს...

ეს ის მოძახილია, რომ ამბობს, მომაქვს იმერეთი, კახეთი და საინგილო. ეგება ეპოქის სტიქიაც არის, უმძლავრესი ტექნიკის ეპოქისა, ეგება ორი დიდი სტიქიის, ტექნიკისა და ბუნების სტიქიის შეპირისპირებას აუტანია პოეტი? ეგებაო და შესაძლოც არის, მაგრამ სულის მხნეობას მაინც სხვა მოძახილი უნდა, სხვა ძალი უნდა სულის სიმტკიცესა, ძალი იგი, ერის ნებისყოფა, რომ ჩავიდგამს და ჩავინერგავს, თან დაგაყოლებს დაბადებითვე და სადაც დაგვირდება თუ როგორც დაგვირდება, ისე იკარებს. იქ დასჭირდა და იქ გამოაღვა, იქა, სადაც გათოშილა მთვარეცა, გათოშილა და გაყინულა. თავისებური სხვა გაყინული მთვარეცა, თავისებურია, არა? ჰო, თავისებურია, ოღონდ ეს იმდენი არაფერი, იმდენი არაფერი პოეტური წარმოსახვისათვისა, უფრო საულისსმომ მთვარის თელში, მთვარეთელში, თოვლს გამოგვაზანი მთვარის თელშითაო. ძირს ჩამოსულა მთვარე თოვლის სამეფოში, ძირს ჩამოსულა და ხელთმოხვედრია ადამიანისა, თელშია და ხელთმოხვედრია, თითბერის თელშია, რასაც უნდა უზამს, როგორც მოინებებს, ისე მოექცევა, გამჭარალა მოწიწება იგი, მოწიწება მთვარისადმი, გასულიერება მთვარისა, ვანხორცილებაცა, წარმართულ პოეზიას რომ ჩვეოდა, „მზე დედა ჩემი, მთვარე მამაჩემიო.“ — გამჭარალა, გარდასულა, მთვარე თელშია მხოლოდა, გაყინული თელში, ირგვლივ თოვლია და თოვლის გაგვაზანც შეიძლება გაყინული თელშითა. რაღვან ჩემი ბიჭები თოვლს დაეძებენ მთებში...

განწყობილებსაც რომ ჩამოეხუნათ, თეთი. სურათია მეტად სახიერი, მეტად მკაფიო, კანთიელი, მხატვრული სახეა, უდავოდ ძლიერი მხატვრული სახეა; უდავოდ-მეთქი, ოღონდ თუ ვინმეს მაინც სადავოდ მოეჩვენება, ნება მისია, მე ასე დამიჯერებია და ყველადა თავისი იცოდეს. ერთი რამ არის კიდევ უდავო და უშეკველი, ანუ ერთი რამ მაინც უდავო და უშეკველია, რომ თავისი კომპოზიცია უნდა ყოველ მხა-



ტერულ ნაწარმოებსა, თუნდაც სულ მცირე მოცულობის ლექსისაცა, თუნდაც მცირესამეთქი, რადგან არ მოხერხდება ამღერება თუ სახიერება არ მიეცემა განცდასა, თუ არ გამოხატება ნათელ, მკაფიო სურათადა, უეცრად მოტყუვდეს, მოსხებოდ სურათადა, ისე, მავალითად, როგორცა ვალაკტიონის „ცვიან ბალახზე ფეხშიშველა...“ — ასე ნათელ და მოსხებოდ სურათადა, მერე უკვე ადვილია ამღერებაცა, გრძობად დაღვრაცა, ხილვნიცა, ვაზრებაცა, ყველაფერი ადვილია, ანუ ადვილია მოსჩანს ჭეშმარიტ ლირიკაში სახიერი კომპოზიციის, განცდის სურათობრივი ამოფენის შემდეგ; ეს ცხადივე ყოფილა, ოღონდ იღუმელი ყოფილა გზები განუმეორებელი სურათების ხილვებისა, პოეტურ სახეთა ხილვებისა, ეს მაშინაც ვიცოდით, აი მაშინა, პირველ ლექსებს რომ გვიკითხავდა ლადო სულაბერიძე, თვითონაც იცოდა, მაგრამ ჭერ ვერაფერი მოეძებნა ტყემლის ყვავილისა, ატმის ყვავილისა და მისთანათა გარდა... თუმცა აქ სხვა რამეს გეუბნებოდით, გეუბნებოდით ლირიკული კომპოზიციისა, — გაყინული მთვარის თევში სწორედ ლირიკული კომპოზიციის საყრდენია ამ ლექსში; სხვაგან სხვა გახლავთ, აი, მავალითად: „თოვლზე ფართალს ცეცხლი, როგორც წითელი მამალი...“ — არც ცეცხლია სადმე და არც წითელი მამალი, მოჩვენებაა გათოვლი ადამიანისა, მირაჟია, მოვლენაა საოცარი, როცა წვეთისოდენა ძალაც აღარა გაქვს. მაგრამ საიდანაც ჩავინერგავს ძალასა, ჩავინერგავს და ვიზიდავს, ვიზიდავს და გიწევა, გიწევა და მოეტანები, მიეტანები და მანძილი არ ილევს, არა მცირდება ოდნავდაცა, არა მცირდება და მაინც მიეტანებ სიდიდანაცა თუ როგორცა ჩანერგალო ძალითა, ოდეს არაქათი აღარ გაგაჩნდა, როგორცა ვიცოდა, მაშ რაო, გათოვლილარ და „თოვლზე ფართალს ცეცხლი, როგორც წითელი მამალი...“


პო, სხვაგან სხვა გახლავთ-მეთქი და ბარემ მოგასვენებთ რამდენიმე ნიმუშს: ავერ ირმებიო „ბლახს ეძებენ და მარილივით ლოკვენთოლს,“ ან სტების ქარით „აიფოფრა, დაუსტვინა ცარიელი არყის ბოლით“, ანდა სადაურსა სად წაიყვანო „ხეზე წერია ვილაცის გვარი ფრჩხილით თუ დანით ამოკვეთილი... რტოზე კი სხედან, გასწვრივ იმ გვარის, ჩიტები,

როგორც მრავალწერტილი.“ ან კიდევ, „დასაღვრების მოწყენილ ზარებს, ზედ შეჰყვინდენაზე ქარი“, თუნდაც, — „ყინვის წიწილები წვიან, წვიან...“ და სხვა ესეოდენ მკაფიო სურათები ჩაბუდებულა ლექსების გულში და ამოტყუვდეს თამამი სიტყვა, თამამი სიმღერა პოეტისა, რომელმაც იცის, იმ თვალწედნიელი თოვლის ქვეშ რომ მიწაა, ხოლო მიწას აღამიანის ხელი უნდა; იმ თვალწედნიელი თოვლის ზემოთ ცხოვრებაა, თავისებური ცხოვრებაა, თავისებური პეიზაჟია, აქამდის უცნობი ჩვენი ლიტერატურისთვისა ან ნაცნობი სხვაგვარადა, სულ სხვაგვარადა, სხვა რამ გვეხატება „ჩრდილოეთის ცილითა“ სხვა პოეტური ხილვანი, სხვა შემართება, სხვა გულოვნება, სხვა ერთგულება სიცოცხლისა...

თუ ხსოვნა არ მაცოუნებსა. პოეტს კიდევ უნდა ჰქონდეს ლექსები ამ რკალისა, „ჩრდილოეთის ცილისა“, ამჯერად ალბათ ისინი აღარ გამოუკრეფია სხვა წიგნებიდან; თუ ალღო არ მაცოუნებს, ამ თემას დროდადრო კიდევ მიუბრუნდება პოეტი და გაიზრდება, აღივსება „ჩრდილოეთის ცილით“; ოღონდ რა იქნება თუ როგორ იქნება, მომავლის სათქმელია, ხოლო ამჯერად რაც არის, ვითარც გამოტანილა წიგნში „ჩრდილები მღერინა“, უდავოდ თავისებური მოვლენა ჩვენი პოეზიისა, თავისებური და საყურადღებო; მე ასე მგონია და ისიცა მგონია, უკეთესი იქნებოდა ცალკე გამოცემულიყო „ჩრდილოეთის ცილი“, პატარა წიგნი, რკალი ლექსებისა, ერთი შთაგონებით, ერთი გააზრებით შემტკიცებელი ლექსებისა, თუნდაც პოემი ითქვას, — შეიძლება, რადგან ბოლო დროს ისე დაიბნა თუ გადასხვადებდა პოემის ცნება, რომ ყველგან მეტად ალბათ „ჩრდილოეთის ცილი“ მიესადაგება პოემის გაგებასა, თუმცა პოეტს ეს არ უფიქრია, მეც ისე წამომცდა, პოეტს არა აქვს ამის ვნება, სულ სხვა ვნება აქვს, მკაფიო ვნება აქვს სიცოცხლისა, მამაღმა ცხოვრებამ, დიდმა ჭიდილმა რომ განაცდევინა და ჩაუწერგა.

ამდავარად უნდა იყოს „ჩრდილოეთის ცილი“...

მწევე ბიოგრაფიაცა ნდომებია პოეზიასა, მწევე შეჯახებანი, მწევე განცდანი თუ ხილვანი ამა სოფლის ორთმტრიალისა, რა ეუყუთო ნდომებია, ასეცა ნდომებია.





## ახალგაზრდა პოეტის ახალი წიგნი

ბევრი საინტერესო წიგნი გამოდის ჩვენს რუსულბლიკაში, მაგრამ მათგან პრესაში ცოტაზე თუ გამოითქმის აზრი. მართალია, გეოგნების მქონე, განათლებული მკითხველი თვითონ არის ყოველი წიგნის გამგებიც და შემფასებელიც, მაგრამ პრესაში წიგნზე გამოთქმულ ობიექტურ აზრს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი გააცნობს მკითხველთა ფართო საზოგადოებას ამა თუ იმ წიგნს, დაინტერესებს და განაწყობს მის წასაკითხად. ნაწილობრივ ეს მქონდა მხედველობაში და ნაწილობრივ ისიც, რომ როგორც მწერალს, გამომეტქვა აზრი ჩვენი ახალგაზრდა პოეტი. იორამ ქემერტელიძის ახალი ლექსების წიგნზე, რომელიც ახლახან გამოცემა გამოცემლობა „მერანმა“ და რომლის სათაურია „თეთრი თოვლი და თეთრი მისი“, ამ წიგნში მე ვიგრძენი წრფელი გულით ნათქვამი ძარღვიანი სიტყვა, მიწის სურნელი, სიცოცხლის და მამულის სიყვარული, ტკივილიც და სიხარულიც... და ვიგრძენი ყოველივე ეს არა ტრაჯიკულად, არამედ თავისებურ, ძიების გზაზე მღვდომი შემოქმედის ენაზე ამტყველებული.

წიგნი იხსნება სიყვარულზე ამტყველებული უსათაურო ლექსით. ი. ქემერტელიძე ახერხებს ეს მარად ძველი და მარად ახალი გრძობა ახლებურად გაანათოს და სიტყვაში დაქერილი მისი არსი სურათოვნად დაგვამახსოვროს. სიყვარულით ფრთაშესმული პოეტი მიისწრაფის ცისკენ, რომ იქიდან დახედოს მიწას. ინტერესებს, თუ რამოდენა გამოჩნდება გულში დუბტეველი, სიცოცხლეზე სვირფასი მისი სათაყვანებელი არსება. ალბათ, ერთი ციდაო, ამბობს იგი. პოეტს აფიქრებს სიყვარულის მაცოთნებელი ძალა, რომელსაც შეუძლია ზეცა მოგატაროს, იქიდან მიწაზე გადმოგახედოს, და ბევრი დიდი მოკლენა პატარად მოგაჩვენოს, პატარა — დიდად. ყოველივეს აწონ-დაწონისა და განსჯის შედეგად პოეტი ასკვნის, რომ ციო

და სიშორით მიჯნურთა დაშორიშორება არ არის სასურველი... სჯობს მიწაზე ერთმანეთთან მათი ახლო ყოფნა, და ამ ქვეყანაზე სიყვარული სულ რომ გათავდეს, ისინი ერთმანეთისათვის ცოტას მაინც იშოვნებენ. ამ ლექსში გრძობა სიყვარულისა ამაღლებულია, ცის უსაზღვროებაში დამენათევი, ბოლოს მიწაზე დაბრუნებული და დამკვიდრებული.

განაგრძობთ წიგნის კითხვას და გზადაგზა გახარებით პოეტის ბევრი კარგი სურვილით გამოთავი მოხდენილი სტრიქონი. მწერალს არ ეშურება კაცთმოყვარე, სიცოცხლისათვის ადამიანებისათვის სიყვარული, ახალი წლის სიამე, პური და თაფლი; ორივე ხელიც მათთვის უნდა დასახმარებლად, თუ მათი სადიდებელი ტაშისათვის.

მალაი მამულიშვილობის გრძობა იორამ ქემერტელიძის შთაგონებს საშვილიშვილო დიდი საქმის კეთებას, პოეტი სიყვდილს ჩირადაც არ მიიჩნევს, ოღონდ; ხეკორძლას წყალნასვამს, დარჩეს ამქვეყნად თავისი ხელითა და ქვა-დუღაბით აგებული ციხე-სიმაგრე — თავისი სვეტიცხოველი. პოეტს იმავე მამულიშვილობის გრძობა ადიდებინებს ისტორიულ ასპექტში დანახულ ქართულ რკინას. ნატრობს ეს რკინა სულ რომ კრიალებდეს და წკრიალებდეს, მისი შემართებით გატრიალებული, უკუქცეული მტერი კვლავ ნუღარ მოტრიალებულიყოს ქვეყნის დასარბევად და ასაოხრებლად.

ლექსი „იმერეთი“ გვაგარბობინებს პოეტის სადაურობას, მის დამოკიდებულებას მშობლიური კუთხისადმი. მწერლის ძეალსა და რბილში გამჭდარი იმერეთის ფასი და ყადრი ლექსს გულთაოდ სიმღერად აქცევს იმერეთზე. პოეტისათვის აქ ყველაფერი ნაცნობი, ახლობელი და სისხლბორცველია. ანკარა წყაროს წყალს ისე როგორ შესვამს, ცოტაც გულზე არ დაიპყროს ბავშვობის მოგონებათა სულის მოსაბრუნებლად. ფერდობებზე მიფენილ-მო-

ფენილი ვენახები ხომ წყაროა მისი შთაგონე-  
ზისა. ვენახისადმი სიყვარული ინტიმში გადა-  
დის და პოეტს ათქმევინებს:

**მე ლერწივა ვარ, წილს თუ გაისად  
უველა თქვენს ფოთოლს ტანზე ავისხამ.**

თემის გაზრებითა და გადაწყვეტით საყუ-  
რადღებთა ლირიკული პოემა „სიმღერა ტყეზე“  
ამდღებულ პატრიოტულ გრძობის კარნახით  
ამ ნაწარმოებში ტყე განცილია როგორც ის-  
ტორიის სიღრმიდან მომავალი შეუწყვეტელი  
სიცოცხლე, ქარიშხლებისა და ავბედობის გამძ-  
ლე, მტრების შემოსევებით გაწამებული ხალ-  
ხის თავშესაფარი და მრავალნაირი ნაყოფით  
მისი ქრილობის მკურნალი. ტყე აღმანიებთან  
ერთად იბრძოდა ქვეყნის გადასარჩენად, ხო-  
ლო მომავალში, გამარჯვებული მშვიდობის  
წყალობით, მას არ დასჭირდება იქცეს აღმინ-  
თა თავშესაფარად. ტყე იქნება სიცოცხლისა და  
სიხარულის სავანე, ავსებული ფუტკრითა და  
თავლით, უფრო დაფასებული და მშვენიერი.  
ამიტომ მიმართავს პოეტი ტყეს მისი ქირისა და  
ლხინის გამზიარებელი კაცის ხმით:

**ღირდა წვალეზად,  
ღირდა გაძღვებად,  
დღეს საქართველოს მიწაზე იდგე.**

ერთ უსათურო ლექსში იორამ ქემერტელი-  
ძე ცდილობს განვეცადდევინოს ზამთარი და მი-  
სი სუსხი. აქაც საყურადღებო ისაა, რომ თემის  
გაზრება და მისი მხატვრული ხორცშესხმა  
თავისებური, ავტორისეული. დილით წამომდ-  
გარ პოეტს სარკმელზე თვალის მოვლება წა-  
მოაძახებინებს:

**თეთრი ნალები აჩნია მინახ,  
თეთრი ნალები — ქირხლის და ბროლის.**

ერთი შეხედვით, თითქოს გეხამუშება მინახე  
თეთრი ნალების დამჩნევა, მაგრამ ჩახან იქვეა

ნათქვამი, რომ ეს ნალები ქირხლისაა და ბრო-  
ლისო, პირველი შეცბუნება ნელდება. მომჩი-  
ნო სტრიქონები ლოგიკურად მოხსენებულა  
სახის ხაზითში ვითარდება და ლექსი ბუნებ-  
რივი იერის მქონე სურათად იკვრება. თურმე  
ზამთარი მთელი ღამე მინებზე თეთრი რაშებით  
დადის.

შედარებით უფრო რეალისტური ელფე-  
რითაა წარმოდგენილი ზამთარი ი. ქემერტელი-  
ძის მეორე ლექსში „ფინჯარასთან“:

**მოიპარება და მოსვლის უმალ  
კრამიტებიდან ჩამოყოფს თითებს.**

ამ დასამახსოვრებელ სურათში ყინულის  
ლოლებიც წარმოგვესახება, ზამთრის ხასია-  
თიც და მისი უფლებამოსილებაც.

იორამ ქემერტელის ლექსების ეს კრე-  
ბული პოეტის მეორე წიგნია. რამდენიმე წლის  
წინათ „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ მის  
პირველ წიგნში იგრძნობოდა, ეგრეთწოდებუ-  
ლი, მოდური პოეზიის ერთგვარი გავლენა —  
აზრის გაუცნაურებულად გამოთქმის არაბუ-  
ნებრივი ცდა, რაც ხშირად ამძიმებდა სტრიქო-  
ნებს და ბუნდოვანებაში გადადიოდა. სიტყვა  
კარგავდა სილამესა და საგნის ბუნებრივი  
წარმოსახვის შესაძლებლობას. მაშინდელ შე-  
ნიშვნებზე პოეტი დაფიქრებულა და ამ ახალ  
წიგნში მკითხველის წინაშე უფრო დახვეწილ  
და ბევრის მთქმელი ლექსებით წარსდგა. ძვე-  
ლი ცთუნება აქა-იქ მაინც შეიმჩნევა, თუნდაც  
წიგნის სათაურში. ამ ცთუნებათა ნარჩენების  
დასაძლევად პოეტს კვლავ მოუხდება ფიქრი  
და ბრძოლა.

იორამ ქემერტელიძე პერსპექტივის მქონე  
ახალგაზრდა შემოქმედია. მას აქვს სათქმელი  
და იმის უნარი, რომ ამ სათქმელის არე გაა-  
ფართოვოს, ლექსი კიდევ უფრო დახვეწოს და  
აზრს მეტი სინათლე და საზოგადოებრივი დი-  
პაზონი მისცეს.



ირაკლი ქანჭოშვილი

# ლებენჯა, პნეუო, პოები

(მუშაან ლებანიძის ახალი ლექსები)

რა საოცარი დასრულდა წლები! რამდენი რამ მოხდა... რა შესანიშნავი პოეტები გარდაიცვალნენ... გალაკტიონი!.. მაგრამ არაა საჭირო ზარის ცემა, რადგან პოეზიის სტენაზე არასოდეს ეშვება ფარდა, არასოდეს წყდება ცოცხალთა და გარდასულთა დიალოგი. დროდადრო ეს დიალოგი განსაკუთრებით ცხოველი ხდება, რაც მოწმობს იმ კანონიერ გრძნობას, თუ რაოდენ სახიფათოა მუდამ და ყველაფერში ძველი, გათელილი გზით სვლა და რამდენად აუცილებელია ახალი გზის ძიების რისკის გაწევა. მაგრამ მხოლოდ ძველი გზების ცოდნის შემდეგ შეგვიძლია ახალი გზების გაკაფვა ახალი მიზნისაკენ. არის ეამი შენებისა და არის ეამი ნგრევისა, და ყოველი ამ მომენტთანაა სხვადასხვაგვარად გვაკავშირებენ წარსულთან, ტრადიციასთან. ქართული. ლექსი ახლა ისეთ სტადიაზე იმყოფება, როცა ხდება იმის აღმოჩენა, რომ ის, რაც მთავარ შინაარსს ანიჭებდა აწყმოს და ის, ვინც გამოხატავდა ამ აწყმოს, უკვე წარსულია. ტრადიციად გვებადება სურვილი გვაგაყვიოთ, რა იქცა ტრადიციად, ვესურს გამოვეყოთ „ჰადესს“, აღმოვაჩინოთ და დავადგინოთ, სად მთავრდება ებოჭა დიდი. საამისოდ საჭიროა დიალოგი წარსულთან, აწ გარდასულ ხალხთან. ასეთი დიალოგია მუშაან ლებანიძის ახალი ლექსი, „მკვდრები“. საგულწიხმია ასეთი სტროფი: „აკაი მოკვდა, მოკვდა ვეყი; ილია მოპყლეს, ვალაკტიონმა, ვიყო, თვითონ გაშალა ფრთები, ფასშეუვალი და მწუხარე ხომალდი მოპჭრის, მოპჭრის ხომალდი დახუნძლული ძვირფასი მკვდრებით“.

ეს ლექსი, სიმპოტომატური სათაურით, თავისებური გამოხატულებაა დღევანდელი ქართული პოეზიისა და კრიტიკის მთავარი ამოცანისა. ეს ამოცანაა: დაგამყაროთ წარსულისადმი, განსაკუთრებით უახლესი წარსულისადმი, და-

მოკიდებულების ახალი მოდელი. მე სულაც არ მიმაჩნია, რომ ლებანიძეს წარსულისადმი რადიკალურად ახალი მოდელი ჰქონდეს დამყარებული. მე უბრალოდ ყურადღებას ვაქცევ ამ მოდელზე ფიქრის საგულისხმო ფაქტს.

მ. ლებანიძე ძალიან საინტერესო რამეებს აკეთებს (სტილისტებს არ უყვართ სიტყვა „რამეები“, მაგრამ ხომ შეიძლება, კრიტიკოსისათვისაც გაურკვეველი იყოს ზოგი მომენტი, რასაც გამოხატავს სიტყვა „რამეები“). ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მომენტი მის ლექსებში არის გამოვლინება დღევანდელი ქართული ლექსის ერთი თვალსაჩინო ტენდენციისა. ეს არის სწრაფვა ლექსში სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ურთულესი ფორმის — სიცილის დამკვიდრებისაკენ. გავიხსენოთ მ. მაჭავარიანის მრავალი ლექსი. ტ. ჰანტურაიას ზოგი ბოლო ლექსი და სხვ. სიცილი ფარულ სახეს იღებს ო. ჰილაძის ე. წ. ლირიკულ პოემებში. პოეტური ეფექტი მ. ლებანიძის ლექსისა „ოჯახში“ მთლიანად სიცილის კატეგორიას ემყარება: „ჩუმიად, ბუნებრივად არ გააღვიძო. დალილია, გვიან დაწვა დასაძინებლად! — მაინც რამდენი წლისა არის „ქალბატონო“ ეგ თქვენი „ბავშვი“? — ცხრამეტის გახლავს! — არც მე ვიყავი ოცის, როცა სანგარში ვეგდე! — ფუჰ! მეზობლები! მამა ვარო, შენ იტყვი კიდევ!“ აქ სიცილი კომიზმის საშუალებით პოულობს გამოხატულებას. რომ ეს ტენდენცია ქართულ ლექსში აშკარა გახდეს, უნდა გავიხსენოთ, თუ რა პირობაა საჭირო სიცილისათვის. როგორც ვიცით, სიცილისათვის საჭიროა გრძნობების დიოკება, ანუ „გულის ანესთეზია“, რადგან აღძვლება, პათეტიკასობს სიცილს. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღევანდელ ქართულ ლექსში ხშირად თავს იჩენს მიდრეკილება, დაძულედი იქ-



ნას შათეთიკა და დამკვიდრებულ იქნას საპირი-სპირო მოვლენა, როცა ლექსი მიმართავს წმინდა გონებას. ეს არის სწრაფვა „უგრძნობლობისაკენ“, რაც პირდაპირ კავშირშია პოეტურ ხელოვნებასთან, სწრაფვასთან ლექსის ახალი პრინციპებით აგებიან: „უგრძნობლობაზე“ და მყარებული ლექსი მიმართულია არა გულისა, არამედ გონებისაკენ. ამისათვის საჭიროა განდევნა ლექსიდან ისეთი ინტონაციების და სიტყვათა ერთობლიობებისა, რომლებიც მიმართავენ „გულს“ და არა „გონებას“. ასეთი რამ არა შემთხვევითი კაპრიზი არც სხვა პოეტის, არც მურმან ლებანიძის პოეზიაში. სიტყვისადმი ასეთი ახალი დამოკიდებულება ლოგიკურია დღეს და იგი მოგვაგონებს პოეზიის ერთ დიდ კანონს, რომ „ყოველი რევოლუცია პოეზიაში (და ზოგჯერ ასეთია ამ რევოლუციის პროგრამა) არის დაბრუნება სასაუბრო მეტყველებაში“.

ზემოთქმულიდან დღევანდელი ქართული ლექსის მიმართ შეგვიძლია შევიშვავთ ასეთი ტრიადა: სიცილი — „უგრძნობლობა“ — დაბრუნება სასაუბრო მეტყველებასთან. მურმან ლებანიძის ლექსში „ოჯახში“ სახეზეა ამ ტრიადის ყველა ნიშანი: 1. სიცილი (კერძოდ, ირონია), გამოძინარე ლექსის შინაარსიდან; 2. უგრძნობლობა: ლექსში არც „ქალბატონის“, არც „ბავშვის“ მიმართ პოეტს არ სურს ჩავინერგოს სიბრაძეული, რადგან ლექსი მიმართავს არა გულს, არამედ გონებას. 3. ლექსში მოხმობილია ყოველდღიური სასაუბრო ენის სიტყვები და კილო, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ პოეზია ზუსტად არასოდეს ემთხვევა სასაუბრო ენას. ამგვარად, „ოჯახში“ გზედებით მეტნაკლებად ახალ პოეტურ მასალას, ლექსის აგების მეტნაკლებად ახალ წესს.

შევეხოთ ზემოხსენებული ტრიადის თვალსაზრისით მურმან ლებანიძის შემდეგ ლექსს: „უპირველესად ვაძრებთ ქართულს, მას მერე — ვისიც რამდენად მმართვეს: ქურთა და სომეხს, რუსსა და თათარს — ამის უფლებას მე ვინ წმარტმევს! სად ყოველიერა გადატრუსულა გურუზინ? — თათარი მკითხავს რუსულად და მიმასწავლის საკურდღლე სერებს. წყვილ ვაზნას მივცემ ჩემს ახალ ყონადს — „ფეშქეში“ — და თვალს მიშტერებს ნდობით. დასტოვებს ცხვარს და გადავივლით გორამას, ავუხმაურებ სამშობლოს თოფით. მიხდა, ეს ული ლერწმად გავთალო, სალამურსავით ჩავბერო ყულში... — ხომ ველდი! ძმა ხარ, ჩემო თათარო! ერთ ბედქვეშა ვართ აზიის ტყეში.“ თემა დიდად სერიოზულია, მაგრამ მასში არის სიცილი. იმ გაგებით, რომ ლექსი, ისევე როგორც სიცილი, მიმართავს გარკვეულ წრეს; მსგავსად მოცინარ აღამიანთა, ეს ლექსიც გულსხმობს შეთანხმებულ მსმენელთან თუ მკითხველთან. დიდი ემოციურობის

მიუხედავად, სწორად გაგებისათვის იგი, უპირველესად, გონებას მიმართავს. ჩვენ მეტნაკლებად განსაკუთრებით ვუახლოვდებით მიწას, ვამყარებთ დიალოგს საზოგადოებასთან, როცა გადაუღებულ ამოცანად დგება საიტიხი, რომ პოეტური ენა შეტნაკლებად კვლავ მიუახლოვდეს ამა თუ იმ საზოგადოების ენის ბუნებრივობის ხასიათს.

„საღლაც — კიბლინგი! საღლაც — ბერნსი“ — აცხადებს მურმან ლებანიძე ლექსში „გასწი, იარე“. აქ ის იგულისხმება, რომ ლებანიძემ თარგმნა კიბლინგი და ბერნსი. კიდევ ის იგულისხმება, რომ ლებანიძის პოეტიკა ერთდროულად ითავებს ორ საპირისპირო სტილს: ერთი მხრივ, — „ნაზი“ ბერნსი და, მეორე მხრივ, — „მკაცრი“ კიბლინგი. ეს არ უნდა გვეუცხოოს, რადგან თანამედროვე ხელოვნება ხშირად მიმართავს უპირებისა და სტილთა ურთიერთშერწყმას. მაგრამ ლებანიძის ლექსებში ზოგჯერ ორი სტილი სინთეზირებული კი არ არის, არამედ წმინდა სახით გვევლინებიან, რაც მისი ნაყოფი კი არა, თავისებურებაა, დამახასიათებელი დღევანდელი ქართული პოეზიისათვის. როცა მურმან ლებანიძე წერს ლექსს „მკედრები“, ან „ოჯახში“, ან როცა ამბობს: „განსაკუთრებით დაღვინებულს ვერ ვიტან ტიპებს“, აქ დღიური პირობის მასალასთან და კილოსთან სიახლოვით სულ სხვა („კიბლინგისებურ“) სტილი ავითარებს, ხოლო სულ სხვა, „ნაზ“ და „რომანტიკულ“ სტილს („ბერნსისებურს“) ავითარებს ისეთ ლექსში, როგორცაა: „ეს ნანგრევები მეც მიმბარავთ ათსავგარ ქარებს: შავით მოსილებს, მისათოვრებს, ჩუმებს და წყნარებს, მოაქვთ წყალი კუნთიდან მოწყენილ ქალებს... მოაქვთ იმედიც — მოკავშირე ჩემი და მოძმე: აქ ხალხმრავლობის და მძლავრობის ვყოფილვარ მოწმე! და ვიმედოვნებ, რომ ხელახლა ვიქნები ორსმე!“ პოეტის მიერ ერთდროულად ორი სხვადასხვა სტილისადმი ერთვულება, ისევე როგორც ერთდროულად სხვადასხვა „იზმის“ თანამეზობლობა, მოწმობს პოეტური ამინდის დაუდგენლობას და იმას, რომ პოეზიის მომავალი ბედი არაა მთლად გამორკვეული. ძველი ტრადიციის ირღვევა და წარმოშობა ძიება ახალი სატრადიციო ღირებულებებისა.

არის არა ერთი ნიშანი იმისა, რომ ქართულ ლექსში ამ ბოლო ათი წლის მანძილზე მძლავრობს მიდრეკილება „ლექსი — სიმღერა“, „პოეტი — მგოსანი“ შეიკვალოს „ლექსი — მეტყველებით“, „პოეტი — მოსაუბრით“. კერძოდ, ასეთი ნიშანთვისება სულ უფრო მატულობს მურმან ლებანიძის ლექსებში. ასეთია, მაგალითად, შემდეგი სტრიქონები უსათაურო ლექსიდან: „მე გამოიწვდია განსაცდელში კაცისთვის ხელი; ყოფილა, ჩემთვის ორი ზელი გამოუწყვდიათ“.

**ირაკლი კანაოზვილი**  
**ლევანდა, აფხუზო, კონატი**

ლექსის ამ ორ სტრიქონშივე ჩანს, რომ პოეტი მატერულ ეფექტს აღწევს ზემოთაგონების პოზისა და „მკონობის“. ამდერებინ გარეშე, სტილი სადაა და თითქოს სასაუბრო ენას იმეორებს, მაგრამ მისი ზემოქმედება სწორედ საუბრის ბუნებრიობის მიბაძვაში მდგომარეობს. დამახასიათებელია აგრეთვე ლექსის ბოლო სტროფი: „განსაკუთრებით დაღმინებულს ვერ ვიტარ ტიპებს და გაცნობამდე ვეითხულობ ფრთხილად: — ხომ არ ქებულა ის კაცო ჩვენი? — ხომ არ გდებულა იმ ტიპლ ტყეში? — ხომ არ ჰქონია ჩვენი მტრის ტინი? — ხომ არ ყოფილა და, თუ იყო, რისთვის იყო სიკვდილიანი? —“ ამ ლექსში არაა ამღერება, არაა ხატოვანება, უფრო მეტიც, არც სათქმელია პრეტენზიული, — აქი ფეთთონ გვეუბნება პოეტი: „ველოდი გუშინ; დღესაც, ხვალაც განსაცდელს ველი, კაცოც ის არის, ვისაც იგი გამოუტყდა. უბრალო არის და მარტივი ეს სიბრძნე ძველი, მარტივი არის და უბრალო, მაგრამ ზუსტია“. მაგრამ, მიუხედავად ამ „მარტივი“ სათქმელისა, ლექსი მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვინაიდან პოეზიაში სათქმელის სიაკარგეს დიდად განაპირობებს პოეტის უნარი, შექმნას ინტიმი და მოგვასმინოს სპეციფიური ხმა, ტემპრი, გამორჩეული მსოფლიოს უპირავ ხმათაგან. მურმან ლებანიძეს აქვს თავისი ხმა. მას შესწევს უნარი მისეული ტემპრიანი ააზმინოს ქართული ენა. დამოკიდებულება სიტყვისადმი არის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რომლის თვისობრივი ცვლა იწვევს სიტყვისადმი ახალი მიმართების შემუშავების საჭიროებას. ამ ამოცანის წინაშე დგას დღეს ქართული ლექსი. ამ ამოცანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემწეა დღეს მურმან ლებანიძე.

ამ ბოლო ხანს ქართულ ლექსში შეიძლება დაეინახოთ „მ ც ი რ ე ფ ო რ მ ი ს“, თავისებური რობაის თუ ტანკას ქართული სახეობას საკმაოდ საინტერესო სახეობათა შექმნისაკენ სწრაფვა. აღსანიშნავია, არა მხოლოდ სტრიქონთა სიმცირე (4-6 სტრიქონი), არამედ აზრის სიმკიდრევეც. მცირე ფორმის საინტერესო ნიმუშებს ქმნის თვითონ მურმან ლებანიძეც. შენამდღა, იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქართულ ფილილორს, არამედ იაპონურ ტანკასაც, რომლის საინტერესო თარგმანები შეატრელა მან ახლახანს. მურმან ლებანიძის ბოლო დროის მცირე ფორმის ლექსთაგან საინტერესოდ მოგვაქვს ეს ლექსი: „მეტეხის კლდეზე სწერია თხის სტრიქონი პრეყინვალა — რა უფრო მშვენიერია: დიაცი — უბემჩინარე, თამადათველილი მოხუცი, ჩვილი — აკენიდან მცინარე, ვაქაცი — ოშიშ გასული, მამულისათვის მძინ-

ვარე, თუ უკვე შებლაჩეხილი — გაუღვივებულა მძინარე!“ საჭიროა კრიტიკის მხრივ საგანგებო ყურადღება მცირე ფორმის ლექსის განვითარების მიმართ.

ამ ბოლო დროს დაწერილ ქართულ ლექსთაგან გამოირჩევა მურმან ლებანიძის „ლევენდალ დარჩეს“. იგი ვალკატონისა და ტ. ტაბიძის ურთიერთობის ერთ ამბავს ასახავს. „ეს ყველაფერი მე მოამბო „არავში“ ვალაში“. გვაშცინობს მ. ლებანიძე. მაგრამ ამ ამბავში იღივითიკური შინაარსია. პოეტი ქმნის ქვეყის, გაგების, აღმანიის თავისებურ მოდელს და ამიტომ ამბობს მის მიერ მოყოლილ ამბავზე: „ლევენდალ დარჩეს, მეგობარებო, ლევენდალ დარჩეს!“ აქ შეგ მახსენდება ერთი შერლის შესანიშნავი სიტყვები, რომ პოეზია არაა ახლოს რელიგიასთან, მაგრამ იგი ახლოსაა ლოცვასთან. მურმან ლებანიძის „ლევენდალ დარჩეს“ არაა თავისებური ლოცვაპოეზიაზე. „დიდი მზემეზი“, — ამბობს ამ ლევენდალს გმირთა გამო პოეტი. აქ ესთეტიკა არის ეთიკაც. მაგრამ ეს ნამდვილად კარგი ლექსი არის არა მხოლოდ ამბის გადმოცემა, არამედ მითის თხზვაც. პოეტი აქ თითქოს გვიქმნის პოეზიასა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის წინააღმდეგობის არარსებობის ილუზიას. ამ ილუზიის შექმნა — შემოქმედებაა. მაგრამ ქართულ ლექსს დღეს ისიც ესაჭიროება, რომ გვიჩვენოს ამ წინააღმდეგობის რეალური არსებობაც და მისგან გამოსავალიც. ამ თუნდაც ამ გამოსავლის ილუზია; ხელოვნება „გზის“ ან „უგზობის“ ილუზიას გვიქმნის მხოლოდ; გვაქვს უფლება ველოდოთ მ. ლებანიძისაგან ლევენდალს ასეთ ილუზიაზეც. ხოლო თვით ლექსი „ლევენდალ დარჩეს“ ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ ქართული ლექსის გარკვეული სახეობა, უპირველესად ვალკატონის სახელთან დაკავშირებული, უკვდავი ტრადიციია. დღეს კი ჩვენს წინაშეა ახალი ძიებანი, მიდრეკილებანი, ახალი ძალები. ამ სწრაფვათა და ორიენტაციათა ბრძოლაში წყდება ქართული ლექსის მომავლის ბედი. ასეთ პერიოდში ლიტერატურული კრიტიკის მისია განსაკუთრებით დიდია. ჩემი ამ წერილის შინაგანი სტიმული იყო არა ზოტბა მ. ლებანიძისა, რომელიც მას სულაც არ ესაჭიროება, არამედ მისი ბოლო ლექსების მაგალითზე დღევანდელი ქართული ლექსის შესაძლებლობისა და სწრაფვათა კვლევა. შეტდომა იქნებოდა, „ახლის“ თუ „ახალი ტენდენციის“ გამოვლინებად მიგვეჩინა ყველაფერი ის, რაც მოგვეწონება. მაგრამ არ შეიძლება თავი დაეიმშვიდდოთ იმ ყოვლისმხსნელი თეზით, რომ ვემოგენბაზე არ კამათობენ.





### ესპანეთი

პრადოს მუზეუმს  
150 წელი შეუსრულდა

1819 წელს მადრიდის „ლა გასტამ“ გამოაქვეყნა განცხადება. გაზეთი იუწყებოდა, რომ მისმა უდიდებულესობამ ფერდინანდ VII გასცა განკარგულება, რათა თავი მოეყარათ გამოჩენილი ესპანელი მხატვრების ყველა საუკეთესო ნამუშევრისათვის.

მაგრამ სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნის იდეა ეკუთვნის არა ფერდინანდ VII, არამედ მის წინამორბედებს. XVI საუკუნის მწერალმა და მეცნიერმა დონ ფელიპე მევარამ წერილობითი თხოვნა გაუგზავნა ფილიპე II, იგი მოითხოვდა მის მიერ ჩამოთვლილი ყველა გამოჩენილი მხატვრის ნაწარმოების შეკრებას. მუზეუმის პროექტს 1819 წელს ხელი მოაწერა კარლოს III. ამ წელს პრადოს მუზეუმის დირექტორმა დე სანტაკრუსმა და მხატვარმა ვისენტე ლოპესმა მუზეუმის გახსნის ცერემონიალი მოაწესეს. 118 ნამუშევარს შორის იყო ველასკეის და მურილიოს, რიბალტისა და რიბერას, მორადესისა და გოიას საუკეთესო ნახატები. პრადოს მუზეუმში არ გამოიფინეს ელ გრეკოს ნახატები, რადგან იმ დროისათვის მას არ აღიარებდნენ კლასიკოსად და გარდა ამისა დასადგენი იყო მხატვრის ესპანელობაც.

### იტალია

მიქელანჯელო ანტონიონის ფილმმა „ზაბრისკი პოინტ“ ჩქარ კიდევ გადაღებების დროს მიიპყრო უღრნაღრსტების ყურადღება. ფილმით დაინტერესდნენ არა მარტო უღრნაღრსტები, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროც. გადაღებების დამთავრების შემდეგ გადაშლები ჯგუფის 11 წევრი საკრამენტოს დიდი თიურის სხდომაზე დაიბარეს. მათ შესთავაზეს ელიარებიანთ ფილმის ანტიამერიკული შინაარსი. ანტონიონის ცილი დასწამეს სტუდენტების დემონსტრაციის მოწყობაში. სინამდვილეში ამერიკაში ჩასული რეჟისორი შემთხვევით შეტყობოდა სტუდენტთა ერთ-ერთ დემონსტრაციას, გადაიღო ფორზე და კადრები ფილმში გამოიყენა. ფილმის ექრანზე გამოსვლისთანავე ამერიკის ბურჟუაზიულმა პრესამ მრავალი შეურაცხყოფილი სტატია დაბეჭდა ანტონიონის მისამართით.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაბეჭდა ანტონიონის ვრცელი წერილი — ანტონიონი იცავს ფილმს „ზაბრისკი პოინტ“, სადაც იგი წერს: „ყველა ამერიკელს შეუძლია ბრალი დამდოს შენ უცხოელი ხარ, არ იცნობ ჩვენს ქვეყანას, როგორ შეგიძლია მასზე ასე თავისუფლად ილაპარაკო? მე მიზნად არ მქონია ქვეყნის სოციალური გამოკვლევა, მე მსურდა მეგრძნო ამერიკა და გავრცეულიყავი საკუთარ გრძნობებში. ფილმში

თითქმის არ მითქვამს ის, რაც შეიძლებოდა მეთქვა ამერიკაზე, რომ ამერიკაში ერთ აღამანს არაფერი აქვს საერთო მეორესთან, რომ მთავრობის წარმომადგენლებს არ აწუხებთ ხალხის უმედობა. კემ-მარტიტი პრობლემები წუდება ქუჩაში, სადაც აშკარად იგრძნობა წინააღმდეგობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის. ამერიკის უდიდესი მატერიალური დოვლათი არ ხმარდება მტკიცეული პრობლემების გადაჭრას“.

### საზრანგეთი

ტიტო გოზი  
ფალსტაფის როლში

1966 წელს გამოჩენილმა იტალიელმა ბარიტონმა ტიტო გოზიმ განრისხებულმა გამოიჭახუნა პარიზის ჯაერის კარა. მან უარი განაცხადა ეთამაშა დონ კარლოსის როლში იმ პირობით, რომელსაც ოპერის დირექტორი სთავაზობდა. ამ აზრზე დაიდი უსიამოვნება მოჰყვა. დაირღვა ხელშეკრულება ოპერასთან, დაინიშნა სასამართლო. მომდერალი კარგა ხანს არ დაბრუნებია ოპერის თეატრს. ახლახან ტიტო გოზიმ თანხმობა განუცხადა პარიზის ოპერის თეატრს ვერდის „ფალსტაფში“ მონაწილეობაზე. იგი იქნება ოპერის დამდგმელი რეჟისორიც.

ფალსტაფი ტიტო გოზის შესრულებული აქვს მსოფლიოს მრავალ სცენაზე. გაუმაძღარი, ლაზლანდარა, მკვეხარა, ლოთი, მზიარული ჯამბა-

ზის როლი თითქოს საგანგებოდ მისთვისაა შექმნილი. იგი უველაზე რთული როლია მომღერლის მთელ რეპერტუარში.

„ფალსეტის“ პარალელურად ტიტო გობი ლისაბონში დგამს „დონ ჟუანს“, ხოლო ლონდონში „ტოსკას“.

### განმეორებით გამომიდა მიქელანჯელოს ლექსები

10 წლის წინათ ინგლისურ ენაზე პირველად გამოიცა დიდი მოქანდაკის მიქელანჯელოს ლექსების სრული კრებული. წიგნი თარგმნა ამერიკელმა ლინგვისტმა ჯოზეფ ტუზიანიმ. ახლახან იუნესკოს ინიციატივით განმეორებით გამოვიდა მიქელანჯელოს ლექსების სრული კრებული.

„არსებობს“ მიქელანჯელოს ლექსების უამრავი ინგლისური გამოცემა. წიგნები თარგმნეს შესანიშნავმა სპეციალისტებმა: უორდსვორთმა, ლონგფელომ, ჯონ ადინგტონ საიმონდსმა, უილიამ უელს ნიუელმ და ჯორჯ სანტაინამ. სპეციალისტების აზრით, ტუზიანის თარგმანი მიქელანჯელოს ლექსების, ეპიგრაფების, სტანსების, ნაწვეტების პირველი სრული ინგლისური თარგმანია.

## ინგლისი

ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლის ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრებმა, რომლებიც ქიმიური იარაღის აკრძალვისათვის იბრძვიან, დემონსტრაციას მოაწყვეს. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებდნენ იმ მომწამლავი გაზის გადაზიდვის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებს ჰქონდათ შენახული ოკინავაში.

მართალია ნიქსონის მთავრობამ თანხმობა განაცხადა შეერთებოდა უენეის 1925 წლის ოქმს, რომელიც კრძალავს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის განოყენებას თავდასხმის მიზნით, მაგრამ მაინც ვერ შეასრულა თავიანი პირობა. ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურები ვიეტნამში კვლავ იყენებენ ცრემლსადენ და სხვა ქიმიურ გაზებს.

## კოლონეთი

გზადღება კოპერნიკის მხეზულებამათ სრული პრემიული

1978 წელს, როდესაც მთელი მსოფლიო იზეიმებს ნიკოლოზ კოპერნიკის დაბადება-

დან 500 წლისთავს, პოლონეთში გამოვა გამოჩენილი ბოლონელი ასტრონომის თხზულებათა სრული კრებული სამტომად და სამ ენაზე. კრებული შეტანილია ის ორიგინალებში, რომლებიც პოლონეთისა და საზღვარგარეთის მუზეუმებში ინახება.

გარდა თხზულებათა სრული კრებულისა, მზადდება სერია „კოპერნიკის გამოკვლევები“.

## ჩეხოსლოვაკია

იოვიათი აღმოჩენა

კარლოვი ვარის სამხატვრო მუზეუმში, მუზეუმის დირექტორი კოულდელკა უმდიდრესი გრაფიკული კოლექციის შესწავლის დროს წააწყდა ერთ ოფორტს, რომელიც მისი ვარაუდით იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ეკუთვნოდა. კარლოვი ვარის სამხატვრო მუზეუმში დიდი გერმანელი მწერლის 12 ნამუშევარი ინახება. ოფორტის ყურადღებით შესწავლის დროს კოულდელკა წააწყდა გოეთეს ინიციალებსაც. ნახატზე გამოხატულია კარლოვი ვარის ბუნება. ადვილი შესაძლებელია გოეთეს დაეხატა კარლოვი ვარის პეიზაჟები. მან ხომ იქაურობა რამდენჯერმე ინახულა.

გარეკანის მეორე გვერდზე „დაბადება“. ფოტო ა. სააკოვისა

ტურნალი გაათორმეს დ. ერისთავმა და ჯ. ლოლუამ

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბულშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/გ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გალაქცია ასაწყობად 11/VI-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-70 წ., ქალაქის უორმატი 70X1081/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეევ. № 1522. უე 11325. ტირაჟი 20.700.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14, Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14,

ფანდი 60 333.

6.12/1988

საქართველოს  
საბჭოთავო კულტურის  
მინისტროს ბიბლიოთეკის  
სამუშაო ნომერი 101933

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236